

სისხლის სამართალი
ზოგადი და კარგო ცენტრი

სისხლის სამართლის პროცესი
კარგო ცენტრი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სისხლის სამართლის საქმეებზე
2024, №10-12

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Criminal Cases
(in Georgian)
2024, №10-12

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Strafsachen
(in der georgischen Sprache)
2024, №10-12

Решения Верховного Суда Грузии
по уголовным делам
(на грузинском языке)
2024, №10-12

გადაწყვეტილების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
რუსულად შანტურიძე

ჭექნიკური რედაქტორი
მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით

საქონელი

სისხლის სამართალი

ზოგადი ნაწილი

1. სასჯელის დანიშვნა

მსჯავრდებულის მისწრაფება, შეურიგდეს დაზარალებულს ან/და
აანაზღაუროს ზიანი, წამახალისებელი ნორმაა და შესაძლოა
გამოყენებულ იქნეს პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად,
საპირისპირო უერ გახდება სასჯელის დამძიმების საფუძველი 5

2. ამნისტია, შენყალება, ნასამართლობა

ამნისტია 15; 22; 33

კერძო ნაწილი

1. დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ

განზრას მკვლელობის მცდელობა 39
ქმედების გადაკვალიფიცირება განზრას მკვლელობის
მცდელობიდან ჯანმრთელობის განზრას მსუბუქ დაზიანებაზე 60

2. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ

ოჯახური ძალადობა 70
ქმედების გადაკვალიფიცირება
ძარცვის მცდელობიდან ძალადობაზე 82

3. დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ

წამება, ჩადენილი ჯგუფურად 94
იძულება 117
ქონების განადგურების მუქარა,
ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ 124

4. ეკონომიკური დანაშაული

თაღლითობა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია 133
ქმედების გადაკვალიფიცირება თვითნებობიდან მითვისებაზე 144

5. ნარკოტიკული დანაშაული

ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა, გასაღება 154

6. სატრანსპორტო დანაშაული

ქმედების გადაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის
მე-6 ნაწილიდან იმავე მუხლის მე-4 ნაწილზე 164

**სისხლის სამართლის პროცესი
კერძო ნაწილი**

კასაცია

საკასაციოგანაჩენი

გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და
მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა 172

საკასაციოგანაჩენი

გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და
მის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა 185

სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი

1. სასჯელის დანიშვნა

მსჯავრდებულის მისწოდება, შეურიგდეს დაზარალებულს
ა6/და აანაზღაუროს ზიანი, ნამახალისებაზე ნორმაა და
შესაძლოა გამოყენებულ იქნეს პასუხისმგებლობის
შესამსუბურებლად, საპირისპირო ვერ გაცდება სასჯელის
დამტკიცების საფუძველი

განაჩენი
საქართველოს სახელით

№655აპ-24

26 ნოემბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
შ. თადუმაძე (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
ნ. სანდოძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ბათუმის რაიონული პროკურა-
ტურის პროკურორ ნიკა მენთეშაშვილის საკასაციო საჩივარი ქუთაი-
სის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის
2024 წლის 18 აპრილის განაჩენზე.

აღნერილობით – სამოტივაციო ნაწილი:

1. სააპელაციო სასამართლოს განაჩენი:

1.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-
მეთა პალატის 2024 წლის 18 აპრილის განაჩენით ბრალდების მხარის
სააპელაციო საჩივარი არ დაკამაყოფილდა და ბათუმის საქალაქო სასა-
მართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 2 თე-
ბერვლის განაჩენი დარჩა უცვლელად, კერძოდ:

1.2. ვ. გ-ე (პირადი ნომერი: ...) ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გა-
მართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში
– საქართველოს სსკ-ი) 151-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ
ბრალდებაში.

1.3. ვ. გ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხ-
ლის პირველი ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირვე-
ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის და სას-

ჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

– საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით – თავი-სუფლების აღკვეთა 3 წლით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე და 64-ე მუხლების საფუძველზე, ჩაეთვალა პირობითად, 3 წლის გამოსაცდელი ვადით;

– საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით – თავი-სუფლების აღკვეთა 1 წლით,

რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე და 64-ე მუხლების საფუძველზე, ჩაეთვალა პირობითად, 1 წლის გამოსაცდელი ვადით.

1.4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ვ. გ-ეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე და 64-ე მუხლების საფუძველზე, ჩაეთვალა პირობითად, 3 წლის გამოსაცდელი ვადით. სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2022 წლის 13 ნოემბრიდან 2022 წლის 16 ნოემბრამდე.

1.5. სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული მტკიცებულებების გაანალიზების შედეგად, დადასტურებულად არ მიიჩნია 2022 წლის 12 ნოემბერს, ვ. გ-ის მიერთ. ჭ-ის მიმართ სიცოცხლის მოსპობისა და ჯანმრთელობის დაზიანების მუქარა. იმავდროულად, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ვ. გ-ის მიერ:

– 2022 წლის 12 ნოემბერს, თ. ჭ-ის მიმართ ძალადობა, რაც გამოიხატა დაზიანალებულისადმი სახეში გაშლილი ხელის, ხოლო გულმკერდი-სა და შუბლის არეში – მუშტის დარტყმითა და ხელის მტევნის გადატრიალებით, რის შედეგადაც თ. ჭ-მ განიცადა ფიზიკური ტკივილი;

– 2022 წლის 13 ნოემბერს, ლ. რ-ის ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, რაც გამოიხატა დაზიანალებულისათვის სახის არეში მინის ჭიქის დარტყმით.

1.6. სააპელაციო სასამართლომ ჩადენილი დანაშაულების სიმძიმის, ხასიათის, პირის ინდივიდუალური მახასიათებლების, შემამსუბუქებელი გარემოებების (აღიარება, მონანიება), ნასამართლობის არქონისა და სასჯელის მიზნების გათვალისწინებით, სამართლიანად და კანონიერად მიიჩნია ვ. გ-ისათვის საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა, რის გამოც, უცვლელად დატოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 2 თებერვლის განაჩენი.

2. საკასაციო საჩივარი:

2.1. ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა – ნიკა მენ-

თეშაშვილმა – საკასაციონ საჩივრით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ, ვ. გ-ის დამნაშავედ ცნობა, მათ შორის, საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და დანაშაულთა ერთობლიობით, მისთვის მყაცრი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის შეფარდება, პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით.

3. კასატორის არგუმენტები:

3.1. ბრალდების მხარის განმარტებით, გასაჩივრებული განაჩენი უკანონოა, რადგან საქმეში არსებული, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ადასტურებს ვ. გ-ის მიერ მუქარის ჩადენას, მიუხედავად დაზარალებულის მიერ მუქარის ფაქტის უარყოფისა. პროკურორი საკუთარი პოზიციის გასამყარებლად იშველიებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას (საქმე №258აპ-19).

3.2. ამასთან, პროკურორის შეფასებით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დაზარალებულ ლ. რ-ეს ზიანი არ ანაზღაურებია და მას ვ. გ-ის მიმართ პრეტენზია გააჩნდა, მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა უსამართლოა.

4. საკასაციონ სასამართლოს შეფასებები:

4.1. საკასაციონ სასამართლო შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები, შეამონება საკასაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

4.2. მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა მიერ სადავო გარემოებას არ წარმოადგენს ვ. გ-ის მსჯავრდება საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის. შესაბამისად, საკასაციონ სასამართლო შეაფასებს გასაჩივრებული განაჩენის სისწორეს ვ. გ-სათვის დანიშნული სასჯელისადა საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში გამართლების ნაწილში.

4.3. საკასაციონ სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ვ. გ-ის საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში უდანაშაულოდ ცნობის შესახებ და აღნიშნავს, რომ არ არსებობს ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები არ არის საკმარისი გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ბრალდების ამ ეპიზოდში გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად, კერძოდ:

4.4. დაზარალებულმათ. ჭ-მა სასამართლოში მოწმედ დაკითხვისას უარყოვთ. გ-ის მიერ მის მიმართ მუქარა და განმარტა, რომ მსჯავრდებული მხოლოდ სიტყვიერ შეურაცხვოფას აყენებდა და სიცოცხლის მოსპობით ან ჯანმრთელობის დაზიანებით არ დამუქრებია. დაზარალებულმა არ დაადასტურა გამოკითხვის ოქმში ასახული ინფორმაცია მუქარისა და მის შედეგად განცდილი შიშის თაობაზე.

4.5. საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ მოწმის ჩვენება არის მოწმის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ. შესაბამისად, სასამართლო სამართლებრივ ძალასა და მტკიცებულების სტატუსს ვერ მიანიჭებს დაზარალებულის გამოკითხვის ოქმის იმ ნაწილს, რომელსაც დაზარალებული სასამართლოში, შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით წარმართული დაკითხვისას არ ადასტურებს.

4.6. საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს მოწმე ლ. რ-ის ჩვენების იმ ნაწილს, რომელიც გადმოსცემს დაზარალებულის მიერ გავრცელებული ინფორმაციას მის მიმართ ჩადენილი მუქარის შესახებ, რადგან აღნიშნული ჩვენება წარმოადგენს ირიბს, შეიცავს პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით მცდარი აღქმის შექმნის საფრთხეს და მისი გამოყენება, შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციის – კანონით გათვალისწინებული მკაფიო წესისა და სათანადო კონსტიტუციური გარანტიების უზრუნველყოფის – არარსებობის პირობებში, გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისათვის დაუშვებელია.

4.7. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მუქარის ფაქტის დადასტურებულად მიჩნევის შემთხვევაშიც კი, იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს დაზარალებულის ჩვენება, როგორც წესი, შეუძლებელია მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიშის განცდის დადასტურება, რომლის გარეშეც არ არსებობს საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის დისპოზიცით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა. მართალია, ჩვენების არარსებობა უპირობოდ არ გამორიცხავს დაზარალებულის სუბიექტური აღქმის სხვა ფორმით (ობიექტური კრიტერიუმით) შეფასების შესაძლებლობას, თუმცა, საქმეში არ მოიპოვება არც ისეთი მტკიცებულება, რაც დაზარალებულის ჩვენებისაგან დამოუკიდებლად, ობიექტურად დაადასტურებდა მის მიერ მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიშის განცდას, მით უფრო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო მხოლოდ ლ. რ-ის მიმართ ფიზიკური ძალადობის შესახებ შეტყობინება.

4.8. რაც შეეხება პროკურორის მიერ საკასაციო საჩივარში მოხმობილ უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას (საქმე №258აპ-19), აღნიშნული გადაწყვეტილება მიემართება განსახილველი საქმისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებულ შემთხვევას, კერძოდ, დაზარალებულისადმი

ფიზიკურ ძალადობას და არა – მუქარას, რა დროსაც დაზარალებულის ჩვენება არ აღმოჩნდა გადამწყვეტი და მიუხედავად მის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა, საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით დადასტურდა დანაშაულის ჩადენა, რასაც, განსახილველ შემთხვევაში, ადგილი არ აქვს.

4.9. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თავად ბრალდების მხარეც საკასაციო საჩივარში ვერ უთითებს კონკრეტულ მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებს ვ. გ-ის მიერ მუქარის ჩადენას. პროკურორი შემოიფარგლება მხოლოდ ზოგადი მითითებით, იმის შესახებ, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, თითქოსა და, დასტურდება მუქარის ჩადენის ფაქტი.

4.10. სისხლის სამართლის საქმის მასალების შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა, რომ ბრალდების მხარის მიერ არ არის წარმოდგენილი ვ. გ-ის მიერ მუქარის ჩადენის დამადასტურებელი არც ერთი პირდაპირი ან თუნდაც, არაპირდაპირი მტკიცებულებები. შესაბამისად, ვინაიდან, საქმეში არსებული მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით არ დასტურდება ვ. გ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, პროკურორის მოთხოვნა ვ. გ-ის დამნაშავედ ცნობის შესახებ საფუძველს მოკლებულია და მტკიცებულებათა შეფასებისას წარმოშობილი ეჭვი სამართლიანად გადაწყდა ბრალდებულის სასარგებლოდ.

4.11. საკასაციო სასამართლო ასევე არ ეთანხმება ბრალდების მხარის მოთხოვნას ვ. გ-სათვის დანიშნული სასჯელის გამკაცრებისა და მისი მოხდის ფორმის ცვლილების (პირობითი მსჯავრის ნაცვლად, სასჯელის მოხდა პენიტენციურ დაწესებულებაში) შესახებ.

4.12. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო სასამართლომ სრულად გაითვალისწინა სასჯელის დანიშნისას მხედველობაში მისაღები გარემონტები, ჩადენილი ქმედებების ხასიათი და სიმძიმე (ჩადენილია ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულები), პირის ინდივიდუალური მახასიათებლები (მსჯავრდებულმა აღიარა და მოინანია დანაშაული, უდავოდ მიიჩნია მტკიცებულებათა ნაწილი, ნასამართლევი არ ყოფილა), სასჯელის მიზნების მიღწევის შესაძლებლობანი და საქართველოს სსკ-ის 39-ე, 53-ე, 59-ე, 63-ე, 64-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, ვ. გ-ეს საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით და საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის როგორც ცალკალკე, ისე დანაშაულთა ერთობლიობით, კანონიერი და სამართლიანი სასჯელი შეუფარდა.

4.13. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულს შეუფარდა საქართველოს სსკ-ის შესაბამისი

მუხლების სანქციით გათვალისწინებული სასჯელის ყველაზე მკაცრი სახე – თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის მოთხოვნათა სრული დაცვით ჩატვალა პირობითად.

4.14. საკასაციო სასამართლო კვლავაც განმარტავს, რომ პირობითი მსჯავრი წარმოადგენს სასჯელის მოხდის ფორმას, რომელსაც თან სდევს გამოსაცდელი ვადა. სასჯელის პირობითად ჩატვლისა და გამოსაცდელი ვადის დაწესების მიზანი არ არის დანაშაულის ჩამდენი პირის სისხლის სამართლებრივი ზემოქმედებისგან გათავისუფლება. გამოსაცდელი ვადა ის პირობაა, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებულმა არ უნდა ჩაიდინოს ახალი დანაშაული და უნდა შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა, რაც სასჯელის მიზნების მიღწევის დამატებით გარანტიას წარმოადგენს და ნამდვილად გააჩნია მსჯავრდებულზე ინდივიდუალური ზემოქმედებისა და კერძო პრევენციის ეფექტი. ამდენად, კონკრეტული დანაშაულისათვის გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში დანიშნული სასჯელის პირობითად ჩატვლა არ გულისხმობს მის უსამართლობას და ვერ უგულებელყოფს მის როლს, სასჯელის მიზნების მიღწევის თვალსაზრისით.

4.15. ბრალდების მხარე დანიშნული სასჯელის პირობითად ჩატვლის უსამართლობას აფუძნებს დაზარალებულის მიერ პრეტენზიის ქონას და მისთვის ზიანის არანაზღაურების ფაქტს. საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულის მისწრაფება, შეურიგდეს დაზარალებულს ან/და აანაზღაუროს ზიანი, წამახალისებელი ნორმაა, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს პასუხისმგებლობის შემსუბუქებისას და არასწორია საპირისპიროს პასუხისმგებლობის დამამდიმებლად მიჩნევა. დაუშვებელია მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის დამამდიმებლად მიეთითოს ისეთ გარემოებაზე, რომლის შესრულებას ან დაკმაყოფილებას კანონი მას არ ავალდებულებს. დაზარალებულს უფლება აქვს, ზიანის ანაზღაურება მოითხოვის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

4.16. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საკასაციო საჩივარში განვითარებული ზოგადი, არარელევანტური და სრულიად დაუსაბუთებელი მსჯელობა ვერ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივრისათვის კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტს და საკასაციო სასამართლოს აფიქრებინებს, რომ საჩივრის შემოტანას აქვს ფორმალური ხასიათი.

4.17. საკასაციო სასამართლომ იმსჯელა ვ. გ-ის მიმართ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის გამოყენების შესახებ თითოეულ მსჯავრად შერაცხილ ეპიზოდთან მიმართებით:

4.18. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ვ. გ-სათვის მსჯავრად შერაცხილი დანაშაულები ჩადენილია 2024 წლის 1 ივლისამდე, რითაც დაკმაყოფილებულია პირის მიმართ ამნისტიის გავრცელების „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის

მე-10 მუხლით გათვალისწინებული წინაპირობა.

4.19. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან თავისუფლდება პირი, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია, მათ შორის, საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის (გარდა ოჯახური დანაშაულის ჩადენის შემთხვევისა) პირველი ნაწილით, თუ თითოეული დაზარალებული ამ კანონის აღსრულებისას გამოძიების ორგანოს ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ აღნიშნულ პირზე გავრცელდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია. ხსენებული კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გაუნახევრდეს დანიშნული სასჯელი განზრახი დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის არმქონე პირს, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია, მათ შორის, საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით (გარდა ოჯახური დანაშაულის ჩადენის შემთხვევისა), თუ თითოეული დაზარალებული ამ კანონის აღსრულებისას გამოძიების ორგანოს ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ აღნიშნულ პირზე გავრცელდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია.

4.20. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ერთი მეექვსედით შეუმცირდეს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი პირს, რომელზეც არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია და რომელსაც ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული დანაშაული არ ჩაუდენია. ამავე კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის მე-4 მუხლით (გარდა მე-4 მუხლის მე-4 ან მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) გათვალისწინებული სასჯელის შემცირება ვრცელდება ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ როგორც რეალურ სასჯელზე, ისე – პირობით მსჯავრსა და გამოსაცდელ ვადაზე. ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება დაზარალებულთა თანხმობები, ვ. გ-ის მიმართ ვერ გავრცელდება „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის პირველი და მე-2 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია და მას ხსენებული კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ერთი მეექვსედით უნდა შეუმცირდეს საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის დანიშნული სასჯელი – პირობითი მსჯავრი და გამოსაცდელი ვადა.

4.21. იმავდროულად, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის

მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დანაწესს, რომლის თანახმად, პირს, რომელიც პირობით მსჯავრდებულია საქართველოს სსკ-ის XII თავის შესაბამისად და რომელსაც დანიშნული სასჯელი და გამოსაცდელი ვა-და, ამ კანონის, მათ შორის, მე-4 მუხლის თანახმად, 1 წელზე ნაკლები ვადით უმცირდება, ამ მუხლის საფუძველზე 1 წლით შეუმცირდეს და-ნიშნული სასჯელი და გამოსაცდელი ვადა. საგულისხმოა, რომ „ამნის-ტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ამ კანონის მე-6 მუხლით გათვა-ლისწინებული ამნისტია ვრცელდება იმ პირზე, რომელიც 2024 წლის 1 ივლისის მდგომარეობით პირობით მსჯავრდებულია საქართველოს სსკ-ის XII თავის შესაბამისად. სისხლის სამართლის საქმის მასალების თა-ნახმად, ვ. გ-ე 2024 წლის 1 ივლისის მდგომარეობით იმყოფებოდა პი-რობითი მსჯავრის ქვეშ.

4.22. ამდენად, ვინაიდან „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბა-მისად, ვ. გ-ეს საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალის-წინებული დანაშაულების ჩადენისთვის დანიშნული სასჯელი და გამო-საცდელი ვადა უნდა შეუმცირდეს 1/6-ით, რაც წარმოადგენს ვადის შემცირებას 1 წელზე ნაკლები დროით (საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხ-ლის პირველი ნაწილის შემთხვევაში – 2 თვით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილის შემთხვევაში – 6 თვით), მას ხსენებული კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ასევე, მე-9 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-4 პუნქტის დანაწესების გათვა-ლისწინებით:

– საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალის-წინებული დანაშაულის ჩადენისთვის დანიშნული სასჯელი და გამო-საცდელი ვადა – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც უნდა ჩაეთვა-ლოს პირობითად 1 წლის გამოსაცდელი ვადით – უნდა შეუმცირდეს 1 წლით და გათავისუფლდეს აღნიშნული სასჯელისა და გამოსაცდელი ვადისაგან;

– საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალის-წინებული დანაშაულის ჩადენისთვის დანიშნული სასჯელი და გამო-საცდელი ვადა – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც უნდა ჩაეთვა-ლოს პირობითად 3 წლის გამოსაცდელი ვადით – უნდა შეუმცირდეს 1 წლით და უნდა განესაზღვროს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც უნდა ჩაეთვალოს პირობითად 2 წლის გამოსაცდელი ვადით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე

მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ნიკა მენთეშაშვილის საკასაციო საჩივარი არ დაკამაყოფილდეს;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 18 აპრილის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. ვ. გ-ე ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში;

4. ვ. გ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 წლით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე და 64-ე მუხლების საფუძველზე, ჩატვალოს პირობითად, 1 წლის გამოსაცდელი ვადით;

5. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, მე-9 მუხლის პირველი, მე-4 პუნქტების შესაბამისად, ვ. გ-ეს საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელი და გამოსაცდელი ვადა – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩატვლილი აქვს პირობითად 1 წლის გამოსაცდელი ვადით – შეუმცირდეს 1 წლით და გათავისუფლდეს აღნიშნული სასჯელისა და გამოსაცდელი ვადისაგან;

6. ვ. გ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე და 64-ე მუხლების საფუძველზე, ჩატვალოს პირობითად, 3 წლის გამოსაცდელი ვადით;

7. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, მე-9 მუხლის პირველი, მე-4 პუნქტების შესაბამისად, ვ. გ-ეს საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელი და გამოსაცდელი ვადა – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩატვლილი აქვს პირობითად 3 წლის გამოსაცდელი ვადით – შეუმცირდეს 1 წლით და განესაზღვროს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე და 64-ე მუხლების საფუძველზე, ჩატვალოს პირობითად,

2 წლის გამოსაცდელი ვადით;

8. ვ. გ-ეს სასჯელის ვადაში ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო – 2022 წლის 13 ნოემბრიდან 16 ნოემბრის ჩათვლით. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ვ. გ-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია და გირაოს შემტანს – ნ. გ-ეს, განაჩენის აღსრულებიდან 1 თვის ვადაში სრულად დაუბრუნდეს გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა – 6 000 ლარი;

9. საქართველოს სსკ-ის 66-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პირობით მსჯავრდებულის – ვ. გ-ის ყოფაქცევაზე კონტროლი და მისი დახმარება დაევალოს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

10. საქართველოს სსკ-ის 65-ე მუხლის შესაბამისად, ვ. გ-ეს დაევალოს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს მუდმივი ბინადრობის ადგილი;

11. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. ამინისტრი, შეცვალება, ნასამართლობა

ამინისტრი

განაჩენი საქართველოს სახელით

№893აპ-24

30 ოქტომბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. გაბინაშვილი (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
ნ. სანდოძე

ზეპირი მოსმენის გარეშე შეამოწმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 12 ივნისის განაჩენიზე ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამართველოს პროკურორ თინათინ სტურუას საკასაციო საჩივრის და-საშვებობის საკითხი და

გამოარკვია:

1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 26 თებერვლის გა-ნაჩენით მ. მ-ი (პირადი №...), დაბადებული ... წელს, ნასამართლობის არმქონე, რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები ბ-ის რაიონის სოფელ ნ-ში, ...-ე ქუჩის №-ში, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართვე-ლოს სსკ-ის 218-ე მუხლის 1-ელი ნაწილით – დიდი ოდენობით გადასა-ხადისათვის განზრახ თავის არიდებისათვის. აღნიშნული ქმედება გა-მოიხატა შემდეგით:

შპს „რ-ი“ (ს/ნ ...) გადასახადის გადამხდელად დარეგისტრირდა 2013 წლის 16 ივნისს, ხოლო დღე-ს გადამხდელად – 2013 წლის 26 ივნისს. კომპანიის დირექტორი და 100%-ანი წილის მფლობელი იყო მ. მ-ი (პი-რადი №-). კომპანიის საქმიანობის სფეროს ნარმოადგენდა ავტოსატ-რანსპორტო საშუალებების იჯარა და ლიზინგი.

2019 წლის 25 დეკემბრის შუალედური საგადასახადო შემოწმების აქტისა და 2020 წლის 10 მარტის საგადასახადო შემოწმების აქტის სა-ფუძველზე გამოიცა 2019 წლის 30 დეკემბრის №... ბრძანება და 2020 წლის 13 მარტის №... ბრძანება, ასევე – 2019 წლის 30 დეკემბრის №... და 2020 წლის 13 მარტის №... საგადასახადო მოთხოვნება. 2019 წლის 30 დეკემბრის №... საგადასახადო მოთხოვნა გადამხდელს გამოუქვეყნდა საჯაროდ 2020 წლის 30 ივნისს, ხოლო 2020 წლის 13 მარტის №... საგა-

დასახადო მოთხოვნა გადამხდელს ჩატბარდა ფოსტით 2020 წლის 2 აპრილს.

შპს „რ...ის“ (ს/ნ -) შემოწმების სახედ განსაზღვრული იყო სრული კამერალური შემოწმება. შესამოწმებელი პერიოდი განისაზღვრა 01.01.2016 წლიდან 01.09.2019 წლამდე. 2019 წლის 30 დეკემბრის №-საგადასახადო მოთხოვნის თანახმად, შპს „რ-ს“ ბიუჯეტში გადასახდელად დაერიცხა 61 326,62 ლარი, აქედან ძირითადი გადასახადია 33 544 ლარი (საშემოსავლო გადასახადი – 33 172 ლარი, ქონების გადასახადი – 372 ლარი), ჯარიმა – 17 972 ლარი, საურავი – 9 810,62 ლარი. აუდიტის დეპარტამენტის 2019 წლის 30 დეკემბრის ბრძანების თანახმად, დარიცხვის საფუძველი გახდა კამერალური საგადასახადო შემოწმების 2019 წლის 25 დეკემბრის შუალედური აქტი, რომლის თანახმადაც, შემოწმება ჩატარდა 01.01.2016 წლიდან 01.01.2017 წლამდე დროის პერიოდში.

2020 წლის 13 მარტის №... საგადასახადო მოთხოვნის თანახმად, შპს „რ-ს“ ბიუჯეტში გადასახდელად დაერიცხა 174 715,93 ლარი, აქედან ძირითადი გადასახადია 93 743 ლარი (დღგ – 20 708 ლარი, საშემოსავლო გადასახადი – 72 663 ლარი, ქონების გადასახადი – 372 ლარი), ჯარიმა – 48 537 ლარი, საურავი – 32 435,93 ლარი. აუდიტის დეპარტამენტის 2020 წლის 13 მარტის ბრძანების თანახმად, დარიცხვის საფუძველი გახდა კამერალური საგადასახადო შემოწმების 2020 წლის 10 მარტის აქტი, რომლის თანახმადაც, შემოწმება ჩატარდა 01.01.2017 წლიდან 01.09.2019 წლამდე პერიოდში.

შპს „რ-ის“ (ს/ნ ...) ბიუჯეტში გადასახდელად შესამოწმებელ პერიოდში სულ დაერიცხა 236 042,55 ლარი, მათ შორის, ძირითადი გადასახადი – 127 287 ლარი, ჯარიმა – 66 509 ლარი.

შპს „რ-ის“ (ს/ნ ...) დირექტორმა მ. მ-მა განზრას აარიდა თავი გადასახდელების გადახდას, არ ისარგებლა 45 სამუშაო დღის ვადით და არ იქნა გადახდილი შემოწმების აქტის საფუძველზე გადასახდელად დაკისრებული, დიდი ოდენობით გადასახდელი 127 287 ლარი. ამასთანავე, ამავე ვადაში არ გადავადებულა ან დაკორექტირებულა გადასახდელად დაკისრებული ზემოხსენებული ძირითადი თანხა.

მ. მ-ის ქმედებით სახელმწიფოს მიადგა 127 287 ლარის ქონებრივი ზიანი.

2. აღნიშნული ქმედებისათვის მ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 218-ე მუხლის 1-ელი ნაწილით და მიესაჯა ვ წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც, სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე, ჩატვალა პირობით, ვ წლის გამოსაცდელი ვადით.

3. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა თინათინ სტურუამ, რომელმაც მოითხოვა რუსთავის საქალაქო სასამართლოს

2024 წლის 26 თებერვლის განაჩენში ცვლილების შეტანა და მ. მ-სათვის საქართველოს სსკ-ის 218-ე მუხლის 1-ელი ნაწილით უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრა, რაც დაკავშირებული იქნება თავისუფლების აღკვეთასთან, სასჯელის პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 12 ივნისის განაჩენით რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 26 თებერვლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. კასატორი – ქვემო ქართლის საოლქო პროკურორულის საპროკურორო სამმართველოს პროკურორი თიხათინ სტურუა – საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 12 ივნისის განაჩენში ცვლილების შეტანასა და მ. მ-სათვის საქართველოს სსკ-ის 218-ე მუხლის 1-ელი ნაწილით უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრას, რაც დაკავშირებული იქნება თავისუფლების აღკვეთასთან, სასჯელის პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ პროკურორი თიხათინ სტურუას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო საჩივრით ბრალდების მხარე ითხოვს მსჯავრდებულ მ. მ-სათვის უფრო მკაცრი სასჯელის დანიშვნას.

3. საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას მ. მ-ის მსჯავრდების ნაწილში და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულის აღიარებასთან ერთად საქმეში წარმოდგენილია მხარეთა მიერ უდავოდ ცნობილი საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები (მათ შორის: მოწმეების: ი. ჯ-ას და მ. ო-ის გამოკითხვის ოქმები, შპს „რ-ის“ მიმართ გამოცემული საგადასახადო მოთხოვნები, სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის ბრძანებები, შპს „რ-ის“ საგადასახადო შემოწმების მუალედური აქტი, შპს „რ-ის“ საგადასახადო შემოწმების აქტი, შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვილი ინფორმაცია და სისხლის სამართლის საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები), რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ მ-მა ჩაიდინა მისთვის მსჯავრად შერაცხილი ქმედება.

4. რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას მსჯავრდებულის მიმართ უფრო მკაცრი სასჯელის გამოყენების შესახებ, სასამართლო ითვალისწი-

ნებს, რომ საქართველოს სსკ-ის 218-ე მუხლის პირველი ნაწილი სასჯელის სახედ და ზომად ადგენს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას სამიდან ხუთ წლამდე.

5. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის მე-300 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, განაჩენი იმ შემთხვევაში მიიჩნევა უკანონოდ, როდესაც გამოყენებულია სასჯელის ისეთი სახე ან ზომა, რომელიც აშკარად არ შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების ხასიათსა და ამავდროულად, მის პიროვნებას. სასჯელის დანიშვნის სტადიაზე მოსამართლე, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, თანაბრად აფასებს როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ, ისე შემამსუბუქებელ გარემოებებს. სასამართლოს მიაჩნია, რომ სასჯელი სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის მიზნებს ემსახურება. ამიტომ „სასჯელი, ერთი მხრივ, უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხეებთან გონივრულ პროპორციაში, ხოლო, მეორე მხრივყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის დაკისრება მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38). შესაბამისად, სასჯელის მიზნის რეალიზაციას სასჯელის სიმკაცრე კი არა, მისი გარდაუვალობა განაპირობებს.

6. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. სასჯელის სამართლიანობა უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით და უნდა იყოს მსჯავრდებულის პიროვნებისა და ჩადენილი დანაშაულის თანამდებობაში ვლინდება.

7. სასჯელის დაკისრებისას სამართლიანობა არა დასჯის, არამედ შერჩეული სასჯელის სახისა და ზომის, მსჯავრდებულის რესოციალიზაციისა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნებთან შესაბამისობაში ვლინდება.

8. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა სასჯელის განსაზღვრისას გაითვალისწინეს საქართველოს სსკ-ის 53-ე და 39-ე მუხლების მოთხოვნები, კერძოდ, ჩადენილი ქმედების ხასიათი და სიმძიმე (ჩადენილია ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული), პირის ინდივიდუალური მახასიათებლები (მსჯავრდებულის წარსული ცხოვრება, ნასამარ-

თოლობის არქონა, დანაშაულის აღიარება და მონანიება, მტკიცებულებების უდავოდ ცნობა და ამით სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელშეწყობა, მზაობა, ეტაპობრივად აანაზღაუროს ზიანი, მსჯავრდებულს ჰყავს მეუღლება და სამი არასრულწლოვანი შვილი, სახელმწიფოსაგან იღებს შემწეობას, რაც არ ქმნის საზოგადოებისა-გან მისი იზოლაციის აუცილებლობას), ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება და ხასიათი, მის ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, დანაშაულის ჩადენის მოტივი/მიზანი, სას-ჯელის მიზნების მიღწევის შესაძლებლობანი, რაზე დაყრდნობითაც, მსჯავრდებულ მ. მ-ს საქართველოს სსკ-ის 218-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის კანონიერი და სა-მართლიანი სასჯელი – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა – შეუფარ-დეს, თუმცა შემდეგ დადგენილი სასჯელი, საქართველოს სსკ-ის 63-ე, 64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაუთვალეს პირობით მსჯავრად. პირობითად ჩათვლილი თავისუფლების აღკვეთა კი, თავისი თანმდევი შე-დეგების გათვალისწინებით, არ წარმოადგენს მსუბუქი სახის სასჯელს; პირობითი მსჯავრით მასზე დაკისრებული მოვალეობა და, მისი დარ-ღვევის შემთხვევაში, მოსალოდნელი შედეგები, პენიტენციურ დანე-სებულებაში მოსახდელ სასჯელთან ერთად, საკასაციო სასამართლოს აზრით, უზრუნველყოფს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას, როგორიცაა: სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რე-სოციალურიზაცია.

9. კასატორი სასჯელის გამკაცრების მოთხოვნის დასაბუთებისთვის ასევე უთითებს ზიანის აუნაზღაურებლობაზე. საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ გამოძიების ორგანოსთან თანამშრომლობა, ისევე, როგორც ბრალის აღიარება, დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება და დაზარალებულთან შერიგება წარმოადგენს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას და სასჯელზე გავ-ლენას ახდენს შემსუბუქების მიმართულებით, ხოლო საწინააღმდეგო მოცემულობა არ შეიძლება შეფასდეს პასუხისმგებლობის დამამძიმე-ბელ გარემოებად ან/და სასჯელის გამკაცრების საფუძვლად (მაგალი-თისთვის იხ. სუსკ: №449აპ-22, №388აპ-22).

10. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, საკასაციო სასამართლოს მი-აჩნია, რომ მ. მ-სათვის დანიშნული სასჯელი არ არის აშკარად ლიმბიე-რი, კანონიერი და სამართლიანია. შესაბამისად, არ არსებობს მისი დამ-ძიმების საფუძველი.

11. ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესა-ხებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელი უნახევრდება განზრახი

დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის არმქონე პირს, რომელ-მაც ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 218-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, თუ თითოეული დაზარალებული ამ კანონის აღსრულებისას სასამართლოს წინაშე განაცხადებს თანხმობას, რომ აღნიშნულ პირზე გავრცელდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია.

12. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მ. მ-ის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად ცნობილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური.

13. საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2024 წლის 29 ოქტომბერს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან შემოსული წერილის მიხედვით, სსიპ შემოსავლების სამსახური არ არის თანახმა, მ. მ-ის მიმართ გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონი, ვინაიდან იურიდიულ პირს – შპს „რ-ს“ (რომლის დირექტორიცა მ. მ-ი) ერიცხება საგადასახადო დავალიანება.

14. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, ერთი მეექსედით უნდა შეუმცირდეს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი პირს, რომელზედაც არ ვრცელდება ამ კანონის 1-ელი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია, ხოლო ამავე კანონის მე-9 მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, ამ კანონის მე-2 მუხლით (გარდა მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა), მე-3 მუხლით, მე-4 მუხლით (გარდა მე-4 მუხლის მე-4-ან მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) ან მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სასჯელის შემცირება ვრცელდება ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ რეალურ სასჯელზე, პირობით მსჯავრსა და გამოსაცდელ ვადაზე, აგრეთვე სხვა სასჯელზე (გარდა ჯარიმისა, ქონების ჩამორთმევისა, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვისა და სამხედრო წოდების ჩამორთმევისა). აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულ მ. მ-ს ერთი მეექსედით უნდა შეუმცირდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 12 ივნისის განაჩენით დანიშნული სასჯელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-300 მუხლით, 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 309-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. პროექტორ თინათინ სტურუას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 12 ივნისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4-მუხლის 1-ელი ნაწილისა და მე-9 მუხლის 1-ელი ნაწილის საფუძველზე მსჯავრდებულ მ. მ-ს ერთი მეექვსედით შეუმცირდეს საქართველოს სსკ-ის 218-ე მუხლის 1-ელი ნაწილით დანიშნული სასჯელი – 3 (სამი) წლით თავისუფლების აღკვეთა – და განესაზღვროს 2 (ორი) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც, საქართველოს სსკ-ის 63-ე, 64-ე მუხლების საფუძველზე, ჩაეთვალოს პირობით, 2 (ორი) წლისა და 6 (ექვსი) თვის გამოსაცდელი ვადით;

4. „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, განაჩენის აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის (იურიდიული მისამართი) მიხედვით;

5. საქართველოს სსკ-ის 65-ე მუხლის თანახმად, განემარტოს მსჯავრდებულს, რომ გამოსაცდელი ვადის განმავლობაში პრობაციის ბიუროს ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს მუდმივი ბინადრობის ადგილი;

6. ცნობად იქნეს მიღებული, რომ მ. მ-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო – გაუქმებულია;

7. შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვილი ინფორმაცია, რომელიც ერთგის სს საქმეს, შენახულ იქნეს საქმის შენახვის ვადით;

8. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ამინისტრაციული განაჩენი
საქართველოს სახელის**

№754აპ-24

31 ოქტომბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**მ. გაბინაშვილი (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
ნ. სანდოძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. პ-ის საკასა-
ციონ საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამარ-
თლის საქმეთა პალატის 2024 წლის 14 მაისის განაჩენზე.

აღნიშვნილობითი ნაწილი:

**1. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, დ. პ-ეს ბრა-
ლდ დაედო:**

ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც ფიზიკური ტკივილი გამოიწვია და რასაც არ მოჰყოლია საქარ-
თველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლე-
ბით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი არასრულწლოვნის თან-
დასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ (2023 წლის 9 აგვისტოს ეპიზოდით. პ-ის მიმართ – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექ-
სის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი);

ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ქმედების თავისუფლების უკანონოდ შეზღუდვა, ესე იგი, მისი ფიზიკური და ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს მოქმედება, რომლის შესრუ-
ლებისაგან თავის შეკავება მისი უფლებაა და საკუთარ თავზე განიცა-
დოს თავისი ნება-სურვილის სანინააღმდეგო ზემოქმედება (2023 წლის 9 აგვისტოს ეპიზოდი – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹, 150-ე მუხლის პირველი ნაწილი);

ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც ფიზიკური ტკივილი გამოიწვია და რასაც არ მოჰყოლია საქარ-
თველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლე-
ბით გათვალისწინებული შედეგი (2023 წლის 9 აგვისტოს ეპიზოდი ს. პ-ის მიმართ – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხ-
ლის პირველი ნაწილი);

ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც ფიზიკური ტკივილი გამოიწვია და რასაც არ მოჰყოლია საქარ-

თველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ (2023 წლის ივლისის ეპიზოდის პირი – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი);

ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც ფიზიკური ტკივილი გამოიწვია და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი (2023 წლის მაისის ეპიზოდი თ. პის მიმართ – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილი);

ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ქმედების თავისუფლების უკანონოდ შეზღუდვა, ესე იგი, მისი ფიზიკური და ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს მოქმედება, რომლის შესრულებისაგან თავის შეკავება მისი უფლება და საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება (2023 წლის მაისის ეპიზოდი – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹, 150-ე მუხლის პირველი ნაწილი);

ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც ფიზიკური ტკივილი გამოიწვია და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ (2022 წლის 6 თებერვლის ეპიზოდი – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი).

2. აღნიშნული ქმედებები გამოიხატა შემდეგით:

2023 წლის 9 აგვისტოს, დაახლოებით, 12:00 საათიდან 13:00 საათამდე პერიოდში, ჭ-ში, ს-ში მცხოვრებმა, ალკოჰოლით მთვრალმა დ. პ-ემ, საცხოვრებელ ბინაში ყოფნისას, თავის მეუღლე თ. პ-ეს დაუწყო ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება, შემდეგ, გენდერული დისკრიმინაციის ნიშნით, რომ იგი ქალი იყო და მას უნდა დამორჩილებოდა, ხელი დაარტყა სახის არეში, რის შემდეგაც, არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით ხელით ძლიერად მოჰქაჩა თმა, საძინებელ ოთახში გაიყვანა და ხელით სცემა სხეულის სხვადასხვა არეში, რამაც ფიზიკური ტკივილი გამოიწვია;

2023 წლის 9 აგვისტოს, ჭ-ში, ს-ში მცხოვრებმა, ალკოჰოლით მთვრალმა დ. პ-ემ, თავის მეუღლე თ. პ-ის მიმართ ჩაიდინა ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვა, როგორც ფიზიკური, ასევე, ფსიქიკური იძულებით მოსთხოვა, შეესრულებინა მოქმედება, რომლის შესრულებისაგან თავის შეკავება მის უფლებას წარმოადგენდა და გა-

აგდო საცხოვრებელი ბინიდან, რითაც დაზარალებულმა საკუთარ თავზე განიცადა თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება;

2023 წლის 9 აგვისტოს, დაახლოებით, 12:00 საათიდან 15:00 საათამდე პერიოდში, ჭ-ში, ს-ში მცხოვრებმა, ალკოჰოლით მთვრალმა დ. პ-ემ გადაწყვიტა საცხოვრებელი სახლიდან პლაზმური ტელევიზორი წარმოადგინა ზესტაფონში მდებარე ლომბარდში. ვინაიდან თავისმა მამა ს. პ-ემ, არ მისცა ტელევიზორის სახლიდან გატანის საშუალება, დ. პ-ე გახდა აგრესიული, რა დროსაც მამას ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, შემდეგ ოთახში არსებული ხის სკამი აიღო და მოუქნია. სკამი დაზარალებულს ხელებისა და თავის არეში მოხვდა. აღნიშულმა ძალადობრივმა ქმედებებმა გამოიწვია ს. პ-ის დაზიანება და ფიზიკური ტკივილი;

2023 წლის ივლისში, ზუსტი დრო დარიცხვი დაუდგენელია, ჭ-ში, ს-ში მცხოვრებმა დ. პ-ემ, სასტუმრო ოთახში მწოლიარე თავის დედას სრულიად უმიზეზოდ დაუწყო სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება და არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით ორივე ხელი ძლიერად მოუჭირა სახის არეში, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია;

2023 წლის მაისში, ზუსტი დრო დარიცხვი დაუდგენელია, ჭ-ში, ს-ში მცხოვრებმა დ. პ-ემ საცხოვრებელ ბინაში ყოფნის დროს, აზარტული თამაშისას წააგო გარკვეული თანხა, რის გამოც აგრესიული გახდა, რა დროსაც თავის მეუღლე თ. პ-ეს ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, შემდეგ ოთახში არსებული ხის სკამი აიღო და ზურგის არეში დაარტყა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია;

2023 წლის მაისში, ზუსტი დრო დარიცხვი დაუდგენელია, ჭ-ში, ს-ში მცხოვრებმა დ. პ-ემ, მეუღლის – თ. -ის – მიმართ ჩაიდინა ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვა, ფსიქიკური იძულებით მოსთხოვა, შექსრულებინა მოქმედება, რომლის შესრულებისაგან თავის შეკავება მის უფლებას წარმოადგენდა და გააგდო საცხოვრებელი სახლიდან, რითაც დაზარალებულმა საკუთარ თავზე განიცადა თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება;

2022 წლის 6 თებერვალს, ქ. ქვეთად გადაადგილებისას, ალკოჰოლით მთვრალმა დ. -ემ, მეუღლე თ. პ-ეს ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, შემდეგ არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით ხელში არსებული ქვა დაარტყა შუბლის არეში, რამაც დაზიანების მიყენება და ფიზიკური ტკივილი გამოიწვია.

3. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 13 ნოემბრის განაჩენი:

დ. პ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹, 150-ე მუხლის პირველი ნაწილით

(2023 წლის 9 აგვისტოს ეპიზოდი), 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2023 წლის ივლისის ეპიზოდი ლ. პ-ის მიმართ), 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (2023 წლის მაისის ეპიზოდი თ. პ-ის მიმართ), 11¹, 150¹-ე მუხლის პირველი ნაწილითა (2023 წლის მაისის ეპიზოდი) და 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 6 თებერვლის ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდებებისათვის;

დ. პ-ის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2023 წლის 9 აგვისტოს ეპიზოდი თ. პ-ის მიმართ) წარდგენილი ბრალდება გადაკალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის პირველ ნაწილზე;

დ. პ-ე, დაბადებული 1-ს (პირადი №...), ცნობილი იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (2023 წლის 9 აგვისტოს ეპიზოდი თ. პ-ის მიმართ) – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (2023 წლის 9 აგვისტოს ეპიზოდი ს. პ-ის მიმართ) – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. ამავე კოდექსის 59¹-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (2023 წლის 9 აგვისტოს ეპიზოდი ს. პ-ის მიმართ) შეფარდებულმა სასჯელმა შთანთქა მეორე თანაბარი სასჯელი და დანაშაულთა ერთობლიობით დ. პ-ეს განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გაუქმდა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 15 ივლისის განაჩენით დ. პ-ისათვის განსაზღვრული პირობითი მსჯავრი – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამავე კოდექსის 59¹-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით შეფარდებულ სასჯელს – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთას, ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით შეფარდებული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და, საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, დ. პ-ეს განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც აეთვალიდავთ დაკავებიდან – 2023 წლის 9 აგვისტოდან.

4. განაჩენის მიხედვით, დ. პ-ეს მსჯავრად დაედო ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც ფიზიკური ტკივილი გამოიწვია და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117¹-ე, 118¹-ე ან 120¹-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი (2023 წლის 9 აგვისტოს ორი ეპიზოდი ს. და თ. პ-ების მიმართ).

5. აღნიშნული ქმედებები გამოიხატა შემდეგით:

2023 წლის 9 აგვისტოს, დაახლოებით, 12:00 საათიდან 13:00 საათამდე პერიოდში, ჭ-ში, ს-ში მცხოვრებმა დ. პ-ემ, საცხოვრებელ ბინაში ყოფნისას, თავის მეუღლე თ. პ-ეს ხელით ძლიერად მოჰქაჩა თმა, საძინებელ ოთახში გაიყვანა და ხელით სცემა სხეულის სხვადასხვა არეში, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია;

2023 წლის 9 აგვისტოს, დაახლოებით, 12:00 საათიდან, 15:00 საათამდე პერიოდში, ჭ-ში, ს-ში მცხოვრებმა დ. პ-ემ, თავის მამას – ს. პ-ეს – ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, შემდეგ ოთახში არსებული ხის სკამი აიღო და მოუქნია. სკამი დაზარალებულს ხელებისა და თავის არეში მოხვდა. აღნიშნულმა ძალადობრივმა ქმედებებმა გამოიწვია ს. პ-ის დაზიანება და ფიზიკური ტკივილი.

6. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდების მხარემ სასამართლოს ვერ წარუდგინა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რაც დაადასტურებდა დ. პ-ის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹, 150¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (2023 წლის 9 აგვისტოს ეპიზოდი), 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2023 წლის ივლისის ეპიზოდი ლ. პ-ის მიმართ), 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (2023 წლის მაისის ეპიზოდი თ. პ-ის მიმართ), 11¹, 150¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (2023 წლის მაისის ეპიზოდი), 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა (2022 წლის 6 თებერვლის ეპიზოდი) და 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2023 წლის 9 აგვისტოს ეპიზოდი თ. პ-ის მიმართ) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენას. ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით ასევე უტყუარად ვერ დადასტურდა დ. პ-ის მიერ თ. პ-ის მიმართ ძალადობის გენდერული შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენა.

7. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 13 ნოემბრის განაჩენი საპელაციო წესით გასაჩივრა მსჯავრდებულ დ. პ-ის ადვოკატმა – ი. ლ-ემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და დ. პ-ის გამართლება.

8. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 14 მაისის განაჩენით მსჯავრდებულის ადვოკატის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 13 ნოემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 14 მაისის განაჩენისაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა – დ. პ-ემ, რომელიც ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანას.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის

საქმეთა პალატის 2024 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით მსჯავრდებულ დ. პ-ის საკასაციო საჩივარი დაშვებულ იქნა განსახილველად და საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა დაინიშნა 2024 წლის 31 ოქტომბერს.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განიხილა წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიმიჩინა, რომ კასატორის მოთხოვნები არ უნდა დაკამაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებებით, მათ შორის: მოწმეთა ჩვენებებით, საგამოძიებო მოქმედებების ოქმებით, სასამართლო სხდომებზე მხარეთა მონაწილეობით გამოკვლეული მტკიცებულებებით, ექსპერტიზების დასკვნებით, გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება დ. პ-ის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით (2023 წლის 9 აგვისტოს ორი ეპიზოდით. დას. პ-ების მიმართ) გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენა, რომელზე დეტალურ მსჯელობას პალატა მიზანშეწონილად არ მიიჩნევს, ვინაიდან ეთანხმება და იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივებსა და დასკვნებს, მათ შორის, კვალიფიკაციასთან მიმართებით.

3. საკასაციო პალატა ასევე ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებას დ. პ-ისათვის შეფარდებულ სასჯელთან მიმართებით. სასჯელის სამართლიანობასთან დაკავშირებით პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული სასჯელის სახე და ზომა შეესაბამება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს. სასამართლომ სრულად შეაფასა სასჯელის დანიშვნის, როგორც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლით გათვალისწინებული ზოგადსავალდებულო გარემოებები და პირის ინდივიდუალური მახასიათებლები, ასევე – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნების მიღწევის შესაძლებლობანი და დ. პ-ეს განუსაზღვრა სამართლიანი სასჯელი.

4. პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სრულად, ობიექტურად და სამართლებრივად სწორად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, საქმეში არსებული მტკიცებულებები და ამომწურავად დაასაბუთა მიღებული გადაწყვეტილება დ. პ-ის ქმედების სა-

ქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან (2023 წლის 9 აგვისტოს ეპიზოდით. პ-ის მიმართ) ამავე კოდექსის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილზე გადაკვალი-ფიცირების; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (2023 წლის 9 აგვისტოს ორი ეპიზოდით. და ს. პ-ების მიმართ) მსჯავრდების, ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹,150-ე მუხლის პირველი ნაწილით (2023 წლის 9 აგვისტოს ეპიზოდი), 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2023 წლის ივლისის ეპიზოდი ლ. პ-ის მიმართ), 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (2023 წლის მაისის ეპიზოდით. პ-ის მიმართ), 11¹,150-ე მუხლის პირველი ნაწილითა (2023 წლის მაისის ეპიზოდი) და 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 6 თებერვლის ეპიზოდი) ნარ-დგენილი ბრალდებისათვის უდანაშაულოდ ცნობასა და გამართლებასთან დაკავშირებით.

5. ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ამომწურუვად დაასაბუთა მიღებული გადაწყვეტილება, როგორც კვალიფიკაციის, ასევე, სასჯელთან მიმართებით, რომელსაც საკასაციო პალატა სრულად ეთანხმება, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში მითითებული არგუმენტაციის გამეორებას მიზანშეწონილად არ მიიჩნევს. ამავე დროს, სასამართლო ითვალისწინებს, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების ვალდებულება არ მოითხოვს მხარეების მიერ მითითებულ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას. აღნიშნული ზედა ინსტანციის სასამართლოებს უფლებას აძლევს, დაეთანხმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას, საფუძვლების გამეორების გარეშე (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „ჰირვისარი ფინეთის წინააღმდეგ“ (Hirvisaari v. Finland, ECtHR, N49684/99, §30, 25/12/2001).

6. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მაჩნია, რომ არ არსებობს მსჯავრდებულ დ. პ-ის საკასაციო საჩივრის დაქმაყოფილების საფუძველი.

7. ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულ დ. პ-ის მიმართ უნდა გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონი, კერძოდ:

7.1. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ოჯახური დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, შეფარდებული სასჯელი უნდა გაუნახევრდეს განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის არმქონების, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, თუ თითოეული დაზარალებული ამ კანონის აღსრულებისას სასამარ-

თლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ აღნიშნულ პირზე გავრცელდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია და თუ ეს პირი თანახმაა, რომ მის მიმართ „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ამ პირის მიერ ძალადობის განმეორების რისკის შეფასების გარეშე გამოიცეს დამცავი ორდერი იმ ვადით, რომლითაც მას ამნისტიის შედეგად შეუმცირდა სასჯელი, მაგრამ არაუმეტეს 9 თვისა.

7.2. მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილია დაზარალებულების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობები, დ. პ-ის მიმართ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის გავრცელების შესახებ, ასევე წარმოდგენილია მსჯავრდებულის თანხმობა მის მიმართ „ამნისტიის შესახებ“ ამავე კანონის შესაბამისად, დამცავი ორდერის გამოცემის შესახებ, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულ დ. პ-ის მიმართ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სასჯელის განახევრება ვერ გავრცელდება, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (2023 წლის 9 აგვისტოს ორი ეპიზოდი თ. და ს. პ-ების მიმართ) დადგენილი დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის დროს – 2023 წლის 9 აგვისტოს, დ. პ-ე ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 15 ივლისის განაჩენით ნასამართლევი იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების „ა“ ქვეპუნქტებით, ხოლო „მნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, პირს ოჯახური დანაშაულის ჩადენისათვის შეფარდებული სასჯელი უნდა გაუნახევრდეს, თუ იგი არ არის განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლევი.

7.3. ამავე დროს, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, 1/6-ით უნდა შეუმცირდეს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით შეფარდებული სასჯელი პირს, რომელზეც არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია. ამასთან, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ამ კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ოჯახური დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, პირზე ამავე კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია (სასჯელის 1/6-ით შემცირება) გავრცელდება, თუ იგი თანახმაა, რომ მის მიმართ „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესა-

ხებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ამ პირის მიერ ძალადობის განმეორების რისკის შეფასების გარეშე გამოიცეს დამცავი ორდერი იმ ვადით, რომლითაც მას ამნისტიის შედეგად შეუმცირდა სასჯელი, მაგრამ არაუმეტეს 9 თვისა. დამცავი ორდერით გასათვალისწინებელი შეზღუდვების ფარგლებს განსაზღვრავს მოსამართლე.

7.4. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სასჯელის განახევრება მსჯავრდებულ დ. პ-ის მიმართ ვერ გავრცელდება ნასამართლობის გამო; ამასთან, წარმოდგენილია მსჯავრდებულის თანხმობა მის მიმართ „ამნისტიის შესახებ“ ამავე კანონის შესაბამისად, დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ დ. პ-ის მიმართ უნდა გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ამნისტია და 1/6-ით უნდა შეუმცირდეს ამ განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით 2023 წლის 9 აგვისტოს ორივე ეპიზოდისათვის (თ. და ს. პ-ების მიმართ) შეფარდებული სასჯელები, ასევე, მის მიმართ უნდა გამოიცეს დამცავი ორდერი; გარდა ამისა, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, მსჯავრდებულ დ. პ-ეს ასევე 1/6-ით უნდა შეუმცირდეს ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 15 ივლისის განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების „ა“ ქვეპუნქტებით შეფარდებული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან ბოლო განაჩენით შეფარდებულ სასჯელზე ნაწილობრივ დამატებული სასჯელი.

8. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულ დ. პ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ დ. პ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 14 მაისის განაჩენი შეიცვალოს:

2.1. დ. პ-ე ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111¹,150-ე მუხლის პირველი ნაწილით (2023 წლის 9 აგვისტოს ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდებისათვის;

2.2. დ. პ-ე ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2023 წლის ივლისის ეპიზოდი ლ, პ-ის მიმართ) წარდგენილი ბრალდებისათვის;

2.3. დ. პ-ე ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (2023 წლის მაისის ეპიზოდი თ. პ-ის მიმართ) წარდგენილი ბრალდებისათვის;

2.4. დ. პ-ე ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111¹,150-ე მუხლის პირველი ნაწილით (2023 წლის მაისის ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდებისათვის;

2.5. დ. პ-ე ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 6 თებერვლის ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდებისათვის;

2.6. დ. პ-ის ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან (2023 წლის 9 აგვისტოს ეპიზოდი თ. პ-ის მიმართ) გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის პირველ ნაწილზე;

2.7. დ. პ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (2023 წლის 9 აგვისტოს ეპიზოდი თ. პ-ის მიმართ) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების საფუძველზე, შეუმცირდეს 1/6-ით და განესაზღვროს 1 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა;

2.8. დ. პ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (2023 წლის 9 აგვისტოს ეპიზოდი ს. პ-ის მიმართ) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების საფუძველზე, შეუმცირდეს 1/6-ით და განესაზღვროს 1 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვე-

თა;

2.9. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (2023 წლის 9 აგვისტოს ეპიზოდი ს. პ-ის მიმართ) შეფარდებულმა და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის საფუძველზე 1/6-ით შემცირებულმა სასჯელმა – 1 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთამ – შთანთქას მეორე თანაბარი სასჯელი და დანაშაულთა ერთობლიობით დ. პ-ეს განესაზღვროს 1 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა;

2.10. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გაუქმდეს ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 15 ივლისის განაჩენით დ. პ-ისათვის განსაზღვრული პირობითი მსჯავრი – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანხმად, ამ განაჩენით, დანაშაულთა ერთობლიობით, შეფარდებულ სასჯელს – 1 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთას, ნაწილობრივ დაემატოს ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 15 ივლისის განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების „ა“ ქვეპუნქტებით შეფარდებული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შეუმცირდეს 1/6-ით და განესაზღვროს 1 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა და, საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, დ. პ-ეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

3. მსჯავრდებულ დ. პ-ეს სასჯელის მოხდა აეთვალის დაკავებიდან – 2023 წლის 9 აგვისტოდან. ცნობად იქნეს მიღებული, რომ მის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა, გაუქმებულია;

4. მსჯავრდებულ დ. პ-ის მიმართ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, 3 თვით გამოიცეს დამცავი ორდერი, შემდეგი პირობებით:

4.1. დ. პ-ეს აეკრძალოს დაზარალებულებთან – მეუღლე თ. პ-ესა (პირადი №) და მამა ს. პ-ესთან (პირადი №), მათ საცხოვრებელთან, სამსახურსა და იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც ისინი იმყოფებიან;

4.2. დ. პ-ეს აეკრძალოს დაზარალებულებთან – მეუღლე თ. პ-ესა და მამა ს. პ-ესთან ნებისმიერი სახის კომუნიკაცია, მათ შორის – ტელეფონის, სოციალური ქსელისა და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით;

4.3. დ. პ-ეს დაევალოს ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცე-

ვის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლა;

5. დამცავი ორდერი ძალაში შედის გამოცემისთანავე და მოქმედების ვადა აეთვალოს მსჯავრდებულ დ. პ-ის პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლებისთანავე;

6. მსჯავრდებულ დ. პ-ის მიერ დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების/გალოდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას;

7. ნივთიერი მტკიცებულება – ერთი ხის სკამი დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს;

8. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ამინისტია

განაჩენი საქართველოს სახელით

№915აპ-24

28 ნოემბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ლ. თევზაძე (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორ მარიამ გიგაურის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 25 ივნისის განაჩენზე.

აღნერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 18 დეკემბრის განაჩენით:

1.1. გ. გ-ი – ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლის მე-3 ნაწილით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2023 წლის 12 აპრილიდან.

2. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. გ-მა ჩაიდინა მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლა, რაც გამოიხატა გამოსაკითხი პი-

რის მიერ ცრუ ინფორმაციის მიწოდებით, განხორციელებული იმ სის-ხლის სამართლის საქმეზე, რომელშიც ბრალდებულს ბრალი ედებოდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში, რაც გამოიხატა შემდეგ-შე:

2.1. 2022 წლის 19 აგვისტოს, გ. გ-მა, მის მიმართ ს. ქ-ს მიერ ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის სისხლის სამართლის №... საქმეზე, რომელშიც ს. ქ-ს ბრალდება წარედგინა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ცნობილი იყო მის მიმართ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედების ფაქტობრივი გარემოებები, გამოძიებას განზრახ მიაწოდა ცრუ ინფორმაცია, რითაც ხელი შეუშალა მართლმაჯულებას, კერძოდ, გ. გ-მა განმარტა, რომ სიცოცხლისათვის სახითაო დაზიანებები მიაყენა გზაში შემსვედრმა მისთვის უცნობმა პირმა, მაშინ, როდესაც, სინამდვილეში, დანის გამოყენებით სხეულისათვის სხვადასხვა არეში, შელაპარაკების ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტი-სას დაჭრა პირმა, რომელსაც იგი დანაშაულის ჩადენამდეც იცნობდა. შესაბამისად, გამოკითხვისას მისთვის ცნობილი იყო დანაშაულის ჩამდენი პირის ვიზაობა.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 25 ივნისის განაჩენით:

3.1. ბრალდებისა და დაცვის მხარეების სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 18 დეკემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

4. კასატორმა – თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორმა მარიამ გიგაურმა საკასაციო საჩივრით მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 25 ივნისის განაჩენში ცვლილების შეტანა სასჯელის დამტკიცების კუთხით.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორ მარიამ გიგაურის საკასაციო საჩივრი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო პირველ რიგში აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში წარმოდგენილია ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და

დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, კერძოდ: 2022 წლის 26 ოქტომბრით დათარიღებული გ. გ-ის მოწმის სახით გამოკითხვის ოქტომი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 16 მაისის განაჩენი, მოწმეების – ს. ქ-ს, ი. ნ-ს, გ. ფ-ს, ნ. კ-ს, კ. ხ-ს, ლ. ზ-ის, დ. თ-ს, ლ. ნ-სა და სხვათა ჩვენებებით, ნივთიერი მტკიცებულების გახსნისა და დათვალიერების ოქტომით, საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ფონოსკოპიური ექსპერტიზის №... დასკვნითა და სხვა მტკიცებულებებით, რომლებიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს მსჯავრდებულ გ. გ-ის მიერ მისთვის ბრალად შერაცხილი დანაშაულის ჩადენას, რასაც არც კასატორი ხდის სადავოდ.

3. მოცემულ შემთხვევაში პროკურორი მარიამ გიგაური ითხოვს მხოლოდ მსჯავრდებულ გ. გ-ის მიმართ დანიშნული სასჯელის დამძიმებას.

4. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსსკ-ის მე-300 მუხლის პირველი ნაწილის „გ ქვეპუნქტის თანახმად, განაჩენი იმ შემთხვევაში მიიჩნევა უკანონოდ, როდესაც გამოყენებულია სასჯელის ისეთი სახე ან ზომა, რომელიც აშკარად არ შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების ხასიათსა და ამავდროულად, მის პიროვნებას. სასჯელის დანიშნის სტადიაზე მოსამართლე, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, თანაბრად აფასებს როგორც პასუხისმგებლობის დამამდიმებელ, ისე – შემამსუბურებელ გარემოებებს. სასამართლოს მიაჩნია, რომ სასჯელი სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის მიზნებს ემსახურება. ამიტომ „სასჯელი, ერთი მხრივ, უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხეებთან გონივრულ პროპორციაში, ხოლო, მეორე მხრივყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის დაკისრება მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38). შესაბამისად, სასჯელის მიზნის რეალიზაციას სასჯელის სიმკაცრე კი არა, მისი გარდაუგალობა განაპირობებს.

5. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. სასჯელის სამართლიანობა უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით და უნდა იყოს მსჯავრდებულის პიროვნებისა და ჩადენილი დანაშაულის თანა-

ზომიერი.

6. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის პოზიციას დანიშნული სასჯელის დამძიმებასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულია იმ ფაქტობრივ გარემოებებსა და მოტივებზე, რომელთა საფუძველზეც სასამართლომ არ გაიზიარა ბრალდების მხარის მტკიცება და უცვლელად დატოვა გ. გ-ის მიმართ განსაზღვრული სასჯელი, რასაც საკასაციო სასამართლოც იზიარებს.

7. საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, სასამართლო დამაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამის მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაფიო სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას.

8. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სრულად შეაფასა სასჯელის დანიშვნისას გასათვალისწინებელი გარემოებები, ჩადენილი ქმედების ხასიათი და სიმძიმე, სასჯელის მიზნების მიღწევის შესაძლებლობანი და საქართველოს სსკ-ის 39-ე, 53-ე და 59-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, გ. გ-ს კანონიერი და სამართლიანი სასჯელი განუსაზღვრა, რომელიც სრულად შეესაბამება როგორც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მოთხოვნებს, ისე – საქმის ინდივიდუალურ გარემოებებს (ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა და მსჯავრდებულის პიროვნებას).

9. რაც შეეხება პროკურორის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებულ სასჯელის დამძიმების არგუმენტებს, რომ გ. გ-ი არ აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს და არ თანამშრომლობდა გამოძიებასთან, საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს: დანაშაულის აღიარება და გამოძიებასთან თანამშრომლობა წარმოადგენს მსჯავრდებულის უფლებას და არა – ვალდებულებას, ხოლო უფლების გამოყენებაზე უარის თქმა ვერ გახდება სასჯელის დამძიმების საფუძველი (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 1 ივნისის №952აპ-20 განჩინება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 8 იანვრის №633აპ-20 განჩინება).

10. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ერთი მეექვსედით უნდა შეუმცირდეს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი პირს, რომელზედაც არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით

გათვალისწინებული ამნისტია და რომელსაც ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული დანაშაული არ ჩაუდენია.

11. შესაბამისად, მსჯავრდებულ გ. გ-ს „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლის მე-3 ნაწილით დანიშნული სასჯელი – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა უნდა შეუმცირდეს ერთი მეექსედით და მას მოსახდელად უნდა განესაზღვროს 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით, „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორ მარიამ გიგაურის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 25 ივნისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. გ. გ-ი ცნობილი იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის მე-3 ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 3 (სამი) წლით თავისუფლების აღკვეთა;

4. „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე გ. გ-ს დანიშნული სასჯელი – 3 (სამი) წლით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდეს ერთი მეექსედით და მიესაჯოს 2 (ორი) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა.

5. გ. გ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების მომენტიდან – 2023 წლის 12 აპრილიდან.

6. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ:

6. პ-ნ ამოღებული ერთი ცალი ჯინსის შარვალი და ერთი ცალი მაისური, ლ. ზ-ისაგან ამოღებული მოკლე შარვალი (გადაგზავნილია ექსპერტიზე), დ. ჯ-ნ ამოღებული შარვალი და მაისური (ინახება საქართველოს შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს მე-3 სამმართველოში) დაუბრუნდეთ მათ კანონიერ მფლობელებს;

ორი ცალი ქამარი, მაისური, წყვილი ფეხსაცმელი, წყვილი წინდა, ტრუსი, შარვალი (გადაგზავნილია ექსპერტიზაზე) და ერთი „აიფონის“

ფირმის მობილური ტელეფონი (ინახება საქართველოს შსს ქ. თბილი-სის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს მე-3 სამმართველოში) დაუბრუნდეს მსჯავრდებულს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებული ორ ცალ სტერილურ ჩხირზე მოწითალო ფერის ორი ანაწმენდი, პლასტმასის ბოთლი სახურავთან ერთად, პლასტმასის ბოთლიდან გაღმოსხმული სითხე, ერთი ცხვირსახოცი, ს. ქ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული ერთი ცალი გასაშლელი დანა (გადაგზავნილია ექსპერტიზაზე), პლასტმასის ბოთლი სახურავთან ერთად, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებული მოწითალო ფერის ლაქების სამი ანაწმენდი, ს. ქ-ს ხელის კვალისა და ნერწყვის ნიმუშები, გ. გ-ს ნერწყვისა და სისხლის ნიმუშები (ინახება საქართველოს შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს მე-3 სამმართველოში) განადგურდეს კანონით დადგენილი წესით;

ს. ქ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას გადაღებული ვიდეოჩანაწერი, განთავსებული ერთ ცალ ლაზერულ დისკზე, მოწმე ნ. ბ-ნ ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტისას გადაღებული ვიდეოჩანაწერი, განთავსებული ერთ ცალ ლაზერულ დისკზე, მოწმე გ. ბ-ნ ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტისას გადაღებული ვიდეოჩანაწერი, განთავსებული ერთ ლაზერულ დისკზე, ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული 2 (ორი) აუდიოჩანაწერი, თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოთხოვილი აუდიოჩანაწერი, განთავსებული ერთ ცალ ლაზერულ დისკზე, მოწმე დ. თ-სთან ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტისას გადაღებული ვიდეოჩანაწერი, განთავსებული ერთ ცალ ლაზერულ დისკზე, მოწმე ლ. ნ-ნ ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტისას გადაღებული ვიდეოჩანაწერი, განთავსებული ერთ ცალ ლაზერულ დისკზე შენახულ იქნეს სისხლის სამართლის საქმესთან ერთად, საქმის შენახვის ვადით;

7. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო ნაწილი

1. დანაშაული სიცოცხლის წილადების განვითარების

განზრახ მკვლელობის მცდელობა

განაჩენი
საქართველოს სახელით

№820აპ-24

29 ნოემბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- 6. სანდოძე (თავმჯდომარე),
- მ. გაბინაშვილი,
- შ. თაღუმაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. გ-ს ინტერუ-
სების დამცველი ადვოკატების – მ. ჭ-ს და ს. კ-ს – საკასაციო საჩივარი
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა
პალატის 2024 წლის 6 ივნისის განაჩენზე.

აღნერილობით – სამოტივაციო ნაწილი:

1. წარდგენილი ბრალდების არსი:

1.1. ნ. გ-ე (ცნობილ იქნა ბრალდებულად საქართველოს სისხლის სა-
მართლის კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ-ის) 120-ე მუხ-
ლის პირველი ნაწილით (ჯანმრთელობის განზრას მძიმე დაზიანება),
საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის „ბ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით (გან-
ზრას მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებებში ისეთი
სამუალებით, რომელიც განზრას უქმნის საფრთხეს სხვის სიცოცხლეს
და ჯანმრთელობას, ორი ან მეტი პირის მიმართ) და საქართველოს სსკ-
ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღისა და
საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა, შენახვა და ტა-
რება) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის, რაც გამოი-
ხატა შემდეგით:

1.2. 2022 წლის 17 სექტემბერს, დაახლოებით 17:00 საათზე, ს-ს
მიმდებარედ მომხდარი დაპირისპირებისას, რაც ჩეუპში გადაიზარდა,
ნ. გ-მ დ. ხ-ს თავის არეში რამდენჯერმე ჩაარტყა პნევმატური პისტო-
ლეტი. ნ. გ-სის განზრახი ქმედებით დ. ხ-სმა თავის არეში მიიღო მსუბუ-
ქი ხარისხის დაზიანება, ჯანმრთელობის ხანძოებულებით.

1.3. 2022 წლის 17 სექტემბერს, დაახლოებით, 17:30 საათზე, ნ. გ-ე

იმავე დღეს მომხდარი ფიზიკური დაპირისპირების გამო განაწყენებული, ანგარიშსწორების მიზნით, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული, დ. ხ-ს და მასთან მყოფი პირების მოკვლის მიზნით, „ტოიოტას“ მარკის ავტომანქანით, მივიდა ს-ში მცხოვრებ დ. ხ-სთან. მოსალოდნელი კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, დ. ხ-სის სახლთან, ავტომანქანაში მჯდომარეობის განწყობილ, ნ. გ-სთან შესახვედრად მივიდა დ. ხ-ს მეგობარი გ-ი, სადაც დ. ხ-ი და ამ უკანასკნელის ოჯახის წევრები და ახლობლებიც შეიკრიბნენ. ამ დროს, ნ. გ-მ ავტომანქანიდან, ორი ან მეტი პირის განზრას მკვლელობის მიზნით, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრას უქმნის საფრთხეს სხვის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი „აკს“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან, მრავალჯერ გაისროლა, რის შედეგადაც გარდაიცვალა გ-ი, ხოლო დ. ე-მ, ი-მ, ნ. შ-მ და ქ. ხ-მ მიიღეს სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანება. ნ. გ-მ, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვერ შეძლო დ. ხ-სის დაზემოთ აღნიშნული დაზიანებული პირების მკვლელობის სისრულეში მოყვანა და შემთხვევის ადგილიდან მიიმაღლა. ნ. გ-ს ქმედების შედეგად, ასევე ცეცხლნასროლი დაზიანება მიიღო ამ უკანასკნელის ნათესავმა – თ-აა.

1.4. ნ. გ-მ მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა „აკს“-ის მოდელის, 5,45 კალიბრის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი (№....) და საბრძოლო მასალა, რასაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა 2022 წლის 17 სექტემბერს, ს-სთან მისვლისას, დ. ხ-სის სახლთან განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედების დროს. 2022 წლის 17 სექტემბერს, ს-ი, ნ. გ-ს საცხოვრებელი სახლში ჩატარებული ჩხრეკი-სას, ეზოდან ამოღებული იქნა „აკს“-ის მოდელის, 5,45 კალიბრის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

2.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 15 ივნისის განაჩენით, ნ. გ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებითა და საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის „ბ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 2 წლით.

საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 4 წლით.

საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 5 წლით.

საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის „ბ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 18 წლით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის „ბ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის დანიშნულმა უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა სხვა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და დანაშაულთა ერთობლიობით, ნ. გ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 18 წლით.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 19 ოქტომბრის განაჩენით, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის განსაზღვრული პირობითი მსჯავრი.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის 2021 წლის 19 ოქტომბრის განაჩენით განსაზღვრული სასჯელის მოუხდელი ნაწილი-დან თავისუფლების აღკვეთა 2 წლით და საბოლოოდ, განაჩენითა ერთობლიობით, ნ. გ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 20 წლით.

2.2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე-თა კოლეგიის 2023 წლის 15 ივნისის განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გაასაჩივრა მსჯავრდებულ ნ. გ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ს. კ-მ და მოითხოვა ნ. გ-ს საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით და საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის „ბ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით გამართლება, ხოლო საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილით დანიშნული სასჯელის შემსუბუქება.

3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:

3.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 6 ივნისის განაჩენით, დაცვის მხარის სააპელაციო საჩივრარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 15 ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

3.2. 2024 წლის 4 ივლისს, მსჯავრდებულ ნ. გ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა მ. ჭ-მა და ს. კ-მ, საკასაციო საჩივრით მომართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვეს ნ. გ-ს საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით უდანაშაულოდ ცნობა, საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის „ბ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედების გაუფრთხილებლიობით ჩადენილ დანა-

შაულად დაკვალიფიცირება და საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილით დანიშნული სასჯელის შემსუბუქება.

3.3. თბილისის პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორმა გრიგოლ ბიბილაშვილმა წარმოდგენილი შესაგებლით მოითხოვა დაცვის მხარის საკასაციო საჩივარის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 6 ივნისის განაჩენის უცვლელად დატოვება.

4. კასატორების არგუმენტები:

4.1. კასატორების პოზიციით, სააპელაციო სასამართლოს განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი, ვინაიდან მსჯავრდებულის ქმედებას მიეცა არასწორი კვალიფიკაცია და გამოყენებულის სასჯელის ისეთი სახე და ზომა, რომელიც აშაკარად არ შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მისი ქმედების სასიათს. მხარეთა შორის არ არის სადაცო, რომ 2022 წლის 17 სექტემბერს გ-ი გარდაიცვალა, ხოლო ქ. ხ-ს, ი-ს, დ. ე-ს, ნ. შ-ს და თ. მ-ს დაუზიანდათ ჯანმრთელობა. ნ. გ-ე არ გაურბოდა მის წილ პასუხისმგებლობას და აღიარებდა იმას რაც ჩაიდინა, თუმცა ვერ აღიარებს ვინმეს მოკვლის განზრახვის არსებობას, რადგან ამგვარი განზრახვა მას არ ჰქონია. მართალია, ნ. გ-მ შემთხვევის ადგილზე სხვების შესაძინებლად მიიტანა იარაღი, თუმცა ჰქონდა თავდაცვის მიზანი და გაისროლა მას შემდეგ, რაც დაზარალებული ეცადა მისთვის იარაღის წარმეტვას. საგულისხმოა, რომ შემთხვევის ადგილზე მყოფ ადამიანებთაგან ნ. გ-ე მხოლოდ დ. ხ-ზე იყო განაწყენებული, თუმცა მისთვის არ უსვრია, ხოლო გ-თან მას კონფლიქტი არასოდეს ჰქონია და, შესაბამისად, მოკვლის განზრახვა ვერ ექნებოდა. მისი სიკვდილი იარაღის გავარდნამ გამოიწვია. აღნიშნული ფაქტის თვითმხილველი, ბრალდების მხარის მოწმეები კი, ფაქტს ურთიერთსანინაალმდეგოდ და მიკერძოებულად აღწერენ, როს გამოც მათი ჩვენებები არ უნდა იქნეს გაზარებული. ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნა (მოწმე პ-ე) იძლევა შესაძლებლობას დასკვნისათვის, რომ იარაღი დამიზნებით არ არის ნასროლი და ადგილი აქვს შემთხვევით გავარდნას. ამასთან, ნ. გ-ს, ვინმეს მოკვლის განზრახვა რომ ჰქონოდა, დ. ხ-ის სახლთან თ. მ-ა და ე-თან ერთად არ დაბრუნდებოდა და მანქანაში არ დარჩებოდა დაქოქილი ძრავით, არამედ მისვლისთანავე ავტომატმომარჯვებული გადავიდოდა მნექანიდან. დამაჯერებლობასაა მოკლებული, რომ მიზანმიმართული სროლის შემთხვევაში ნ. გ-ე ესროდა ქალებს, მით უმეტეს, მის ცოლის დას – თ. მ.... აღნიშნული სწორედ უკონტროლო გასროლაზე მიუთითებს. ბრალდების მხარის მოწმეები არ არიან გულწფერლი, როდესაც მიუთითებენ, რომ ავტომანქანას-თან მისულმა გ-მმა ავტომანქანის სახურავზე დადო ხელი და ისე ესა-

უბრებოდა ავტომანქანაში მყოფ ნ. გ-ს. ისინი ასევე ურთიერთსაწინა-აღმდეგოდ აღწერენ შემთხვევის დროს მომხადრ ფაქტებს. ამასთან, დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზებით დადასტურდა გ-ს ხელებზე არსებული დამწვარი დენთის კვალი, რაც სწორედ შესაძლოა ავტომატზე ჯაჯგურის შემთხვევაში დარჩენილიყო. დაცვის მხარეს მიაჩინია, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობიდან ვერ დგინდება, თუ რა გარემოებებმა მიიყვანა სასამართლო დასკნამდე, რომ ნ. გ-ე მოქმედებდა არაპირადაპირი განზრახვით. ამასთან, სააპელაციო სასამართლო უხეშად შეიქრა მხარეთა კომპეტენციაში, დაარღვია მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი და არსებითად გასცდა წარდგენილი ბრალდების ფარგლებს. დაცვის მხარე თავს იცავდა სწორედ წარდგენილი ბრალდების ფარგლებში და ამტკიცებდა, რომ უსაფუძვლო იყო მითითება, თითქოს ნ. გ-ე შემთხვევის ადგილზე ვინმეს მკვლელობის განზრახვით მივიდა. ბრალდების უცვლელობის პრინციპი მოითხოვს, რომ სუბიექტისთვის წინასწარიყოს ცნობილი, თუ რას ედავება მას ბრალდების მხარე, რადგან შეძლოს დაცვის მხარის სათანადოდ განხორციელება. მართალია, მოცუმულ შემთხვევაში, კვალიფიკაცია არ შეცვლილა, თუმცა დაცვისთვის არსებითი მნიშვნელობის მატარებელი არის განზრახვის დადგენა, რაც შინაარსით ქმედების კვალიფიკაციის განმსაზღვრელია. ამასთან, ბრალდების მხარე ნ. გ-ს ქმედება დააკვალიფიცირა განზრას მკვლელობის მცდელობად, მხოლოდ იმიტომ რომ მას არ მისცემოდა წაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსაჯადობის უფლება. აღნიშნულის თაობაზე ნ. გ-ს მიმართული აქვს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის. საკასაციო საჩივრით, დაცვის მხარე ითხოვს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის 2022 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილების შეფასებას, რა დროსაც სასამართლომ არ დაკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე არ შეაჩერა საქმის წარმოება. დაცვის მხარეს მიაჩინია, რომ ყოველივე ზემოხსენებული წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძველს. კასატორები ასევე ითხოვენ ნ. გ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით დანიშნული სასჯელის შემსუბუქებას.

5. საკასაციო სასამართლოს შეფასებები:

5.1. საკასაციო პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩინია, რომ დაცვის მხარის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 6 ივნისის განაჩენში უნ-

და შევიდეს ცვლილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

5.2. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ დაცვის მხარის მიერ განაჩენი გასაჩივრებულია დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრას მკვლელობისა და ჯანმრთელობის განზრას მსუბუქი დაზიანების ნაწილში, ხოლო ცეცხლსაროლი იარაღის შეძენა, შენახვისა და ტარების ბრალდება – არ გამხდარა საადავოდ. შესაბამისად, მხარეთა შორის უდავო ფაქტობრივ გარემოებებს ნარმოადგენს შემდეგი: ნ. გ-სა და დ. ხ-ს შორის შემთხვევამდე ადგილი ჰქონდა ფულად თანხასთან დაკავშირებულ უსიამოვნებას. 2022 წლის 17 სექტემბერს, ურთიერთობის გასარკვევად, ნ. გ-ე შვილთან – გ. ნ-სთან ერთად სასაუბროდ შეხვდა დ. ხ-ს ამ უკანასკნელის სახლთან. ერთის მხრივ, მამა-შვილ ნ-სა და, მეორე მხრივ, დ. ხ-სა და მასთან მყოფ პირებს შორის სიტყვიერი უთანხმოება გადაიზარდა ფიზიკურ დაპირისპირებაში, რის შემდეგაც ნ-ებმა დატოვეს შემთხვევის ადგილი. ფიზიკური დაპირისპირების დროს გ. ნ-მ დაკარგა ავტომანქანის გასაღები, რის გამოც, ავტომანქანა ვერ წაიყვანა და დატოვა დ. ხ-ს სახლთან. რამდენიმე წუთის შემდეგ გ. გ-ე ცოლის დასთან – თ. მ...ა და შვილის საცოლესთან – ე-თან ერთად, მეუღლის ავტომანქანით დაპრუნდა შემთხვევის ადგილზე. მას თან ჰქონდა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, რომლიდან გასროლის შედეგად დაიჭრა რამდენიმე პირი. მათგან გ-ი გარდაიცვალა, ხოლო დ. ე-მ, ი-მ, ნ. გ-მ და ქ. ხ-მ, ასევე თვით ნ. გ-ს ცოლის დამ – თ-მ მიიღეს სხეულის დაზიანებები.

5.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს განაჩენი ეფუძნება კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეულ, ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს ნ. გ-ს მიერ მისთვის მსჯავრად შერაცხილი ქმედებების ჩადენას.

5.4. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის პოზიციას დ. ხ-სთვის ჯანმრთელობის განზრას მსუბუქი დაზიანების მიყენების ბრალდებით ნ. გ-სის უდანაშაულობის შესახებ და ყურადღებას გაამახვილებს ზემოხსენებულ ინციდენტში მონაწილე პირების – დ. ხ-ს, ნ-სის, თ-ა-ის, კ-სა და გ. ნ-ის, ასევე ფაქტის თვითმხილველი მოწმეების – ქ. ხ-ის, ნ. შ-ს და მ-ის ჩვენებებზე, რომლებითაც ერთმნიშვნელოვნად დგინდება, რომ კონფლიქტის დროს ერთმანეთს ეჩსუბებოდნენ ნ. გ-ე და დ. ხ-სი, ხოლო გ. ნ-ე უპირისპირდებოდა ხ-ს, კ-ს და თ-ა-ს. ხსენებული პირების ჩვენებებით ასევე დგინდება ის ფაქტი, რომ ინციდენტის შედეგად თავის არეში დაზიანება მიიღოდ. ხ-მ. სასამართლოში ჩვენების მიცემისას, დ. ხ-მ განმარტა, რომ კონფლიქტის დროს ნ. გ-მ ამოილო იარაღი და 3-4 ჯერ ჩაარტყა თავში. ნ. გ-ს მიერ დ. ხ-თვის თავის

მიდამოში იარალის ჩარტყმის ფაქტი დადასტურებულია ასევე მოწმეების: 6-სის, ქ. ხ-ის, ნ. შ-ს და მ-ის ჩვენებებით. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 20 ოქტომბრის სამედიცინო ექსპერტიზის №.... დასკვნით კი, დადგინდა, რომ „სსიპ საგანგებო სიტუაციების კორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სამედიცინო ბარათი №-ის, შპს კ.მ.ც-ს სტაციონარული ბაციენტის სამედიცინო ბარათი №-ის და ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ჩანაწერების თანახმად, მოქ. დ. ხ-ს 2022 წლის 17 სექტემბერს მიღებულ ტრავმასთან დაკავშირებით აღენიშნებოდა: თავის ტვინის შერყევა, ცხვირის ძვლების მოტეხილობა, თავის მიდამოში ჭრილობები, ჰემატომები და ექსკორიაციები. გამოძიების მიერ წარმოდგენილი მოქ. დ. ხ-ს კომპიუტერული ტომოგრაფიის ელექტრონული ჩანაწერი შესწავლილი იქნა სპეციალისტ რადიოლოგის მიერ, რომლის დასკვნითაც: არსებულ გამოსახულებებზე ვლინდება ცხვირის ძვლების ხაზვანი მოტეხილობა დისლოკაციის გარეშე. დაზიანების ხანდაზმულობა მითითებულ თარიღთან (17.09.2022) ნინაალმდეგობაში არ არის. დაზიანება განვითარებულია რაიმე მკვრივი-ბლაგვი საგნის მოქმედებით, მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის ხანძოვალე მოშლით“. 2022 წლის 17 სექტემბრის შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის თანახმად, ბეტონის ბარიერის ზედაპირიდან ამოღებული იქნა პისტოლეტის მაგვარი საგანი, რაც საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის, 2022 წლის 18 სექტემბრის სასამართლო-ბალისტიკური ექსპერტიზის №.... დასკვნის თანახმად, არის ქარხნული წესით დამზადებული „POWERLINE 5501“ მოდელის, 4,5 მმ კალიბრის პნევმატური პისტოლეტი. მსჯავრდებულმა ნ. გ-მ კი სასამართლოში დაადასტურა, რომ როდესაც 2022 წლის 17 სექტემბერს, პირველად მივიდა დ. ხ-სთან თან ჰქონდა პნევმატური იარალი, რომელიც ამოუკარდა შემთხვევის ადგილზე.

5.5. ზემოხსენებული მტკიცებულებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩინა, რომ სახეზეა მტკიცებულებათა ისეთი ერთობლიობა, რაც ადასტურებს, ერთის მხრივ, ნ. გ-ს მიერ დ. ხ-სთვის თავის არეში იარალის ჩარტყმის, ხოლო მეორეს მხრივ ისეთი დაზიანების მიყენების ფაქტს, რამაც დაზარალებულის ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება გამოიწვია, ჯანმრთელობის ხანძოვალე მოშლით.

5.6. საკასაციო პალატის შეფასებით, კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეული, ურთიერთშეჯერებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით, აღნიშნულ ეპიზოდში შესაძლებელია, როგორც ფაქტების უტყუარი დადასტურება, ისე – მატერიალური სამართლის ნორმის

თითოეულ ელემენტის დადასტურებულად მიჩნევა, რაც ქმნის დანაშაულის სრულყოფილ შემადგენლობას, რომ სახეზეა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით.

5.7. რაც შეეხება ნ. გ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის „ბ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით მსჯავრდებას, საკასაციო პალატა თავდაპირველად მიმოიხილავს აღნიშნულ ეპიზოდთან დაკავშირებულ მხარეების მიერ ნარმოდგენილ მტკიცებულებებს, შემდგომ კი სამართლებრივად შეაფასებს ნ. გ-ს ქმედებას.

5.8. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს დაცვის მხარის პოზიციას, რომ ნ. გ-მ გ-ის სიცოცხლე მოუსპონ გაუფრთხილებლობით. მოცემულ შემთხვევაში, სადაცო არ არის ის ფაქტი, რომ შემთხვევის ადგილზე ნ. გ-ე მივიდა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით, რომლიდან გასროლის შედეგად გარდაიცვალა გ-ი, ხოლო დ. ე-მ, ი-მ, ნ... შ-მ, ქ. ხ-მა და თ-ა მიიღეს სხეულის დაზიანებები. სადაცო მსჯავრდებულისთვის მსჯავრად შერაცხილი ქმედების კვალიფიკაცია.

5.9. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს მოწმეთა ჩვენებზე, კერძოდ, დ. ხ-ს ჩვენების თანახმად, მასსა და მის მეზობელ ნ. გ-ს შორის არსებობდა კონფლიქტი. 2022 წლის 17 სექტემბერს, შუადღისას, ტყის პირას, შეხვდა ნ. გ-ე, რომელიც შეეცადა მასთან დალაპარაკებას. ვინაიდან, ჰქონდა რთველი და სტუმრებს ელოდა, ნ. გ-ს სთხოვა სხვა დროს გარკვეულიყვნენ სიტუაციაში. სახლში დაბრუნებულს, დაახლოებით 20 წუთში მიაკითხა აგრძესიულად განწყობილმა ნ. გ-მ, რომელმაც ამოილო იარაღი და 3-4 ჯერ ჩაარტყა თავის არეში. ამ ფაქტს მოჰყვა მასსა და ნ. გ-ს შორის ფიზიკური დაპირისპირება. მათ გასამველებლად კონფლიქტში ჩაერთვნენ ნ-ე, კ-ა, თ. ა-ი, ნ... შ-ა, ქ. ხ-ი და მ-ე. საბოლოოდ, ისინი დაშოშმინდნენ და ნ. გ-ე წავიდა. თუმცა კონფლიქტი ამით არ ამოწურულა. მალევე მასთან სტუმრად მივიდნენ მისი მეგობრები – ი-ე და დ. ე-ე, ასევე თანასიოფლელები – გ-ი, ხ-ი და თ-ი. ისინი მომხდარი დაპირისპირების თაობაზე საუბრობდნენ. რა დროსაც ნ. გ-ე კვლავ მივიდა მის სახლთან, ქალბატონებთან ერთად. გარედან ისმოდა ყვირილის ხმა, რის გამოც, გ-ი გავიდა ნ. გ-სთან სასაუბროდ. მას გაჰყვნენ ხ-ი, თ-ი, ი-მე, დ. ე-ე და მისი ოჯახის წევრები. თვითონ ყველაზე ბოლოს გავიდა გარეთ და ჩქარი ნაბიჯით მიუახლოვდა ნ. გ-ის ავტომანქანასთან მისულ გ-ის. როდესაც ის იმყოფებოდა გ-სგან, დაახლოებით, 30-40 სმ-ის მოშორებით, დაინახა, რომ ამ უკანასკნელმა მარცხენა ხელი ნ. გ-ს ავტომანქანის სახურავზე ჩამოდო და როდესაც მეორე ხელის დადებას აპირებდა, სახეშეცვლილმა გამოიხედა, რა დროსაც ავტომანქანიდან მოულოდნელად დაიწყო ავტომატური იარაღიდან სროლა. ნ. გ-სა და გ-ის შორის საუბარი არ შემდგარა. მან ჩა-

იხედა ავტომანქანაში და დაინახა, რომ 6. გ-ს ფეხებზე იარაღი ედო. იქ მყოფი პირები დაბლა იწვენ და ირგვლივ ყველაფერი სისხლიანი იყო. ინციდენტის დროს ასევე დაიჭრნენ დ. ე-ე, ი-ე, ნ... შ-ა და ქ. ხ-მი. ყველა მათგანი გადაყვანილი იქნა სამედიცინო დანესებულებაში.

5.10. დ. ხ-ის ჩვენების სადავოდ გამხადრი ფაქტობივი გარემოება – თუ სად და როგორ მდგომარეობაში იდგა გ-ი და ასევე, ჰქონდა თუ არა ამ უკანასკნელს ფიზიკური შეხება 6. გ-სთან, გამყარებულია თ-ს ჩვენებით, კერძოდ, მან განმარტა, რომ დაინახა, თუ როგორ იყო გ-ი დაყრდნობილი 6. გ-ის ავტომანქანის მარცხენა წინა კართან, ხელები კი სახურავზე ედო. დ. ხ-ი 6. გ-ეს უუბნებოდა, მისთვის თავი დაენებებინა. საუბარი, დაახლოებით ნახევარ წუთს გაგრძელდა. გ-ს მხრიდან 6. გ-ს მიმართ იარაღის წართმევის მცდელობას ადგილი არ ჰქონია. დ. ხ-ს ავტომანქანასთან მისვლისთანავე დაინწყო ავტომატიდან სროლა, რა დროსაც წაიქცა გ-ი, ხოლო 6. გ-მ მაშინვე დაძრა მანქანა და დატოვა შემთხვევის ადგილი. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება ასევე დაადასტურა მოწმე ხ-მაც და განმარტა, რომ 2022 წლის 17 სექტემბერს იმყოფებოდა დ. ხ-სთან სახლში. ხმაურზე იგი და სახლში მყოფი პირები გავიდნენ გარეთ, რა დროსაც დაინახა, რომ გ-ი იდგა 6. გ-ის ავტომანქანასთან და ხელები ედო სახურავზე. მისი გარეთ გასვლიდან, დაახლოებით, ოც წამში ავტომანქანიდან დაინწყო სროლა და გ-ი დაეცა.

5.11. სადავოდ გამხდარი გარემოება, რაც უკავშირდება იარაღის წართმევის მცდელობის ფაქტს, არც თვითმხილველი მოწმეების – თ. მ.... და ე-ის ჩვენებებშია ასახული. მათ დაადასტურეს გ-ს 6. გ-ს მანქანასთან მიახლოების და შემდეგ გადახრილ მდგომარეობაში ყოფნის ფაქტი, თუმცა არცერთ მათგანს არ უთქვამს, რომ ამ ორ პირს შორის ადგილი ჰქონდა ჯაჯურს.

5.12. ამდენად, საკასაციო პალატა იზიარებს ბრალდების მხარის მოწმეთა ჩვენებებს და მიუთითებს, რომ მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ ენინააღმდეგება დაცვის მხარის მოწმეების მიერ სასამართლოსთვის მოწოდებულ ინფორმაციას და დადასატურებულად მიიჩნევს, რომ ავტომანქანში მყოფ 6. გ-ს მიუახლოვდა გ-ი, რომელმაც ავტომანქანის სახურავზე დაადო ხელები, სალონში ხელის შეყოფის და ავტომატის წართმევის მცდელობას, კი – ადგილი არ ჰქონია. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ბრალდების და დაცვის მხარის ზემოხსენებული მოწმეები არიან ერთი ან მეორე მხარის ახლობელები, რის გამოც განსაკუთრებული სიფრთხილით აფასებს ამ ჩვენებებს და მათ შესაბამისობას საქმეში წარმოდგენილ სხვა ნეიტრალურ მტკიცებულებებთან. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს არ გააჩნია საფუძველი ეჭვი შეიტანოს მოწმეთა ჩვენებების სისწორეში, რადგან მსჯავრდებულის მიმართ არ ვლინდება რაიმე დაინტერესების არ-

სებობა. კასატორების მიერ მითითებული გარემოებები კი, არ არის გამყარებული სხვა მტკიცებულებებით.

5.13. საკასაციო პალატა არ ეთანხმება დაცვის მხარის პოზიციას, რომ გ-ს ხელებზე დამწვარი დენთის კვალის აღმოჩენა ადასტურებს ავტომატზე ჯაჯგურის ფაქტს, ვინაიდან დადგენილია, რომ იგი ხელებით დაყრდნობილი იყო ავტომანქანის სახურავზე და ახლოს იმყოფებოდა ნ. გ-სთან. ამასთან, გ-ის მხრიდან ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღთან შემხებლობა არ დადგენილა არც მოწმეთა ჩვენებებით და არც ჩატარებული საექსპერტო კვლევებით.

5.14. ბიოლოგიური (სეროლოგიური, გენეტიკური) ექსპერტიზის №.. დასკვნით დგინდება, რომ „... ავტომატის სასხლეტიდან და სახელური-დან, ტიბურიოდან, ჩარჩოდან და მჭიდრიდან არსებული ბიომასალის გენეტიკური პროფილი ეკუთვნის ნ. გ-ს. ... ანაწმენდებზე – ავტომატის ლულიდან, დასაკეცი კონდახიდან და პოლიეთილენის პარკიდან არ-სებული ბიომასალის გენეტიკური პროფილები შერეულია, რომელთა მაჟორული წილი ეკუთვნის ნ. გ-ეს, ხოლო მინორული წილი – ნ-ს, ობ.-ის პროფილების მინორული წილი იდენტიფიკაციისათვის არაინფორმატიულია“.

5.15. დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი №... ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით დგინდება, რომ შეკითხვაზე შესაძლებელი იქნებოდა თუ არა კონკრეტულ ვითარებაში, ავტომანქანის მარცხენა წინა კარებთან 0,298-ში მდგომ პიროვნებას, რომელსაც ხელები (ხელის მტევნები) ეწყო ავტომანქანის სახურავზე, გასროლების შედეგად ხელების მტევნებზე და სახის მიდამოში დარჩენოდა დენთის წვის შედეგად წარმოქნილი მიკრონანილაკები – დადგენა შეუძლებელია სეებ-ს ბალისტიკური ექსპერტიზის მიმართულებით, კონკრეტული კვლევის შესაბამისი მეთოდიკის არ არსებობის გამო.

5.16. დამოუკიდებელი საექსპერტო კრიმინალისტიკური ბიუროს ბალისტიკური ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, ავტომანქანის მარცხენა წინა კართან 0,29 მეტრში მდგომ პიროვნებას, რომელსაც ხელები (ხელის მტევნები) ეწყო ავტომანქანის სახურავზე, გასროლების შედეგად ხელის მტევნებზე დენთის წვის პროდუქტები და დენთის დამწვარი და დაუმწვარი ნაწილაკები არ დარჩებოდა. გასროლების შედეგად დენთის წვის პროდუქტები და დამწვარი და დაუმწვარი ნაწილაკები ასევე არ დარჩებოდა პიროვნების სახეზე, თუ კი მას სახე სალონის გარეთ ჰქონდა. ამასთან, აღნიშნული ექსპერტიზის ჩამტარებელმა ექსპერტმა გ.... განმარტა, რომ იმ შემთხვევაში, თუ პირს ხელები ავტომანქანის სალონთან შეხებაში ექნებოდა, ხოლო ავტომანქანის ფანჯარა ღია – დენთის კვალის დარჩენის შესაძლებლობა არ გამოირიცხებოდა.

5.17. შესაბამისად, აფასებს რა ზემოხსენებულ ესპერტიზის დასკვნების შედეგებს, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ გ-ს მტევნები-დან და სახის მიღამოდან აღებულ ანაწმენდებზე აღმოჩენილი დენთის წვის შედეგად წარმოქმნილი მიკრონანილაკები – არ ადასტურებს, რომ გ-ის ხელები მანქანის სალონში ჰქონდა შეყოფილი და ცდილობდა ნ. გ-სთვის იარაღის წართმევას, მით უფრო რომ აღნიშნული, გარდა თავად ბრალდებულ ნ. გ-ს ჩვენებისა, არ დასტურდება თვითმხილველ მოწმეთა ჩვენებით.

5.18. ის ფაქტი, რომ ნ. გ-ს მიერ განხორციელებული გასროლების შედეგად გარდაიცვალა გ-ი, ხოლო სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანებები მიიღეს – დ. ე-მ, ი-მ, ნ... შ-მ, ქ. ხ-მა და თ-ამ დადასტურებულია საქმეზე წარმოდგენილი სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებით.

5.19. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ნ. გ-ე იყო რა წინარე კონფლიქტით განაწყენებული, მოქმედებდა ანგარიშსნორების მიზნით, რა დროსაც ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით განახორციელა გამიზნული გასროლები, რითაც ჭრილობები მიაყენა დაზარალებულებს (რომელთა შორის გ-ი გარადაიცვალა, ხოლო დ. ე-მ, ი-მ, ნ... შ-მ, ქ. ხ-მა და თ-ა მიიღეს სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანებები). მათთვის მიყენებული ჭრილობების ლოკალიზაციის, დანაშაულის იარაღის და გასროლის მანძილის გათვალისწინებით, ვერ იქნება გაზარებული დაცვის მხარის პოზიცია, რომ ნ. გ-მ ჩაიდინა გაუფრთხილებელი დანაშაული.

5.20. საკასაციო სასამართლო კვლავაც იმეორებს, რომ ქმედების სუბიექტური შემადგენლობის – განზრახვის დასადასტურებლად აუცილებელია, ერთდროულად არსებობდეს ცოდნის, ხებელობისა და მართლწინააღმდეგობის შეგნება. რიგ შემთხვევებში შესაძლებელია, ბრალდებული არც აკონკრეტებდეს ან/და უარყოფდეს განზრახვის არსებობას, მაგრამ საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებათა ანალიზით დადგინდეს პირის მიერ განზრახვის ნამდვილობა. ანუ ფაქტობრივ გარემოებათა განვითარების ლოგიკური ჯაჭვი ქმედების სუბიექტური შემადგენლობის შეფასების შესაძლებლობას იძლევა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 20 თებერვლის №527აპ-17 გადაწყვეტილება). ამასთან, მკვლელობის სურვილი შესაძლებელია, წარმოიშვას იმწუთიერად და დანაშაულის შემადგენლობისათვის აუცილებელი არ არის, რომ განზრახვა დროის ხანგრძლივი ინტერვალით უსწრებდეს წინ ქმედებას (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 10 დეკემბრის №379აპ-18 გადაწყვეტილება).

5.21. სასამართლო ასევე, მიუთითებს საქართველოს უზენაესი სა-

სამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განმარტებაზე, რომლის თანახმადაც ქმედების განზრახ მკვლელობად (მცდელობად) დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია, დადგინდეს სუბიექტის განზრახვა, მისი მიზანმიმართული ქმედება დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობისაკენ, ამასთან, ფაქტობრივად განხორციელებულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელთა გარეშეც ქმედების განზრახ მკვლელობად (მცდელობად) დაკვალიფიცირება სამართლებრივ საფუძველს მოკლებული იქნება (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 12 თებერვლის №142პ-13 გადაწყვეტილება).

5.22. საქართველოს სსკ-ის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განზრახ ქმედებად ითვლება დანაშაული, რომელიც ჩადენილია პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ქმედება პირდაპირი განზრახვითა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას.

5.23. შესაბამისად, ზემოაღნიშნული მუხლით დადგენილია, რომ ქმედების პირდაპირი განზრახვით კვალიფიკირებისათვის აუცილებელია სამი კომპონენტის არსებობა, კერძოდ: ა) პირს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა; ბ) უნდა ითვალისწინებდეს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას; გ) უნდა სურდეს ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდეს ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას.

5.24. სასამართლო განმარტავს, რომ ქმედების განზრახ მკვლელობის პირდაპირი განზრახვით კვალიფიკირებისათვის აუცილებელია დადგინდეს მისი მიზანმიმართული ქმედება, მიზეზობრივი კავშირი განხორციელებულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის და მისი დამოკიდებულება შედეგის მიმართ (უნდა სურდეს ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდეს ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას). ასევე შესწავლილ უნდა იქნეს დანაშაულის ჩადენის ხერხი და საშუალება, დაზიანების ხასიათი, როგორ ვითარებაში იქნა მიყენებული და სხვა.

5.25. მოცემულ შემთხვევაში მიმოხილულ მოწმეთა ჩვენებებით, საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ 2022 წლის 17 სექტემბერს, პირველად მომხდარი ფიზიკური დაპირისპირებიდან მაღევე, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ნ. გ-ე კვლავ დაბრუნდა შემთხვევის ადგილზე. დ. ხ-ს სახლთან, ავტომანქანში

მჯდომ 6. გ-სთან თავდაპირველად მივიდა გ-ი, ხოლო შემდეგ დ. ხ-ი, მისი ოჯახის წევრები და ახლობლები. რა დროსაც 6. გ-მ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან მიზანმიმართულად მრავალჯერ გაისროლა.

5.26. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის, 2022 წლის 4 ნოემბრის ბალისტიკური ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად: – ა/მანქანა „TOYOTA CHR“-ზე სახ. ნომრით ჭ.... არსებული დაზიანებები თავისი ფორმით, განვითარების ხასიათით და მორფოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, არის ცეცხლნასროლი წარმოშობის და განვითარებულია არაუმცირეს 5მმ და არაუმეტეს 6მმ დიამეტრის მქონე ჭურვების ზე-მოქმედების შედეგად. ავტომანქანაზე შიდა მხრიდან არსებული და-ზიანებები ჰირველადი წარმოშობისაა, რის შედეგადაც განვითარდა გა-რე ზედაპირზე არსებული დაზიანებები. აღნიშნული დაზიანებები მი-მართულია შიგნიდან გარეთ, წარმოსახვითი განივი ღერძის მიმართ მარცხნიდან მარჯვენივ და ნაწილობრივ ზემოდან ქვემოთ. აღნიშნული დაზიანებების კუთხემ ავტომანქანის სიბრტყის მიმართ, ჭურვის მოძ-რაობის მიმართულებით, მარცხნიდან მარჯვნივ შეადგინა დაახლოე-ბით 15°. ხოლო მანქანის წარმოსახვითი ღერძის მიმართ, ზემოდან ქვე-მოთ შეადგინა დაახლოებით 10°. დასკვნის გამცემმა ექსპერტმა პ-მ განმარტა, რომ მანქანას დაახლოებით 24 დაზიანება ჰქონდა, ზოგი გამჭოლი და ზოგი არაგამჭოლი, განხორციელებული შიგნიდან გარეთ სროლით. სროლის რეჟიმი დიდი ალბათობით იყო ავტომატური.

5.27. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ 6. გ-ს გაცნობიერებული ჰქონ-და, რომ ისროდა იმ მიმართულებით, სადაც ადამიანები იყვნენ (მათ შორის გ-ი – უშუალოდ ავტომანქანის წინა მარცხენა მხარეს სახურავ-ზე იყო ხელებით დაყრდნობილი, ხოლო დ. ხ-ი იქვე იმყოფებოდა) და ავტომატური ცეცხლსასროლი იარალიდან გასროლები (მათ შორის 24 გამჭოლი) განახორციელა. მოცემულ შემთხვევაში მხარეებს შორის სადაც არ გამხდარა სროლის მიმართულება, რაც საქართველოს შინა-გან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარ-ტამენტის, 2022 წლის 4 ნოემბრის ბალისტიკური ექსპერტიზის №.... დასკვნით უტყუარადა დადგენილი. კერძოდ, გასროლები წაწარმოე-ბია ავტომანქანის შიგნიდან გარეთ ერთიდაიგივე კუთხით, რაც ერთის მხრივ ამყარებს მოწმეთა ჩვენებებს, იმასთან დაკავშირებით, რომ გ-ისა და 6. გ-ს შორის ავტომატთან დაკავშირებით ჯაჯგურს ადგილი არ ჰქონია, ხოლო მეორეს მხრივ ადასტურებს მსჯავრდებულის განზრახ-ვას. განზრახვის დასადასტურებლად საკასაციო სასამართლო მოიხ-მობს დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს: 6. გ-სა დ. ხ-ს შორის 2022 წლის 17 სექტემბერს 17:00 საათზე, დ. ხ-ს სახლის მიმდებარე ტერი-

ტორიაზე მოხდა დაპირისპირება, რის შემდეგაც ნ. გ-მ და მისმა შვილმა მოტოციკლით დატოვეს ტერიტორია, ისე, რომ ავტომანქანა, რომლი-თაც მისული იყო ნ. გ-ის შვილი – გ. ნ-ე – დარჩა შემთხვევის ადგილზე. მომხდარიდან დაახლოებით ნახევარ საათში, ნ. გ-ე თ. მ...-ან და ე-თან ერთად ბრუნდება შემთხვევის ადგილზე, რა დროსაც თან აქვს პოლი-ეთილენის პარკში მოთავსებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარა-ლი. ავტომანქანაში მყოფი ნ. გ-ე ხედავს, რომ მის ავტომანქანასთან მივიდა და ჩამოეყრდნო გ-ი, ასევე იქვე იმყოფებიან დ. ხ-ი და მისი ახ-ლობლები, ამ უკანასკნელების მიმართ, კი მომხდარის გამო არის გა-ნაწყებული და ავტომანქანის შიგნიდან ახორციელებს არაერთ გას-როლას. გასროლების განხორციელების შემდეგ, კი დაუყოვნებლივ ტო-ვებს შემთხვევის ადგილს. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კონკრე-ტულ მომენტში ნ. გ-ს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლნინააღმდეგობა (ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ადამიანების მიმართულებით სროლების განხორციელება) და ითვა-ლისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის (ადამიანების სიკვდი-ლის) დაფრომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი (დ. ხ-სა და მას-თან მყოფი პირების მკვლელობა).

5.28. ამასთან, ნ. გ-სთვის ბრალად წარდგენილი ქმედების მაკვა-ლიფიცირებელ ნიშანს წარმოადგენს – დანაშაულის ჩადენა ისეთი სა-შუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიკოცხლეს და ჯანმრთელობას. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ასეთ შემთხვევაში დამნაშავეს წინასწარ შეცნობილი აქვს, რომ იგი კლავს ადამიანს ისეთი ხერხითა და საშუალებით, რომელიც დაზარალებულის გარდა საფრთხეს უქმნის თუნდაც სხვა ერთი ადამიანის სიკოცხლეს ან ჯანმრთელობას. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ ნ. გ-მ ცეცხლსასროლი იარაღიდან არაერთხელ გაისროლა დასახლებულ პუნ-ქტში, კერძოდ, საცხოვრებლი სახლის წინ, სადაც შემთხვევის დროს იმ პირების გარდა ვისი მოკვლის განზრახვაც მას ქონდა იმყოფებოდნენ სხვა ადამიანები და ტყველი შეიძლება მოხვედროდა შემთხვევის დროს იქვე ახლოს მყოფ პირებს.

5.29. რაც შეეხება დაცვის მხარის მითითებას, რომ სააპელაციო სა-სამართლოს მიერ ქმედების არაპირდაპირი განზრახვით კვალიფიკა-ცით ნ. გ-ს მიმართ დარღვეული იქნა ბრალდების უცვლელობის პრინ-ციპი – საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და მიუთითებს, რომ საა-პელაციო პალატამ არ გამორიცხა ქმედების პირდაპირი განზრახვით ჩადენაროცა მიუთითა შემდეგი: „სასამართლოს მიაჩნია, რომ სწორედ, ზემოაღნიშული ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით/მათი შე-ფასებით, ნ. გ-ს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისას, გ-ის – სასიკვდილო შედეგისა და ასევე სხვა პირების სასიკვდილო შედეგის –

მიმართ მოქმედებდა მინიმუმ არაპირდაპირი განზრახვით, რაც ამ ქმედების მკვლელობის მცდელობად კვალიფიკაციისათვის სრულიად საკმარისია” (იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს № 1ბ/1601-23 განაჩენი, პუნქტი 5.40).

5.30. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს დაცვის მხარის მიერ წამოჭრილ საკითხზე, რომ ბრალდების მხარემ 6. გ-ს ბრალი განზრახ მკვლელობის მცდელობით სპეციალურად წარუდგინა, რათა შესაძლებლობა არ ჰქონოდა ესარგებლა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოთ.

5.31. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირის ბრალდება მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებაა. საქართველოს სსსკ-ის 169-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველია გამოძიების სტადიაზე შეკრებილ იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა. სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო საკითხის გადაწყვეტა მთლიანად უკავშირდება პროკურორის უფლებამოსილებას, განხორციელებული ქმედების შედეგად დამდგარ შედეგს და მოკლე დროში ჩასატარებელ არაერთ საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებას. სასამართლო განმარტავს, რომ გამოძიების დაწყების შემდეგ მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესშირა შედეგი შეიძლება დადგეს საბოლოოდ აღნიშნულის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია. ბრალდების მხარე სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის ეტაპამდე მოქმედებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და საქმის გარემოებებიდან გამომდინარე შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება.

5.32. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მხარის მიმართვა არ აჩერებს მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის განხილვას. აღნიშნული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორაგნული კანონის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ საერთო სასამართლში კონკრეტული საქმის განხილვისას, სასამართლო კონსტიტუციური წარდგინებით მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს. აღნიშნული უფლების განხორციელება კი მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა, რაც თავისთავად არ გამორცხავს პირის უფლებას, საკონსტიტუციო სარჩელით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ ნ. გ-ის აღნიშნული უფლება რეალიზებულია და მან მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს.

5.33. ასევე არ უნდა იქნეს გაზიარებული დაცვის მხარის მითითება, რომ 2022 წლის 17 სექტემბერს 6. გ-სა და დ. ხ-ს შორის არსებული ფიზიკური დაპირისპირების დროს 6. გ-სა და გ. ნ-სთვის მიყენებული და-

ზიანებები დარჩა სათანადო რეაგირების გარეშე, რადგან ნ. გ-ს მსჯავრდების სისხლის სამართლის საქმეში მოთავსებული სისხლის სამართლის საქმის გამოყოფის შესახებ დადგენილების თანახმად, ნ. გ-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმიდან ცალკე წარმოებად გამოეყო სისხლის სამართლის საქმე, ნ. გ-სა და გ. ნ-ს მიმართ ჯანმრთელობის განზრას მსუბუქი დაზიანების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით.

5.34. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ოპიექტურად გამოკვლეული, ურთიერთშეჯერებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება ნ. გ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნანილებითა და საქართველოს სსკ-ის 19, 109-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა.

6. სასჯელის დასაბუთება:

6.1. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ სასჯელი სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის მიზნებს ემსახურება. სასჯელის მიზანს არ წარმოადგენს ადამიანის ფიზიკური ტანჯვა. თავისუფლების აღკვეთა, როგორც ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის უმკაცრესი ფორმა, გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია ქმედების სიმძიმის, მოსალოდნელი საფრთხეების, დანაშაულის ჩადენის კონკრეტული გარემოებების, დამნაშავის პიროვნებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

6.2. „დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელი, ერთი მხრივ, უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხეებთან გონივრულ პროპორციაში, ხოლო, მეორე მხრივ, უნდა იყოს შესაძლებლობა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის დაკისრება მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის № 1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38).

6.3. „მხოლოდ ზოგადი პრევენცია ვერ იქნება საკმარისი და თვითკმარი პირის მიმართ ნებისმიერი სასჯელის გამოყენებისთვის, რადგან ასეთი მიდგომით ადამიანი გადაიქცევა სახელმწიფოს ხელში საზოგადოების „დაშინების იარაღად“, იძულების ღონისძიების გამოყენების მუქარის შიშველ აბიექტად, რაც გამორიცხულია და დაუშვებელი სამართლებრივ სახელმწიფოში“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასა-

მართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის № 1/4/592 გადაწყვეტილება საქ-
მეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს
პარლამენტის წინააღმდეგ“, II-52).

6.4. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამარ-
თლომ სრულად შეაფასა სასჯელის დანიშვნისას გასათვალისწინებე-
ლი გარემოებები, ჩადენილი ქმედების ხასიათი და სიმძიმე, პირის ინ-
დივიდუალური მახასიათებლები, სასჯელის მიზნების მიღწევის შე-
საძლებლობანი და, საქართველოს სსკ-ის 39-ე, 53-ე, 58-ე, 59-ე და 67-ე
მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, ნ. გ-ს კანონიერი და სა-
მართლიანი სასჯელი განუსაზღვრა. მოცემულ შემთხვევაში, ნ. გ-ს მი-
მართ განსაზღვრული სასჯელი მსჯავრად შერაცხილი მუხლების სან-
ქციის ფარგლებშია და სრულად შეესაბამება ჩადენილი დანაშაულების
ხასიათსა და მსჯავრდებულის პიროვნებას, ასევე განაჩენთა ერთობ-
ლიობით დანიშნული სასჯელი არის კანონიერი და სრულად უზრუნველ-
ყოფს სასჯელის მიზნების მიღწევას.

6.5. ამასთან, ვინაიდან ნ. გ-მ საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის
პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინა 2024 წლის
1 ივლისამდე, მის მიმართ უნდა გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ 2024
წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონი.

6.6. ზემოხსენებული კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თა-
ნახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელის-
გან უნდა გათავისუფლდეს პირი, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, რო-
მელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კო-
დექსის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო მე-4 მუხლის პირველი
პუნქტის თანახმად, 1/6-ით უნდა შეუმცირდეს ვადინი თავისუფლე-
ბის აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი პირს, რომელზედაც არ
ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული
ამნისტია და რომელსაც ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული და-
ნაშაული არ ჩაუდენია.

6.7. მოცემულ შემთხვევაში, დაზარალებულმა დ. ხ-მუარი განაცხა-
და ნ. გ-ს მიმართ „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის სა-
ქართველოს კანონით გათვალიწინებული შეღავათის გავრცელების
თაობაზე. შესაბამისად, მის მიმართ საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხ-
ლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის დანიშ-
ნული სასჯელი უნდა შემცირდეს 1/6-ით.

6.8. ამასთან, ვინაიდან, ნ. გ-ს სასჯელი დანიშნული აქვს განაჩენთა
ერთობლიობით, რა დროსაც ბოლო განაჩენს ნაწილობრივ დაემატა სა-
ქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით და-
ნიშნული სასჯელი უნდა გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის
17 სექტემბრის საქართველოს კანონის ზემოხსენებული მუხლი 6. გ-ს

მიმართ.

6.9. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სა-სამართლოს მიაჩინა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სის-ხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 6 ივნისის განაჩენში უნ-და შევიდეს ცვლილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირ-ველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ 6. გ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების – მ. ჭ-ს და ს. კ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-მეთა პალატის 2024 წლის 6 ივნისის განაჩენში შევიდეს ცვლილება;

3. 6. გ-ე ცნობილი იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხ-ლის პირველი ნაწილით, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწი-ლით, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით და საქართვე-ლოს სსკ-ის 19, 109-ე მუხლის „ბ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწი-ნებული დანაშაულების ჩადენისათვის და საჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს:

საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით – თავი-სუფლების აღკვეთა 2 წლით, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე შეუმცირდეს 1/6-ით და განესაზღვროს 1 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით – თავისუფლე-ბის აღკვეთა 4 წლით;

საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით – თავისუფლე-ბის აღკვეთა 5 წლით;

საქართველოს სსკ-ის 19, 109-ე მუხლის „ბ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 18 წლით;

4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში, დანაშაულთა ერთობლიობის დროს, საქართველოს სსკ-ის 19, 109-ე მუხლის „ბ“ და „ლ“ ქვეპუნქტე-ბით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნულმა უფ-რო მკაცრმა სასჯელმა შთანთქოს საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის

პირველი ნაწილით, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით და საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის დანიშნული ნაკლებად მყაფრი სასჯელები და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ნ. გ-ეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 18 წლით.

5. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 19 ოქტომბრის განაჩენით, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის განსაზღვრული პირობითი მსჯავრი.

6. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატოს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 19 ოქტომბრის განაჩენით განსაზღვრული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან თავისუფლების აღკვეთა 2 წლით, რაც „ამნისატიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე შეუმცირდეს 1/6-ით და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 8 თვით.

7. 6. გ-ს საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 19 წლითა და 8 თვით.

8. 6. გ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების დღი-დან – 2022 წლის 17 სექტემბრიდან.

9. ცნობად იქნეს მიღებული, რომ 6. გ-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმდებულია.

10. საქმეზე დართული ნივთიერი მტკიცებულებების ბედი გადაწყდეს შემდეგნაირად:

შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ამოღებული მოწითალო ფერის ლაქის ანაწმენდები; თ.... დამაკავშირებელი გზატკეცილის ადგილმდებარეობის დათვალიერების დროს ამოღებული ქვის ნატეხი და ასფალტის ამონატეხი მოწითალო ფერის ლაქებით, მიკროავტობუსში ასასვლელი შიდა საფეხურის ზედაპირიდან ამოღებული ანაწმენდი მოწითალო ფერის გუბიდან; „ტოიოტა CHR-ის მარკის ავტომანქანი-დან, სახელმწიფო სანომრე ნიშნით: დათვალიერების შედეგად ამოღებული ანაწმენდები, მიკროანილაკები, მოწითალო ფერის ლაქის ანაწმენდები, ანაწმენდები დოლბახზე, ხელის კვლები; „ტოიოტას“ მარკის ავტომანქანის, სახელმწიფო სანომრე ნიშნით: დათვალიერების შედეგად ამოღებული მოწითალო ფერის ლაქის ანაწმენდები, ანაწმენდი; „ჰიუნდაი ელანტრას“ მარკის ავტომანქანის, სახელმწიფო სანომრე ნიშნით: ... დათვალიერების შედეგად ამოღებული ანაწმენდე-

ბი, მიკრონაწილაკები; ბრალდებულ ნ. გ-ს ნერწყვის ნიმუში; ბრალდებულ ნ. გ-ს სუნის ნიმუში; ბრალდებულ ნ. გ-ს ანაწმენდები მარჯვენა და მარცხენა ხელიდან და სახის მიდამოდან; ნ. გ-ს ხელის კვლები; გ-ის გვამის ხელის კვლის ნიმუშები; „ფორდ ესკაიპის“ მარკის ავტომანქანის, სახელმწიფო სანომრე ნიშნით: დათვალიერების შედეგად ამოღებული მოწითალო ფერის ლაქის ანაწმენდები და მოწითალო ფერის ლაქის ანაფხევი, ანაწმენდები; ავტომატიდან, მჭიდრიდან და პოლიეთილენის პარკიდან აღებული ანაწმენდები; ანაწმენდები პისტოლეტიდან; ანაწმენდები ორი მასრიდან; ანაწმენდები ხუთი მასრიდან; გ-ის გვამიდან აღებული ნიმუშები, სისხლი, თმა, ფრჩხილები, ანაწმენდები და ნაცხის ნიმუშები; გ-ს გვამიდან ამოღებული მეტალის უცხვო სხეულები; დ. ხ-ს ნერწყვის ნიმუში; ქ. ხ-ს ნერწყვის ნიმუში; ნ... შ-ს ნერწყვის ნიმუში; დ. ე-გან აღებული ნერწყვის ნიმუში; ი-ს ნერწყვის ნიმუში; გ. ნ-გან აღებული ნერწყვის ნიმუში; გ. ნ-ს დაქტილობარათი; ნ....გან აღებული ნერწყვის ნიმუში; ნ-ის დაქტილობარათი; თ. მ-ს ნერწყვის ნიმუში; გ-ს შარვლის მარჯვენა ტოტის უკანა შიდა ზედაპირიდან ამოღებული მომავონ ფერის პოლიმერისმაგვარი სპილენძისფერი მეტალისმაგვარი ფრაგმენტები – განადგურდეს.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ამოღებული 1 ცალი სანთებელა, 1 ცალი სიგარეტის კოლოფი, 1 წყვილი ფეხსაცმელი მოწითალო ფერის ლაქებით, 1 ცალი ქამარი მოწითალო ფერის ლაქებით, 1 ცალი ჰირსახოცი მოწითალო ფერის ლაქებით; დაზიანებული მობილური ტელეფონი და პლასტმასის დეტალები; ნ. გ-ს საცხოვრებელი სახლის ჩარეკისას ამოღებული 1 ცალი ჯინსის შარვალი, 1 ცალი მაისური და ბენდენა, ჯინსის შარვალი და სპორტული ფეხსაცმელი; „ტოიოტა CHR“-ის მარკის ავტომანქანა, სახელმწიფო სანომრე ნიშნით: „ტოიოტა CHR“-ის მარკის ავტომანქანის, სახელმწიფო სანომრე ნიშნით: 1 ცალი გასაღები; „ტოიოტას მარკის „ავტომანქანის, სახელმწიფო სანომრე ნიშნით: დათვალიერების შედეგად ამოღებული 1 ცალი ბუსპალტერი; „ჰიუნდაი ელანტრას“ მარკის ავტომანქანის, სახელმწიფო სანომრე ნიშნით: დათვალიერების შედეგად ამოღებული ბოთლი და ქილები; მოწე ნ-ს ტანსაცმელი და ფეხსაცმელი; დ. ე-ს ტანსაცმელი; ი-ს ტანსაცმელი; ნ... შ-ს ტანსაცმელი; ქ. ხ-ის ტანსაცმელი; თ. მ-ს ტანსაცმელი; გ-ს ტანსაცმელი და ფეხსაცმელი – დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელებს ან მათი ნდობით აღჭურვილ ჰირს.

6. გ-ს საცხოვრებელი სახლის ჩარეკისას ამოღებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და 1 ცალი მჭიდი – გადაეცეს საქართველოს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტის შეიარაღების სამმართველოს.

„ტოიოტა CHR“-ის მარკის ავტომანქანის, სახელმწიფო სანომრე ნიშნით: ... დათვალიერების ამსახველი ფოტომასალა 1 ცალ ელექტრონულ დისკზე; ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან გადამოგზავნილი დაქტილო ფირებზე გადატანილი ხელის კვლების ფოტოსურათები; „ტოიოტას“ მარკის ავტომანქანის, სახელმწიფო სანომრე ნიშნით: ... დათვალიერების ამსახველი ფოტომასალა 1 ცალ ელექტრონულ დისკზე; შპს „... კლინიკადან“ ამოღებული რენტგენო ფირი; ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან გადამოგზავნილი ერთ ცალ ლაზერულ დისკზე დ. ხ-ს სამედიცინო კვლევის ამსახველი ინფორმაცია; შპს „... ცენტრიდან“ ამოღებული ერთი ცალი ლაზერული დისკი; შპს „ქირურგის ეროვნული ცენტრიდან“ ამოღებული ერთი ცალი ლაზერული დისკი; შპს „...“-დან ამოღებული სამი ცალი რენტგენო ფირი; დ. ხ-ის და ქ. ხ-ის საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს გადაღებული ფოტოსურათები 1 ცალ მყარ დისკზე; შპს „ქ. ... კომპანიდან“ გამოთხოვილი ინფორმაცია ერთ ცალ მეხსიერების ბარათზე; „ფორდ ესკაპის“ მარკის ავტომანქანის, სახელმწიფო სანომრე ნიშნით: ... დათვალიერების ამსახველი ფოტომასალა 1 ცალ ელექტრონულ დისკზე; „ჰიუნდაი ელანტრას“ მარკის ავტომანქანის, სახელმწიფო სანომრე ნიშნით: ... დათვალიერების ამსახველი ფოტომასალა 1 ცალ ელექტრონულ დისკზე; ადგილმდებარების (თ-ის მიმდებარედ) დათვალიერების ამსახველი ფოტომასალა 1 ცალ ელექტრონულ დისკზე; თ... დამაკავშირებელი გზატკეცილის ადგილმდებარების დათვალიერების ამსახველი ფოტომასალა 1 ცალ ელექტრონულ დისკზე და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ამსახველი ფოტომასალა 1 ცალ ელექტრონულ დისკზე, დაცვის მხარის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი ინფორმაცია 1 ცალ ელექტრონულ დისკზე – შენახულ იქნეს საქმის შენახვის ვადით.

1 ცალი პისტოლეტის მაგვარი საგნისა და 7 ცალი მასრის მაგვარი საგნის ბედი გადაწყდეს გამოყოფილ სისხლის სამართლის საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღების დროს.

11. განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიექცევა ვა გამოტანისთანავე;

12. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ქმედების გადაკვალიფიცირება განზრას მკვლელობის
მცდელობიდან ჯანმრთელობის განზრას მსუბუქ
დაზიანებაზე**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№1118აპ-24

21 ოქტომბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატაში შემდეგი შემადგენლობით:**
ლ. თევზაძე (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ახალციხის რაიონული პროკუ-
რატურის პროკურორ გიორგი ბეგაშვილისა და მსჯავრდებულ ა. ღ-ის
ინტერესების დამცველის, ადვოკატი ი. ფ-ს საკასაციო საჩივრები თბი-
ლისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალა-
ტის 2024 წლის 22 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

**1. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 29 ნოემბრის
განაჩენით:**

ა. ღ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19.108-ე მუხ-
ლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სა-
ხედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 11 წლით, რომ-
ლის მოხდა დაეწყო ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან 2023 წლის 19
მარტიდან.

**2. პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია,
რომ:**

2023 წლის 18 მარტს, დაახლოებით 21:00 საათზე, პ-ში, თ-ს ქუჩის
მე-2 შესახვევის №...ში მდებარე რ. ა...ს სახლის მიმდებარედ ქუჩაში, ა.
ღ-ემ შელაპარაკებისას წარმოშობილი კონფლიქტისას, რ. ა-ს მოკვლის
განზრახვით დანა დაარტყა გულ-მკერდის არეში, რის შემდეგაც კვლავ
ცდილობდა დანის დარტყმას, თუმცა, დაზარალებულმა ხელი დაუჭირა
და ასევე ადგილზე მისულმა რ. ა-ა ფიზიკური ძალით განარიდა რ. ა-ს,
რის გამოც ა. ღ-მ ვერ შეძლო რ. ა...ს მოკვლა, ვინაიდან განეული სამე-
დიცინო დახმარების შედეგად მისი სიცოცხლის შენარჩუნება მოხერ-
ხდა.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-

მეთა პალატის 2024 წლის 22 მაისის განაჩენით:

მსჯავრდებულ ა. ღ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატი ი. ფ-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა;

ცვლილება შევიდა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 29 ნოემბრის განაჩენში:

ა. ღ-ის მიმართ წარდგენილი ბრალდება, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19.108-ე მუხლით, გადაკვალითიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის პირველ ნაწილზე.

ა. ღ-ე ცნობილიქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განეხსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით, იმავე ვადით.

ა. ღ-ეს სასჯელი აეთვალა ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან 2023 წლის 19 მარტიდან.

4. კასატორი – პროკურორი გიორგი ბეგაშვილი ითხოვს სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებას, ა. ღ-ის დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 19.108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და მისთვის სამართლიანი სასჯელის განსაზღვრას;

5. საკასაციო საჩივრის მიხედვით, ა. ღ-ის ქმედება სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორად დაკვალიფიცირდა. სასამართლომ არ შეაფასა ბრალდებულის ჩვენება, რომელიც ეწინააღმდეგება მოწმეთა გამოკითხვის ოქმებსა და საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობას. ა. ღ-ემ როგორც გამოკითხვისას, ისე დაკითხვისას განმარტა, რომ რ. ა. იყო მის ზემოთ მოქცეული, ურტყამდა, რის გამოც, ერთხელ, მოგერიების მიზნით, დაარტყა დანა (მცირე ზომის დანის პირით). როგორც რ. ა-ა, ისერ. ა...ა სასამართლოში დაადასტურეს, რომ ა. ღ-ე მოექცა რ-ის ზევით. ა. ღ-ის დაკავების ოქმში მითითებულია, რომ ბრალდებულს დაზიანებები აღენიშნებოდა მუხლებსა და იდაყვებზე, რაც აგრეთვე მისი პირადი შემონმების საფუძველზე გაცემული ექსპერტიზის დასკვნით დასტურდება. შესაბამისად, საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებები ცხადჰყოფს, რომ ა. ღ-ის ჩვენებაში არსებითი წინააღმდეგობებია. ამასთან, ა. ღ-ეს განზრახვა მაშინ გაუჩნდა, როდესაც. ა-ა მასზე ფიზიკურად იძალადა. პროკურორის პოზიციით, რ. ა...სა და რ. ა-ს ჩვენებები თანხვდენილია. ფაქტი, რომ რ. ა. არის დაზარალებული, ხოლო რ. ა. მისი მეგობარი, მოცემული იმთავითვე საეჭვოს არ ხდის მათი ჩვენების სანდობას.

6. კასატორი – ადვოკატი ი. ფ-ე ითხოვს სააპელაციო სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანასა და ა. ღ-ისათვის დანიშნული სასჯე-

ლის 1 წლითა და 6 თვით შემცირებას;

7. საკასაციო საჩივრის მიხედვით, მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი არის მეტყველებულისათვის დანიშნული სიმძიმეს, ხარისხსა და დამნაშავის პიროვნებას. მისთვის 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა სრულად საკმარისია დამნაშავის რესოცილზაციისა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისათვის.

8. ბრალდებისა და დაცვის მხარეს საკასაციო საჩივრებზე შესაგებელი არ წარმოუდგენიათ.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატაზ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ბრალდებისა და დაცვის მხარის საკასაციო საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ პროკურორის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ადვოკატის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 22 მაისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება:

2. წარმოდგენილი საქმის მასალებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ა. ღ-ემ ჩაიდინა არა რ. ა-ს განზრას მკვლელობის მცდელობა (საქართველოს სსკ-ის 19.108-ე მუხლი), არამედ ჯანმრთელობის განზრას მსუბუქი დაზიანება (საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწილი).

3. საკასაციო სასამართლო ეთანხმება და იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ქმედების გადაკვალიფიცირების ნაწილში და მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საქმის მასალებით, მათ შორის მოწმეთა ჩენებებითა და ექსპერტიზის დასკვნებით, უტყუარად, გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცების სტანდარტით, დასტურდება ა. ღ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტი.

4. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქმედების განზრას მკვლელობის მცდელობა და კვალიფიცირებისათვის, თანაბრად მნიშვნელოვანია ქმედების როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური შემადგენლობის გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცების სტანდარტით დადგენა, რაც გულისხმობს იმას, რომ გარდა დაზარალებულისათვის კონკრეტულ ლოკაციაზე დაზიანების მიყენებისა, სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობის შექმნისა, უნდა იკვეთებოდეს უშუალოდ პირის მოკვლის განზრას ფაქტიც.

5. საკასაციო პალატამ სისხლის სამართლის ერთ-ერთ საქმეში მიუთითა, რომ: „ქმედების სუბიექტური შემადგენლობის, განზრახვის

დასადასტურებლად აუცილებელია ერთდროულად არსებობდეს ცოდნის, ნებელობისა და მართლწინააღმდეგობის შეგნება. რიგ შემთხვევე ვებმი შესაძლებელია, მსჯავრდებული (ბრალდებული) არც აკონკრეტებდეს ან/და უარყოფდეს განზრახვის არსებობას, მაგრამ საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებათა ანალიზით დადგინდეს პირის მიერ განზრახვის ნამდვილობა. ანუ ფაქტობრივ გარემოებათა განვითარების ლოგიკური ჯაჭვი ქმედების სუბიექტური შემადგენლობის შეფასების შესაძლებლობას იძლევა“ (იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს №527აპ-17 გადაწყვეტილება).

6. მოცემულ შემთხვევაში, რ. ა-ს ფიზიკურ დაზიანებასთან მიმართებით წარმოდგენილია შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნები, კერძოდ:

7. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 11 აპრილის დასკვნის თანახმად: რ. ა-ს 2023 წლის 18 მარტს მიღებულ ტრავმასთან დაკავშირებით, აღენიშნებოდა ნაკვეთი ჭრილობა გულმკერდის მარცხენა არეში კანქვეშა ემფიზემით. შესაბამისი კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევით, არ არის დადასტურებული ჭრილობის შემავლობა გულმკერდის ღრუში. აღნიშნული ჭრილობა მიყენებულია რაიმე მჭრელი ზედაპირის მქონე საგნის მოქმედებით და იგი ცალკე იზოლირებულად აღებული, ეკუთვნის სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის მოშლით, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლის გამო.

8. ამასთან, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 7 ივლისს დასკვნის თანახმად: შპს „ჯ-ს“ ბ-ის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათი №.../23-ის მიხედვით, რ. ა-ს კლინიკისათვის მიუმართავს 18.03.2023 წლს, 22:15 საათზე, სადაც დაესვა დიაგნოზი: მწვავე ტრამვული კანქვეშა ემფიზემა, გულმკერდის ღია ჭრილობა, დაზუსტებელი ნაწილი გულმკერდის კედელი, რომელიც სხვაგარად არ არის დაზუსტებული. სამედიცინო დოკუმენტაციაში აღნერილი კლინიკო-ლაბორატორიული და წარმოდგენილი რადიოლოგიური გამოკველევის მონაცემებით, ჰემოპნევმოთორაქსის მოვლენები არ აღინიშნება და მხოლოდ ჭრილობის ირგვლივ კანქვეშა ემფიზემის არსებობა არ შეიძლება განიხილოს ჭრილობის გულმკერდის ღრუში შემავლობის ნიშნად. დაზიანება მიყენებულია რაიმე მჩხვლეტავ-მჭრელი საგნის მოქმედებით და მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით.

9. ამდენად, როგორც წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნების შინაარსით გამოიკვეთა, რ. ა-სთვის მიყენებული ჭრილობა ხარისხობრივად არ იყო მძიმე და სიცოცხლისთვის სახითაო.

10. რაც შეეხება სუბიექტურ შემადგენლობას, ბრალდების მხარის

მიერ ნარმოდგენილი მტკიცებულებებით და თავად ა. ღ-ის მიერ მიცემული ჩვენებით ნამდვილად დასტურდება, რომ ა. ღ-ეს გააჩნდა დაზარალებულისათვის დაზიანების მიყენების განზრახვა, რაც გამოწვეული იყო ურთიერთდაპირისპირებული მხარეების ჩეუბის შედეგად, თუმცა, უტყუარად არ დგინდება, რომ მას სურდა დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა, კერძოდ:

11. დაზარალებულმა რ. ა-მ განმარტა, რომ ბრალდებული დაახლოებით, 2-3 წლის განმავლობაში მის ბიცოლასთან სასიყვარულო ურთიერთობას აპრალებდა, რასაც თავად უარყოფდა. 2023 წლის 18 მარტს, სალამოს, რ. ა. იყო რ. ა-ნ, რა დროსაც ა-ი მათთან მივიდა. ა-მ დაუქახარს, რომ ის მასთან სასაუბროდ ჩასულიყო. მოწმემ როდესაც ნასვამი ა-ი დაინახა, არ ჩავიდა. 10 წელის შემდეგ, ისევ დაუქახა ა-მ და მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. რ-ის განმარტებით, მან ვერ მოითმინა დარის სახლიდან ჩაირპინა ჭიშკართან, გასცდა მას და გავიდა ჭიშკრის გარეთ. ა-იც გაჰყვა, რა დროსაც რ-მ შემოარტყა ხელი. ა-მაც შემოარტყა და დაინტერეს ჩეუბი. ამ დროს, რ-ს ა-ის ხელში დანა არ შეუნიშნავს. 2-3 წელი ფეხზე მდგარნი ჩეუბობდნენ. ჩაჭიდებულები დაეცნენ ძირს. რ. ა. აღმოჩნდა ა-ის ქვემოთ. ა-მ დაარტყა მას და მარცხენა მხარეს, იღლის ქვემოთ რ-მ იგრძნო ტკივილი. ბრალდებული მეორედაც ცდილობდა დარტყმას, რა დროსაც, რ-მ მისი მარცხენა მკლავით დაუჭირა ა-ს მარჯვენა ხელი. მეორე ხელით ა-ის მეორე ხელი ეჭირა და ხელს უშლიდა და დარტყმაში. ამის გამო მეორე დარტყმა ვეღარ შეძლო. მოწმის განმარტებით, ა-ს ეჭირა პრიალა საგანი და დაინახა მხოლოდ მისი თავი. მოწმემ დაუქახა რ-ს, რომელიც მიღიოდა მათკენ მისაშველებლად. დაზარალებული ტკივილისგან ითიშებოდა. რ-ი მივიდა, ა-ს ზურგს უკან მოჰკიდა ხელი და გაიყვანა, რ-ს მოაშორა. ა. ღ-ე ამ დროს უკვე აღარ იწევდა რ-ისკენ.

12. მოწმე რ. ა-ს ჩვენებით, 2023 წლის 18 მარტს, ის და რ. ა. იმყოფებოდნენ მის ეზოში. შებინდებულზე მივიდა ა. ღ-ეც, რა დროსაც მის ხელში დანა არ დაუნახავს. ა-ი და რ-ი შეკამათდნენ. ა...ი აგინებდა რ-ს, რა დროსაც რ-მ მას ხელი დაარტყა და ა-ს ცხვირიდან ნამოუყვიდა სისხლი. რ-ი მივიდა მათთან, ჩაუდგა შუაში და გააშველა. რ-ი გამოიყვანა გვერდით. ა-ი კი წავიდა. რ-მ და რ-მ გააგრძელეს ეზოში საქმიანობა. ა...ი იყო ნასვამი. დაახლოებით 40 წელის შემდეგ, ის ისევ დაბრუნდა დადაუქახა რ-ს, რომ მასთან მისულიყო. რ-ი ჩავიდა მასთან დაბლა, ატყდა ჩეუბი. რ-ი ეძახდა რ-ს, რომ ა-მ დაჭრა და მიმველებოდა. ჩეუბის დაწყებიდან დაახლოებით, 2 წელში რ-მ ჩაირპინა მათთან. რ...ი იყო ნაქცეული, ა-ი ეჯდა ზემოდან და ხელში ეჭირა მისი აზრით, დანა. რ-მ იღლიებში შეუყარა ა-ს ხელები, გადაითრია უკან და გაიყვანა. გაუჭირდა მისი გაყვანა, რადგან ა-ი ისევ რ-ისკენ იწევდა, რ-ს კი ეშინოდა მეო-

რედ არჩერტყა დანარ...ისთვის. ა...ს სურდა მისთვის კიდევ დაერტყა დანა, რადგან რ-ს ზემოდან ეჯდა და დანიანი ხელით ცდილობდა დარტყმას, თუმცა, რ-ი უძალიანდებოდა, თან შეველას ითხოვდა. გათრევის შედეგად, ა-ი დაეცა რ-ს ზემოდან. რ. ა. კი წამოხტა და რ-ის სახლის ეზოსკენ გაიქცა შეშინებული. მოწმის განმარტებით ის, რომ არჩარეულიყო ჩხუბში, ისინი ერთმანეთს თავს არ დაანებებდნენ და შესაძლოა, სავალალოდ დასრულებულიყო შემთხვევა, რადგან რ-ი ველარ შესძლებდა ა-ის მოგერიებას და ა...ს კვლავ მიცემოდა დანის დარტყმის საშუალება.

13. მსჯავრდებულმა ა. ღ-ემ, განმარტა, რომ ორივე მოწმის მიერ მიცემული ჩვენება არის სიცრუე. რ-ი მას იჭერდა, ხოლო რ-ი ურტყყამდა და სხეულის რამდენიმე ადგილას ჰქონდა დაზიანება. მან ამ ქმედების შედეგად განიცადა ფიზიკური ტკივილი იმდენად, რომ „სხვა გამოსავალი არ დაუტოვეს.“ მსჯავრდებულმა განმარტა, რომ მას სურდა რ-ის ნახვა და ახსნა მისთვის, რომ ის სჩადიოდა არაკაცურ საქციელს და არ უნდა მისულიყო მისი ბიძის, მ. კ-ს ოჯახში. ბრალდებულის განმარტებით, ბიძამისმა არაფერი იცოდა. მას რომ ყველაფერი სცოდნოდა, მკვლელობა მოხდებოდა და ამიტომ, აფრთხილებდა ის რ-ს, რომ არ მიჰყარებოდა მათ ოჯახს. ა-ის აღნერით, რ. ა. მისი ეზოს ასასვლელ კიბეზე იყო წანოლილი და ა-იც მას ზემოდან აწვა. ამასთან, რ-ი ზემოდან ეჯდა მუცელზე, ურტყყამდა მას, რ-ი კი უკნიდან უჭერდა მას ყელში ხელებით, გუდავდა მას, აქტიურად იყო ჩართული მის მიმართ „ძალადობაში“ და ეხმარებოდა რ-ს. დანას აქვს ორი პირი, ერთი დიდი და მეორე, პატარა. ბრალდებულის განმარტებით, მას რ-ის მოკვლა არ უნდოდა და ამიტომ გაშალა დანის პატარა პირი. ა-ი იგერიებდა ხელებით რ-ს და როდესაც ვეღარ მოიგერია, ამოილო დანა, გაშალა ცალი ხელით და დაარტყა მას. რ-მა მაშინვე დაანება თავი. დაუძახა რ-ს, რომ რაღაც აქვს ხელშიოდა წანვიდნენ. ა-ი მათ არ გაჰკიდებია. უთხრა, რომ მეორე დღეს წახავდა და წავიდა სახლში. ა-ის განმარტებით, მას შეეძლო მეორედ და მესამედაც დარტყმა თუმცა, აღარ დაარტყა. მას რომ შესძლებოდა და მოეგერიებინა რ-იდა რ-ი, დანას ალარ იხმარდა. მისი დარტყმის მიზანი იყო, რომ მისთვის თავი დაენებებინათ. ბრალდებულის თქმით, დანა, რომ არ დაერტყა ისინი მას მოკლავდნენ. სადაც მოუხვდა იქ დაარტყა.

14. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სსამართლომ განზრახვის კომპონენტთან მიმართებით, ერთის მხრივ, დეტალურად მიმოიხილა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები (რასაც სრული მოცულობით საკასაციო პალატა აღარ გაიმეორებს), ხოლო მეორეს მხრივ, შესაბამისი არგუმენტების მითითებით, სიღრმისეულად გააანალიზა მათი შინაარსი და მართებულად დაადგინა, რომ ა. ღ-ეს არ

გააჩნდა რ. ა...ს მოკვლის განზრახვა. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას და დამატებით აღნიშნავს, რომ:

15. როგორც თავად მსჯავრდებული უთითებს, „ბიძამისმა არაფერი იცოდა. მას რომ ყველაფერი სცოდნოდა, მკვლელობა მოხდებოდა და ამიტომ აფრთხილებდა ის რ-ს, რომ არ მიჰკარებოდა მათ ოჯახს, რითიც რეალურად, ცდილობდა თავისი წარმოდგენით, ოჯახი დანაშაულისაგან დაეცვა.“ საყურადღებოა, ასევე ჩსუბის დაწყების ნაწილიც, რომელსაც როგორც რ. ა. და რ. ა. აღწერენ, აღნიშნული თავად დაზარალებულმა დაიწყო, კერძოდ, მან პირველმა დაარტყა ა. ღ-ეს, რომელსაც ცხვირიდან სისხლი წამოუვიდა. შესაბამისად, თუ დაჭრის მოტივი და საფუძველი გარკვეული ხნის განმავლობაში მხარეთა შორის დაპირისპირება იყო და ა. ღ-ე კონკრეტულად ამ დღეს დაზარალებულის მოკვლის განზრახვით იყო განმსჭვალული, გაურკვეველია, თუ როგორ მოხდა, რომჩსუბის ინიციატორი თავად დაზარალებული აღმოჩნდა და პირველმა მან დაიწყო ფიზიკური დაპირისპირება. განზრახვის არსებობას ასევე აქარნყლებს ის ფაქტიც, რომ ა. ღ-ემ, აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება ჩაიდინა, ისეთ ადგილასა და ვითარებაში, რაც არ გამორიცხავდა მოცემულ ტერიტორიაზე თვითმხილველი მოწმების არსებობას, მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც მსჯავრდებულს შეცნობილი ჰქონდა, ის ფაქტი, რომ იგი მიდიოდა რ. ა-ს სახლში, სადაც იგი დაზარალებულთან ერთად იმყოფებოდა. ალოგიკურია, ა. ღ-ეს სურვილი ჰქონდა განზრახ მკვლელობას შესწრებოდა თვითმხილველი მონმეტე, რომელიც ა...ს მეგობარი იყო და რომლებსაც შესწევდათ უნარი ერთობლივად, რეალური წინააღმდეგობა გაეწიათ ა. ღ-ის სავის და გაერთულებინათ მისი განზრახვის აღსრულების პროცესი. ზემოაღნიშნული სამი ჩვენება გამოკვეთს ერთმანეთის ანალოგიურ სურათს, რომლის თანახმადაც, ა. ღ-ემ დატოვა დანაშაულის ადგილი, ისე რომ მას შეცნობილი ჰქონდა დაზარალებულის მდგომარეობა (ერთი მიყენებული ჭრილობა), მიუხედავად ამისა, მას არ უცდია თავისი ქმედების დასრულება, რ. ა-ს მკვლელობა, დანაშაულის ბოლომდე მიყვანა, პირიქით, ღ-ე ფიქრობდა, რომ მეორე დღეს დაელაპარაკებოდა აღნიშნულ პირებს მათი „უღირსი“ საქციელის, მისი ცემის გამო. ა. ღ-ე არ შეწინააღმდეგებია რ. ა...ს გაშველების დროს. ამასთან, გასათვალისწინებელია რომ მოცემულ საქმეზე არ არის წარმოდგენილი ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც დადგინდებოდა, გარდა მიყენებული ერთი ჭრილობისა, დაზარალებულის ტანისამოსზე ხომ არ იყო სხვა დაზიანებების კვალიც.

16. მაშასადამე, განსახილველ სისხლის სამართლის საქმეზე უტყუარი ფორმით დადგენილია მხოლოდ: დაზარალებულ რ. ა-ს ჯანმრთელო-

ბის განზრას მსუბუქი დაზიანების მიყენების ფაქტი (სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით) და რომ ა. ღ-ის ქმედება მიზე-ზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან, კერძოდ, რ. ა-ს სხეულის მსუ-ბუქდაზიანებასთან, რამაც ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა გამოიწ-ვია.

17. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს წარმოდგენილ მტკიცე-ბულებებსა და ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის შინაარსზე დაყრდნობით, მიაჩნია, რომ ქმედების კვალიფიკაციის ნაწილში საა-პელაციო პალატის გადაწყვეტილების შეცვლის სამართლებრივი სა-ფუძველი არ არსებობს და იგი უნდა დარჩეს ძალაში.

18. რაც შეეხება მსჯავრდებულისათვის დანიშნულ სასჯელს, მას-თან დაკავშირებით, ადვოკატი მიიჩნევს, რომ იგი არ შეესაბამება ჩა-დენილი ქმედების სიმძიმესა და მსჯავრდებულის პიროვნებას. საკასა-ციო სასამართლო ა. ღ-ის სასჯელთან მიმართებით, მიუთითებს „ამ-ნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმადაც, სისხლისსა-მართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან თავისუფლდება ის პირი, რომელმაც საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწი-ლით გათვალისწინებული ქმედება ჩაიდინა (თუ თითოეული დაზარა-ლებული ამ კანონის აღსრულებისას გამოძიების ორგანოს ან სასამარ-თლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ აღნიშნულ პირზე გავ-რცელდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია).

19. განსახილველ შემთხვევაში, დაზარალებულმა რ. ა....ანოტარიუ-ლად დამოწმებული ფორმით, თანხმობა განაცხადა მსჯავრდებულ ა. ღ-ის მიმართ ზემოხსნებული ამნისტიით გათვალისწინებული შეღავა-თის გამოყენების თაობაზე. შესაბამისად, ა. ღ-ე ზემოაღნიშნული მოთხოვნების თანახმად, უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის პირ-ველი ნაწილით შეფარდებული სასჯელის, 3 წლით თავისუფლების ალ-კვეთის მოხდისაგან.

20. ამავდროულად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ამავე „ამნისტიის კანონის“ მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ზე-მოხსნებული, პირველი მუხლით გათვალისწინებული სისხლისსამარ-თლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გათავისუფლება, ვრცელდება ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ რეა-ლურ სასჯელზე, პირობით მსჯავრსა და გამოსაცდელ ვადაზე, აგრეთ-ვე სხვა სასჯელზე (გარდა ჯარიმისა, ქონების ჩამორთმევისა, იარაღ-თან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვისა და სამხედრო წოდების ჩამორთმევისა). შესაბამისად, ა. ღ-ეს თბილისის სააპელაციო სასამარ-თლოს მიერ იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა 3 წლით,

უნდა დარჩეს უცვლელად, ვინაიდან წარმოდგენილ საქმეზე მისი შეცვლის სამართლებრივი საფუძველი საკასაციო პალატას არ გააჩნია.

21. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალდების მხარის საჩივარი (ა. ღ...ის ქმედების საქართველოს სსკ-ის 19.108-ე მუხლით დაკვალიფიცირების ნაწილში) არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ადვოკატის საკასაციო საჩივარი სასჯელის შემსუბუქების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 22 მაისის განაჩენში „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონზე დაყრდნობით, მსჯავრდებულ ა. ღ-ის სასიკეთოდ უნდა შევიდეს ცვლილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 301-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორ გიორგი ბეგაშვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. მსჯავრდებულ ა. ღ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატი ი. ფ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 22 მაისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

4. ა. ღ-ის მიმართ წარდგენილი ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 19.108-ე მუხლით გადაკვალიფირდეს საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველ ნაწილზე;

5. ა. ღ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს: თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა 3 წლით;

6. ა. ღ-ეს სასჯელის მოხდის ათლა დაეწყოს ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან 2023 წლის 19 მარტიდან;

7. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ა. ღ-ე გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისა და საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით შეფარდებული სასჯელის 3 წლით თავისუფლების

აღკვეთის მოხდისაგან და იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პენიტენციური დაწესებულებიდან;

8. იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ვადა ა. ღ-ეს აეთვალოს პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების მომენტიდან;

9. საქმეზე არსებული ნივთმტკიცებების ბედის გადაწყვეტა:

დანა და ნიმუშები საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ განადგურდეს კანონით დადგენილი წესით;

ტანსაცმელები საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, დაუბრუნდეთ მათ კანონიერ მფლობელებს;

დისკები საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, შენახულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით.

10. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. დაცაშაული პაროლთველობის წილადმდეგ

ოჯახური ძალადობა

განაჩენი საქართველოს სახელით

№1039აბ-24

28 ნოემბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
ლ. თევზაძე (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს გენერალური პროკურატურის სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსი პროკურორის – ალექსანდრე ჩხეიძისა და მსჯავრდებულ ს. ა-ს ინტერესების დამცველის, ადგომატ დ. მ-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 10 ივლისის განაჩენზე.

ალწერილობითი ნაწილი:

1. ნარდგენილი ბრალდების არსი:

1.1. ს. ა-ს, – დაბადებულს ... წლის ... დეკემბერს, – ბრალად ედება გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სისტემატური ცემა და სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე ან 118-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, მასზე მატერიალურად დამოკიდებული პირისა და არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ; ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ, გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შემსი, რაც გამოიხატა შემდეგში:

2022 წლის აპრილიდან ე. ხ-ი და ს. ა. იმყოფებოდნენ არარეგისტრირებულ ქორწინებაში და ეწეოდნენ თანაცხოვრებას. 2022 წლის ივლისში ე. ხ-ი დაორსულდა, რის შემდეგაც, 2022 წლის 11 აგვისტოს, მან და ს.

ა-მა ხელის მოწერით ოფიციალურად დაადასტურეს მათი ქორწინება. ს. ა. და ე. ხ-ი 2022 წლის ივლისიდან 2023 წლის 17 აგვისტოს ჩათვლით ცხოვრობდნენ ერთად, თ-ში, ვ-ი 3, მ. ზ/რ-ნი, №... კორპუსი, ბინა №...-ში. თანაცხოვრების პერიოდში, ე. ხ-ს არ ჰქონდა სამსახური და პირადი შემოსავალი, რის გამოც მატერიალურად დამოკიდებული იყო თავის მეუღლეზე – ს. ა-ზე. ე. ხ-ის ორსულობის დროს, კერძოდ, 2022 წლის ივლისიდან 2023 წლის პირველ აპრილამდე და, ასევე, შემდგომ პერიოდშიც, 2023 წლის 17 აგვისტომდე, ზემოაღნიშნულ საცხოვრებელ ბინაში, ს. ა., გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, სისტემატურად, ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ძალადობდა მატერიალურად მასზე დამოკიდებულ მეუღლეზე – ე. ხ-ზე, მათ შორის, მათი არასრულნლოვანი შვილის თანდასწრებით, კერძოდ, ხელებსა და ფეხებს ურთყყამდა სხეულის სხვადასხვა მიღამოში და სხვაგვარძალადობრივ მოქმედებებს ახორციელებდა მის მიმართ. ს. ა. ე. ხ-ს, გენდერის ნიშნით, არ თვლიდა სრულუფლებიან ადამიანად, ეპყრობოდა, როგორც ნივთს და ძალადობის გზით ცდილობდა მისი უსიტყვო მორჩილების მიღწევას. სისტემატური შეურაცხყოფისა და ძალადობის შედეგად, ე. ხ-ი განიცდიდა ფიზიკურ ტკივილს, ფსიქიკურ ტანჯვას და, როგორც ქალი, ყოველდღიურ რეჟიმში თავს გრძნობდა დამცირებულად.

2022 წლის აპრილიდან ე. ხ-ი და ს. ა. იმყოფებოდნენ არარეგისტრირებულ ქორწინებაში და ენეოდნენ თანაცხოვრებას. 2022 წლის ივლისში ე. ხ-ი და ორსულდა, რის შემდეგაც, 2022 წლის 11 აგვისტოს, მან და ს. ა-მა ხელის მოწერით ოფიციალურად დაადასტურეს მათი ქორწინება. ხსენებული პირები 2022 წლის ივლისიდან 2023 წლის 17 აგვისტოს ჩათვლით ერთად ცხოვრობდნენ თ-ში, ვ-ი 3, მ... მ/რ-ნი, №... კორპუსი, ბინა №...-ში და ენეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას. 2023 წლის 17 აგვისტოს, დაახლოებით 07:30 საათზე, თავიანთ საცხოვრებელ ბინაში, კერძოდ, თ-ში, ვ-ი 3, მ... მ/რ-ნი, №... კორპუსი, ბინა №...-ში ყოფნისას, ე. ხ-მ ს. ა-ს მათი საერთო შვილის სამედიცინო საჭიროებისთვის სთხოვა ფულადი თანხა, რამაც გამოიწვია ს. ა-ს გაღიზიანება. მან სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ე. ხ-ს, რის შემდეგაც აიყვანა მათი საერთო შვილი ხელში, მიიყვანა ღაი ფანჯარასთან და, გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, მესაკუთრული დამოკიდებულების გამოვლენით, დაემუქრა ე. ხ-ს ბავშვის ფანჯრიდან გადაგდებით. ხსენებული მუქარა ე. ხ-მ ალიქვა რეალურად და გაუჩნდა მისი განხორციელების საფუძვლიანი შიში, რის გამოც, მან აიღო მობილური ტელეფონი და უთხრა ს. ა-ს, რომ აპირებდა პოლიციაში დარეკვას. ე. ხ-ის ქმედებამ უფრო მეტად გააღიზიანა ს. ა., რის გამოც, იგი ყვირილით გაემართა მისი მიმართულებით და დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით. ხსენებული მუქარა ე. ხ-მ, ასევე, აღიქვა რეალურად და გაუჩნდა მისი განხორციელე-

ბის საფუძვლიანი შიში.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 6 მარტის განაჩენით:

2.1. ს. ა-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება საქართველოს სსკ-ის 11¹, 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „დ“, „კ“ ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე.

2.2. ს. ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ დანაშაულთა ერთობლიობით ს. ა-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2023 წლის 18 აგვისტოდან.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 10 ივლისის განაჩენით:

3.1. ბრალდებისა და დაცვის მხარეების სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 6 მარტის განაჩენი დარჩა უცვლელად.

4. კასატორმა – საქართველოს გენერალური პროკურატურის სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსმა პროკურორმა ალექსანდრე ჩხეიძემ საკასაციო საჩივრით მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 10 ივლისის განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ: ს. ა-ს დამნაშავედ ცნობა გენდერის ნიშნით, შეუწყინარებლობის მოტივით, საქართველოს სსკ-ის 11¹, 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში და შესაბამისი სასჯელის შეფარდება.

4.1. მსჯავრდებულ ს. ა-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა დ. მ-მა შესაგებლით მოითხოვა პროკურორ ალექსანდრე ჩხეიძის საკასაციო საჩივრის არდაქმაყოფილება.

4.2. კასატორმა – მსჯავრდებულ ს. ა-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა დ. მ-მა საკასაციო საჩივრით მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 10 ივლისის განაჩენის გაუქმება და ს. ა-ს გამართლება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალი-

ზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება და იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებასა და მოტივაციას ს. ა-ს მიმართ წარდგენილი ბრალდების საქართველოს სსკ-ის 11¹, 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „დ“, „კ“ ქვეპუნქტებიდან სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე გადაკვალიფიცირების თაობაზე, კერძოდ:

3. მეუღლის – ს. ა-ს მხრიდან ე. ხ-ის მიმართ სისტემატურ ცემაზე მითითებას შეიცავს მხოლოდ დაზარალებულის ჩვენება, რაც ვერ და-დასტურდა სხვა მტკიცებულებებით. დაზარალებული თავადვე განმარტავს, რომ არასდროს უთქვამს ფიზიკური ძალადობის შესახებ არავის-თვის. გარდა ამისა, მეზობლები, რომლებიც მიუთითებენ მათი ოჯახი-დან მომდინარე კონფლიქტის ფაქტებზე, საუბრობენ მხოლოდ ს. ა-ს მხრიდან მეუღლის მიმართ შეურაცხმყოფელ სიტყვებსა და ყვირილზე. მათ არ დაუსახელებიათ ფიზიკური ძალადობის არცერთი ფაქტი, ასევე არ დაუნახავთ ე. ხ-ის სხეულზე რაიმე სახის დაზიანების კვალი.

4. იმის გათვალისწინებით, რომ სისტემატურ შეურაცხყოფას ს. ა. თავის მეუღლეს აყენებდა ორსულობის პერიოდში, ცხადია, აღნიშნულ დროს ბავშვი დაბადებული არ იყო, ხოლო ბავშვის გაჩენიდან – 2023 წლის 1 აპრილიდან იმავე წლის 17 აგვისტომდე, ს. ა-სა და ე. ხ-ის შვილი იყო 4 თვის ასაკს მიღწეული, რაც, პირის განვითარების თავისებურებებიდან გამომდინარე, ვერ ჩაითვლება იმგვარ ასაკად, როდესაც იგი შეძლებდა ალექსა მშობლებს შორის მიმდინარე კონფლიქტის არსი და მიეღო მისგან გამოუსწორებელი ტრავმა. რაც შეეხება დანაშაულების ჩადენას გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, ამ მიმართებით საქმეში წარმოდგენილია ორი ურთიერთსაპირისპირო ჩვენება და ზარალებულისა და მსჯავრდებულის მხრიდან. სხვა არცერთი მტკიცებულება არ მიუთითებს რომელიმე მათგანის პოზიციის უტყუარობაზე. ე. ხ-ის გარდა, არცერთი მოწმე არ მიუთითებს იმაზე, რომ მათი თანაცხოვრების პერიოდშიდაზარალებულის, როგორც ქალის, როლი იყო დაკანინებული და მას შეზღუდული ჰქონდა რაიმე სახის უფლება, სწორედ მისი სქესიდან გამომდინარე. თავის მხრივ, ს. ა. აღნიშნავს, რომ ამგვარ დისკრიმინაციას მათ ოჯახში არასდროს ჰქონია ადგილი და მამაკაცი არ იყო წარმოდგენილი დომინანტის როლში.

5. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ვერ დადასტურდა ს. ა-ს მიერ მეუღლის მიმართ სისტემატური ცემისა და სხვაგვარი ძალადობის, არასრულწლოვნის თანდასწრებით, ასევე, დანაშაულის გენდერის ნიშნით დისკრიმინაციის მოტივით განხორციელების, სიცოცხლის მოსპო-

ბით დამუქრებისა და ადევნების შემადგენლობის სავალდებულო ნიშნები.

6. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს ბრალდების მხარის აპელირებას, რომ სასამართლომ უგულებელყო დადგენილი გარემოებები და მსჯავრდებულ ს. ა-ს ამ კონკრეტულ დანაშაულში მამხილებელი მტკიცებულებები. სასამართლო სრულად ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებები გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ვერ ადასტურებს ს. ა-ს ბრალულობას საქართველოს სსკ-ის 11¹, 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „დ“, „კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში და დამატებით აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტი განამტკიცებს *in dubio pro reo* საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს, რაც ავალდებულებს სასამართლოს, სათანადოდ შეაფასოს მტკიცებულებები, სამართლიანად გადაჭრას სამხილებს შორის არსებული წინააღმდეგობები და ამ პროცესში წარმოშობილი ყოველგვარი გონივრული ეჭვი გადაწყვიტოს ბრალდებულის უდანაშაულობის, მისი თავისუფლების სასარგებლოდ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

7. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ საქმეზე განაჩენში წარმოდგენილია საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობას. ა-ს მიერ მეუღლის – წინასწარი შეცნობით ორსულებ. ხ-ის მიმართ სისტემატური შეურაცხებულისა და დამცირების, ასევე მის მიმართ სიცოცხლის მოსპობის მუქარის ჩადენის დასადასტურებლად.

8. დაზარალებულ ე. ხ-ის ჩვენებით, იგი ს. ა-თან დაქორწინებულია 2022 წლის 10 აპრილიდან. თავდაპირველად ცხოვრობდნენ საგარეჯოში – ს-ის მშობლების ბინაში, თუმცა მალევე უზდა გადასულიყვნენ ცალკე საცხოვრებლად თ-ში, რის შესახებაც იცოდა დედამთილმა – გ. ხ-მა, რაც მას არ მოსწონდა. სწორედ ამის გამო დაეძაბათ ურთიერთობა. დაახლოებით თვენახევარში, გადავიდნენ დედამისთან – ზ. ხ-თან დროებით საცხოვრებლად, რის შემდეგაც მისმა მეუღლემ იყიდა ბინა ვ-ში და იქ გადავიდნენ საცხოვრებლად. ამასთან, მისმა მეუღლემ ბინა გააფორმა დედამისის სახელზე, რადგან, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ს-ს ჰყავდა ხუთი ცოლი და არ სურდა, რომელიმეს მოეთხოვა წილი. ვ-ში საცხოვრებლად გადავიდნენ 2022 წლის 16 ივლისს, რის შემდეგაც, მალევე შეიტყვეს მისი ორსულობის შესახებ და სწორედ აღნიშნულის შემდეგ დაიწყო ს. ა-მა მასზე ძალადობა. ვინაიდან თვითონ არ მუშაობდა და მატერიალურად ქმარზე იყო დამოკიდებული, ორსუ-

ლობიდან გამომდინარე. საჭიროებისთვის თანხას სთხოვდა მეუღლეს, რაც მას აღიზანებდა და ეუბნებოდა, რომ ფული გამოერთმია დედა-მისისთვის, რადგან მას აღარ ჰქონდა და ამ საკითხე საუბრისას მასზე ფიზიკურად ძალადობდა, კერძოდ, ახრჩობდა, ურტყამდა სახესა და ფეხებში. ძალადობის ზუსტი რიცხვები არ ახსოვს, თუმცა ივლისიდან სექტემბრის ჩათვლით ხუთჯერ მაინც იძალადა მასზე. სექტემბრის დასაწყისში ხელი ჩაარტყა სახეში, რის გამოც წაბორისებდა, თვალებში დაუბნელდა და კინაღამ წაიქცა. ასევე, დეკემბერში, ვიტამინის ყდვაზე წამოწყებული კონფლიქტისას, ს-მ მუშტი ჩაარტყა სახეში, რის გამოც გაუჩნდა კოპი და ჰქონდა ჩალურჯებები. აღნიშნულის შესახებ არავისთვის უთქვამს, რადგან რცხვენოდა და, ამასთან, ს-ი ემუქრებოდა, რომ თუ ვინმეს ეტყოდა, მოკლავდა. როდესაც ჩალურჯებები ეტყოდა, ცდილობდა, გარეთ არ გასულიყო, რადგან არავის შემჩნია, ხოლო პედიატრთან ვიზიტები წინასწარ იყო დაჯავშნილი და ს-ი წინა დღეებში ფიზიკური ძალადობისგან თავს იკავებდა. ორსულობის დროს, კერძოდ, 2022 წლის აგვისტოში, ს. ა-ს ნათესავის სახლში სტუმრად ყოფნისას, მასზე იძალადა გ. ხ-მაც, რომელმაც ბოთლი ჩაარტყა თავში, რის გამოც სურდა სასწრაფოსა და პოლიციის გამოძახება, თუმცა ს. ა-მ წაართვა ტელეფონი და უხეშად გაიყვანა სახლიდან. თვითონ მოითხოვა, რომ დედამისთან წაეყვანა, რომელსაც მოუყვა მომხდარის შესახებ. დედამისიც აპირებდა პოლიციის გამოძახებას, თუმცა ს-მ სთხოვა, რომ არ დაერევა და დაპირდა, რომ გაწყვეტდა კავშირს მშობლებთან.

9. დაზარალებულის გადმოცემით, 2023 წლის 1 აპრილს შეეძინათ შვილი, რის გამოც იმედი ჰქონდა, რომ ს. ა. შეწყვეტდა ძალადობას, თუმცა მან აღნიშნულის შემდეგაც განაგრძო მასზე სისტემატური ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა, კერძოდ, 2023 წლის 1 აპრილიდან 2023 წლის 17 აგვისტომდე პერიოდში, ფიზიკურად ძალადობდა კვირაში ერთხელ ან ორჯერ მაინც. ს. ა. ბავშვის წინაშე სცემდა და აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას. კონფლიქტისა და ძალადობის მიზეზი ყოველ ჯერზე მატერიალური საკითხები იყო. ყველა მის თხოვნაზე, იქნებოდა ეს ბავშვის ტანსაცმელი თუ რაიმე სხვა საჭიროება, იწყებდა გინებას, რის შემდეგაც ურტყამდა ხელებს და მუშტებს სახის არეში და ფეხებში. არც აღნიშნულის შესახებ უთქვამს ვინმეს-თვის, რადგან ეშინოდა. ეკონომიკური ძალადობა იმაში გამოიხატებოდა, რომ ორსულობისა და შემდეგ ახალშობილის მოვლის გამო არ მუშაობდა და არ ჰქონდა პირადი შემოსავალი, ფინანსურად დამოკიდებული იყო მეუღლეზე, რომელიც თვითონ რასაც ჩათვლიდა საჭიროდ, მხოლოდ იმას ყიდულობდა, ხოლო მას არ ჰქონდა რაიმეს მოთხოვნის უფლება. დედამისი – ზ. ხ-ი აძლევდა მისი და ბავშვის საჭიროებისათ-

ვის თანხას.

10. ე. ხ-ის ჩვენების თანახმად, 2023 წლის 17 აგვისტომდე, სამი დღით ადრე, შეამწინა, რომ ბავშვი თავს უცნაურად აქნევდა და სთხოვა მეუღლეს, რომ წარმატებისათვის ბავშვი და სამზარეულოს ფანჯრიდან გადასწინა გარეთ, თან ეუბნებოდა, რომ გადააგდებდა ბავშვს და მოკლავდა, რადგან თავი მოაპეზრეს მან და მისმა შეკილმა. ე. ხ-ს ძალიან შეეშინდა და დაუწყო ყვირილი, რათა თავი დაენებებინა ბავშვისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, დარეკავდა პოლიციაში. აღნიშნულზე კიდევ უფრო გაღიზიანდა ს-ი და დაემუქრა, რომ მასაც მოკლავდა. მხოლოდ ის მოიფიქრა, რომ აიღო ტელეფონი და ისე, რომ არც კი გამოუცვლია, ღამის პერანგში ჩაცმულმა სწრაფად ჩაირბინა ეზოში და დარეკაპოლიციაში. ეზოდან ხედავდა, რომ ს. ა-ს ბავშვი კვლავ ფანჯრის გარეთ ეჭირა, რითაც მიანიშნებდა, რომ გადააგდებდა. მეუღლის მხრიდან მოკვლის მუქარა აღიქვა რეალურად, რადგან ფიქრობდა, რომ, თუ ბავშვი არ შეეცოდა, გადაკიდა ფანჯრიდან და უპირებდა გადაგდებას, არც მას დაინდობდა. ჯერ პოლიციაში დარეკა, შემდეგ კი – დედამისთან. დაახლოებით 15 წუთში მივიდა პოლიცია და სასწრაფო. დაზარალებულის განმარტებით, გენდერული ძალადობა გამოიხატა იმაში, რომ ს-ი უშლიდა მეზობლებთან ურთიერთობას, რის გამოც, მათ თითქმის არ იცნობდა, ასევე, უმოწმებდა სატელეფონო მიმოწერებს, არ უტოვებდა არც ფულს, არც ბარათს, რის გამოც არ გამოდიოდა სახლიდან და ძირითადად იყო სახლში. მხოლოდ პედიატრის რეკომენდაციით, ბავშვს ასეირნებდა კორპუსის მიმდებარედ, რა დროსაც, მასთან ერთად იყო ს-იც, რადგან მარტო არ ყოფილიყო ეზოში ჩასული. ე. ხ-ი ვრცლად აღნერს მასასა და ს. ა-ს შორის არსებულ ურთიერდამოკიდებულებას და ცალსახად ამხელს მას როგორც სისტემატურ ფიზიკურ ძალადობაში, ასევე სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებასა და 2023 წლის 17 აგვისტოს მუქარის ჩადენაში. დაზარალებული ასევე საუბრობს ეკონომიკურად მეუღლეზე დამოკიდებულებაზე და იმ შეზღუდვებზე, რომელსაც ს. ა. უნესებდა მას.

11. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დაზარალებულ ე. ხ-ის ჩვენება თანხვდენილია საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან, კერძოდ, მოწმეების – ზ. ხ-ის, ხ. ჩ-ს, შ. მ-ს, გ. ნ-ს, დ. ბ-ს ჩვენებთან.

12. ლევან სამხარაულის სახელმის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო-ფიქოლოგიური ექსპერტიზის №... დასკვნი, საექსპერტო კვლევის შედეგებით, ე. ხ-ის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა ფასდება ფსიქოლოგიურ ტანჯვად.

13. საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი, ამავე დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმარ-

თველოს სარგებლობაში არსებული ავტომობილის ბორტკომპიუტერის (ბორტის №) აუდიო-ვიდეოჩანაწერითა და აღნიშნული აუდიო-ვიდეო ჩანაწერის დათვალიერების ოქმით დგინდება, რომ აღნიშნული ავტო-მობილით საპატრულო ეკიპაჟი მივიღა შემთხვევის ადგილზე და გაჩერდა იქვე მდგარი საპატრულო პოლიციის მანქანის უკან. კადრში ჩნდება ლია ფერის შორტებსა და მოკლესახელოებიან მასურში ჩაცმული ე. ხ-ი, რომელიც საუბრობს ტელეფონზე და იყურება მალლა. შემდეგ კადრში ჩნდება სამაშველო ეკიპაჟის თანამშრომელი, რომელიც ესაუბრება ე. ხ-ს და ორივე მათგანი იყურება მაღლა, რის შემდეგაც ორივე მათგანი მიერთება კორპუსის მიმართულებით. მოგვიანებით კადრში ჩნდება სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა, სამაშველო ეკიპაჟის წარმომადგენლები და საპატრულო პოლიციის დამატებითი ეკიპაჟის ავტომანქანა. რამდენიმე წუთში, ასევე, კადრში ჩნდება ზ. ხ-ი, რომელიც სირბილით მიდის პატრულ-ინსპექტორთან, ესაუბრება მას და შემდეგ, ორივე ერთად, მიერთებიან კორპუსისკენ. ასევე, რამდენიმე წუთის შემდეგ, კადრში ჩნდება შავ მოკლესახელოებიან მაისურში ჩაცმული ს. ა., რომელიც საუბრობს ტელეფონზე და ჩერდება საპატრულო ავტომანქანასთან. მას უკან მოჰყვება ორი პატრულ-ინსპექტორი. ამის შემდეგ, სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა და საპატრულო პოლიციის მანქანები ტოვებენ ტერიტორიას. საპატრულო პოლიციის ავტომანქანა, ასევე, იწყებს გადაადგილებას და ჩერდება პოლიციის შენობასთან.

14. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ზემოაღნიშნული ვიდეოჩანაწერით კიდევ უფრო სარწმუნო ხდება ს. ა-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება 2023 წლის 17 აგვისტოს მუქარის ფაქტთან დაკავშირებით, რამდენადაც მისი შინაარსი სრულადაა თანხვდენილი დაზარალებულისა და მოწმების მიერ სასამართლოსთვის მიცემულ ჩვენებებთან, ასევე, მითითებულ დღეს ე. ხ-ის მიერ „112-ში“ გაკეთებული შეტყობინების შინაარსთან, რომლის თანახმადაც, ზარის ინიციატორის განმარტებით, მეუღლესთან აქვს კონფლიქტი, რომელიც იმუქრება ფანჯრიდან მათი ოთხი თვის ბავშვის გადაგდებით. ინიციატორი ტირის და ითხოვს დახმარებას.

15. 2023 წლის 17 აგვისტოს მუქარის ფაქტზე მითითებას შეიცავს ე. ხ-თან ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმიც და ასევე ინფორმაციულია №... შემაკავებელი ორდერის ოქმი. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ასევე მნიშვნელოვანია ე. ხ-ის „სამსუნგ-ის“ ფირმის galaxy a10 მოდელის მობილური ტელეფონიდან გამოთხოვილი, დაზარალებულის მობილურ ტელეფონში არსებული ფეისბუქის აპლიკაცია „მესენჯერში“ მასა და ნ. ქ-ს (რეგისტრირებულია სახელით „ნ.“), მორის მიმოწერის ამსახველი ე. ნ. სქრინმოთები.

16. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მტკიცებულებათა შეფასებისას ხელმძღვანელობს მტკიცების „გონივრულ ეჭვს მიღმა“ სტანდარტი; აღნიშნული სტანდარტი უნდა გამომდინარეობდეს საკმაოდ მყარ, ზუსტ და თანმხვედრ ფაქტებზე დამყარებული ვარაუდიდან ან მსგავსი უტყუარი ფაქტების პრეზუმუტივიდან („ულკუ ეკინჯი თურქეთის წინააღმდეგ“, (Ülkü Ekinci v. Turkey), №27602/95, 16/07/2002, გ 142); ამ შემთხვევაში საქმეში არსებული, კანონიერი გზით მოპოვებული, უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლივი ანალიზით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დასტურდება ს. ა-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენის ფაქტი.

17. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე იმ პირზე, რომელმაც ჩაიდინა ოჯახური დანაშაული (გარდა ამ კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით ან მე-7 მუხლით განსაზღვრული ოჯახური დანაშაულისა), ამ მუხლის პირველი ან მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია გავრცელდება, თუ თითოეული დაზარალებული ამ კანონის აღსრულებისას გამოძიების ორგანოს ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ აღნიშნულ პირზე გავრცელდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია, და თუ ეს პირი თანახმაა, რომ მის მიმართ „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ამ პირის მიერ ძალადობის განმეორების რისკის შეფასების გარეშე გამოიცეს დამცავი ორდერი იმ ვადით, რომლითაც მას ამნისტიის შედეგად შეუმცირდა სასჯელი, მაგრამ არაუმეტეს 9 თვისა. დამცავი ორდერით გასათვალისწინებელი შეზღუდვების ფარგლებს განსაზღვრავს მოსამართლე.

18. მართალია, საქმეში წარმოდგენილია მსჯავრდებულ ს. ა-ს თანხმობა მის მიმართ დამცავი ორდერის გამოცემაზე, თუმცა დაცვის მხარეს არ წარმოუდგენია დაზარალებულის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, რომ მსჯავრდებულზე გავრცელდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია.

19. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მოკლებულია საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის გავრცელების შესაძლებლობას.

20. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3

პუნქტის თანახმად, ოჯახური დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში უნდა გაუნახევრდეს დანიშნული სასჯელი განზრახი დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის არმქონე პირს, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით ან მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, თუ თითოეული დაზარალებული ამ კანონის აღსრულებისას გამოძიების ორგანოს ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ აღნიშნულ პირზე გავრცელდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია, და თუ ეს პირი თანახმაა, რომ მის მიმართ „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ალკვეტის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ამ პირის მიერ ძალადობის განმეორების რისკის შეფასების გარეშე გამოიცეს დამცავი ორდერი იმ ვადით, რომლითაც მას ამნისტიის შედეგად შეუმცირდა სასჯელი, მაგრამ არაუმეტეს 9 თვისა. დამცავი ორდერით გასათვალისწინებელი შეზღუდვების ფარგლებს განსაზღვრავს მოსამართლე.

21. საკასაციო სასამართლო კვლავ აღნიშნავს, რომ მართალია, საქმეში წარმოდგენილია მსჯავრდებულ ს. ა-ს თანხმობა მის მიმართ დამცავი ორდერის გამოცემაზე, თუმცა დაცვის მხარეს არ წარმოუდგენია დაზარალებულის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, რომ მსჯავრდებულზე გავრცელდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია.

22. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მოკლებულია საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის გავრცელების შესაძლებლობას.

23. „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ამ კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ოჯახური დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პირზე ამ მუხლის პირველი ან მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია გავრცელდება, თუ იგი თანახმაა, რომ მის მიმართ „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ალკვეტის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ამ პირის მიერ ძალადობის განმეორების რისკის შეფასების გარეშე გამოიცეს დამცავი ორდერი იმ ვადით, რომლითაც მას ამნისტიის შედეგად შეუმცირდა სასჯელი, მაგრამ არაუმეტეს 9 თვისა. დამცავი ორდერით გასათვალისწინებელი შეზღუდვების ფარგლებს განსაზღვრავს მოსამართლე.

24. საქმეში წარმოდგენილია მსჯავრდებულ ს. ა-ს განცხადება, რომ იგი თანახმაა, მის მიმართ გამოიცეს დამცავი ორდერი.

25. ამდენად, „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ ს. ა-ს საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა უნდა შეუმცირდეს ერთი მეექვსედით, რაც შეადგენს 10 თვეს. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ს. ა-სათვის დანიშნულმა უფრო მკაცრმა სასჯელმა – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა უნდა შთანთქოს ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ მას დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

26. ამასთან საკასაციო სასამართლო მიუთითებს შემდეგს: მართალია, „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ამ კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ოჯახური დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პირზე ამ მუხლის პირველი ან მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია გავრცელდება, თუ იგი თანახმაა, რომ მის მიმართ გამოიცეს დამცავი ორდერი, მაგრამ, მოცემულ შემთხვევაში, მსჯავრდებულ ს. ა-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე არ გავრცელდა „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონი და მას საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა ამ მუხლით დანიშნული სასჯელი; ხოლო დამცავი ორდერის გამოცემით მდიმდება მსჯავრდებულის სამართლებრივი მდგმარეობა, ვინაიდან სასჯელის ვადის მოხდის შემდეგ მას მოუწევს „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ს. ა-ს მიმართ არ უნდა გამოიცეს დამცავი ორდერი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს გენერალური პროკურატურის სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსი პროკურორის – ალექსანდრე ჩხეიძისა და მსჯავრდებულ ს. ა-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. მ-ს საკა-

საციონ საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-
მეთა პალატის 2024 წლის 10 ივლისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. ს. ა-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება საქართველოს სსკ-ის
11¹, 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „დ“, „კ“ ქვეპუნქტებიდან გადაკ-
ვალიფიცირდეს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე;

4. ს. ა. ცნობილი იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხ-
ლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“
ქვეპუნქტით და მიესაჯოს:

სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 1 (ერთი) წლი-
თა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა;

სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით – 1 (ერთი)
წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის
17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის
საფუძველზე შეუმცირდეს ერთი მეექვსედით და განესაზღვროს 10
(ათი) თვით თავისუფლების აღკვეთა;

5. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფ-
რო მკაცრმა სასჯელმა შთანთქოს ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ,
დანაშაულთა ერთობლიობით, ს. ა-ს სასჯელის სახედ და ზომად განე-
საზღვროს 1 (ერთი) წლითა და 6 (ექვსი) თავისუფლების აღკვეთა;

6. მსჯავრდებულ ს. ა-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს
დაკავების მომენტიდან – 2023 წლის 18 აგვისტოდან;

7. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ნივთიერი
მტკიცებულებები:

ს. ა-ს პირადი ჩერეკის შედეგად ამოღებული: SAMSUNG J5 ფირმის
მობილური ტელეფონი, სიმი ბარათით; №.. სამსახურებრივი მოწმობა;
პირადობის მოწმობა; 1 (ერთი) ცალი „ლ-ს“ პლასტიკური ბარათი; 1 (ერ-
თი) ცალი მეტრომანის ბარათი; გასაღებების ასხა, სამი გასაღებითა
და „მაი ქლაბის“ ბარათით; ს. ა-ს სახელზე გამოწერილი №... შემაკავე-
ბელი ორდერი; ფულადი თანხა – 6 (ექვსი) ცალი ერთლარიანი და 4 (ოთ-
ხი) ცალი 50-თეთრიანი, ჯამში 8 (რვა) ლარი (რაც ინახება სპეციალურ
საგამოძიებო სამსახურში) დაუბრუნდეს მსჯავრდებულ ს. ა-ს ნდობით
აღჭურვილ პირს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან გა-
მოთხოვილი ავტომანქანის ბორტკომპიუტერის ჩანაწერები, განთავ-
სებული 1 (ერთი) ცალ კომპიუტერულ დისკზე; ე. ხ-ის ტელეფონიდან
გამოთხოვილი ელექტრონული ინფორმაცია (ე.ნ. სქრინშოთები), გან-
თავსებული 1 (ერთი) ცალ კომპიუტერულ დისკზე; „112-დან“ გამოთ-
ხოვილი აუდიოჩანაწერები, განთავსებული 1 (ერთი) ცალ კომპიუტე-
რულ დისკზე და „112-დან“ გამოთხოვილი საპატრულო პოლიციის სამ-

ხრე ვიდეოკამერების ჩანაწერები, განთავსებული 1 (ერთი) ცალ კომპიუტერულ დისკზე, შენახულ იქნეს საქმისთან ერთად, სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით;

8. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ქმედების გადაკვალიფიცირება ქარცვის მცდელობიდან ქალადობაზე

განაჩენი საქართველოს სახელით

№1086აპ-24

28 ნოემბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
ლ. თვეზაძე (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის გლდანი-ნაძალადე-
ვის რაიონული პროკურატურის პროკურორ მარიამ ბეგიაშვილის საკა-
საციონ საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამარ-
თლის საქმეთა პალატის 2024 წლის 23 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თ. ტ-ს ბრალად დაედო, რომ მან ჩაიდინა ძარცვის მცდელობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლების მცდელობა მართლსა-
ნინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ძალადობით, რომე-
ლიც არ არის საშიში სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის, იმის მიერ
ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსა-
ნინააღმდეგო მისაკუთრებისათვის (დანაშაული გათვალისწინებული
საქართველოს სსკ-ის 19.178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ და მე-4 ნაწი-
ლის „გ“ ქვეპუნქტებით);

1.1. თ. ტ-ის მიმართ ბრალად ნარდგენილი ქმედება გამოიხატა
შემდეგით:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 4 აპრილის განაჩე-
ნით, თ. ტ-ი ცნობილიქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხ-
ლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალის-
წინებული დანაშაულის ჩადენისთვის; თბილისის საქალაქო სასამარ-

თლოს 2014 წლის 15 აპრილის განაჩენით თ. ტ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 23 ივნისის განაჩენით თ. ტ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 30 მაისის განაჩენით თ. ტ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის;

1.2. 2023 წლის 7 ივნისს, დაახლოებით, 16:00 საათიდან 17:00 საათამდე, თ-ი, გ-ს, მე-6 მ/რაიონის, №... კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო საკუთრებისთვის ოთხჯერ ნასამართლებმა თ. ტ-მა სცემა ტ. მ-ე, კერძოდ, რამდენჯერმე მუშტი დაარტყა სახის და ფეხი – წელის არეში, რა დროსაც სცადა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, აშკარად, დაუფლებოდა მის კუთვნილ ფასეულ ნივთებს.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 21 მარტის განაჩენით:

2.1. თ. ტ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 19.178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველ ნაწილზე.

2.2. თ. ტ-ი, დაბადებული ... წლის ... სექტემბერს, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით; საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 30 მაისის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი 3 წლით თავისუფლების აღკვეთიდან – 1 წელი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, თ. ტ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 2 წლით, რომელიც აეთვალა დაკავებიდან – 2023 წლის 8 ივნისიდან.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 23 ივნისის განაჩენით:

3.1. ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკ-

მაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 21 მარტის განაჩენი დარჩა უცვლელად.

4. კასატორი – პროკურორი მარიამ ბეგიაშვილი ითხოვს თ. ტ-ის ქმედების საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილიდან საქართველოს სსკ-ის 19.178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტსა და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე გადაკვალიფიცირებას და მისთვის სამართლიანი სასჯელის განსაზღვრას.

5. დაცვის მხარეს ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარზე შესაგებელი არ წარმოუდგენია.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ პროკურორის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 23 ივნისის განაჩენში, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის საფუძველზე, უნდა შევიდეს ცვლილება.

2. წარმოდგენილი საქმის მასალებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თ. ტ-ზა ჩაიდინა არა – ტ. მ-ის ძარცვის მცდელობა (საქართველოს სსკ-ის 19.178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი), არამედ ცემა (საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილი).

3. საკასაციო სასამართლო ეთანხმება და იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ქმედების გადაკვალიფიცირების ნაწილში და მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საქმის მასალებით, მათ შორის – მოწმეების ნ. ჯ-სა და შ. მ-ს ჩვენებებით, ექსპერტიზის დასკვნებით, უტყუარად, გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცების სტანდარტით, დასტურდებათ. ტ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტი, კერძოდ:

4. პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნებული დაზარალებულ ტ. მ-ის გამოკითხვის ოქმის თანახმად, იგი გადადგილდებოდა ხელჯოხით, მარჯვენა თვალით ვერ ხედავდა, მარცხენა თვალით კი – ნაწილობრივ. 2023 წლის 7 ივნისს, აფთიაქში წამლების შესაძენად გავიდა. მივიდა სალაროსთან და უთხრა, თუ რა წამლები სურდა. ამ დროს აფთიაქში, დაახლოებით, 45-50 წლამდე მამაკაცი შევიდა. დაზარალებულმა შეიძინა წამლები, რომლებიც შარვლის მარცხენა ჯიბეში ჩაიდო და აფთიაქიდან გავიდა. ამის შემდეგ, ზე-

მოხსენებული მამაკაცი უკან გაჰყვა, დაეწია, გაუყარა ხელი მარცხენა მკლავში და უთხრა, რომ სახლში წაიყვანდა, რაზეც უარი მიიღო. მამაკაცმა ხელი გაუშვა. შემდეგ კვლავ დაეწია, უკნიდან ხელი მოჰკიდა, შემოაბრუნა და კვლავ შესთავაზა სახლში წაიყვანა. როდესაც დაზარალებული შებრუნდა, უცნობმა მამაკაცმა შეაგინა და ხელი ძლიერად დაარტყა სახეში მარცხენა მხარეს, დაახლოებით, ხუთჯერ, რის შედეგადაც განიცადა ძლიერი ფიზიკური ტკივილი. დარტყმის შედეგად წაიქცა და ბორდიურის გვერდით დაქანებულ ადგილზე ჩაგორდა. აღნიშნულმა მამაკაცმა წაქცეულს დაარტყა ფეხი წელის არეში, შემდეგ დაიხარა, ჩაუყო ხელი შარვლის მარცხენა ჯიბეში, ამოიღო წამლები, დახედა და იქვე დაყარა. ცემის დროს სახესა და ტანზე იფარებდა ხელებს, რა დროსაც ხელებზეც მოხვდა. დაიწყო ყვირილი, ჯოხი მოუქნია თავდამსხმელს და დაარტყა. ქუჩაში მოძრაობდნენ ადამიანები, რომლებიც მის ყვირილზე შეჩერდნენ. მამაკაცს შეეშინდა და გაიქცა. იმ მომენტში პერანგის ჯიბეში ედო 50 ლარი. ყვირილზე მივიდა მცხობელი, ფეხზე წამოაყენა, რის შემდეგაც წავიდა სახლში. სახლში მისვლისას, ყველაფერი შვილიშვილს, კ. მ-ეს მოუყვა, რომელმაც დარეკა „112-ის“ სამსახურში და მომხდარის შესახებ აცნობა. ცემის შედეგად მიიღო ჯანმრთელობის დაზიანება, კერძოდ, სახეზე, თავსა და ორივე ხელის მტევნებზე.

5. საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის თანახმად, 2023 წლის 7 ივლისს, დაზარალებულ ტ. მ-სთან ჩატარდა საგამოძიებო ექსპერიმენტი. დაზარალებულმა მიუთითა ადგილზე, სადაც დაეწია აფთიაქიდან გამოყოლილი მამაკაცი. ხელი მოჰკიდა და შემოატრიალა. ამ დროს უცნობმა მამაკაცმა, რომელმაც მანამდე სახლში წაყვანა შესთავაზა, ამჯერად შეაგინა და სახეში მარცხენა მხარეს დაარტყა ხელი. ბორდიურთან დაქანებულ ადგილზე დაეცა. აღნიშნულმა მამაკაცმა ფეხი ჩარტყა წელის არეში. დარტყმების შედეგად განიცადა ტკივილი. შემდეგ უცნობმა მამაკაცმა ხელი შარვლის მარცხენა ჯიბეში ჩაუყო და აფთიაქში ნაყიდი წამლები ამოაცალა, შეათვალიერა და უკან მიაყარა. საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს რაიმე ნივთი ან საგნები არ აღებულა.

6. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, 11.07.2023 წელს პირადი შემოწმებისას, ტ. მ-ს სხეულზე გარეგნულად აღნიშნებოდა დაზიანებები სისხლნაჟღენთებისა და ნაჭდევების სახით, რომლებიც განვითარებული არიან რამე მკერივი ბლაგვისაგნის მოქმედების შედეგად და მიეკუთვნებიან სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის მოუწლელად და ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგებიან დადგენილებაში მითითებულ თარიღს (07.07.2023 წელი).

7. მოწმე 6. ჯ-ამ განაცხადა, რომ მუშაობს თ-ი, გ-ს მე-... მ/რაიონის ...

კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ საცხობში. 2023 წლის 7 ივლისს, დაახლოებით 17:00 საათზე სამსახურში იყო, რა დროსაც გან-ნირული ხმა მოესმა. გავიდა გარეთ, თუმცა, პირველ გასვლაზე ვერა-ვინ დაინახა. შემდეგ კვლავ გაიგონა ხმა, გავიდა საცხობიდან და ნახა, რომ ... კორპუსის გვერდით, ბუჩქებთან წაქცეული იყო ასაკოვანი მა-მაკაცი. მამაკაცს სისხლი მოსდიოდა, ძირს ეგდო ქუდი და აფთიაქის ბარათი. მამაკაცმა უთხრა, რომ აფთიაქიდან უკან გაჰყევა მამაკაცი, ზოლებიანი მაისურით, რომელმაც დაარტყა ხელი, ჯიბეში ხელი ჩაუყო და გაიქცა. მამაკაცი ააყენა და გამოიყვანა ტროტუარზე. ამ დროს ელოდებოდა მომხმარებელი და საცხობში წავიდა. მამაკაცი, ზოლებია-ნი მაისურით არ დაუნახავს.

8. მოწმე შ. მ-მ განაცხადა, რომ 2023 წლის 7 ივლისს, 16:00 საათიდან 17:00 საათამდე, მცირებლოვან შვილებს ასეირნებდა. მან დაინახა ასაკოვანი მამაკაცი ხელჯოხით, რომელსაც ესაუზრებოდა შუახნის მამაკაცი. მამაკაცს ეხურა შავი კეპი და ეცვა მაისური შავი და ლურჯი ზოლებით. ახალგაზრდა მამაკაცმა რამდენჯერმე დაარტყა ასაკოვან კაცს, რომელიც გადავარდა ბუჩქებში. მამაკაცი ითხოვდა შველას. მოძალადე მამაკაცი გაჰყევა უკან და გააგრძელა ცემა. ფიზიკურად ვერ დაეხმარებოდა, ვინაიდნა, ბავშვი ეჭირა ხელში. ამ დროს საცხობიდან გამოვარდა მამაკაცი, ქალბატონებიც მოგროვდნენ. დარბაზში მყოფი პირი არის სწორედ ის პიროვნება, რომელმაც სცემა ასაკოვან მამაკაცს. ამოცნობის დროს დანამდვილებით ამოიცნო ბრალდებული.

9. ამოცნობის ოქმის თანახმად, 2023 წლის 8 ივლისს, შ. მ-მ ამოიცნო თ. ტ-ი და განმარტა, რომ თ. ტ-ი არის ის პიროვნება, რომელმაც 2023 წლის 7 ივლისს, გ-ს მე-... მ/რაიონის ... კორპუსის მიმდებარე ტერიტო-რიაზე, სცემა ასაკოვანი მამაკაცს, რომელსაც დაარტყა სახეში რამ-დენჯერმე და შემდეგ ჩავარდა ეს პიროვნება კორპუსთან.

10. მოწმე კ. მ-მ განაცხადა, რომ არის დაზარალებულის შვილიშვი-ლი. 2023 წლის 7 ივლისს, ბაბუას, ტ. მ-ს თავსა და ხელზე ჰქონდა სი-ლურჯეები. იფიქრა, რომ დაეცა. ბაბუამ უთხრა, რომ აფთიაქიდან გაჰ-ყვა უცნობი მამაკაცი, რომელმაც შესთავაზა სახლში წაყვანა, რაზე-დაც განუცხადა უარი. უცნობმა მამაკაცმა კვლავ შესთავაზა, სახლში წაყვანა. ბაბუამ გააგრძელა გზა, მამაკაცი დაეწია, შემოატრიალა და დაარტყა ხელი. ტ. მ-ე წაიქცა და დაგორდა ბუჩქების მხარეს. იქაც-ყვა, დაუწყო ფეხებით ცემა, ჩაუყო ჯიბეში ხელი და პმოაცალა წამლე-ბის შეკვრა, რომელიც ესროლა, დაიშალა და დაიფანტა; მოქალაქეებმა შეუგროვეს წამლები და მიიტანა სახლში. ტ. მ-ს თანხა ჯიბეში ედო. მოწმემ დარეკა „112“-ში, ჯიბეში ხელის ჩაყოფა და წამლების ამოღება დააკავშირა ძარცვასთან, რაც უთხრა ოპერატორს.

11. შპს „პ-ნ“ გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, კადრში ფიქ-

სირდება ხანშიშეუსული, მოხუცებული მამაკაცი, ტ. მ-ე. იგი ნელი ნაბიჯით უახლოვდება „ა“-ს აფთიაქს, ჯოხის დახმარებით ადის აფთიაქის წინ არსებულ კიბეებზე და შედის აფთიაქის სივრცეში. შემდგომ, კადრში ჩნდება შუა ხნის მამაკაცი, რომელსაც აცვია ლურჯი ჯინსის შარვალი, თეთრი და ლურჯი ზოლებით განყობილი მოკლემკლავიანი მაისური, მუქი ფერის საზაფხულო ქუდი ე.წ. „კეპი“, მარცხენა მაჯაზე უკეთია მაჯის საათი, ხოლო ორივე მკლავის მტევანი მოხატული აქვს ტატუირებით. აღნიშნული პიროვნება არის თ. ტ-ი. აფთიაქიდან გამოდის ტ. მ-ე, რომელსაც მარჯვენა ხელში უკავია კვლავ ხელჯოხი და მასთან ერთად – ცელოფნის პარკი. იგი ჩადის აფთიაქის წინ არსებულ კიბის საფეხურებზე, რა დროსაც, აფთიაქის კარიდან გამოდის თ. ტ-ი, რომელიც სწრაფი ნაბიჯით ჩადის კიბეებზე, ენევა ტ. მ-ს და ორივე ერთად გადიან კამერის ხედვის არიდან. მეორე კამერის ჩანაწერში, ჩანაწერის დროით 16:22:15 საათზე, აფთიაქის სივრციდან გამოდის ტ. მ-ე, რომელიც ნელი ნაბიჯით და ხელჯოხის დახმარებით ჩადის აფთიაქის კიბეებიდან. მალევე, აფთიაქიდან გამოდის თ. ტ-ი, რომელიც უახლოვდება ტ. მ-ს მარჯვენა მხრიდან და მარჯვენა მკლავზე ჰკიდებს ხელს, რის შემდეგაც აყოვნებს ტ. მ-ს და ხელების დემონსტრირებით იწყებს მასთან საუბარს. 16:22:46 საათზე, თ. ტ-ი მარცხენა ხელს კვლავ ჰკიდებს ტ. მ-ს და მარჯვენა ხელის დემონსტრირებითა და საუბრით აგრძელებს მასთან ერთად გადაადგილებას ფეხით მოსიარულეთა ბილიკის გასწვრივ, ისე რომ, თ. ტ-ს ხელი მოკიდებული აქვს ტ. მ-ზე და ხელით მიჰყავს. 16:23:02 საათზე, ტ. მ-ე აშვებინებს თ. ტ-ს ხელს და ჩერდებიან იქვე საფეხმავლო ბილიკზე, სადაც თ. ტ-ი, კვლავ ხელების დემონსტრირებით იწყებს ტ. მ-სთან საუბარს, რის შემდეგაც 16:23:10 საათზე ტ. მ-ე აგრძელებს გზას ფეხით მოსიარულეთა ბილიკზე, რომელსაც უკნიდან ასევე ნელი ნაბიჯით მიჰყავება თ. ტ-ი. ორივე ერთად აგრძელებენ ფეხით მოსიარულეთა ბილიკზე გადაადგილებას შ. მ-ს ქუჩის საავტომობილო გზის მიმართულებით, რის შემდეგაც, ჩანაწერის დროით 16:24:00 საათზე, ქრებიან კამერიდან.

12. შემდეგ ჩანაწერში ფიქსირდება აფთიაქის შიდა სივრცე. 16:06:03 საათზე აფთიაქის სივრცეში შედის ტ. მ-ე, რომელიც მარცხენა მხრიდან რიგით მე-2 სალაროსთან, სადაც იწყებს მოლარესთან საუბარს. ჩანაწერის დროით 16:16:47 საათზე, კადრში შემოდის თ. ტ-ი, რომელიც პირდაპირ მიდის სალარო მაგიდის მიმართულებით და ჩერდება ტ. მ-ის მარცხენა მხარეს, რიგით პირველი სალაროს გვერდით, მენეჯერისა და საწყობის ოთახში შესასვლელ სივრცეში, რის შემდეგაც, 16:20:55 საათზე, იწყებს ტ. მ-სკენ მოძრაობას და ჩერდება მის მარცხნივ პირველი სალაროს პირდაპირ. ჩანაწერის დროით 16:21:45 საათზე, ტ. მ-ე იღებს ხელჯოხს, იწყებს გასასვლელი კარისკენ მოძრაობას და 16:22:17 საათ-

ზე გადის აფთიაქის სივრციდან. ჩანაწერის დროით 16:22:22 საათზე, თ. ტ-ც იწყებს გასასვლელი კარისკენ მოძრაობას და 16:22:33 საათზე, გადის აფთიაქის სივრციდან.

13. ჰაბიტუსკოპიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ექსპერტიზაზე წარმოდგენილ დასკვებზე არსებულ ვიდეოგრამებსა და ჰაბიტუსკოპიურ მონაცემთა ერთიან ბაზაში რიცხულ, წელს დაბადებულ თ. ტ-ს (პ/ნ ...) სახელზე შევსებულ ელექტრონულ საინფორმაციო ბარათზე ასახულ ფოტო გამოსახულებაზე, დაფიქსირებულია ერთი და იმავე პიროვნების იერსახის გამოსახულება.

14. ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ერთი მხრივ, დეტალურად მიმოიხილა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები (რასაც სრული მოცულობით საკასაციო პალატა აღარ გაიმეორებს), ხოლო, მეორე მხრივ, მათ შინაარსზე დაყრდნობით, შესაბამისი არგუმენტების მითითებით, მართებულად და-ადგინა, რომ თ. ტ-ს ტ. მ-ის ძარცვის მცდელობა არ ჩაუდენია. მოწმეები, რომლებიც შემთხვევის ადგილის მიმდებარედ იმყოფებოდნენ, არ მიუთითებენ ქმედების ძარცვად დაკვალფიცირებისათვის აუცილებელ ელემენტებზე. მოწმე ნ. ჯ-ს მამაკაცი ზოლებიანი მაისურით არ დაუნახავს, ხოლო მოწმე შ. მ-მ მიუთითა და აღწერა მხოლოდ ცემის ფაქტი. თავად დაზარალებულის ჩვენება არის გამოქვეყნებული და შესაბამისად, უშუალოდ ძარცვის მცდელობის ნაწილში, მხოლოდ მის შინაარსზე დაყრდნობა, სხვა მტკიცებულებით გამყარების გარეშე, ეწინააღმდეგება საქართველოს სსკ-ის 243-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნას, რომელშიც პირდაპირ მითითებულია, რომ არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად მხოლოდ აღნიშნული სახის მტკიცებულება დაედოს.

15. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს წარმოდგენილ მტკიცებულებებსა და ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის შინაარსზე დაყრდნობით, მიაჩნია, რომ ქმედების კვალიფიკაციის ნაწილში საპელაციო პალატის გადაწყვეტილების შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს და იგი უნდა დარჩეს ძალაში.

16. რაც შეეხება მსჯავრდებულისათვის დანიშნულ სასჯელს, მასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმადაც, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან თავისუფლდება ის პირი, რომელმაც საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით (გარდა ოჯახური დანაშაულის ჩადენის შემთხვევისა) გათვალისწინებული ქმედება ჩაიდინა, თუ თითოეული დაზარალებული ამ კანონის აღსრულებისას გამოძიების ორგანოს ან სასამართლოს ნინაშე თანხმობას

განაცხადებს, რომ აღნიშნულ პირზე გავრცელდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია.

17. განსახილველ შემთხვევაში, დაცვის მთავრები წარმოადგინა კ. მ-ის განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ იგი ან გარდაცვლილი დაზარალებულის, ტ. მ-ის შვილიშვილია და როგორც მისი უახლოესი წათესავი, თანხმობას აცხადებს თ. ტ-ის მიმართ „ამნისტიის კანონის“ გამოყენების თაობაზე.

18. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ხსენებული „ამნისტიის კანონის“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ დაზარალებული ფიზიკური პირი გარდაცვლილია ან ვერ იძებნება, იმავე პუნქტში აღნიშნულ პირზე ამნისტია გავრცელდება, თუკი ამაზე თანხმობას ამ კანონით დადგენილი წესით განაცხადებს დაზარალებული ფიზიკური პირის ოჯახის ერთი სრულწლოვანი, ქმედუნარიანი წევრი (დედა, მამა, მეუღლე, შვილი), ხოლო თუ დაზარალებულ ფიზიკური პირს ოჯახის ასეთი წევრი არ ჰყავს ან დაზარალებული ფიზიკური პირის ოჯახის ასეთი წევრი ვერ იძებნება, აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია აღსრულდება. ამდენად, მოცემული კანონი პირდაპირ, ამომწურავი ფორმით ჩამოთვლის თუ ვის გულისხმობს იმ პირთა წრეში, დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში, თანხმობის გაცხადება შეუძლიათ. მოცემული ჩამონათვალის შინაარსი არ იძლევა მასში აგრეთვე სხვა პირის მოაზრებს შესაძლებლობას. დამატებით, გასათვალისწინებულია ისიც, რომ დაცვის მხარე ამ შემთხვევაში, არ ასაბუთებს არც იმ ფაქტს, რომ დაზარალებულ ფიზიკური პირს ოჯახის ასეთი (ესე იგი კანონში უშუალოდ მოხსენიებული) წევრი არ ჰყავს ან, რომ დაზარალებული ფიზიკური პირის ოჯახის ასეთი წევრი ვერ იძებნება.

19. აღსანიშნავია, რომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ერთი მეექვსედით შეუმცირდება ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი პირს, რომელზედაც არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია და რომელსაც ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული დანაშაული არ ჩაუდენია. განსახილველ შემთხვევაში, შესაბამისი თანხმობის კანონით დადგენილი წესით წარმოუდგენლობის პირობებში, თ. ტ-ის მიმართ უნდა გავრცელდეს მოცემული მუხლით დადგენილი შეღავათი. შესაბამისი სამართლებრივი წინაპირობების არსებობის გამო, ამავე, მე-4 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი შეღავათი უნდა გავრცელდეს თ. ტ-ის მიმართ ყველა იმ განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილზე (თავისუფლების აღკვეთის ის ნაწილი, რომელიც პირობითად

იყო ჩათვლილი), სადაც სასჯელი საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით, 67-ე და 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე იყო დანიშნული (იგულისხმება: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 15 აპრილის, 2017 წლის 23 ივნისისა და 2019 წლის 30 მაისის განაჩენები).

20. საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ საბოლოოდ, საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, უნდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 30 მაისის განაჩენითა და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის საფუძველზე, შემცირებული პირობითი მსჯავრი 2 წელი და 6 თვე და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს (საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილის ჩადენისათვის, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის საფუძველზე განსაზღვრულ 10 თვით თავისუფლების აღკვეთას), ნაწილობრივ, პროპორციული ფორმით, უნდა მიემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთიდან, 10 თვით თავისუფლების აღკვეთა (ნაცვლად 1 წლით თავისუფლების აღკვეთისა, რაც სააპელაციო სასამართლოს ჰქონდა დამატებული) და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, თ. ტ-ს სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს 1 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა.

21. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის საფუძველზე, თ. ტ-ის მიმართ შემცირებული, ზემოხსენებული სასჯელის სახე და ზომა (თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 8 თვით) არის სამართლიანი და მსჯავრდებულის პიროვნებისა და ჩადენილი ქმედების შესაბამისი.

22. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალდების მხარის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 22 მაისის განაჩენში „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონზე დაყრდნობით, მსჯავრდებულ თ. ტ-ის სასიკეთოდ უნდა შევიდეს ცვლილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 301-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროეურატურის პროეურორ მარიამ ბეგიაშვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 23 ივლისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. თ. ტ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 19.178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველ ნაწილზე;

თ. ტ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს: თავისუფლების აღკვეთა 1 წლით, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შეუმცირდეს ერთი მეექვსედით და განესაზღვროს – 10 თვით თავისუფლების აღკვეთა;

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 15 აპრილის განაჩენით თ. ტ-ს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ჩადენილი დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელის მოუხდელი ნაწილი 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩათვლილია პირობითად, იმავე გამოსაცდელი ვადით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე შეუმცირდეს ერთი მეექვსედით და თ. ტ-ს განესაზღვროს – 2 წლითა და 1 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე, ჩაეთვალოს პირობითად, იმავე გამოსაცდელი ვადით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 15 აპრილის განაჩენის სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 23 ივნისის განაჩენით თ. ტ-ს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით ჩადენილი დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელის მოუხდელი ნაწილი 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩათვლილია პირობითად, იმავე გამოსაცდელი ვადით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შეუმცირდეს ერთი მეექვსედით და თ. ტ-ს განესაზღვროს 4 წელი და 2 თვე თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე, ჩაეთვალოს პირობითად, იმავე, გამოსაცდელი ვადით;

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის საფუძველზე, გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 15 აპრილის განაჩენითა და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის საფუძველზე, დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი 2 წელი და 1 თვე პირობითი მსჯავრი;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 23 ივნისის განაჩენით დანიშნულმა უფრო მკაცრმა სასჯელმა სრულად შთანთქას წინა განაჩენითა და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის საფუძველზე დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი, თავისუფლების აღკვეთა 2 წელი და 1 თვე და საბოლოოდ, თ. ტ-ს განესაზღვროს 4 წელი და 2 თვე თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე, ჩაეთვალოს პირობითად, იმავე გამოსაცდელი ვადით;

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 23 ივნისის განაჩენის სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 30 მაისის განაჩენით თ. ტ-ს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით ჩადენილი დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელის მოუხდელი ნაწილი 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩათვლილია პირობითად, 3 წლის გამოსაცდელი ვადით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შეუმცირდეს ერთი მეექვსედით და საბოლოოდ, თ. ტ-ს განესაზღვროს 1 წელი და 8 თვე თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალოს პირობითად, 2 წლისა და 6 თვის გამოსაცდელი ვადით;

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის საფუძველზე, გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 23 ივნისის განაჩენითა და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის საფუძველზე, საბოლოოდ დანიშნული პირობითი მსჯავრი 4 წელი და 2 თვე.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 30 მაისის განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ მიემატოს წინა განაჩენითა და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის საფუძველზე დანიშნული ძირითადი სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან პროპორციულად შემცირებული 10 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩათვლილია პირობით და საბოლოოდ, განაჩენითა ერთობლიობით, თ. ტ-ს განესაზღვროს 2 წელი და 6 თვე თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალოს პირობითად, იმავე გამოსაცდელი ვადით;

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 30 მაისის განაჩენი

სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

7. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 30 მაისის განაჩენითა და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის საფუძველზე, საბოლოოდ შემცირებული პირობითი მსჯავრი 2 წელი და 6 თვე და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ბოლო, განაჩენით დანიშნულ სასჯელს (საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილის ჩადენისათვის განსაზღვრულ 10 თვით თავისუფლების აღკვეთას), ნაწილობრივ მიემატოს ნინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთიდან, 10 თვით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, თ. ტ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 1 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა აეთვალის, დაკავებიდან 2023 წლის 8 ივნისიდან;

8. საქმეში არსებული ნივთიერი მტკიცებულებები, საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ:

– დისკები და ერთოს სისხლის სამართლის საქმეს, მისი შენახვის ვადით;

– ქუდი და მაისური დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს/ მფლობელებს;

9. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. დაცაშაული აღამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წილადმდებარება

ნაშება, ჩაღენილი ჯგუფურად

გაცარი
საქართველოს სახელის სამართლის

№471აპ-24

17 ოქტომბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ლ. ფაფუაშვილი (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის გლდანი-ნაძალადე-
ვის რაიონული პროკურატურის პროკურორ მარიამ ბეგიაშვილისა და
მსჯავრდებულ გ. ჯ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის – ლ. ბ-ს სა-
კასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის
12 თებერვლის განაჩენზე.

ალწერილობითი ნაწილი:

1. პირის პრალდების შესახებ დადგენილებებით:

1.1. გ. ჯ-ს, – დაბადებულს წელს, – ბრალად ედებოდა:

1.1.1. გამოძალვა, ე.ი. სხვისი ნივთის და ქონებრივი უფლების მოთხოვნა, რასაც თან ერთვის დაზარალებულის მიმართ ძალადობის გამოყენების მუქარა, ჩადენილი ჯგუფურად და დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსკ-ის) 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით;

1.1.2. თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი ნინასნარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით;

1.1.3. ნამება, ე.ი. პირისთვის ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით და ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ და ფსიქიკურ ტკივილს და რომლის მიზანია პირის იძულება, ჩადენილი ჯგუფურად, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით.

1.2. ო. ფ-ს, – დაბადებულს 1... წელს, – ბრალად ედებოდა:

1.2.1. გამოძალვა, ე.ი. სხვისი ნივთის და ქონებრივი უფლების მოთხოვნა, რასაც თან ერთვის დაზარალებულის მიმართ ძალადობის გამოყენების მუქარა, ჩადენილი ჯგუფურად და დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით;

1.2.2. თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი წინასწარი შე-თანხმებით ჯგუფის მიერ, სიცოცხლისა და ჯამშირთელობისთვის საშიში ძალადობით, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით;

1.2.3. წამება, ე.ი. პირისთვის ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით და ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ და ფსიქიკურ ტკივილს და რომლის მიზანია პირის იძულება, ჩადენილი ჯგუფურად, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით;

1.2.4. ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარე „კანაფის“ უკანონო დათესვა და მოყვანა, ჩადენილი დიდი ოდენობით, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 265-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით;

1.2.5. „მარიხუანას“ უკანონო შექენა და შენახვა, ჩადენილი დიდი ოდენობით, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლის მე-4 ნაწილით.

2. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებებით გ. ჯ-სა და ო. ფ-ის მიერ ჩადენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

2.1. 2022 წლის 2 იანვარს, დღის განმავლობაში, თ..... ო. ფ-მ და გ. ჯ-მ ვ. ს-ს მოთხოვეს კუთვნილი „BMW-ს“ მარკის ავტომანქანისა (სახელმწიფო ნომრით: ...) და თ..... საცხოვრებელი ბინის მათ სახელზე უსასყიდლოდ გადაფორმება, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრნენ ძალადობის გამოყენებით, კერძოდ, ცემით. აღნიშნული ქმედების შედეგად დაზარალებულ ვ. ს-ს მიადგა მორალური სახის ზიანი.

2.2. 2022 წლის 2 იანვარს, დღის განმავლობაში, ქ. თ-ში ო. ფ-მ და გ. ჯ-მ ვ. ს-ს მოსთხოვეს კუთვნილი „BMW-ს“ მარკის ავტომანქანისა (სახელმწიფო ნომრით:) და ქ. თ-ი საცხოვრებელი ბინის მათ სახელზე გაფორმება. ვ. ს-ს მხრიდან აღნიშნულზე უარის მიღების შემდეგ, ო. ფ-მ და გ. ჯ-მ, თ..... წინასაწარი შეთანხმებით ჯგუფურად, ვ. ს-ს უკანონდ აღუკვეთეს თავისუფლება და მასზე განახორციელეს სიცოცხლი-სა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობა. კერძოდ, ვ. ს-ს არ მისცეს ბინის დატოვების საშუალება და სხეულის სხვადასხვა არეში მრავალჯერ დაარტყეს ფეხები და ხელები, რის შემდეგაც ყელის არეში და ხელის მტევანზე დაადეს გახურებული უთო.

2.2.1. აღნიშნულის შემდეგ, ო. ფ-მ და გ. ჯ-მა ვ. ს-ე შებოჭილი მიიყ-

ვანესთ... მდებარე ე. ს-ს საცხოვრებელ ბინაში, სადაც ამ უკანასკნელს ასევე არ მისცეს ბინის დატოვების უფლება. ბინაში ყოფნისას, ო. ფ-მდა გ. ჯ-მა, ორ სხვა პირთან ერთად განახორციელეს ვ. ს-სის მიმართ ფიზიკური ძალადობა, რაც გამოიხატა ხელებისა და ფეხების მრავალ-ჯერად დარტყმაში. საპოლონდ, იმავე დღეს, დაახლოებით 22:15 საათზე, ზემოაღნიშნულმა პირებმა ვ. ს-ე იძულებით ჩასვეს „ტოიოტა პრიუსის“ მარკის ტაქსში (სახელმწიფო ნომრით: ...) და წაიყვანეს თ.... ქუჩის მიმართულებით. ტაქსიდან ჩამოსვლისას ო. ფ-სემ და გ. ჯ-სმა, ორ სხვა პირთან ერთად, ვ. ს-ს სხეულის სხვადასხვა არეში ხელებისა და ფეხების მრავალჯერადი დარტყმით მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, რის შემდეგაც ვ. ს-მ მოახერხა გაქცევა. აღნიშნული ქმედებების შედეგად ვ. ს-ს მიადგა მორალური და ფიზიკური ზიანი, სახის არეში მრავლობითი კანქვეშა ჰემატომის, სისხლჩაქცევების, მარცხენა კისრის და მარჯვენა ხელის მტევნის დამწვრობის, ცხვირის ძვლის ხაზოვანი მოტეხილობებისა და ნეკნების პოსტ-ტრავმული დეფორმაციის სახით.

2.3. 2022 წლის 2 იანვარს, დღის განმავლობაში, თ....., ო. ფ-მდა გ. ჯ-მა ვ. ს-ს მოსთხოვეს კუთვნილი „BMW-ს“ მარკის ავტომანქანისა (სახელმწიფო ნომრით: ...) და თ.... საცხოვრებელი ბინის მათ სახელზე გაფორმება, რაზედაც ვ. ს-ს მხრიდან მიიღეს უარი. აღნიშნული მიზეზით, ო. ფ-ე და გ. ჯ-ი თ.... ვ. ს-ს რამდენიმე საათი სხეულის სხვადასხვა არეში ურტყამდნენ ფეხებსა და ხელებს, რის შემდეგაც ყელის არეში და ხელის მტევვანზე რამდენჯერმე დაადეს გახურებული უთო. აღნიშნული ქმედების შედეგად, ვ. ს-მ განიცდიდა ძლიერი ფიზიკური ტკივილი და ფსიქიკური ტანჯვა.

2.4. ო. ფ-მ უკანონოდ დათესა და მოიყვანა 6 ძირი ნარკოტიკული სამუალება მცენარე „კანაფი“, საერთო წონით (ფესვების გარეშე) – 720,51 გრამი, რაც ამოღებული იქნა 2022 წლის 3 იანვარს, 18:25 საათიდან 21:10 საათამდე დროის პერიოდში ჩატარებული, მისი საცხოვრებელი ბინის (მდებარე ქ. თ-ი, ...ს ქუჩა №..., ბინა №...) ჩხრეკისას.

2.5. 2022 წლის 3 იანვარს, ...სს ქუჩა №-ის №.. მდებარე საცხოვრებელ ბინაში ო. ფ-ე უკანონოდ ინახავდა უკანონოდ შეძენილ, ნარკოტიკულ საშუალება გამომშრალ „მარიჯუანას“, საერთო წონით – 89,78 გრამს, რაც ამოღებული იქნა იმავე დღეს, 18:25 საათიდან 21:10 საათამდე დროის პერიოდში ჩატარებული ო. ფ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 9 სექტემბრის განაჩენით:

3.1. ო. ფ-ე ცნობილი იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული

ქმედებისათვის წარდგენილ ბრალდებაში და გამართლდა;

3.1.1. ო. ფ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 144³-ე მუხლის პირველ ნაწილზე;

3.1.2. ო. ფ-ე ცნობილი იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

3.1.3. საქართველოს სსკ-ის 144³-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – თავისუფლების აღკვეთა 3 წლით;

3.1.4. საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – თავისუფლების აღკვეთა 7 წლით;

3.1.5. საქართველოს სსკ-ის 265-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – თავისუფლების აღკვეთა 4 წლით;

3.1.6. საქართველოს სსკ-ის 273¹-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით;

3.1.7. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და დანაშაულთა ერთობლიობით, საპოლოოდ, ო. ფ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 7 წლით;

3.1.8. ო. ფ-ს სასჯელის ვადა აეთვალა დაკავების მომენტიდან – 2022 წლის 8 იანვრიდან;

3.1.9. ო. ფ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება; საადვოკატო საქმიანობის უფლება; პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება; სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; ცეცხლსასროლი იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება, ხოლო 10 წლით – საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება. აგრეთვე, აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება.

3.2. გ. ჯ-ი ცნობილი იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედებისათვის წარდგენილ ბრალდებაში და გამართლდა;

3.2.1. გ. ჯ-ი ცნობილი იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული

ქმედებისათვის წარდგენილ ბრალდებაში და გამართლდა;

3.2.2. გ. ჯ-ი ცნობილი იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედები-სათვის წარდგენილ ბრალდებაში და გამართლდა;

3.2.3. გ. ჯ-ი დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სხდომის დარბაზიდან;

3.2.4. საქართველოს სსკ-ის 92-ე მუხლის თანახმად, გამართლე-ბულს განემარტა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

4. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ბრალ-დებისა და დაცვის მხარეებმა, კერძოდ:

4.1. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გურამ კრავეიშვილმა მოითხოვა ო. ფ-სა და გ. ჯ-ს დამნა-შავედ ცნობა ბრალადნარდებილი – საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხ-ლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით, საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებითა და საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით – კვალიფიცი-ით. ამასთან, მსჯავრდებულ ო. ფ-ს მიმართ დანიშნულზე მკაცრი სას-ჯელის, ხოლო გამართლებულ გ. ჯ-ს მიმართ რელევანტური სასჯელის შეფარდება.

4.2. ო. ფ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა მ. რ-მა მოითხოვა ო. ფ-ს საქართველოს სსკ-ის 143-ე და 144³-ე მუხლებში უდანაშაულოდ ცნობა, ხოლო მსჯავრდების სხვა ნაწილში გაასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვვება;

4.3. ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარზე შესაგებელი წარად-გინა ო. ფ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა მ. რ-მა, რომელმაც მოითხოვა, რომ არ დაკმაყოფილდეს ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 12 თებერ-ვლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 9 სექტემბრის განაჩენში შევიდა ცვლილება:

5.1. ო. ფ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწი-ლის „ე“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სა-ქართველოს სსკ-ის 144³-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე;

5.1.1. ო. ფ-ე ცნობილი იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზო-მად განესაზღვრა:

5.1.1.1. საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 5 წლით;

5.1.1.2. საქართველოს სსკ-ის 144³-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვე-პუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 6 წლით;

5.1.1.3. საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 7 წლით;

5.1.4. საქართველოს სსკ-ის 265-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 4 წლით;

5.1.5. საქართველოს სსკ-ის 273¹-ე მუხლის მე-4 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით;

5.1.2. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ, ო. ფ-ს სასჯელის სახედ და ზომადგანესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 7 წლით;

5.1.3. ო. ფ-ს სასჯელის ვადა აეთვალა დაკავების მომენტიდან – 2022 წლის 8 იანვრიდან;

5.1.4. ო. ფ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კნიონის თანახმად, 5 წლით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება; საადვოკატო საქმიანობის უფლება; პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება; სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიურისაარჩევნო უფლება; ცეცხლსასროლი იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება, ხოლო 10 წლით: საქიმოან/და ფარმაცეტული საქმიანობის უფლება. აგრეთვე, აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება;

5.2. ჯ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 144³-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე;

5.2.1. გ. ჯ-ი ცნობილი იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

5.2.1.1. საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 5 წლით;

5.2.1.2. საქართველოს სსკ-ის 144³-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 6 წლით;

5.2.1.3. საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 7 წლით;

5.2.3. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ, გ. ჯ-ს სასჯელის სახედ და ზომადგანესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 7 წლით;

5.2.4. გ. ჯ-ს სასჯელის ვადა აეთვალა დაკავების მომენტიდან – 2024 წლის 12 თებერვლიდან და დაკავებულ იქნა სხდომის დარბაზში;

5.2.5. გ. ჯ-ს სასჯელის ვადაში ჩატვალა დაკავებაში და პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2022 წლის 5 იანვრიდან 2022 წლის 9 სექტემ-

ბრის ჩათვლით.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროცესურის პროცესურორმა მარიამ ბეგიაშვილმა და მსჯავრდებულ გ. ჯ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა – ლ. ბ-მ.

6.1. ბრალდების მხარე ითხოვს ო. ფ-სა და გ. ჯ-ს დამნაშავედ ცნობას ბრალდად წარდგენილი კვალიფიკაციით, კერძოდ, საქართველოს სსკ-ის 144³-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით შერაცხილი მსჯავრის საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე გადაკვალიფიცირებას. ამასთან, მსჯავრდებულების მიმართ სამართლიანი სასჯელის შეფარდებას.

6.2. დაცვის მხარე – მსჯავრდებულ გ. ჯ-ს ადვოკატი ლ. ბ-ე – ითხოვს გ. ჯ-სის უდანაშაულოდ ცნობას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. სასამართლო ითვალისწინებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7¹ მუხლსა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსკ-ის) 273-ე მუხლს; ასევე – ზედა ინსტანციის სასამართლოების უფლებას, დაქთანხმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას, საფუძვლების გამეორების გარეშე (იხ. Hirvisaari v. Finland, no. 49684/99, §30, ECtHR, 25/12/2001); იმ გარემოებას, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების ვალდებულება არ მოითხოვს მხარეების მიერ მითითებულ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას (იხ. Fomin v. Moldova, no. 36755/06, § 31, ECtHR, 11/11/2011) და ქვედა ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის გაზიარება არ არღვევს დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლებას (იხ. Gorou v. Greece (No.2) no. 12686/03, §37, §41, ECtHR, 20/03/2009).

2. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრეს: პროცესურორმა, რომელიც ითხოვს ო. ფ-სა და გ. ჯ-ს დამნაშავედ ცნობას ბრალდად წარდგენილი კვალიფიკაციით და შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 144³-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით შერაცხილი მსჯავრის საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე გადაკვალიფიცირებას. ამასთან, მსჯავრდებულების მიმართ სამართლიანი სასჯელის შეფარდებას, ხოლო დაცვის მხარე – მსჯავრდებულ გ. ჯ-ს ადვოკატი ლ. ბ-ე – ითხოვს გ. ჯ-ს უდანაშაულოდ ცნობას.

3. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ გ.

ჯ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის – ლ. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის გლდანი-ნაძალადევის რა-იონული პროკურატურის პროკურორ მარიამ ბეგიაშვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, კერძოდ, ო. ფ-ს და გ. ჯ-ს მსჯავრი უნდა დაედოთ საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, ნაცვლად საქართველოს სსკ-ის 144³-ე მუხლის მე-2 ნა-ნილის, „ე“ ქვეპუნქტით მსჯავრდებისა, შემდეგ გარემოებათა გამო:

4. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის მტკიცე-ბას მსჯავრდებულ გ. ჯ-ს უდანაშაულობის, საქმეში შესაბამისი მტკი-ცებულებების არარსებობისა და იმის შესახებ, რომ გამამტყუნებელი განაჩენი ეყრდნობა მხოლოდ დაინტერესებული დაზარალებულის – ვ. ს-ს – ურთიერთგამომრიცხავ ჩვენებას.

5. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს დაზარალებულის ვ. ს-ს ჩვენებას, რომლის თანახმად, მას 2022 წლის 2 იანვარს ო. ფ-მ შესთავა-ზა „ბედობის“ ერთად აღნიშვნა, შესაბამისად, ჩავიდა ეზოში და სვამდა მის ავტომანქანასთან, ო. ფ-სთან და გ. ჯ-სთან ერთად, რომლებიც მისი მეზობლები და მეგობრები იყვნენ. საუბრისას გ. ჯ-მ შესთავაზა, რომ ავტომანქანა მისთვის მიეყიდა, რაზეც უარი განუცხადა. გარკეცული დროის გასვლის შემდეგ ავიდნენ ო. ფ-ს ბინაში, სადაც გ. ჯ-მ კვლავ უთხრა, რომ ავტომანქანა მისთვის გაეფორმებინა, რაზეც უპასუხა, რომ ავტომანქანას არ ყიდიდა და შესაბამისად, ვერ გაუფორმებდა. უარის მიღების შემდეგ, გ. ჯ-მ განუცხადა, რომ მხოლოდ ავტომანქანა კი არა, მის სახელზე ბინაც უნდა გაეფორმებინა. საუბარში ჩაერია ო. ფ-ც, რო-მელმაც თქვა, რომ მან თავისი ბინა გ. ჯ-ს სასარგებლოდ დატვირთადა ისიც ანალოგიურად უნდა მოქცეულიყო (01.07.22; 12:50:45). აღნიშუ-ლის მოსმენისთანავე, ცდილობდა ბინიდან ნასვლას, თუმცა კარი და-კეტილი დახვდა. იმავდროულად, მსჯავრდებულებმა ფარდები გადა-ნიეს, მუსიკა ჩართეს და არ აძლევდნენ ბინიდან გასვლის საშუალებას. ო. ფ-მ მოიქნია ხელი მისი მიმართულებით და დაიწყეს ჩხუბი. გ. ჯ-მ თავში ჩაარტყა, რის შედეგად დაკარგა გონება. გონებაზე მოსვლის შემ-დეგ ყვიროდა და ითხოვდა შველას, მაგრამ ხმამაღლი მუსიკის გამო მისი ხმა არავის ესმოდა. მსჯავრდებულები ურტყამდნენ, რის გამოც განიცდიდა ფიზიკურ ტკივილს და ვერ მივიდა კარამდე, რომ გაქცეუ-ლიყო (12:52:35). ო. ფ-მ მიიტანა უთო და უთხრა, რომ ანამებდა – უთოს დაადებდა. ცდილობდა კარამდე მისვლას, მაგრამ გ. და ო-ი ამის საშუა-ლებას არ აძლევდნენ. ამ დროს დაიჭირა გ. ჯ-მა, ხოლო ო. ფ-მ ცხელი უთო დაადო. უთო გ. ჯ-მაც დაადო (12:53:34). ტკივილისგან საპირფარე-შოსთან დავარდა, ყვიროდა, თუმცა თავი მაინც არ დაანებეს. გონება დაკარგა, რის შემდეგაც საპირფარეშოში შეიყვანეს, სადაც დაეცა და მუშა დაამსხვრია, ცდილობდა თავის დალწევას, მაგრამ ორივე ურტყამ-

და ხელებს და ფეხებს, ყველაფერს რაც ხელში მოხვდებოდათ. კვლავ დაკარგა გონება და როცა თვალები გაახილა თავის სახლში იმყოფებოდა, თუმცა იქ როგორ მოხვდა, არ ახსოვს. ეგდო შესასვლელში იატაკზე და ხედავდა როგორ გადაადგილდებოდნენ ო. ფ-სე და გ. ჯ-სი, რომლებიც ყველა გავლა-გამოვლისას ურტყამდნენ ფეხებს, რის გამოც განიცდიდა ძლიერ ტკივილს, თუმცა ფეხზე ვერ დგებოდა და ვერ საუბრობდა. ჩაესმოდა ხმები „მოკვდა, მოკვდა“ (12:56:43). ო-მ მუსიკა ხმა-მაღალზე ჩართო და მისი ცემა გაგრძელდა. გონება ისევ დაკარგა და როცა აზრზე მოვიდა, დაინახა ორი უცხო ადამიანი (13:34:12), რომლებსაც ჰქონდათ ჩანთა და ბინიდან პერიოდულად მისი კუთვნილი ნივთები გაპერნდათ (13:35:40). წყალი მოითხოვა და რაღაც სითხე ჩაასხეს, თუმცა არ იცის წყალი იყო თუ სხვა რამ (13:36:15). ავტომანქანის პას-პორტი მოსთხოვეს, რაზეც უპასუხა, რომ სახლში არ ჰქონდა, მაგრამ მაინც იპოვეს და ტყუილისთვის ისე სცემეს, რომ ისევ დაკარგა გონება. შემდეგ, ოთხივემ ასწია და აბაზანაში შეიყვანა, სადაც წყალში ჩააყოფინეს თავი. ველარ ყვიროდა, სავარაუდოდ იფიქრეს, რომ მოკვდა და იატაკზე დააგდეს, მერე კი დივაზე გადაიყვანეს (13:36:45). მას რიგ-რიგობით ყარაულობდნენ და განძრევის საშუალებას არ აძლევდნენ. ერთ-ერთი უცხო ბიჭი, შედარებით დაბალი, მისივე კუთვნილი ხანჯლით ედგა თავზე და მოკვლით ემუქრებოდა. ვ. ს-ე მსჯავრდებულებს ყველაფერზე – ბინისა და ავტომანქანის გადაფორმებას დასთანხმდა, ოღონდ სახლიდან გასულიყო (13:34:40). გ. ჯ-მა განაცხადა, რომ ნოტარიუსთან უნდა წასულიყვნენ, წავიდა და ისევ დაბრუნდა სახლში (13:36:30; 13:54:40). ურტყამდნენ სხეულის ყველა მიდამოში, თავში, ცხვირში, ნეკნებში და აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას. ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ სთხოვდა კარების გაღებას, რათა გადამხტარიყო და თავი მოეკლა (13:39:15) – „მართლა გადავხტებოდი, აღარ შემეძლო“ (13:57:37). „იმას ვიხვეწებოდი კარები გაელოთ, რომ გადავმხტარიყავი“ (04.07.22; 15:44:04). მასთან ერთად მუდმივად იყო, ოთხიდან რომელიმე ორი პირი, იჭერდნენ, რომ სავარელს არ მოშორებოდა და კარი არ გაელო. გარკვეული დროის შემდეგ გამოუცვალეს ტანსაცმელი, ე.წ. „კაპიშონინი“ ქურთუე მოახურეს, ქურჭლის გასარეცხი ღრუბლით მოწმინდეს სისხლი და გაიყვანეს სახლიდან, როგორც განუმარტეს ნოტარიუსთან მიდიოდნენ (13:41:29). ო. ფ-ს ბინაში ძალადობა და-ახლოებით 2-3 საათი გაგრძელდა, ხოლო მის (ვ. ს-ს) ბინაში – 3-4 საათი (13:54:05). გარეთ ტაქსი ელოდებოდათ, ჩასხდნენ და მ-ის მიმართულებით წავიდნენ (13:43:10). მგზავრობის საფასური ფ-მ ჩაურიცხა მძღოლს (13:44:15), რომელსაც „ფ-თან“ გააჩერებინეს ავტომანქანა და ყველანი გადავიდნენ. მიხვდა, რომ მარტო იყო ტაქსიში და მძღოლს მიმართა: „ძია წადი, სასწრაფოდ“ და მანქანის უკანა „სიდენიას“ ჩაებლაუჭა, რა

დროსაც აგინებდნენ და ძალით გადაათრიეს ტაქსიდან (13:45:07). ყვი-რილის ძალა არ ჰქონდა – გათიშული და გაბრუებული იყო. მოულოდნე-ლად, გ. ჯ-ი და ერთი მისთვის უცნობი პირი გაიქცნენ, ხოლო ო. ფ-სე და მეორე უცნობი პირი მას მიათრევდნენ, სადღაც მაღალ კორპუსთან და-აგდეს და გამეტებით ურტყამდნენ ფეხებს და ხელებს. ამ დროს არ იცის როგორ, მაგრამ მოახერხა წამოდგა და გაიქცა. ახსოვს რომ ყვი-როდა და შველას ითხოვდა (13:49:37). გააჩირა ტაქსი და გ-ს პოლიციის განყოფილებაში მიყვანა სთხოვა.

5.1. ც. ს-მ განმარტა, რომ მისთვის უცნობია მსჯავრდებულებს, რო-გორ უნდა გაეფორმებინათ მოთხოვნილი ავტომანქანა ან/და ბინა, ვი-ნაიდან მათვის ცნობილი იყო, რომ ავტომანქანა ჯარიმის გამო დაყა-დაღებული იყო, ხოლო ბინა გაფორმებული იყო მისი ძმის სახელზე (04.07.22; 16:01:46). კითხვაზე, უთხრა თუ არა მსჯავრდებულებს ის გა-რემოქა, რომ ბინა მის სახელზე არ იყო რეგისტრირებული, განმარტა: „არ მითქვამს ვისზე იყო გაფორმებული“, მსჯავრდებულებს უთხრა, რომ გადაფორმებაზე (ყველაფერზე) თანახმა იყო, რათა ბინიდან რო-გორმე გასულიყო. როგორც ახსოვს ო. ფ-მ იცოდა, რომ ბინა მის ძმაზე იყო გაფორმებული, თუმცა, იმ დროს ო. ფ-ს რა ახსოვდა და რა არა, არ იცის (16:14:07).

5.2. დაზარალებულმა განმარტა, რომ უთო ორჯერ – ხელზე და ყელ-ზე – დაადეს. გ. ჯ-ი სახეზე უთხოს დადებით ემუქრებოდა, რა დროსაც ისე იყო გამწარებული, უთხრა: „მიდი დამადეთ“ (13:53:10). ჯერ ერთი იჭერდა და მეორე ადებდა, მერე პირიქით (04:07:22; 15:59:55). მომხდა-რის გამო მძიმე მდგომარეობაშია, შიშის გამო სახლიდან იშვიათად გა-დის, მიადგა, როგორც მატერიალური ისე მორალური და ფსიქოლოგიუ-რი ზიანი (14:01:53).

5.3. დაზარალებულის ჩვენებაში მითითებულ გარემოებებს ადას-ტურებს, მათ შორის, დათვალიერების 2022 წლის 20 მარტის ოქმი, რომ-ლის თანახმად, დაზარალებულ ვ. ს-ის თანდასწრებითა და მისი უშუა-ლო მონაწილეობით დათვალიერდა ვიდეოჩანანერები. პირველი ვიდე-ოფაილის გახსნისას, ვ. ს-მ, მათ შორის განმარტა, რომ აღნიშნული მო-ნაკვეთი წარმოადგენს მისი საცხოვრებელი კორპუსის წინ არსებულ ო. ხ-ს ქუჩას, სადაც განთავსებულია ავტობუსების გაჩერებაც. „...“ ვიდე-ოფაილის ჩანაწერის ნახვისას, 22:13:44 საათზე, კადრში ფიქსირდება თეთრი ფერის „ტოოოტა პრიუსის“ მარკის ავტომანქანა, რომელსაც სა-ხურავზე ადგას მწვანედ განათებული ტაქსის აღმნიშვნელი აბრევია-ტურა. აღნიშნული ავტომანქანა 22:13:52 საათზე ჩერდება ო. ხ-ს საავ-ტომობილო გზის უკიდურეს მარჯვენა ზოლში, ფეხით მოსიარულეთა ბილიკის მიმდებარედ, ხ-ს ქუჩა №...ი მდებარე ვ. ს-სის საცხოვრებელ კორპუსთან. „.....“ ვიდეოფაილის დათვალიერებისას, 22:15:34 საათზე,

ჩანაწერის მარჯვენა მხარეს ხ-ს ქუჩა №...ი მდებარე საცხოვრებელი კორპუსის მხრიდან, ფეხით მოსიარულეთა ბილიკზე ფიქსირდება 5 მა-მაკაცი. ვ. ს-ს განმარტებით: №.. მამაკაცი, სავარაუდოდ არის ო. ვ-ი, რომელსაც არ იცნობს და არც მანამდე შეხვედრია; მას უკან ერთდრო-ულად მიყვება 4 მამაკაცი: უკიდურეს მარცხენა მხარეს №.. მამაკაცი არის თავად – ვ. ს-სე; მისგან მარჯვენივ №.. მამაკაცი არის – ო. ფ-სე. №.. მამაკაციდან მარჯვენივ მიმავალი №.. მამაკაცი არის გ. ჯ-ი, ხოლო გ. ჯ-ის ხელმარჯვნივ მიმავალ №.. მამაკაცი, უნდა იყოს მისთვის უცნობი, სვანური წარმომავლობის პირი, რომელსაც მანამდე არასდროს შეხვედ-რია და უნახავს. ვ. ს-მ ასევე განმარტა, რომ შესაძლოა დასახელებული პირების განლაგება ზუსტად არ ახსოვს, რადგან მოცემულ მომენტში, როდესაც მიჰყებოდა ტაქსის მიმართულებით ო. ფ-ს, გ. ჯ-სა და მის-თვის მანამდე უცნობ, ორ სვანური წარმომავლობის მამაკაცს, იყო ძლი-ერ დათრგუნულ მდგომარეობაში, ვინაიდან სულ ცოტა ხნით ადრე აღ-ნიშნულმა პირებმა მას მიაყენეს მრავალჯერ ფიზიკური შეურაცხყო-ფა, სცემეს, დაადეს გახურებული უთო სხეულის სხვადასხვა ადგილებ-ზე, ამცირებდნენ, აგინებდნენ და ეძახდნენ უხამს სიტყვებს, რის გა-მოც მისი ნება იყო დათრგუნული და თავადაც ვერ აცნობიერებდა მო-ცემულ მომენტში რას აკეთებდა. იყო შეშინებული და იმის შიშით, რომ კვლავაც არ მიეყნებინათ ფიზიკური შეურაცხყოფა და არ დაემცირე-ბინათ, მიჰყებოდა ტაქსის მიმართულებით.

5.4. დაზარალებულის ჩვენებას ადასტურებს ასევე: შემთხვევის ად-გილის დათვალიერების 2022 წლის 3 იანვრის ოქმი, რომლის თანახმად, დათვალიერდათ..., გ-სი, ხ-ს №... მდებარე ვ. ს-სის ბინა, რის შედეგადაც ამოღებული იქნა სამი მონითალო ფერის ანანძმენდი, საკონტროლო ანან-მენდთან ერთად; დივნის გადასაფარებელი მონითალო ფერის ლაქე-ბით; 18 ცალი სიგარეტის ნამწვი; 8 ცალი ჭიქა და ერთი ცალი ცარიელი კონიაკის ბოთლი; შემთხვევის ადგილის დამატებითი დათვალიერების 2022 წლის 4 იანვრის ოქმი, რომლის თანახმად, ...სს №...ი მდებარე №... ბინიდან ამოიღეს 2 ცალი ჭურჭლის სარეცხი ღრუბელი მონითალო ფე-რის ლაქებით, ასევე სისა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 18 თებერვლის ბიოლოგი-ური (გენეტიკური, სეროლოგიური) ექსპერტიზის №... დასკვნა, რომ-ლის თანახმად, პაკეტში, წარნერით: „....2 (ორი), ჭურჭლის სარეცხი ღრუ-ბელი, მასზედ არსებული მონითალო ფერის ლაქებით, ამოღებული ჭურ-ჭლის სარეცხი ნიუარის გვერდით არსებული თაროს ზედაპირიდან...ხ-ს ქ №.., ბ. №...“, მოთავსებულ ერთ ღრუბელზე არსებული მონითალო-მო-ყავისფრო ლაქები შეიცავს ადამიანის სისხლს, რომელიც ეკუთვნის ვ. ს-სეს.

6. სასამართლო ითვალისწინებს მოწმე გ. ქ-ის ჩვენებასაც, რომლებ-

მაც განმარტა, რომ იგი არის ტაქსის მძლოლი. 2022 წლის 2 იანვარს, დაახლოებით 22:00 საათიდან 23:00 საათამდე დროის შუალედში, გამო-
დახებით მივიდა თ..., გ-ში, ხ-ს ქუჩის №-თან. დაახლოებით 2-5 წუთში
კორპუსიდან ჩამოვიდა 4-5 მამაკაცი, რომელთაგან ერთი დაჯდა მის
გვერდზე, რომელსაც თან ჰქონდა მუქი ზურგჩანთა, ხოლო 4 პირი დაჯ-
და უკანა სავარძელზე. თავდაპირველად გ-ს პ. მიმართულებით წას-
ვლა სთხოვეს, თუმცა შემდეგ უთხრეს, რომ ემოძრავა მ-ის მიმართუ-
ლებით, სადაც გ-ს ქუჩაზე მდებარე მაღაზია „ფ....“ მოპირდაპირედ გა-
აჩერებინეს ავტომანქანა. ამ დროს უკან მჯდომი ერთ-ერთი პირი ჩაე-
ჭიდა სავარძლის საზურგეს და სთხოვა: „წადით, არ გააჩეროთ“. მიხ-
ვდა, რომ რაღაც მოხდა, თუმცა ვინაიდან მგზავრები ნასვამ მდგომა-
რეობაში იყვნენ ჩარევა არ ჩათვალა საჭიროდ. იმავდროულად, მის უკან
მჯდომი მგზავრი აწვებოდა შუაში მჯდომ პირს და ექაჩებოდა, რათა
ჩასულიყო ავტომანქანიდან, სხვა მგზავრიც ესმარებოდა ჩასვლაში. სა-
ბოლოოდ ძალით ჩაიყვანეს, სარკიდან ასევე შენიშნა, რომ ჯაჯგურით
მიჰყავდათ. გ. ქ-ემ დაადასტურა, რომ დაზარალებულს ეკეთა პირბა-
დე, თუმცა როდესაც ექაჩებოდნენ, ჩამოენია და შენიშნა, რომ თვალის
არეში დაზიანება აღნიშნებოდა და ჰქონდა სინითლე. გადაადგილები-
სას უკან მჯდომმა ერთ-ერთმა მამაკაცმა (როგორც გამოძიებით დად-
გინდა – ო. ფ-მ) უთხრა, რომ თანხას ჩაურიცხავდა ანგარიშზე, შესაბა-
მისად, მისკა პირადი ნომერი და სს „თ-ს“ ანგარიშზე ო. ფ-მ ჩაურიცხა
თანხა – 8 ლარის ოდენობით.

6.1. ამდენად, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ, მარ-
თალია, მოწმე გ. ქ-ე უშუალოდ ფაქტებს (გამოძალვის, თავისუფლების
უკანონო აღკვეთის, წამებისა ან არაადამიანური მოპყრობის ფაქტებს)
არ შესწრებია, თუმცა დაადასტურა, როგორც ის გარემოება, რომ ხ-ს
ქუჩის №...თან ტაქსიში ჩაუჯდა 4-5 მამაკაცი, რომელთაგან ერთ-ერ-
თმა ავტომანქანის დანიშნულების ადგილას მისვლასა და გაჩერებისას
სთხოვა არ გაჩერებულიყო, ასევე ის გარემოება, რომ ავტომანქანიდან
აღნიშნული მგზავრი დანარჩენმა მგზავრებმა ძალით ჩაიყვანეს. ამას-
თან, დაზარალებულს ჰქონდა დაზიანებები. მიხვდა, რომ რაღაც მოხ-
და, თუმცა ჩარევისაგან თავი შეიკავა.

7. ო. ფ-სის საცხოვრებელი ბინის 2022 წლის 3 იანვრის ჩხრეკის ოქ-
მის თანახმად, თ..., ხ-ს №-ი, ბინა №... ჩატარდა ო. ფ-ის ბინის ჩხრეკა, რა
დროსაც საძინებელ ოთახში არსებული ტანსაცმლის კარადიდან ამო-
ლებული იქნა მოთეთრო-მოლურჯო ფერის უთო, წარწერით: „SOKANY“.
უთოს სადენს აღნიშნებოდა მონითალო ლაქები; საძინებელ ოთახში
მდებარე ტანსაცმლის კარადიდან – ერთი წყვილი ლია ფერის „ადიდა-
სის“ ფირმის სპორტული ფეხსაცმელი, ე.წ. „ბოტასი“ (მარცხენა ბოტასს
ზედაპირზე აღნიშნება მონითალო ფერის ლაქა); სამზარეულოს სივ-

რცეში კარადის თაროზე არსებული საფერფლიდან – ერთი ცალი სიგარეტის ნამწვი მოწითალო ფერის ლაქებით; მისაღებ ოთახში დივნის ზედაპირზე არსებული საფერფლიდან – 14 ცალი სიგარეტის ნამწვი; მისაღებ ოთახში დივნის ზედაპირიდან – მოყვითალო ბალიშის პირი, მოწითალო ლაქებით; ბინაში შესასვლელი დერეფნის მეტლახის ზედაპირიდან – მოწითალო ფერის ლაქის ანანმენდი ერთ ცალ სტერილურ ჩხირზე; სააპაზანოში მარცხენა კედელთან და მეტლახის ზედაპირიდან – მოწითალო ფერის ლაქის ანანმენდი ერთ ცალ სტერილურ ჩხირზე.

7.1. მოწმე ი. ზ-ს (უფროსი გამომძიებელი) ჩვენებით დასტურდება, რომ იმის გამო, რომ უცნობი იყო ა. ფ-ის ადგილსამყოფელი, 2022 წლის 3 იანვარს მის მიერ თანამშრომლებთან: მ. ჯ-თან, გ. კ-თან და პ. ჩ-თან ერთად გამოძახებული იქნა სამაშველო სამსახურის თანამშრომლები, მოწვეული იქნა გამგეობის წარმომადგენელი და ექსპერტები, რომელთა მონაწილოებით ჩატარდა ო. ფ-ის ბინის ჩხრეკა. ჩხრეკის შედეგად სააპაზანო ოთახიდან ამოიღეს მინის ნამსხვრევები, მოწითალო ფერის ლაქები; საძინებელ ოთახში მდებარე ტანსაცმლის კარადიდან – უთო, მოწითალო ლაქებითა და თერმული დამუშავების კვლებით; „ადიდასის“ ფირმის სპორტული ფეხსაცმელი, მოწითალო ლაქებით; სიგარეტის ნამწვები, სისხლის მაგვარი ლაქებით; მისაღებ ოთახში, დივნის ზედაპირზე მდებარე საფერფლიდან – 14 ცალი სიგარეტის ნამწვი; ტახტიდან – ბალიშის პირი, მოწითალო ფერის ლაქებით; ასევე ამოიღეს კომპიუტერული ტექნიკა, „ნოკიას“ ფირმის ორი ცალი მობილური ტელეფონი.

8. საკასაციო სასამართლო ასევე ითვალისწინებს: ბიოლოგიური (გენეტიკური, სეროლოგიური) ექსპერტიზის 2022 წლის 21 მარტის №.... და 2022 წლის 18 თებერვლის №.... დასკვნებს, ასევე ექსპერტი ი-ის ჩვენებას, 2022 წლის 25 მარტის დათვალიერების ოქმის, 2022 წლის 24 მარტის ოდოროლოგიური ექსპერტიზის №.... დასკვნას და პ. ი-ის ჩვენებას.

9. ოდოროლოგიური ექსპერტიზის 2022 წლის 24 მარტის №..... დასკვნის თანახმად, ვ. ს-სის საცხოვრებელი ბინის დათვალიერებისას ამოღებული მოყავისფრო ფერის დივნის გადასაფარებლიდან ამოღებული სუნის ნიმუში იდენტურია ვ. ს-სგან აღებული სუნის ნიმუშის;

9.1. ო. ფ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული ყვითელი ფერის ბალიშის პირიდან, ამოღებული სუნის ნიმუში იდენტურია ო. ფ-გან და ვ. ს-გან აღებული სუნის ნიმუშების;

9.2. „BMW-ს“ ფირმის ავტომანქანიდან (სახ. ნომრით I....) ამოღებული სუნის კვალის ნიმუშები იდენტურია ვ. ს-გან, ო. ფ-გან და გ. ჯ-გან აღებული სუნის ნიმუშების;

9.3. „ტოიოტა პრიუსი“ მარკის ავტომანქანიდან (სახ. ნომრით ამოღებული სუნის ნიმუშები იდენტურია ვ. ს-სისაგან, ო. ფ-სისაგან და გ.

ჯ-საგან აღებული სუნის ნიმუშების.

10. საკასაციო სასამართლო ასევე ითვალისწინებს სამედიცინო დოკუმენტაციას, მათ შორის, შპს „ქ-ს“ სტაციონარული პაციენტის №.. სამედიცინო ბარათს, ამავე კლინიკის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ №.. ცნობას, ასევე სამედიცინო ექსპერტიზის 2022 წლის 21 ოქტომბერის №.. დასკვნას, რომლის თანახმად:

10.1. ექსპერტიზაზე წარდგენილი შპს „ქ-ს“ სტაციონარული პაციენტის №.. სამედიცინო ბარათის და ამავე კლინიკის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ №.. ცნობის მონაცემების თანახმად: ვ. ს-ე აღნიშნულ კლინიკაში მოთავსდა 2022 წლის 3 იანვარს, 09:40 საათზე, ხოლო გაეწერა 2022 წლის 4 იანვრის 18:00 საათზე. დაუდგინდა დიაგნოზი: თავის ტვინის შერყევა „Commissio cerebri“. თავის მრავლობითი ზედაპირული ტრავმა. ტუჩის და პირის ღრუს ღია ჭრილობა. ცხვირის ძვლების მოტეხილობა. ამავე დოკუმენტაციის ჩანაწერების თანახმად, დაზარალებულს აღენიშნებოდა ნახეთქი ჭრილობა, ჰემატომა, ექსკორიაციები და დამწვრობა.

10.2. ვ. ს-ს 2022 წლის 6 იანვარს პირადი შემოწმებით სხეულზე გარეგნულად აღენიშნებოდა დაზიანებები: ნაჭდევების, სისხლნაჟღენ-თების, უსწოროკიდევებიანი ნახეთქი ჭრილობის, სისხლჩაქცევისა და დამწვრობითი უბნების სახით.

10.3. ექსპერტიზაზე წარდგენილი ვ. ს-ს კომპიუტერული კვლევის ამსახველი CD დისკი შეისწავლა სს სამედიცინო კორპორაცია „ქ-ს“ რადიოლოგიური ჯგუფის ხელმძღვანელმა, მედიცინის დოქტორმა ნ. ს-მა და დაადგინა: „წარმოდგენილ გამოსახულებებზე ფიქსირდება ცხვირის ძვლების მოტეხილობები, მცირე შეცილებით. ნაწილი ახალი, ნაწილი კონსოლიდაციის ნიშნებით, მცირე კანქვეშა ჰემატომები პერინაზალურად. დაზიანებების ხანდაზმულობა მითითებულ თარიღთან (02.01.2022) წინააღმდეგობაში არ არის“. ვ. ს-ის სხეულზე არსებული დაზიანებები ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგებიან დადგენილებაში მითითებულ 02/01/2022 წ-ის თარიღს. დამწვრობითი უბნები განვითარებული არიან რაიმე მაღალი ტემპერატურის ადგილობრივი ზემოქმედების შედეგად, ხოლო სხვა დანარჩენი დაზიანებები განვითარებული არიან რაიმე მკვრივი ბლაგვი საგნის მოქმედებით.

10.4. დამწვრობითი უბნები, ცხვირის ძვლების მოტეხილობა და ნახეთქი ჭრილობა სისხლჩაქცევით მიეკუთვნებიან სხეულის დაზიანება-თა მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოძლით, ხოლო სხვა დანარჩენი დაზიანებები მიეკუთვნებიან სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის მოუშლელად.

10.5. აღნიშნული დასკვნის (სამედიცინო ექსპერტიზის 2022 წლის 21 ოქტომბერის №.... დასკვნის) კვლევითი ნაწილის თანახმად, ვ. ს-ს კის-

როს მარცხენა გვერდით ზედაპირზე შუა მესამედში აღენიშნება ირიბ-განივად მდებარე, მიმდებარე კანის დონიდან მაღლა მდებარე, მოწი-თალო-მოყავისფრო ქერქით დაფარული, უსწორო ფორმის 13X4 სმ. ზო-მის, პერიფერული საზღვრების ირგვლივ გამოხატული ჰიპერემიული არშიით – დამწვრობითი უბანი. ასეთივე ხასიათის, უსწორო ფორმის დამწვრობითი უბნები აღინიშნება: ნიკაპქვეშა მიდამოში, მარცხივ 10X1,5 სმ; მარჯვენა მტევნის უკანა ზედაპირზე I-II-III ნების ძვლების საპროექციოდ 3X1,5 სმ. და 5,5X1 სმ. ზომის; მარჯვენა მტევნის ზედა-პირზე თითქმის ცენტრალურად აღინიშნება 4X2,5 სმ. ზომის დამწვრო-ბითი უბანი, რომლის შესაბამისად, ეპიდერმისი ალავ დანაოჭებულია ალავ კი აცლილია.

11. მსჯავრდებულ გ. ჯ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის – ლ. ბ-ს პროტეზიასთან დაკავშირებით, რომ საქმის არსებითი განხილვი-სას პროკურორმა დასაკითხ პირთა სიიდან მოხსნა მოწმე ო. ვ-ი, საკა-საციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის მე-9 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება სისხლისამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე და დაცვის მხარეს ენიჭება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, როგორც წარ-მოდგენილი მტკიცებულების გამოკვლევის, ასევე მტკიცებულების და-მოუკიდებლად ან სასამართლოს მეშვეობით მოპოვებისა და წარმოდ-გენის უფლება (იხ. უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 8 იანვრის №951აპ-20 გადაწყვეტილება; 2021 წლის 4 იანვრის №925აპ-20 გადაწ-ყვეტილება; 2020 წლის 17 ივლისის №30აპ-20 გადაწყვეტილება; 2021 წლის 9 ივლისის განაჩენი №669აპ-20, I-56). სასამართლო ითვალისწი-ნებს, რომ შეჯიბრებითი მოდელის ფუნდამენტურ ნიშანს წარმოად-გენს „სასამართლოში ჭეშმარიტების დამტკიცების ფუნქციის მხარეთა ინიციატივისთვის მინდობა. მხარეები წყვეტენ, რა მტკიცებულებებს და არგუმენტებს წარუდგენენ სასამართლოს და რა საკითხებზე იდა-ვებენ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექ-ტემბრის გადაწყვეტილება №3/1/608,609 საქართველოს უზენაესი სა-სამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებაზე, II-15).

11.1. სასამართლო ითვალისწინებს, რომ შესაძლო მტკიცებულებე-ბის თაობაზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ ოქმის თანახმად, რომე-ლიც ხელმოწერილია, მათ შორის, მსჯავრდებულ გ. ჯ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ლ. ბ-ს მიერ, ბრალდების მხარემ დაცვის მხა-რეს გაუცვალა მტკიცებულებები, მათ შორის, მოწმე ო. ვ-ის გამოკით-ხვის ოქმი, ხოლო დაცვის მხარეს არ წარუდგენია სასამართლოში წარ-სადგენ მტკიცებულებათა ნუსხა სადავო მოწმის დაკითხვის მოთხოვ-ნით (2022 წლის 6 აპრილის წინასასამართლო სხდომის ოქმი), შესაბამი-

სად, იმ შემთხვევაში, თუ დაცვის მხარეს მიაჩნდა, რომ კონკრეტულ მოწმეს შეეძლო, დაედასტურებინა მსჯავრდებულის უდანაშაულობა ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი დანაშაულის ჩადენა, რომ-ლისთვისაც მას ბრალი დაედო, ან/და დაცვის მხარის სასარგებლო პოზიცია, მსჯავრდებულს ან/და მის ადვოკატს საქართველოს სსსკ-ის 83-ე მუხლის საფუძველზე ჰქონდათ შესაძლებლობა, წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა მეორე მხარისა და სასა-მართლოსათვის მიეწოდებინათ იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებუ-ლი სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარ-დგენასაც აპირებდნენ, იმავდროულად, საქართველოს სსსკ-ით დად-გენილი წესით მოეთხოვა სასურველი მოწმის დაკითხვა არსებით სასა-მართლო სხდომაზე.

12. საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს დაცვის მხარის მტკი-ცებას მსჯავრდებულის უდანაშაულობის შესახებ, იმაზე მითითებით, რომ ექსპერტიზის დასკვნების თანახმად, არ დადგინდა სხვადასხვა ნივთებზე, მათ შორის, უთოზე მსჯავრდებულ გ. ჯ-ს შემხებლობა და კვლავც აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულის გენეტიკური პროფილის ბი-ოლოგიური კვალის არარსებობა შემთხვევის ადგილსა ან დანაშაულის საგანზე a priori არ ნიშნავს ამ პირის უდანაშაულობას, ვინაიდან აღნიშ-ნული უკავშირდება კვალნარმოქმნის პროცესის თავისებურებას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 27 ივლისის განჩი-ნება № 190აპ-20).

13. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეში წარმოდგენილი მტკიცე-ბულებების, მათ შორის, მოწმე გ. ქ-ის ჩვენების, ექსპერტიზის დას-კვნების, მათ შორის, ოდოროლოგიური და სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნების მხედველობაში მიღებით, საკასაციო სასამართლო ვერ გა-იზიარებს დაცვის მხარის მტკიცებას, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკი-ცებულებებით არ დასტურდება გ. ჯ-ს მიერ პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში აღწერილი დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენა და დაზარალებულმა სასამართლოს ცრუ ჩვენება მისცა, იმ ნანილში, თით-ქოს გ. ჯ-ი მონანილებას იღებდა ვ. ს-ს ნამებაში, გამოძალვასა და თა-ვისუფლების უკანონო აღკვეთაში, ვინაიდან გ. ჯ-ს მხრიდან ვ. ს-ს მი-მართ ადგილი ჰქონდა მხოლოდ სახეში ხელის გარტყმას, მის მიმართ უმიზეზოდ გინების გამო.

14. რაც შეეხება ო. ფ-სა და გ. ჯ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდების საქართველოს სსკ-ის 144³-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე გა-დაკვალიფიცირებას, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს გასაჩივ-რებული განაჩენის მოტივაციას, რომ „ცხელი უთოს დადებით ო. ფ-სა და გ. ჯ-ს ქმედებებმა გადალახა სისასტიკისა და დამცირების გარდაუ-

ვალი ელემენტი და (მხოლოდ) არაადამიანური მოპყრობის ზღვარს მიაღწია სხვა მართლსაწინააღმდეგების ქმედებების მხედველობაში მიღებით და მათთან ერთობლიობაში, რის გამოც მათ მსჯავრი უნდა დაედოთ ჯგუფურად ჩადენილი არაადამიანური მოპყრობისთვის, რაც დაზარალებულის ფიზიკურ ტკივილთან და ფსიქიკურ ტანჯვებისთან არის დაკავშირებული“.

15. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ მოპყრობამ უნდა მიაღწიოს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს იმისთვის, რომ მოხვდეს მე-3 მუხლის მოქმედების ფარგლებში. ამ მინიმუმის შეფასება შეფარდებითია. ის დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, როგორიცაა ქცევის ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური და/ან მორალური შედეგები და ზოგიერთ შემთხვევაში მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა (იხ. Tekin v. Turkey, no. 22496/93, §52, §53, ECtHR, 09/01/1998), მოპყრობისა თუ დასჯის ხასიათი და კონტექსტი, მისი აღსრულების ხერხი და მეთოდი (იხ. Soering v. the United Kingdom, no. 14038/88, §100, ECtHR, 07/07/1989).

15.1. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს დაზარალებულის ჩვენებას, რომ მსჯავრდებულები ურთყამდნენ სხეულის ყველა მიდამოში: თავში, ცხვირში, ნექნებში და აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას; განიცდიდა ფიზიკურ ტკივილს; ო. ფ-მ მიიტანა უთო და უთხრა, რომ ანამებდა – უთოს დაადებდა; გ. ჯ-ი სახეზე უთოს დადებით ემუქრებოდა, რა დროსაც ისე იყო გამნარებული, რომ უთხრა: „მიდი დამადეთ“; უთო ორჯერ – ხელზე და ყელზე – დაადეს; ასევე წყალში ჩააყოფინეს თავი. ველარ ყვიროდა, სავარაუდოდ მსჯავრდებულებმა იფიქრეს, რომ მოკვდა და იატაკზე დააგდეს, მერე კი დივანზე გადაიყვანეს; რიგრიგობით ყარაულობდნენ და განძრევის საშუალებას არ აძლევდნენ; შედარებით დაბალი ბიჭი, მისივე კუთვნილი ხანჯლით, მოკვლით ემუქრებოდა; ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ სთხოვდა კარების გაღებას, რათა გადამხტარიყო და თავი მოეკლა; „მართლა გადავხტებოდი, აღარ შემეძლო“; „იმას ვიხვეწებოდი კარები გაელოთ, რომ გადავმხტარიყავი“; ო. ფ-ს ბინაში ძალადობა დაახლოებით 2-3 საათი გაგრძელდა, ხოლო მის (ვ. ს-ს) ბინაში – 3-4 საათი. მომხდარის გამო მიმებე მდგომარეობაშია და შიშის გამო სახლიდან იშვიათად გადის. მიადგა, როგორც მატერიალური, ისე მორალური და ფსიქოლოგიური ზიანი.

15.2. დაზარალებულ ვ. ს-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა – მ. მ-მა დაადასტურა ფსიქოლოგიური ექსპერტის 2022 წლის 17 მარტის N... დასკვნა, რომლის თანახმად: ვ. ს-ს ფსიქო-ემოციური მდგომარეობა ფასდება ფსიქოლოგიურ ტანჯვების განმარტებაში. ექსპერტმა მ. მ-მა განმარტა, რომ დასკვნა არის კატეგორიული ხასიათის (18.05.22; 11:27:47). ვ. ს-ს ფსიქოლოგიური ტანჯვება

განცდილი აქვს გ. ჯ-ს და ო. ფ-ს (ესენი თავიდანვე კონფლიქტში ჩართული პირები იყვნენ და შემდეგ შეუერთდათ კიდევ ორი პირი) ძალა-დობრივი ქმედებების შედეგად (11:28:05). სხვა მატრავმირებელი ეპიზოდები, ისევე როგორც ყველა ადამიანს, ამ ადამიანს აქვს, მაგრამ მისი ასეთ მდგომარეობაში აღმოჩენისათვის განსაკუთრებული სიძლიერის ძალადობრივი ქმედება უნდა ყოფილიყო, შესაბამისად, მისი ფსიქო-ემოციური მდგომარეობა მომდინარეობს და პირდაპირ კავშირშია განსახილველ ფაქტთან (11:48:13).

15.3. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტმა ე. ლ-მა, რომელმაც ჩაატარა დაზარალებულ ვ. ს-ს სამედიცინო ექსპერტიზა, დაადასტურა, რომ ვ. ს-ს სხეულზე არსებული დამწვრობითი უბნები განვითარებულნი არიან რაიმე მაღალი ტემპერატურის ადგილობრივი ზემოქმედების შედეგად, ხოლო სხვა დანარჩენი დაზიანებები განვითარებულნი არიან რაიმე მკვრივი-ბლაგვი საგნის მოქმედებით;

15.4. ვ. ს-სის ძმამ – შ-ემ განმარტა, რომ 2022 წლის 2 იანვრის შემდეგ, მისი ძმა არის სტრესულ მდგომარეობაში და არ არის კომუნიკაციური.

16. ამდენად, ავტომანქანისა და ბინის გ. ჯ-ს სახელზე გადაფორმების იძულების პარალელურად ვ. ს-ს მიმართ მსჯავრდებულების მიერ განხორციელებულმა მოპყრობამ – ფიზიკურმა შეურაცხყოფამ, ცხელი უთოს დადებამ, წყალში თავის ჩაყოფამ, თავისი ხერხისა და მეთოდის (ფიზიკური შეურაცხყოფის ფონზე ცხელი უთოს დადება და წყალში თავის ჩაყოფა), ხანგრძლივობის (ო. ფ-ს ბინაში ძალადობა დახლოებით 2-3 საათი გაგრძელდა, ხოლო ვ. ს-სის ბინაში – 3-4 საათი), ინტენსივობის (ყველა გავლა-გამოვლისას ურტყამდნენ), ასევე ფიზიკური და/ან მორალური შედეგების (დღემდე იმყოფება სტრესულ მდგომარეობაში) გათვალისწინებით თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროეურატურის პროეურორ მარიამ ბეგიაშვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილეს და ო. ფ-სა და გ. ჯ-ს მსჯავრი უნდა დაედოთ ნამების – ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით და ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ და ფსიქიკურ ტკივილს და რომლის მიზანია პირის იძულება – ჩადენისათვის, ჯაგუფურად, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით.

17. რაც შეეხება თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 12 თებერვლის განაჩენით ო. ფ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 265-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 273¹-ე მუხლის მე-4 ნაწილით დანიშნულ საჯელებს, მიუხედავად იმისა, რომ განაჩენი ამ ნაწილში მხარეების მიერ არ იქნა გასაჩივრებული, საკასა-

ციონსასამართლო ითვალისწინებს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის დანაწესა (სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან უნდა გათავისუფლდეს პირი, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია, მათ შორის, საქართველოს სსკ-ის 273¹-ე მუხლის პირველი-მე-5 ნაწილებით), მე-2 მუხლის პირველ პუნქტს (დანიშნული სასჯელი უნდა გაუნახევრდეს განზრახი დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის არმქონე პირს, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია, მათ შორის, საქართველოს სსკ-ის 265-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ან „გ“-„ე“ ქვეპუნქტით) და მე-10 მუხლის პირველი პუნქტს (ამ კანონის პირველი-მე-4 მუხლების, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-6 მუხლის მოქმედება ვრცელდება იმ პირზე, რომელმაც შესაბამისი დანაშაული 2024 წლის 1 ივლისამდე ჩაიდინა).

17.2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ო. ფ-ს მიმართ უნდა გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონი და იგი სრულად უნდა გათავისუფლდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 12 თებერვლის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 273¹-ე მუხლის მე-4 ნაწილით დანიშნული სასჯელის – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით – მოხდისაგან, ხოლო უნდა გაუნახევრდეს საქართველოს სსკ-ის 265-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 4 წლით და სასჯელის სახედ და ზომად (საქართველოს სსკ-ის 265-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით) განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 2 წლით, ვინაიდან იგი არის ნასამართლობის არმქონე.

18. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, პირს, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის XXXIII თავით გათვალისწინებული ნარკოტიკული დანაშაული და რომელზედაც ვრცელდება ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის მოქმედება, სასჯელისგან გათავისუფლებასთან ერთად, სასამართლოს გადაწყვეტილებით აღუდგება „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლებები (გარდა იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებისა).

18.1. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონი „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლებების (გარდა იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებისა) აღდგენას ითვალისწინებს მხოლოდ

ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტით სასჯელისგან გათავი-სუფლების შემთხვევაში, ხოლო ო. ფ-ს საქართველოს სსკ-ის 273¹-ე მუხ-ლის მე-4 ნაწილით დანიშნული სასჯელისაგან გათავისუფლებასთან ერ-თად, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საქართველოს სსკ-ის 265-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯე-ლი უნახევრდება, მის მიმართ ვერ გავრცელდება „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეღავათი – ჩამორთმეული უფლებების აღდგენა.

19. საკასაციო სასამართლო, იმავდროულად, ითვალისწინებს, რომ გასაჩივრებული განაჩენით ო. ფ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინა-აღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონზე მითითებით ჩამო-ერთვა, მათ შორის: სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველო-ბის სახაზინო (საბიუჯეტო) დანესებულებებში – საჯარო ხელისუფლე-ბის ორგანოებში საქმიანობის უფლება და ცეცხლსასროლი იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება, მიუხედავად იმისა, რომ „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესა-ხებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი (დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი რედაქცია) ითვალისწინებს, მათ შორის: საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლების და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლების ჩამორთმევას (და არა შხოლოდ „ცეცხლსასრო-ლი იარაღის“).

19.1. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ განაჩენით უნ-და მოხდეს საქართველოს კანონით განსაზღვრული კონკრეტული უფ-ლების ჩამორთმევა. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, ვინაიდან მო-ცემულ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 12 თებერვლის განაჩენი მხარეების მიერ არ იქნა გასაჩივრებული მი-თითებულ მუხლებთან და ჩამორთმეულ უფლებებთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს და ცვლილება შეიტანოს განაჩენის ამ ნაწილში.

20. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას გ. ჯ-სა საქა-რთველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტიებითა და საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნ-ქტიებით მსჯავრდებისა და სასჯელის ნაწილში, თუმცა საქმეში არსე-ბული მტკიცებულებების გათვალისწინებით არ იზიარებს გ. ჯ-სა და ო. ფ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვე-პუნქტით წარდგენილი ბრალდების საქართველოს სსკ-ის 144³-ე მუხ-ლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე გადაკვალიფიცირებას, შესაბამი-

სად, ამ ნაწილში ისინი ცნობილ უნდა იქნენ დამნაშავედ საქართველოს საკუ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით.

21. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ სასჯელის გამოყენება უნდა ეფუძნებოდეს ინდივიდუალურ გარემოებებს, საქმის სირთულეს, ქმედებიდან მომდინარე საფრთხეებს, ქმედების ჩადენის ნინაპირობებს, მოტივებს, შედეგებს, დამნაშავის პიროვნების თავისებურებებს, სასჯელის ზემოქმედებას დამნაშავის მომავალ ცხოვრებაზე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება № 1/7/851 „საქართველოს მოქალაქე იმედა ხახუტაიშვილი საქართველოს პარლამენტის ნინააღმდეგ“, 2017 წლის 11 ივლისი, II-10).

22. საკავაციო სასამართლო, ერთი მხრივ, ითვალისწინებს, რომ საქართველოს საკუ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს – თავისუფლების აღკვეთას ოთხიდან შვიდ წლამდე, საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტები – თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ, საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით – თავისუფლების აღკვეთას ცხრიდან თხუთმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავებისა ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ, ხოლო, მეორე მხრივ, ითვალისწინებს, მსჯავრდებულების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, ჩადენილი ქმედების სიმძიმეს, ქმედებაში გამოვლენილ მართლასანინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს (ძალადობრივი დანაშაული), ხერხს (მათ შორის, დაზარალებულისათვის დაზიანებების ცხელი უთოს გამოყენებით მიყენებას), მართლასანინააღმდეგო შედეგს (მათ შორის, ვ. ს-ს ფისიქო-ემოციური მდგომარეობა ფასდება ფსიქოლოგიურ ტანჯვად), მსჯავრდებულების პიროვნებას და მიაჩნია, რომ საქართველოს სსკ-ის 39-ე და 53-ე მუხლების მოთხოვნების გათვალისწინებით, ო. ფ-ს სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს: საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 5 წლით; საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 10 წლით; საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 7 წლით (იმავდროულად, ო. ფ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 265-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 273¹-ე მუხლის მე-4 ნაწილით დანიშნულ სასჯელებთან მიმართებით გამოყენებული უნდა იქნეს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონი); გ. ჯ-ს: საქართველოს სსკ-ის

181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 5 წლით; საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 10 წლით; საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 7 წლით; ხოლო საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, გ. ჯ-სა და ო. ფ-ს სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროთ – თავისუფლების აღკვეთა 10 წლით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ გ. ჯ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის – ლ. ბ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორ მარიამ ბეგვაძიშვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 12 თებერვლის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3.1. ო. ფ-ე ცნობილი იქნეს დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს:

3.1.1. საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 5 წლით;

3.1.2. საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 10 წლით;

3.1.3. საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 7 წლით;

3.1.4. საქართველოს სსკ-ის 265-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 4 წლით;

3.1.4.1. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ო. ფ-ს ე გაუნახევრდეს საქართველოს სსკ-ის 265-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 4 წლით და მოსახდელად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 2 წლით;

3.1.5. საქართველოს სსკ-ის 273¹-ე მუხლის მე-4 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით;

3.1.5.1. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემ-

ბრის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ო. ფ-ე გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 273¹-ე მუხლის მე-4 ნაწილით დანიშნულის სასჯელის – 1 წლით თავისუფლების აღკვეთის მოხდისა-გან;

3.1.6. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, უფრო მკაც-რმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი სასჯელები და საბოლო-ოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ო. ფ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 10 წლით;

3.1.7. ო. ფ-ს სასჯელის ვადა აეთვალოს დაკავების მომენტიდან – 2022 წლის 8 იანვრიდან;

3.1.8. ო. ფ-ს, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შე-სახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვას: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება; საადვოკატო საქმია-ნობის უფლება; პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულება-ში საქმიანობის უფლება; სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმარ-თველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელი-სუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფ-ლება; ცეცხლსასროლი იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება, ხოლო 10 წლით – საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება. აგრეთვე, აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანე-ლობისა და წარმომადგენლობის უფლება.

3.2. გ. ჯ-ი ცნობილი იქნეს დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზო-მად განესაზღვროს:

3.2.1. საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 5 წლით;

3.2.2. საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვე-პუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 10 წლით;

3.2.3. საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 7 წლით;

3.2.4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, უფრო მკაც-რმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი სასჯელები და საბოლო-ოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, გ. ჯ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 10 წლით.

3.2.5. გ. ჯ-ს სასჯელის ვადა აეთვალოს დაკავების მომენტიდან – 2024 წლის 12 თებერვლიდან;

3.2.6. გ. ჯ-ს სასჯელის ვადაში ჩაეთვალოს დაკავებაში და პატიმრო-ბაში ყოფნის პერიოდი – 2022 წლის 5 იანვრიდან 2022 წლის 9 სექტემ-ბრის ჩათვლით.

4. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

იძულება

განაჩენი საქართველოს სახელით

№1165აპ-24

19 ნოემბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
მ. ვასაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ანა როყიას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 7 აგვისტოს განაჩენზე.

აღნიშვნის მიზანი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით ი. ნ-ს, – პირადი №..., – ბრალდ დედოფა:

1.1. სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, ჩადენილი გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსკ-ის) 151-ე მუხლის პირველი ნაწილით (3 ეპიზოდი);

1.2. ადამიანისათვის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვა, ე.ო. მისი ფინანსური იძულება, შეასრულოს მოქმედება, რომლის შესრულება ახრიმლის შესრულებისაგან თავის შეკავება მისი უფლებაა და საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება, ჩადენილი გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით.

2. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით ი. ნ-ს მიერ ჩადენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

2.1. 2023 წლის 15 დეკემბერს, დაახლოებით 22:00 საათზე ი. ნ-ე გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, ქალზე მესაკუთრული დამოკიდებულების გამო, მობილური ტელეფონის მეშვეობით, სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა ბ-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში მყოფ ჯ. ფ-ს, რომელსაც გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

2.2. 2023 წლის 16 დეკემბერს, ღამის საათებში ი. ნ-ე გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, ქალზე მესაკუთრული დამოკიდებულების გამო, მობილური ტელეფონის მეშვეობით, სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა ბ-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში მყოფ ჯ. ფ-სს, რომელსაც გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

2.3. 2023 წლის 17 დეკემბერს, დაახლოებით 19:00 საათზე ი. ნ-ე გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, ქალზე მესაკუთრული დამოკიდებულების გამო, მობილური ტელეფონის მეშვეობით, სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა ბ...., ჭ.... მიმდებარედ მყოფ ჯ. ფ-ს, რომელსაც გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

2.4. 2023 წლის 15 დეკემბრიდან 17 დეკემბრის ჩათვლით დროის პერიოდში, გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, მამაკაცის უპირატესი მდგომარეობისა და ქალზე მესაკუთრული დამოკიდებულების გამო, ი. ნ-ე მობილური ტელეფონის მეშვეობით, ფსიქიკურად – სიცოცხლის მოსპობის მუქარით, აიძულებდა ბ.... მყოფ ჯ. ფ-სს, მისი ნების საწინააღმდეგოდ, მასთან სასიყვარულო ურთიერთობას.

3. **ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 29 მარტის განაჩენით** ი. ნ-ს ზარდეგენილი ბრალდებიდან ამოირიცხა საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული კვალიფიკაცია (სამი ეპიზოდი – 2023 წლის 15 დეკემბერი, 16 დეკემბერი და 17 დეკემბერი);

3.1. ი. ნ-ე ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-?-64-ე მუხლების გამოყენებით ჩაეთვალა პირობითად, 2 წლის გამოსაცდელი ვადით;

3.2. მასვე, საქართველოს სსკ-ის 41-ე, 42-ე მუხლების გამოყენებით დამატებით სასჯელად დაერიშნა ჯარიმა – 2000 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლობა;

3.3. ი. ნ-ე გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან;

3.4. მსჯავრდებულ ი. ნ-ს საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შემთხვევაში, სასჯელის ვადაში ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო – 2023 წლის 17 დეკემბრიდან 2024 წლის 29 მარტის ჩათვლით.

4. სასამართლომ დაადგინა, რომ 2023 წლის 15 დეკემბრიდან 17 დეკემბრის ჩათვლით დროის პერიოდში, გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, მამაკაცის უპირატესი მდგომარეობისა და ქალზე მესაკუთრული დამოკიდებულების გამო, ი. ნ-ე მობილური ტელეფონის მეშვეობით, ფსიქიკურად – სიცოცხლის მოსპობის მუქარით, აიძულებდა ქალაქ ბ.... მყოფ ჯ. ფ-ს, მისი ნების საწინააღმდეგოდ, მას-

თან სასიყვარულო ურთიერთობას.

4.1. იმის გათვალისწინებით, რომ ი. 6-ს მიმართ ბრალად წარდგენილი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით, მოცემულ შემთხვევაში მოიცავს საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლით გათვალისწინებულ მუქარას (სამივე ეპიზოდს), ი. 6-ს წარდგენილი ბრალდებიდან ამოურიცხა საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული კვალიფიკაცია (სამი ეპიზოდი – 2023 წლის 15 დეკემბერი, 16 დეკემბერი და 17 დეკემბერი) და იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

5. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ანა როყვამ, რომელმაც მოითხოვა ი. 6-ს დამნაშავედ ცნობა, მათ შორის, საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით (3 ეპიზოდი) და მკაცრი სასჯელის შეფარდება.

5.1. ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარზე შესაგებელი წარადგინა ი. 6-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა – ნ. დ-მ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 7 აგვისტოს განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 29 მარტის განაჩენი დარჩა უცვლელად.

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ანა როყვამ, რომელიც ითხოვს ი. 6-ს დამნაშავედ ცნობას, მათ შორის, საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით (3 ეპიზოდი) და მკაცრი სასჯელის შეფარდებას.

7.1. ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარზე შესაგებელი წარადგინა ი. 6-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა – ნ. დ-მ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება.

8. საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2024 წლის 13 ნოემბერს შემოვიდა მსჯავრდებული ი. 6-სა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის – ნ. დ-ს განცხადება, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის გავრცელების თაობაზე, იმის გათვალისწინებით, რომ დაცვის მხარე ვერ ახერხებს მსჯავრდებულის მიმართ ამნისტიის კანონის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული შედავათის გავრცელებაზე დაზარალებულად ცნობილი პირის თანხმობის წარმოდგენას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. სასამართლო ითვალისწინებს „ნორმატიული აქტების შესახებ“

საქართველოს კანონის მე-7¹ მუხლსა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (მემდეგში – საქართველოს სსკ-ის) 273-ე მუხლს; ასევე – ზედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას, დაეთანხმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას, საფუძვლების გამეორების გარეშე (იხ. Hirvisaari v. Finland, no. 49684/99, §30, ECtHR, 25/12/2001); იმ გარემოებას, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების ვალდებულება არ მოითხოვს მხარეების მიერ მითითებულ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას (იხ. Fomin v. Moldova, no. 36755/06, § 31, ECtHR, 11/11/2011) და ქვედა ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის გაზიარება არ არღვევს დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლებას (იხ. Gorou v. Greece (No.2) no. 12686/03, §37, §41, ECtHR, 20/03/2009).

2. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრა: პროკურორმა, რომელიც ითხოვს ი. ნ-ის დამამავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით (3 ეპიზოდი) და მკაცრი სასჯელის შეფარდებას, ხოლო დაცვის მხარე – შესაგებლით – გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვებას.

2.1. მოცემულ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ გასაჩივრებული განაჩენით მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი იძულება, იმავდროულად, მოიცავს მუქარის სამ ეპიზოდს, ხოლო კასატორის პოზიციით ჩადენილი მუქარა (სამი ეპიზოდი) არის დამოუკიდებელი დანაშაული და შესაბამისად, მსჯავრად შერაცხილი იძულება არ მოიცავს მუქარის ეპიზოდებს, დავის საგანია იმ საკითხის გარკვევა, ი. ნ-სეს მსჯავრი უნდა დაედოს ბრალად ნარდგენილი კვალიფიკაციით – საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით (სამი ეპიზოდი) და საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით თუ მსჯავრადშერაცხილი – საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომელიც, იმავდროულად, მოიცავს იმავე პერიოდში (2023 წლის 15, 16 და 17 დეკემბერს) განხორციელებულ მუქარის სამ ეპიზოდს.

3. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩინია, რომ ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ანა როყაფას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაგმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

4. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება კასატორის მოთხოვნას და მიაჩინია, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებულ განაჩენში მიუთითა იმ ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე, რომელებმაც ი. ნ-ს მიმართ ნარდგენილი ბრალდებიდან საქართველოს სსკ-

ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების (სამი ეპიზოდი – 2023 წლის 15 დეკემბერი, 16 დეკემბერი და 17 დეკემბერი) ამორიცხვა, საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით მსჯავრდება და შესაბამისი სასჯელი განაპირობა; იმავდროულად, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ ბრალდების მხარემ ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანის მოხოვნით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საჩივრით მიმართა იმავე (იდენტურ) არგუმენტებზე დაყრდნობით, რომლებიც საკასაციო საჩივრია ჩამოყალიბებული.

5. საკასაციო სასამართლო, ერთი მხრივ, ითვალისწინებს, იმ გარემოებას, რომ ბრალდების მხარე მსჯავრდებულს ედავება: ჯ. ფ-ს მიმართ 2023 წლის 15, 16 და 17 დეკემბერს, გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, ქალზე მესაკუთრული დამოკიდებულების გამო, სიცოცხლის მოსპობით მუქარას, ხოლო, მეორე მხრივ, იმავე პერიოდში (2023 წლის 15 დეკემბრიდან 17 დეკემბრის ჩათვლით) გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, მამაკაცის უპირატესი მდგომარეობისა და ქალზე მესაკუთრული დამოკიდებულების გამო, ფსიქიკურად – სიცოცხლის მოსპობის მუქარით, ჯ. ფ-ს მიმართ, მისი ნების საწინააღმდეგოდ, ჩადენილ სასიყვარულო ურთიერთობის იძულებას.

5.1. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, რომ ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია და მხარეთა შორის სადავო არ არის, რომი. ნ-ს მხრიდან ჯ. ფ-ს მიმართ მუქარა ხორციელდებოდა სწორედ კონკრეტული მიზნით – დაზარალებული იძულებული გამხდარიყოდა მეყმარებინა სასიყვარულო ურთიერთობა მსჯავრდებულთან ი. ნ-ს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლით, რადგან ფსიქიკური იძულება, სიცოცხლის მოსპობის მუქარის გზით (როგორც იძულების ჩადენის ხერხი) განხორციელდა.

6. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ბრალდების მხარის მოთხოვნას, ი. ნ-ს საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით (სამი: 2023 წლის 15, 16 და 17 დეკემბერის ეპიზოდი) დამნაშავედ ცნობის თაობაზე და მიაჩნია, რომ ამ ნაწილში არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და შესაბამისად, გასაჩივრებული განაჩენის ამ ნაწილში შეცვლის საფუძველი.

7. საკასაციო სასამართლო, იმავდროულად, ერთი მხრივ, ითვალისწინებს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტს (ამ კანონის პირველი-მე-4 მუხლების, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-6 მუხლის მოქმედება

ვრცელდება იმ პირზე, რომელმაც შესაბამისი დანაშაული 2024 წლის 1 ივლისამდე ჩაიდინა) და მე-2 მუხლის მე-2 პუნქტს (გაუნახევრდეს დანიშნული სასჯელი განზრახი დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის არმქონე პირს, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია, მათ შორის, საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის (გარდა ოჯახური დანაშაულის ჩადენის შემთხვევისა) პირველი ნაწილით, თუ თითოეული დაზარალებული ამ კანონის აღსრულებისას გამოძიების ორგანოს ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ აღნიშნულ პირზე გავრცელდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია), ხოლო, მეორე მხრივ, მსჯავრდებული ი. ნ-სა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის – ნ. დ-ის 2024 წლის 13 ნოემბერის განცხადებას (დაცვის მხარე ვერ ახერხებს დაზარალებულად ცნობილი პირის თანხმობის წარმოდგენას, რომ მსჯავრდებულზე გავრცელდეს ამნისტიის კანონის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული შეღავათი), ასევე „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველ პუნქტს (ერთი მეექვსედით შეუმცირდეს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი პირს, რომელზედაც არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია და რომელსაც ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული დანაშაული არ ჩაუდენია) და მე-9 მუხლის პირველი პუნქტის (ამ კანონის მე-2 მუხლით (გარდა მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა), მე-3 მუხლით, მე-4 მუხლით (გარდა მე-4 მუხლის მე-4 ან მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) ან მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სასჯელის შემცირება ვრცელდება ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ რეალურ სასჯელზე, პირობით მსჯავრსა და გამოსაცდელ ვადაზე, აგრეთვე სხვა სასჯელზე (გარდა ჯარიმისა, ქონების ჩამოროთმევისა, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვისა და სამხედრო წოდების ჩამოროთმევისა);

7.1. მოცემულ შემთხვევაში, ი. ნ-ს მსჯავრი ედება საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომელზეც არ ვრცელდება ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ამნისტია, ვინაიდნ დაზარალებულს თანხმობა არ განუცხადებია მსჯავრდებულის მიმართ ამნისტიის გავრცელების თაობაზე.

8. იმავდროულად, ი. ნ-სათვის მსჯავრად შერაცხილი დანაშაული არ არის მითითებული ამავე კანონის მე-7 მუხლში, შესაბამისად მის მიმართ უნდა გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი და საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხ-

ლის საფუძველზე ჩაეთვალა პირობითად და საქართველოს სსკ-ის 64-ე მუხლის საფუძველზე გამოსაცდელ ვადად განესაზღვრა 2 წელი – უნ- და შემცირდეს ერთი მეტექსედით.

8.1. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ „ამნისტის შესა- ხებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის პირველი მუხლით გათვალის- წინებული სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელის- გან გათავისუფლება, აგრეთვე ამ კანონის მე-2 მუხლით (გარდა მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა), მე-3 მუხლით, მე-4 მუხლით (გარდა მე-4 მუხლის მე-4 ან მე-5 პუნქტით გათვალისწი- ნებული შემთხვევისა) ან მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებუ- ლი სასჯელის შემცირება ვრცელდება ვადიანი თავისუფლების აღკვე- თის სახით დანიშნულ რეალურ სასჯელზე, პირობით მსჯავრსა და გა- მოსაცდელ ვადაზე, აგრეთვე სხვა სასჯელზე (გარდა ჯარიმისა, ქონე- ბის ჩამორთმევისა, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვი- სა და სამხედრო წოდების ჩამორთმევისა), შესაბამისად, საკასაციო სა- სამართლო მოკლებულია შესაძლებლობას „ამნისტის შესახებ“ საქარ- თველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მოქმედება გაავრცელოს საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე, დამატებითი სასჯე- ლის სახით დანიშნულ სასჯელზე – ჯარიმა 2000 ლარზე.

9. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ბათუმის რაიონული პროკუ- რატურის პროკურორ ანა როყვას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკ- მაყოფილდეს, თუმცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 7 აგვისტოს განაჩენი, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის საფუძველზე, უნდა შეიცვალოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, „ამ- ნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ანა როყვას სა- კასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 7 აგვისტოს განაჩენში შევიდეს ცვლილება:

2.1. ი. ნ-ე ცონიბილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღ-

კვეთა 1 წლით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე ჩაეთვალოს პირობითად და საქართველოს სსკ-ის 64-ე მუხლის საფუძველზე გამოსაცდელ ვადად განესაზღვროს 2 წელი; მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე, დამატებით სასჯელის სახით დაენიშნოს ჯარიმა – 2000 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

2.2. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, თავისუფლების აღკვეთის სახით დანიმუშლი სასჯელი შეუმცირდეს ერთი მეექვსედით და, საბოლოოდ, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 10 თვით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე ჩაეთვალოს პირობითად და საქართველოს სსკ-ის 64-ე მუხლის საფუძველზე გამოსაცდელ ვადად განესაზღვროს 1 წელი და 8 თვე;

3. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქონების განადგურების მუქარა, ჩადენილი ოჯახის ნევრის მიმართ

განაჩენი საქართველოს სახელით

№842აპ-24

10 დეკემბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ლ. თევზაძე (თავმჯდომარე),

შ. თადუმაძე,

მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ბ-ს ინტერესების დამცველის, ადგომატ რ. ჩ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 27 მაისის განაჩენზე.

აღნერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 27 თებერვლის განაჩენით:

1.1. ა. ბ., – დაბადებული ... წლის ... თებერვალს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

1.2. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 28 აპრილის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით და-ნიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან – 3 წლით თავისუფლების აღკვეთიდან და ჯარიმა – 5910 ლარიდან სასჯელის ნაწილი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 3000 ლარი და საბოლოოდ, გა-ნაჩენთა ერთობლიობით, ა. ბ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 2 წლი-თა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 3000 ლარი. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2023 წლის 24 სექტემბრიდან.

2. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ა. ბ-მა ჩაიდინა ქონე-ბის განადგურების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩ-ნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ, რაც გამოიხატა შემდეგში:

2.1. 2023 წლის 24 სექტემბერს, დაახლოებით 01:30 საათზე, ქ. თ-ი, ა-ს ქუჩის №...-ში, ა. ბ., ყოველგვარი მიზეზის გარეშე, ქონების განად-გურებით დაემუქრა დას – ი. ბ-სა და დედას – ა. ბ-ს, კერძოდ, უთხრა, რომ სახლს გადაწვავდა. ა. ბ-ს მუქარა ი. ბ-მა და ა. ბ-მა აღიქვეს რეალუ-რად და გაუჩნდათ ქონების განადგურების მუქარის აღსრულების სა-ფუძვლიანი შიში.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 27 მაისის განაჩენით:

3.1. დაცვის მხარის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კო-ლეგიის 2024 წლის 27 თებერვლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

4. კასატორმა – მსჯავრდებულ ა. ბ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმარ. ჩ-მ საკასაციო საჩივრით მოითხოვა თბილისის სააპელა-ციონ სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 27 მაისის განაჩენის გაუქმება და ა. ბ-ს გამართლება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გაააღი-ზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ მსჯავ-რდებულ ა. ბ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ რ. ჩ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სისხლის სამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის ფინანსური ხელშეუხებლობა, რაც შესაძლოა, დაირღვეს, როდესაც დაზარალებულს ემუქრებიან ძალადობრივი ქმედების ჩადენით და მუქარის ფორმა ადრესატს უქმნის მუქარის აღსრულების საფუძვლიან შიშს. ამასთან, მუქარა თავისი ფორმით, განხორციელების ვითარებითა და განმახორციელებელი სუბიექტის გათვალისწინებით ადრესატს უქმნის მუქარის აღსრულების რეალურობის განცდას.

3. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე დაზარალებულებმა – ა. ბ-მა და ა. ბ-მა ისარგებლეს საქართველოს სსკ-ის 49-ე მუხლით მისთვის მინიჭებული უფლებით და უარი განაცხადეს ჩვენების მიცემაზე ახლო ნათესავის – შვილისა და ძმის წინააღმდეგ.

4. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს დაცვის მხარის მოსაზრებას ა. ბ-ს „უდანაშაულობის თაობაზე და ითვალისწინებს, რომ „ოჯახური დანაშაულის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაზარალებულის ჩვენების არარსებობის ან საქმის მასალებში ბრალდებულის მიმართ დაზარალებულის პრეტენზიის არარსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობის შემთხვევაშიც, ბრალდებულის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს საქმეში წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებების საფუძველზე“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებები №766აპ-19; 627აპ-19). მოცემულ შემთხვევაში საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე დაზარალებულებმა – ა. ბ-მა და ა. ბ-მა ისარგებლეს საქართველოს სსკ-ის 49-ე მუხლით მისთვის მინიჭებული უფლებით და უარი განაცხადეს ჩვენების მიცემაზე, თუმცა 2023 წლის 24 სექტემბრის მუქარის ფაქტის დასაბუთებულობა არ არის დამოკიდებული მხოლოდ დაზარალებულების ჩვენებაზე და საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ ა. ბ-მა ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული.

5. საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ „სასამართლომ ინდივიდუალურად უნდა შეაფასოს ყველა მტკიცებულება და ერთმანეთისგან გამოიჯნოს, რომელი ჩვენება, ან ჩვენების ნაწილი წარმოადგენს ირიბს და შემდგეგ გადაწყვიტოს, რამდენად შესაძლებელია ამ ჩვენების გამოყენება გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 14 ივლისის განაჩენი №97აპ-20).

6. საქმეზე მოწმის სახით დაკითხული ზ. მ-ა და ა. კ-ს ჩვენებები

არათუ არ ენინაალდეგება ერთმანეთს, მათ მიერ თანმიმდევრულად და დეტალურად იხსნება შემთხვევის ადგილზე ნანახი ვითარება. გარდა იმისა, რომ ა. ბ. მათი თანდასწრებითაც ახმოვანებდა მუქარის ტექსტს, ისინი პირდაპირ მიუთითებენ დაზარალებულთა ემოციურ მდგომარეობაზე, რაც, მათივე გადმოცემით, იყო საკმაოდ მძიმე. დაზარალებულები ნერვიულობისგან ვერ საუბრობდნენ, ერთ-ერთ მათგანს გულიც წაუვიდა და დასჭირდა სამედიცინო დახმარება, მათ ეშინოდათ იმდენად, რომ სთხოვდნენ პატრულის თანამშრომლებს, სახლისგან მოშორებით გაეჩერებინათ მანქანა, ისინი არ მიჰყვებოდნენ მათ ა. ბ-ს ადგილსამყოფელთან, აცხადებდნენ, რომ ეშინოდათ, რადგან პოლიციის გამოძახების გამო, შესაძლოა, დაეხოცა ისინი. სწორედ დაზარალებულთა ემოციებისა და განცდილი შიშის ნაწილში პატრულინსპექტორთა ჩვენებები პირდაპირი შინაარსის მტკიცებულებებია, რომლებიც ვერ იქნა გაქარწყობული დაცვის მხარის არადამაჯერებელი არგუმენტებით.

7. პატრულ-ინსპექტორთა ჩვენებებს თანმიმდევრულად მიჰყვება და ავსებს გამომძიებელ ბ. ნ-ის ჩვენება, რომლის მიხედვით, იგი ა. ბ-ს დაკავებისას გამოცხადდა მისამართზე, სადაც დახვდნენ ი. ბ. და ა. ბ-ი. დაზარალებულთა განმარტებით, ა. ბ. მათ დაემუქრა ქონების განადგურებით. საცხოვრებელ სახლში დაზიანებული იყო სხვადასხვა საოჯახო ნივთი, თეფშები იყო დამტკიცებული და კარადა გადაბრუნებული, რის გამოც დაზარალებულ ი. ბ-ს მონაწილეობით, დაათვალიერა შემთხვევის ადგილი. შედეგად ამოღებულ იქნა თეფშების ნატეხები. მოწმის ჩვენებით, მან გამოკითხა ი. ბ. და ა. ბ-ი. ი. ბ-ს ჩვენებით, 24 სექტემბერს დაუკავშირდა მისი ძმა – ა. ბ., რომელმაც სთხოვა გადასულიყო და გადაეტანა ფულადი თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში გადაწვავდა მათ საცხოვრებელ სახლს, რის გამოც დაზარალებულებს გაუჩნდათ მუქარის აღსრულების საფუძვლიანი შიში და გამოიძახეს პოლიცია. მისი მისვლისას დაზარალებულები იყვნენ აღელვებული, განერვიულებული და ნამტირალევი, ვინაიდან ეშინოდათ, რომ ა. ბ. მუქარას აღასრულებდა.

8. მომხდარი დანაშაულის ლოგიკური ჯაჭვის შეკვრაში მნიშვნელოვანი როლი აქვთ საქმეზე წარმოდგენილ წერილობით მტკიცებულებებს, კერძოდ, №... და №... შემაკავებელ ორდერებსა და მათ ოქმებს, რომლებშიც აღნიშნულია, რომ ა. ბ-მ ფსიქოლოგიურად იძალადა ი. ბ-ზე და განახორციელა ქონების მოსპობის მუქარა. თავის მხრივ, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი იმეორებს საქმეზე დაკითხულ პატრულ-ინსპექტორებისა და გამომძიებლის ნაამბობს ქ. თ-ი, ა-ს ქუჩა №...-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში არეულობის შესახებ. მასში მითითებულია, რომ 2023 წლის 24 სექტემბერს, გამომძიებელმა ბ. ნ-მა, მოწ-

მე ი. პ-ს მონაწილეობით, დაათვალიერა ქ. თ-ი, ა-ს ქუჩის №...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი. საცხოვრებელი სახლის სამზარეულო ოთახში შეინიშნებოდა არეულობა, კერძოდ: იატაკისა და მაგიდის ზედაპირზე მიმოფანტული იყო ჭურჭლის ნამსხვრევები, რომელიც შემთხვევის ადგილის დათვალიერების შემდეგ მოთავსდა პოლიეთილენის პარკში და დაიღუქა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის №20 ლუქით.

9. სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ში“ შესული შეტყობინების აუდიოჩანაწერის დათვალიერების ოქმის თანახმად, ქალბატონი ესაუბრება ოპერატორს და ითხოვს საპატრულო პოლიციის სწრაფად (ჩქარა) მისვლას. კარნახობს მისამართს (ქ., ა-ს ქუჩა №...). ოპერატორს ეუბნება თავის ვინაობას და უმარტავს, რომ ძმის – ა. პ-ს მხრიდან დედამისის და მის მიმართ ადგილი აქვს ბინის დაწვის მუქარას.

10. საკასაციო სასამართლო იზიარებს გასაჩივრებული განაჩენის მსჯელობას და მიაჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულების მიერ განცდილი შიშის დადგენა შეუძლებელია თავად დაზარალებულების სასამართლო ჩვენებით (სუბიექტური ტესტი), ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარმოდგენილია საკმარისი მტკიცებულებები განსახილველი დანაშაულის ამ საგალდებულო ნიშნის ფაქტობრივად (ობიექტური ტესტი) დასადასტურებლად, კერძოდ, საქმეზე დაკითხული პატრულ-ინსპექტორები და გამომძიებელი პირდაპირ მიუთითებენ დაზარალებულთა შეშინებულ მდგომარეობაზე, იგივე იკვეთება სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ში“ განხორციელებული შეტყობინების ჩანაწერში, სადაც ი. პ. ითხოვს სამართლდამცველთა მისვლას სწრაფად.

11. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და ასევე, საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, საკასაციო სასამართლოს გონივრულ ეჭვს მიღმა დადასტურებულად მიაჩნია, რომ მსჯავრდებულმა ა. პ-მა ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული და განსაზღვრული აქვს სამართლიანი სასჯელი.

12. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე ოჯახური დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში უნდა გაუნახევრდეს დანიშნული სასჯელი განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის არმქონე პირს, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით ან მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, თუ თითოეული დაზარალებული ამ კანონის

აღსრულებისას გამოძიების ორგანოს ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ აღნიშნულ პირზე გავრცელდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია, და თუ ეს პირი თანახმაა, რომ მის მიმართ „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ამ პირის მიერ ძალადობის განმეორების რისკის შეფასების გარეშე გამოიცეს დამცავი ორდერი იმ ვადით, რომლითაც მას ამნისტიის შედეგად შეუმცირდა სასჯელი, მაგრამ არაუმეტეს 9 თვისა. დამცავი ორდერით გასათვალისწინებელი შეზღუდვების ფარგლებს განსაზღვრავს მოსამართლე.

13. საქმის მასალების თანახმად, მსჯავრდებული ა. პ. ნასამართლევია საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით.

14. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ერთი მეექვსედით უნდა შეუმცირდეს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი პირს, რომელზედაც არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია და რომელსაც ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული დანაშაული არ ჩაუდენია. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ამ კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ოჯახური დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პირზე ამ მუხლის პირველი ან მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია გავრცელდება, თუ იგი თანახმაა, რომ მის მიმართ „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ამ პირის მიერ ძალადობის განმეორების რისკის შეფასების გარეშე გამოიცეს დამცავი ორდერი იმ ვადით, რომლითაც მას ამნისტიის შედეგად შეუმცირდა სასჯელი, მაგრამ არაუმეტეს 9 თვისა. დამცავი ორდერით გასათვალისწინებული შეზღუდვების ფარგლებს განსაზღვრავს მოსამართლე.

15. შესაბამისად, „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ ა. პ-ს საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 1 ნლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა უნდა შეუმცირდეს ერთი მეექვსედით, რაც შეადგენს 1 წელსა და 3 თვეს.

16. „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3, მე-4 და მე-7 პუნქტების თანახმად, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ ამ კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტითა და მე-4 მუხლის მე-4 ან მე-5 პუნქტით გათვალისწინებუ-

ლი ამნისტიის აღსრულების მიზნით გადაწყვეტილებას ამ მუხლის პირველი ან მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სასამართლო იღებს პირის მიერ მის მიმართ დამცავი ორდერის გამოცემაზე თანხმობის მიცემის შემთხვევაში; სასამართლოს პენიტენციურ დაწესებულებაში/პრობაციის რეჟიმში მყოფი ან არასაპატიმრო სასჯელით მსჯავრდებული პირის პირად საქმეს ამ კანონის ამოქმედებიდან 3 კვირის ვადაში უგზავნის შესაბამისი პენიტენციური დაწესებულება/საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ორგანო - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიურო. ამ კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტითა და მე-4 მუხლის მე-4 ან მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ამნისტიის აღსრულების მიზნით სასამართლოს შესაბამისი პენიტენციური დაწესებულება პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის პირად საქმესთან ერთად უგზავნის მსჯავრდებულის წერილობით თანხმობას მის მიმართ დამცავი ორდერის გამოცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე; მსჯავრდებულზე ამ კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტითა და მე-4 მუხლის მე-4 ან მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ამნისტიის გავრცელების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებაში (განაჩენში/განჩინებაში) აღნიშნული უნდა იყოს დამცავი ორდერის გამოცემისა და ამ ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების/ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგები. მოსამართლე, მსჯავრდებულზე ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტიის გავრცელების შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად, გამოსცემს დამცავ ორდერს ამ კანონით განსაზღვრული ვადით.

17. საქმეში წარმოდგენილია მსჯავრდებულ ა. ბ-ს განცხადება, რომ იგი თანახმა, მის მიმართ გამოიცეს დამცავი ორდერი.

18. „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ერთი მეექვსედით უნდა შეუმცირდეს ვადიანი თავისუფლების ალკვეთის სახით დანიშნული სასჯელი პირს, რომელზედაც არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია და რომელსაც ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული დაწაული არ ჩაუდენია.

19. ამდენად, მსჯავრდებულ ა. ბ-ს ერთი მეექვსედით უნდა შეუმცირდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 28 აპრილის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეადგენს 2 წელსა და 6 თვეს.

20. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს – 1 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთას ნაწილობრივ პროპორციულად უნდა დაემატოს ნინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან – 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთიდან და ჯარიმა – 5910 ლარიდან, სასჯელის ნაწილი – 10 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 3000 ლარი. საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ა. ბ-ს სასჯელის ზომადუნდა განესაზღვროს 2 წლითა და 1 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 3000 ლარი. ასევე მსჯავრდებულ ა. ბ-ს მიმართ უნდა გამოიცეს დამცავი ორდერი იმ ვადით, რა ვადითაც შეუმცირდა სასჯელი, ანუ 3 თვით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკამაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით, „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონით, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ა. ბ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ რ. ჩ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 27 მაისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. ა. ბ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და მიესაჯოს 1 (ერთი) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, შეუმცირდეს ერთი მეექვსედით და განესაზღვროს 1 (ერთი) წლითა და 3 (სამი) თვით თავისუფლების აღკვეთა;

4. „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ა. ბ-ს ერთი მეექვსედით შეუმცირდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 28 აპრილის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 3 (სამი) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვროს 2 (ორი) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა;

5. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბო-

ლოგ განაჩენით დანიშნულ სასჯელს – 1 (ერთი) წლითა და 3 (სამი) თვით თავისუფლების აღკვეთას ნაწილობრივ პროპორციულად დაემატოს ნინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან სასჯელის ნაწილი – 10 (ათი) თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 3000 (სამი ათასი) ლარი. საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ა. ბ-ს სასჯელის ზომად განესაზღვროს 2 (ორი) წლითა და 1 (ერთი) თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 3000 (სამი ათასი) ლარი;

6. „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების საფუძველზე, მსჯავრდებულ ა. ბ-ს მიმართ გამოიცეს დამცავი ორდერი 3 (სამი) თვით, შემდეგი პირობებით:

7. ა. ბ-ს (დაბადებული ... წლის ... თებერვალს, პ/ნ ..., მცხოვრები ქ. თი, ა-ს ქუჩის №...-ში) აეკრძალოს იმ სახლთან მიახლოება, რომელშიც ცხოვრიბენ ი. ბ. (დაბადებული ... წლის ... მარტს, პ/ნ ..., მცხოვრები ქ. თი, ა-ს ქუჩის №...-ში) და ა. ბ-ი (დაბადებული ... წლის ... ოქტომბერს, პ/ნ ..., მცხოვრები ქ. თი, ა-ს ქუჩის №...-ში);

8. ა. ბ-ს აეკრძალოს ი. ბ-სა და ა. ბ-თან, მათ სამსახურებსა და იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც ისინი იმყოფებიან;

9. ა. ბ-ს აეკრძალოს ი. ბ-სა და ა. ბ-თან ნებისმიერი სახის კომუნიკაცია ტელეფონის, სოციალური ქსელისა და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით;

10. ა. ბ-ს აეკრძალოს თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობა;

11. ა. ბ-ს აეკრძალოს იარაღით სარგებლობა;

12. დამცავი ორდერის პირობების დარღვევა გამოიწვევს კანონმდებლობით განსაზღვრულ პასუხისმგებლიობას;

13. დამცავი ორდერი ძალაში შედის გამოცემისთანავე და მოქმედების ვადა აეთვალის მსჯავრდებულ ა. ბ-ს პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლებისთანავე;

14. ა. ბ-ს დაევალოს მოძალადის მიერ ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლის კურსის გავლა;

15. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. ეკონომიკური დანაშაული

თაღლითობა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია

განაჩენი საქართველოს სახელით

№800აპ-24

30 დეკემბერი, 2024 წ.,

ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
ნ. სანდოძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს გენერალური
პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის ფულის გათეთრების წინააღ-
მდეგ ბრძოლის სამსართველოს პროკურორ ზინიკო ქობალიასა და
მსჯავრდებულ ნ. ა-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის ვ. გ-სის სა-
კასაციის საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის
22 მაისის განაჩენზე.

აღნერილობითი ნაწილი:

1. პირის პრალდების შესახებ დადგენილებით: ნ. ა-ს – პ/ნ –
ბრალად ედებოდა:

1.1. თაღლითობა, ე.ი. წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, მარ-
თლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სხვისი დიდი ოდენობით
ნივთის დაუფლება მოტყუებით, დანაშაული გათვალისწინებული სა-
ქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდეგში – საქართვე-
ლოს სსკ-ის) 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვე-
პუნქტებით.

მის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

6. ა-მ გამოძიებით დაუდგენელ პირებთან ერთად განიზრახა საბან-
კო ანგარიშების გამოყენებით არარზიდენტი ფიზიკური პირის კუთ-
ვნილი დიდი ოდენობით ფულადი თანხის მოტყუებით დაუფლება. გან-
ზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, წინასწარ შემუშავებული სქე-
მის შესაბამისად, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა, რომლებიც
მოქმედებდნენ „ე. კ-ს“ სახელით, მობილური ტელეფონით კომუნიკა-
ცია დამყარეს ნარსულში ბინარული ოფციებით მომგებიანი ვაჭრობის
პირობით დაზარალებულ ლ-ს მოქალაქე შ. მ-სთან და თითქოსდა და-
კარგული თანხების დაბრუნების და დამატებით მოგების მიღების პი-

რობით, 2020 წლის 20 მაისიდან 2020 წლის 5 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში, ჯამში 33 950 ევრო მოტყუებით ჩაარიცხინეს 6. ა-სის ს.ს. „ს-სი“ არსებულ ანგარიშზე. ზემოაღნიშნული გზით, 6. ა-ი დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებთან ერთად მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა შ. მსსის (S.... M....-ს) კუთვნილ 33 950 ევროს (121 182.12 ლარი);

1.2. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ე.ი. უკანონო ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა, მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით, აგრეთვე მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, განთავსების დამალვა და შენიღბვა, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის პირველი ნაწილით.

მის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა:

შ. მ-ს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების შემდეგ, 6. ა-მა განიზრახა პირადი საბანკო ანგარიშების გამოყენებით, მრავალჯერადი ტრანზაქციების განხორციელების გზით, უკანონოდ მიღებული თანხებისათვის კანონიერი სახის მიცემა, მისი ნამდვილი ბუნების წარმოშობის წყაროს, განთავსების დამალვა და შენიღბვა. უკანონო შემოსავლების ლეგალიზის მიზნით, 2020 წლის 25 მაისიდან 2020 წლის 27 აგვისტოს პერიოდში, მოტყუებით დაუფლებული თანხების ნაწილი, მათ შორის კონვერტირებული ლარში, 6. ა-მა დანაწევრებით განათავსა „ს-ში“ არსებულ პირად საბანკო ანგარიშებზე და განკარგა პირადი საჭიროებისამებრ. აღნიშნულით 6. ა-მა მოახდინა 4 041.14 ევროს და 5 460 ლარის (ჯამში 20 126.5 ლარი) უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 13 თებერვლის განაჩენით:

2.1. 6. ა-ი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

2.2. 6. ა-ი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

2.3. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ 6. ა-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

2.4. 6. ა-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალა ფაქტობრივი დაკავები-დან – 2022 წლის 16 მაისის 13:00 საათიდან.

3. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა დაცვის მხარემ, მსჯავრდებულ ნ. ა-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ვ. გ-მა, რომელმაც მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის გაუქმება, მსჯავრდებულ ნ. ა-ის უდანაშაულოდ ცნობა და გამართლება.

3.1. სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მსჯავრდებულმა ნ. ა-მა და მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატმა შესავალი და დასკვნითი სიტყვების წარმოდგენის ეტაპზე მხარი დაუჭირეს სააპელაციო საჩივრარს და მოითხოვეს მისი დაკმაყოფილება. ამასთან, აღტერნატივის სახით დაცვის მხარემ მოითხოვა გამამართლებელი განაჩენის დადგენა საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის პირველი წანილით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო მსჯავრდებულ ნ. ა-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლით წარდგენილი ბრალდების დაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის 186-ე მუხლით ან მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქება, კერძოდ კი საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 წანილის საფუძველზე, თავისუფლების აღკვეთის წანილობრივ პირობით მსჯავრად ჩათვლა, ან სასჯელის სახით ჯარიმის გამოყენება. საქმის განხილვის დასკვნით სხდომაზე რეპლიკის ფარგლებში კი დაცვის მხარემ განმარტა, რომ ნ. ა-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას ცნობენ დადგენილად, რის შედეგადაც დაცვის მხარემ მოითხოვა ნ. ა-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის პირველი წანილით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 წანილის საფუძველზე, დანიშნული სასჯელის წანილის პირობით მსჯავრად ჩათვლა. მსჯავრდებულმა ნ. ა-მა საბოლოო სიტყვის თქმის ეტაპზე მიუთითა, რომ აღიარებს თაღლითობის ჩადენას, კერძოდ იმ ფაქტს, რომ თაღლითობის თანამონაწილე გახდა, ხოლო ფულის გათეთრების ჩადენის წანილში მოითხოვა გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 22 მაისის განაჩენით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა წანილობრივ და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 13 თებერვლის განაჩენში შევიდა ცვლილება:

4.1. ნ. ა-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის პირველი წანილით წარდგენილ ბრალდებაში;

4.2. ნ. ა-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 წანილის „ა“ და მე-3 წანილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად

განესაზღვრა – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

4.3. 6. ა-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალა დაკავებიდან – 2022 წლის 16 მაისიდან.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო ნესით გაასაჩივრეს პრალდებისა და დაცვის მხარეებმა.

5.1. საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს პროკურორი ზინიკო ქობალია ითხოვს ცვლილება შევიდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენშიდან. ა-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ წარდგენილ პრალდებაში, კერძოდ, საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე და განესაზღვროს კანონიერი და სამართლიანი სასჯელი;

5.2. მსჯავრდებულ 6. ა-ს ინტერესების დამცველი ადვოკატი ვ. გ-სი ითხოვს 6. ა-ის მიმართ დანიშნული სასჯელის შემსუბუქებას, კერძოდ, არასაპატიმრო სასჯელის განსაზღვრას და ჯარიმის გამოყენებას.

6. 2024 წლის 3 ოქტომბერს საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა მსჯავრდებულ 6. ა-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ვ. გ-მა, რომელიც ითხოვს: მსჯავრდებულ 6. ა-ზე გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი; მსჯავრდებულ 6. ა-ს გაუნახევრდეს დანიშნული სასჯელი საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ჩადენილი დანაშაულისათვის, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. განცხადებას თან ერთვის დაზარალებულ შ. მ-ის განცხადება (რომელიც ნათარგმნია ქართულად და თარგმანი დამონმებულია ნოტარიულად), რომლითაც დაზარალებული თანხმობას აცხადებს 6. ა-ს მიმართ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენებაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

1. სასამართლო ითვალისწინებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7¹ მუხლსა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსკ-ის) 273-ე მუხლს; ასევე – ზედა ინსტანციის სასამართლოების უფლებას, დაეთანხმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას, საფუძვლების გამეორების გარეშე (იხ. Hirvisaari v. Finland, no. 49684/99, §30, ECtHR, 25/12/2001); იმ გარემოებას, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების ვალდებულება არ მოითხოვს მხარეების მიერ მითითებულ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას (იხ. Fomin v. Moldova, no. 36755/06, § 31, ECtHR, 11/11/2011) და ქვედა ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის გაზიარება არ არღვევს დასაბუთებული გადაწყვეტილე-

ბის უფლებას (იხ. Gorou v. Greece (No.2) no. 12686/03, §37, §41, ECtHR, 20/03/2009).

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 22 მაისის განაჩენი გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა. ბრალდების მხარე ითხოვს ნ. ა-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო დაცვის მხარე ითხოვს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის განსაზღვრული სასჯელის შემსუბუქებას.

3. ბრალდების მხარის მიერ ნ. ა-ს საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის პირველი ნაწილით მსჯავრდების მოთხოვნასთან მიმართებით, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების განკარგვა ავტომატურად არ ნიშნავს მის ლეგალიზაციას, რამეთუ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შემადგენლობისათვის აუცილებელია, რომ პირის განზრახვა და თანმდევი ქმედებ(ებ)ი მიმართული იყოს უშუალოდ უკანონო ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემისაკენ მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით, რაც მოცემულ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით არ დასტურდება.

4. სასამართლო ითვალისწინებს, რომ სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ნ. ა-ს მიერ პირად ანგარიშებზე შეტანილი თანხა არ წარმოადგენს ოჯახის დააზოგს (ვინაიდან, შემოსავლების სამსახურიდან, საჯარო რეესტრიდან, სს „ს-იდან“ და სს „ვ..“ ბანკიდან მოწოდებული ინფორმაციით დგინდება, რომ ნ. ა-სა და მის დედას, როგორც ფიზიკურ პირებს, 2020 წლამდე საბანკო ანგარიშებზე უფიქსირდებათ მხოლოდ მცირე ოდენობის თანხების ბრუნვა; ხოლო მათი, როგორც მეწარმე სუბიექტების მიერ განხორციელებული საქმიანობიდან რაიმე ფინანსური სარგებლის მიღება არ იკვეთება). შესაბამისად, სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ ნ. ა-ს მიერ ანგარიშზე შეტანილი თანხები არის დანაშაულებრივი გზით მოპოვებული.

5. იმავდროულად, სასამართლო ითვალისწინებს, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება სადაც თანხების მოძრაობა საბანკო ტრანზაქციებით მხოლოდ მსჯავრდებულ ნ. ა-სის საბანკო ანგარიშებს შორის; არ იკვეთება ფულადი სახსრების მოძრაობის ან/და გადარიცხვის დამალვის და შენიღბვის მცდელობა. შესაბამისად, ნ. ა-ს პირად ანგარიშებზე ფულადი თანხის მოძრაობა და მის მიერვე განაღება არ წარმოადგენს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას.

6. სასამართლო ითვალისწინებს დაზარალებულ შ. მ-ის ჩვენებას,

რომლითაც დგინდება, რომ 2020 წლის მარტის თვეში დაზარალებულს დაუკავშირდა რ. მ-ი, რომლის მხრიდანაც მანამდეც გამხდარა შ. მ-ი მოტყუების მსხვერპლი და ახალი იდეებით სცადა მისგან თანხების მიღება. კერძოდ, რ. მ-მა შ. მ-ს გადაუგზავნა ვითომ ხელშეკრულება ე-სგან, რისი საშუალებითაც მოახერხებდა დაკარგული თანხების უკან დაბრუნებას და მიაწოდა ნ. ა-ის რეკვიზიტები, სადაც უნდა ჩაერიცხა თანხები, თითქოსდა ხელშეკრულების დაზღვევისა და სხვა საჭიროებებისათვის, რაც საბოლოოდ შესაძლებლობას მისცემდა, დაებრუნებინა მის მიერ როგორც ამ მომენტში, ისე ამ პერიოდამდე ბინარული ოფიციებით ვაჭრობისათვის აკუმულირებული თანხების სრულად. შ. მ-ს თავად ნ. ა-სთან კომუნიკაცია არ ჰქონია, თუმცა რ. მ-ის მითითების შესაბამისად, ჩარიცხა ა-ის ანგარიშზე: 2020 წლის 20 მაისს – 4 950 ევრო, 2020 წლის 25 ივნისს – 9 000 ევრო, 2020 წლის 03 აგვისტოს – 5 000 ევრო, კვლავ 2020 წლის 03 აგვისტოს – 10 000 ევრო, 2020 წლის 05 აგვისტოს – 5 000 ევრო. ჩარიცხული თანხები ნ. ა-მა ჩარიცხვის დღეებშივე ნალდი სახით გაიტანა ანგარიშიდან, რის შემდგომაც 2020 წლის 17 აგვისტოს მის პირად ანგარიშზე შეიტანა – 4 000 ევრო, 2020 წლის 27 აგვისტოს – 41.14 ევრო და 2020 წლის 11 სექტემბერს – 801.97 ევრო. აღნიშნული 4 843.11 ევროს მოძრაობა შემდგომში ფიქსირდება თავად ნ. ა-ის სხვადასხვა ანგარიშებს შორის და ასევე, პერიოდულად ხდებოდა მსჯავრდებულის მიერ თანხის ნაწილის განალდება, კვლავ ანგარიშებზე განთავსება და შემდგომში ისევ განალდება.

7. დაზარალებულის მიერ სასამართლოსათვის მიწოდებული ინფორმაცია სრულად თანხვდენილია მის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებთან და სს „ს....იდან“ გამოთხვილი ინფორმაციასთან.

8. სს „ს-იდან“ გამოთხვილი ინფორმაციით დგინდება, რომ ნ. ა-ი თვეების განმავლობაში იყო ჩართული მითითებულ დანაშაულებრივ სქემაში. მის ანგარიშზე დაზარალებულის ანგარიშიდან თანხები ირიცხებოდა პერიოდულად, რომელსაც იმ დღესვე ანალდებდა ნ. ა-სი. ამასთან დასტურდება, რომ თანხის ნაწილი განკარგა თავად, პირადი შეხედულებისამებრ.

8.1. იმავდროულად, დაზარალებულის ჩვენებიდან და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან, თავად ნ. ა-ს მიერ გაკეთებული განმარტებებიდან გამომდინარე სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ ნ. ა-მა დაანაშაული ჩაიდინა ჯგუფურად და იყო წინასწარ შეთანხმებული დაანაშაულებრივი ჯგუფის წევრი. ვინაიდან, დაზარალებულის ჩვენებით დგინდება, რომ მას ნ. ა-სთან კომუნიკაცია არ ჰქონია პირადად, მისი მონაცემები და მათ შორის ანგარიშის ნომერი მისცა რ. მ-მა. ამასთან, როდესაც მსჯავრდებულ ნ. ა-ს დაუკავშირდნენ ს-ის თანამშრომლების ინფორმირებული იყო თანხების ჩარიცხვის საკითხზე, უფ-

რო მეტიც, პირადად არკვევდა თანხის ჩარიცხვის დეტალებს, დროს, რომ თანხის ასახვა მის ანგარიშზე დაუბრკოლებლად მომზდარიყო.

9. სასამართლო ითვალისწინებს სს „ს-ის“ მიერ წარმოდგენილ აუდიოფაილს, რომლის დათვალიერებით დგინდება, რომ ნ. ა-ი დაინტერესებულია – რაც შეიძლება მალე დაირიცხოს მის ანგარიშზე ლ-ს რესპუბლიკიდან ევროს ვალუტაში გადმორიცხული თანხა, არკვევს – ხომ ნამდვილად აქვს მას ევროს ანგარიში და არაერთხელ აზუსტებს მაქსიმალურ ვადას, რაც საჭიროა უცხო ქვეყნის საბანკო ანგარიშებიდან მის ანგარიშზე თანხის დარიცხვისათვის.

10. სასამართლო ითვალისწინებს, ს-ის თანამშრომლების ნ. ა-სა და ნ. მ-ს ჩვენებებს, რომლებმაც დაადასტურეს, რომ მას შემდეგ, რაც ნ. ა-სის ევროს ანგარიშზე ფულადი თანხების დარიცხვის საკითხზე გაჩნდა კითხვები ესაუბრნენ ნ. ა-სს, რომელმაც განუმარტათ, რომ მეგობრის თხოვნით ჩარიცხეს მის ანგარიშზე ეს ფული, რაც მისი მხრიდან განაღდების შემდეგ გადასცა ხსენებულ მეგობარს და მისი სახელი და გვარი თავდაპირველად არ დაასახელა, მხოლოდ მოგვიანებით ახსენა მათთან საუბარში ვინმე დ... (საქმის მასალებით დადგინა, რომ აღნიშნულ პირის საქართველოში შემოსვლისა და გასვლის შესახებ ინფორმაცია საერთოდ არ იძებნება, თავად ნ. ა-მა პირველი ინსტანციის სასამართლოში კი მიუთითა, რომ ეს იყო გამოგონილი პირი). შემდგომი კომუნიკაციის მცდელობისას კი ნ. ა-ი ბანკის თანამშრომლებთან გახდა აგრესიული და არ ისურვა სს „ს-თან“ თანამშრომლობის გაგრძელება მის ანგარიშზე განხორციელებული ტრანზაქციების კანონიერების საკითხის დადგენის მიზნით.

11. სასამართლო ითვალისწინებს ასევე ფარული საგამოძიებო მოქმედების შეფეხვად მოპოვებული სატელეფონო კომუნიკაციის ამ-სახველ ჩანანერებს, რომლებითაც დგინდება, რომ ნ. ა-ი ნერვიულობს განსახილველ სს საქმეზე დაწყებულ გამოძიებასთან დაკავშირებით და არ სურს გამოძიებისათვის სწორი ინფორმაციის მიწოდება. მას კომუნიკაციის მეორე მხარე – მამაკაცი – არწმუნებს, რომ ყველაფერი კარგად იქნება, „ვერაფერი ამოქექეს“ და ვინაიდან მის ნინააღმდეგ არაფერი აქვთ, მისთვის ბრალის დადება იქნება „სისულელე“.

12. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას ნ. ა-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულთან მიმართებით და ითვალისწინებს რომ სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით (მათ შორის: დაზარალებულ შ. მ-ს, მოწმეთა: ნ. ა-ს, ნ. მ-ს, ს. ც-სის, ა. ფ-ს ჩვენებებით, დაზარალებულ შ. მ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, 2020 წლის 18 აგვისტოს დაზარალებულ შ. მ-ს მიერ ს-ისათვის მიწერილი წერილით,

2021 წლის 25 იანვრის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის №... მიმართვითა და საქმის რეზიუმით, 2021 წლის 12 მარტის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილით, დათვალიერების ოქმებით, ფარული საგამოძიებო მოქმედების – სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩანაწერის შედეგად მოპოვებული ინფორმაციით და სხვა მტკიცებულებებით) გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დასტურდება ნ. ა-ს მიერ თაღლითობის, ესე იგი წინასწარი შეთანხმებით ჯვაფის მიერ, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სხვისი დიდი ოდენობით ნივთის მოტყუებით დაუფლების ჩადენა.

13. დაცვის მხარე ნ. ა-სათვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქების მოთხოვნის მიუხედავად, საკასაციო საჩივრის სამოტივაციო ნაწილში უთითებს, რომ სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება ნ. ა-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, საქმეზე გამოძიება დაიწყო კანონიერი საფუძვლების არსებობის გარეშე, მტკიცებულებათა მოპოვებისა და სისხლის სამართლის საქმეზე დამაგრებისას დაირღვა საქართველოს სსკ-ით დადგენილი მოთხოვნები.

14. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივრი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. შესაბამისად, საკასაციო საჩივრის მოთხოვნის და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მსჯავრდებულის პოზიციის (აღიარების) გათვალისწინებით, სასამართლო დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის ფარგლებში შეამოწმებს დანიშნული სასჯელის კანონიერებას და სამართლიანობას. საკასაციო საჩივრში მითითებულ სხვა გარემოებებთან მიმართებით, ვინაიდან კასატორი არ ითხოვს მათი კანონიერების შემოწმებას, სასამართლო მოკლებულია მათი შეფასების შესაძლებლობას.

15. კასატორი დაცვის მხარის მოთხოვნაზე, ნ. ა-სათვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქების შესახებ, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 259-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. სასჯელის სამართლიანობა კი უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით. „სასჯელი არ უნდა იყოს არც ზედმეტად მკაცრი და არც ზედმეტად ლმობიერი იმისათვის, რომ მიღწეული იქნეს სასჯელის მიზნები“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება № 1/7/851

„საქართველოს მოქალაქე იმედა ხახუტაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7).

16. საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის სანქცია სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს – ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე.

17. სააპელაციო სასამართლომ სასჯელის განსაზღვრისას გაითვალისწინა მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის გავრცელებული ხასიათი, მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროება, ნ. ა-ს პიროვნება, მისი როლი და ქმედებათა ინტენსივობა და მიიჩნია, რომ განსაკუთრებული შემამსუბუქებელი გარემოებების არარსებობის პირობებში, მხოლოდ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საპილოო სიტყვის თქმის ეტაპზე გაუდერებული დანაშაულის ჩადენის აღიარების ფაქტი არ არის საკმარისი ნ. ა-ს მიმართ ჯარიმის გამოსაყენებლად ან თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის ნაწილობრივ პირობით მსჯავრად ჩასათვლელად.

17.1. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ნ. ა-ს მიმართ დანიშნული სასჯელი (მუხლის სანქციით გათვალისწინებული მინიმალური ხანგრძლივობით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა) არ ენინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, შესაბამება საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 39-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო მოთხოვნებს და სასჯელის მიზნებს (სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია). იმავდროულად, დაცვის მხარეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა სასჯელის უსამართლობას, პრევენციის ან რესოციალიზაციის მიზნებთან შეუსაბამობას და, რომლის საფუძველზეც, შესაძლებელი იქნებოდა მსჯავრდებულისათვის სასჯელის შემსუბუქება.

18. იმავდროულად, სასამართლო ითვალისწინებს, რომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის პირველი-მე-4 მუხლების, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-6 მუხლის მოქმედება ვრცელდება იმ პირზე, რომელმაც შესაბამისი დანაშაული 2024 წლის 1 ივლისამდე ჩაიდინა.

19. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ნ. ა-ი მსჯავრდებულია საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და საჯელი განსაზღვრული აქვს დანაშაულთა იდეალური ერთობლიობის წესით.

20. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის

კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დანიშნული სასჯელი უნდა გაუნახევრდეს განზრახი დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის არმქონე პირს, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია მათ შორის საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, თუ თითოეული დაზარალებული ამ კანონის აღსრულებისას გამოძიების ორგანოს ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ აღნიშნულ პირზე გავრცელდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია.

21. სასამართლო ითვალისწინებს, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველ პუნქტს, რომლის თანახმად, ერთი მეექვსედით უნდა შეუმცირდეს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი პირს, რომელზედაც არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია და რომელსაც ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული დანაშაული არ ჩაუდენია. ამავე კანონის მე-9 მუხლის პირველ პუნქტის თანახმად, ამ კანონის მე-4 მუხლით (გარდა მე-4 მუხლის მე-4 ან მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) გათვალისწინებული სასჯელის შემცირება ვრცელდება ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ რეალურ სასჯელზე, პირობით მსჯავრსა და გამოსაცდელ ვადაზე, აგრეთვე სხვა სასჯელზე (გარდა ჯარიმისა, ქონების ჩამორთმევისა, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვისა და სამხედრო წოდების ჩამორთმევისა).

22. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულზე არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია, მასზე მითითებას არ შეიცავს ასევე ამავე კანონის მე-7 მუხლი.

23. შესაბამისად, ვინაიდან ნ. ა-ს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელი განსაზღვრული აქვს დანაშაულთა იდეალური ერთობლიობის წესით (მიუხედავად დაზარალებულის პოზიციისა) მის მიმართ დანიშნული სასჯელი „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-9 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უნდა შემცირდეს 1/6-ით და სასჯელის სახით უნდა განესაზღვროს – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

24. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სამართველოს პროკურორ ზინიკო ქობალისა და მსჯავრდებულ ნ. ა-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის ვ. გ-ს საკა-

საციონ საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, თუმცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 22 მაისის განაჩენი, „ამნისტის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის საფუძველზე, უნდა შეიცვალოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლით, „ამნისტის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის ფულის გათეთრების წინააღმდეგ პრძოლის სამმართველოს პროკურორ ზინიკო ქობალიას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. მსჯავრდებულ ნ. ა-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის ვ. გ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 22 მაისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

4. 6. ა-ი ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ პრალდებაში;

5. 6. ა-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

5.1. „ამნისტის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-9 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე 6. ა-ს 1/6-ით შეუმცირდეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა და მოსახდელად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 5 წლით;

6. 6. ა-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების მომენტიდან – 2022 წლის 16 მაისიდან.

7. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

8. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქადაგის გადაკვალიფირება თვითხეპობილი მითვისებაზე

განაჩენი საქართველოს სახელით

№868აპ-24

3 ოქტომბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
ლ. ფაფიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 14 ივნისის განაჩენზე თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ნინო მიქავამ. კასატორი საკასაციო საჩივრით მოითხოვს გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანას, ა. მ-ს დამნაშავედ ცნობას ბრალდების კვალიფიკაციით – საქართველოს სსკის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და სამართლიანი სასჯელის განსაზღვრას, შემდეგ გარემოებათა გამო: ბრალდების მხარეს მიაჩნია, რომ მსჯავრდებულის მიმართ მსჯავრად შერაცხილი ქმედების კვალიფიკაცია და გამოყენებული სასჯელი არის უსამართლო, არ შეესაბამება მის პიროვნებასა და მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს; კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებები, რომელთა ერთობლიობითაც, ა. მ-ს ქმედებამი იკვეთება მითვისების ნიშნები; პროკურორი ასევე უთითებს სასამართლო პრაქტიკაზე და განმარტავს, რომ იდენტური შემთხვევები დაკვალიფიცირებულია და განაჩენები დამდგარია საქართველოს სსკის 182-ე მუხლებით.

2. პირის ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, ა. მ-ს ბრალად ედება მითვისება, ე.ი. სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისება, როდესაც ეს ნივთი მიმთვისებლის მართლზომიერ მფლობელობაში იმყოფებოდა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, და-

ნაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რაც გამოიხატა შემდეგით:

2019 წლის 22 აპრილს, ა. მ-მ, ავტოსალიზინგო კომპანია შპს „...“ გააფირმა ლიზინგის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, სესხად მიიღო 5280 ლარი. ვალდებულების უზრუნველსაყოფად შპს „...“ სახელ-ზე დარეგისტრირდა ავტომანქანა „MERCEDES BENZ C 240“, სახელმწიფო ნომრით ... ალიშნული ა/მანქანა სარგებლობის უფლებით გადაეცა ა. მ-ს, გასხვისების, დაგირავების ან სხვაგვარად უფლებრივად დატვირთვის აკრძალვით. ხელშეკრულების პირობით მას შპს „...“ სასარგებლოდ 36 თვის განმავლობაში ყოველთვიურად უნდა გადაეხადა 258 ლარი, თუმცა მან ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა სრულად არ გადაიხადა. ავტომანქანა კი, რაც მის მართლზომიერ მფლობელობაში იმყოფებოდა, მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა და განკარგა შესედულებისამებრ. ალიშნულმა ქმედებამ 4277,65 ლარის, მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. 2021 წლის 17 ივნისს, შპს „...“ და შპს „...“ შორის გაფორმებული მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების თანახმად, შპს „...“ მითითებული ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულება დაუთმო შპს „...“. ამდენად, ა. მ-ს ქმედებით, შპს „...“ უფლებამონაცვლეს შპს „...“ მიადგა 4277,65 ლარის, მნიშვნელოვანი ზიანი.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 12 აპრილის განაჩენით ა. მ-ს, - დაბადებულის ... წელს, - ქმედება საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან, გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 360-ე მუხლის პირველ ნაწილზე.

ა. მ. ცნობილი იქნადა მანაშავედ საქართველოს სსკ-ის 360-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა - 3000 (სამი ათასი) ლარი.

გაუქმდა ა. მ-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება - გირაო.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 12 აპრილის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ნინო მიქაელიშვილის შეტანაში, ა. მ-ს დამნაშავედ ცნობა ბრალდების კვალიფიკაციით - საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და სამართლიანი სასჯელის განსაზღვრა.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 14 ივნისს განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 12

აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგნილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, გააანალიზა კასატორის საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარი უნდა დაკავაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. გასაჩივრებული განაჩენის თანახმად, ა. მ-მ ჩაიდინა საქართველოს სკ-ის 360-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული – თვითნებობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. პროკურორი სააპელაციო სასამართლოს განაჩენს ასაჩივრებს სასამართლოს მიერ შეცვლილი კვალიფიკაციის ნაწილში, ვინაიდან მიიჩნევს, რომ ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით ა. მ-ს ქმედებით უტყუარად დასტურდება, რომ მან ჩაიდინა არა თვითნებობა, არამედ – მითვისება. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებულ სამართლებრივ დასკვნას, მსჯავრდებულის ქმედების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, კერძოდ:

3. მოწმე მ. თ-ს ჩვენებით დგინდება, რომ იგი არის დაზარალებულ – „... „წარმომადგენელი. აღნიშნულ კომპანიასა და შპს „....“ შორის 2021 წლის 17 ივნისს გაფორმდა სალიზინგო პორტფელის ნასყიდობის ხელშეკრულება, რის საფუძველზეც, დაიწყეს პრობლემურ სალიზინგო ქონებებზე მუშაობა. მათ შორის იყო ა. მ-თან გაფორმებული ხელშეკრულება, ძირითად თანხაზე – 5280 ლარზე. ვინაიდან, ბრალდებული პერიოდულად იხდიდა გადასახადს, საბოლოოდ გადასახდელმა თანხამ შეადგინა ძირითადი თანხის ნაწილი – 4277 ლარი. ა. მ-ს უფიქსირდებოდა დიდი ხნის ვადაგადაცილება, ამასთან, ქონება არ იყო დაბრუნებული, რის გამოც მას დაეკონტაქტნენ, მაგრამ ვერ წარადგინა სალიზინგო ქონება, უარი თქვა დაბრუნებაზე და განაცხადა, რომ აღნიშნული ავტომობილი გადასცა სხვა პირს, ავტომობილის ადგილმდებარეობა კი არ იცოდა. ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ლიზინგის მიმღებს ჰქონდა და საღიზინგო ქონების ფლობისა და სარგებლობის უფლება, მაგრამ არ გააჩნდა ნივთის დაშლის, დაზიანებისა და გასხვისების უფლებები; მას გრაფიკით განერილი ქონების საფასურის დასრულებისას ენტებოდა უფლება საღიზინგო ქონება გაეფორმებინა თავის სახელზე. აღნიშნული შეზღუდვებისა და ლიზინგის საგნის მოპყრობასთან დაკავშირებული პროცედურების თაობაზე, პირს განემარტება ხელშეკრულების დადების დროს. ა. მ. მითითებულ შეზღუდვებთან დაკავშირებით ინფორმირებული იყო; იგი ასევე გაფრთხილებული იყო, რომ სხვა

პირისთვის არ უნდა გადაეცა ლიზინგის საგანი, რადგან სამართლებრივად ვალდებულებები კომპანიის წინაშე სხვა პირს ვერ ექნებოდა. მოწმის ჩვენებით, 2018 წლამდე ლიზინგის მიმღებს უფლება ჰქონდა ლიზინგის საგანი სხვა პირისთვის გადაებარებინა, თუმცა ეროვნული ბანკის რეგულაციების შემდეგ დაწესდა სტანდარტები, რომელთა გამოც, ნივთის გადაბარება აიკრძალა. შესაბამისად, ა. მ-თან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ლიზინგის საგანი სხვა პირით ვერ ჩანაცვლდება. მოწმე მ. თ-ს განმარტებით, მას არ აქვს ინფორმაცია, რომ ბრალდებულს შპს „...“ 2020 წლის აპრილში ჰქონდა კომუნიკაცია, რა დროსაც ითხოვდა სალიზინგო საგნის ჩანაცვლებას სხვა პირით. იმ შემთხვევაში, თუკი ხელშეკრულების მხარეები დამატებით, სხვა შეცვლილ პირობებზე შეთანხმებოდნენ, აღნიშნული აუცილებლად გაფორმდებოდა და დადასტურდებოდა წერილობითი ფორმით. მიყენებული ზიანი დღეის მდგომარეობით არ არის ანაზღაურებული, კომპანიას ბრალდებულთან პრეტენზია გააჩინა.

4. მოწმე შ. წ-ს ჩვენებით დგინდება, რომ ა. მ. გაიცნო ავტოსერვისში. ვინაიდან მას უნდოდა ავტომანქანის გაყიდვა, შეთანხმდნენ, რომ თავად (შ. წ.) შეიძენდა სადავო ავტომანქანას – 2000 ლარად, რაც უნდა გადაეხადა 2-3 თვის განმავლობაში. ავტოსერვისში გადაიხადა 300 ლარი, რის შემდეგაც მის მფლობელობაში გადავიდა ავტომანქანა. რამდენიმე დღის შემდეგ ა. მ-საგან ცნობილი გახდა, რომ აღნიშნული ავტომანქანა დალომბარდებული იყო, რასაც მოწმე დასთანხმდა და ბრალდებულს დაპირდა, რომ ლომბარდის თანხას თვითონ გადაიხდიდა, რადგან ა. მ-ს მეტნილად გადახდილი ჰქონდა ავტომანქანის ღირებულება. შპს „...“ არავინ დაპკავშირებია და ვალდებულება წერილობით მის სახელზე არ გადაფორმებულა. ავტომანქანას მოწმე სამი თვის განმავლობაში ფლობდა, თუმცა, რადგან ვერ შეძლო თანხის გადახდა, ... დაუტოვა ვინმე „ბ-ს“ (მოწმემ ვერ შეძლო „ბ-ს“ იდენტიფიცირება), რომელსაც უნდა გაეგრძელებინა ლომბარდში თანხის გადახდა. აღნიშნულის შესახებ აცნობა ა. მ-ს, რომელიც ბ.ს გაესაუბრა. მოგვიანებით მოწმეს დაუკავშირდა ა.მ., რადგან მას ლომბარდიდან ანუსებდნენ. იგი სთხოვდა თანხის გადახდას და ეუბნებოდა, რომ თუ თანხას ვერ გადაიხდიდა, ავტომანქანა დაებრუნებინა, რადგან ლომბარდში ჯარიმებს ემატებოდა თანხები. თვითონ ეუბნებოდა, რომ თანხას გადაუხდიდა. ავტომანქანის დაბრუნებას არ განიხილავდა, რადგან სამსახურის დაწყებას ელოდებოდა, შემოსავალი ექნებოდა და გადახდას შეძლებდა. მოწმის განმარტებით, არც თანხა გადაუხდია და არც ავტომანქანა დაუბრუნებია ა. მ-სათვის, დღეის მდგომარეობით, ავტომანქანის ადგილმდებარეობა მისთვის უცნობია.

5. გამომძიებელმა გ. ბ-მ დაადასტურა მის მიერ და მისი მონაწილეო-

ბით ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების სისწორე და შედგენილი ოქმების კანონთან შესაბამისობა.

6. 2023 წლის 6 თებერვლის ამოღების ოქმის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 27 იანვრის განჩინების საფუძველზე, შპს „....“ ოფისიდან (მდებარე: ქ....) ამოღებულ იქნა 2019 წლის 22 აპრილს შპს „....“ და ა. მ-ს (3/6) შორის დადებული ლიზინგის ხელშეკრულება №.... და შპს „....“ და შპს „ფ...“ შორის 2021 წლის 17 ივნისს დადებული ხელშეკრულების ნოტარიულად დამოწმებული ასლი სალიზინგო პორტფელის გაყიდვის შესახებ.

7. 2023 წლის 13 თებერვლის ამოღების ოქმის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 8 თებერვლის განჩინების საფუძველზე, შპს „....“ ოფისიდან (მდებარე: ...) ამოღებულ იქნა ა. მ-ს ლიზინგის ხელშეკრულების თანდართული თანხმობის დედანი, წლის განცხადება/თანხმობის დედანი, ... წლის განცხადების დედანი, ავტოსატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობის ასლი და შპს „....“ ... წლის გაფრთხილების წერილი (შეტყობინება).

8. 2019 წლის 22 აპრილის ლიზინგის ხელშეკრულების თანახმად, შპს „....“ (ლიზინგის გამცემი) და ა. მ-ს (ლიზინგის მიმღები) შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, ლიზინგის გამცემი იღებს ვალდებულებას ლიზინგის მიმღებს გადასცეს ლიზინგის საგანი: ავტომანქანა „MERCEDES BENZ C 240“, VIN კოდი ..., გამოშვების წელი – 2001, მოცულობა – 2598, ფერი – რუხი 1/8. ლიზინგის ხელშეკრულების თანდართული თანხმობის მიხედვით, ა. მ. ადასტურებს ავტომანქანის მართვის უფლებას და აცხადებს, რომ უნებართვოდ არ მოახდენს ავტომანქანის მესამე პირზე გადაცემას.

9. ა. მ-მ პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე, საბოლოო სიტყვის თქმის ეტაპზე, განმარტა, რომ ავტომანქანა მფლობელობაში გადაეცა შპს „....“ ავტოლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე. იგი, გრაფიკის შესაბამისად, იხდიდა ყოველთვიურ გადასახადს, თუმცა ქვეყანაში შექმნილი პანდემიდან გამომდინარე, ვეღარ ახერხებდა თანხის გადახდას და სურდა ავტომანქანის გადაბარება სხვა პირზე, რის თაობაზეც დაუკავშირდა შპს „....“ ოპერატორს, მან კი განუცხადა, რომ მუშაობდნენ დისტანციურად და, კოვიდპანდემიიდან გამომდინარე, ვალდებულებას ვერ გადააბარებდნენ, ვიდრე არ დასრულდებოდა პანდემია. ოპერატორთან გასაუბრების შემდეგ, ა/შანქანა გადასცა შ.-ს, რომელსაც გრაფიკის შესაბამისად უნდა გაეკრძელებინა თანხის გადახდა, თუმცა აღმოჩნდა, რომ მან არცერთი თვის გადასახადი არ გადაიხადა. როდესაც მისთვის ცნობილი გახდა აღნიშნულის შესახებ, დაუკავშირდა შ. წ-ს და სთხოვდა ავტომანქანის დაბრუნებას, თუმცა მას არც თანხა გადაუხდია და არც ავტომანქანა დაუბრუნებია.

10. საქართველოს სსკ-ის 360-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული – თვითნებობა გულისხმობს ნამდგილად თავისი ან თავისად დაგულებული უფლების დადგენილი წესის სანინააღმდეგოდ განხორციელებას, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი. თვითნებობისაგან სისხლისამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტია მოქალაქეთა მიერ სადაც უფლებების განხორციელების წესი. მოქალაქე, რომელიც მოქმედებს დადგენილი წესის სანინააღმდეგოდ, შეიძლება ახორციელებდეს თავის ნამდვილ ან თავისად დაგულებულ უფლებას. თავისად დაგულებულ უფლებად ითვლება უფლება, როცა პირი შეცდომით ფიქრობს, რომ მას ესა თუ ის უფლება აქვს, თუმცა სინამდვილეში მას ასე-თი რამ არ აქვს ან/და ეს უფლება მას შეიძლება მიენიჭოს, მაგრამ მხოლოდ დადგენილი წესით. დადგენილი წესის დარღვევად ითვლება მოქმედება, რომელიც არღვევს უფლების შეძნის ან განხორციელების კანონმდებლობით დადგენილ წესს, როცა პირი მოვალე იყო, ემოქმედა სამართლებრივი აქტის ან ხელშეკრულების საფუძველზე. თუ პირმა იცის, რომ უფლება, რომელსაც ის ახორციელებს, მას არ ეკუთვნის, თვითნებობის შემადგენლობა გამოირიცხება (იხ. საქართველოს უზნენაესი სასამართლოს 2021 წლის 18 ივნისის განჩინება საქმეზე № 173ა-კ-21). ქმედების ობიექტური შემადგენლობის სავალდებულო ნიშანს წარმოადგენს მნიშვნელოვანი ზიანი.

11. საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლით დანაშაულადა მიჩნეული სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების მართლსანინააღმდეგო მითვი-სება, თუ ეს ნივთი ან ქონებრივი უფლება მიმთვისებლის ან გამფლან-გველის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში იმყოფებოდა. მითვისებისათვის დამახასიათებელია ის, რომ დანაშაულის სუბი-ექტს ქონება აქვს მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში და მისი ქმედება მიმართულია მართლზომიერ მფლობელობაში ან გამ-გებლობაში არსებული ქონების მართლსანინააღმდეგო მისაკუთრების კენ. პირი (დანაშაულის სუბი-ექტი) ქონების მართლზომიერ მფლობე-ლობას ან გამგებლობას უნდა ახორციელებდეს სამსახურებრივი მო-ვალეობის, სახელშეკრულებო ურთიერთობის ან სპეციალური დავალების საფუძველზე. ამდენად, თუ ნივთი არ იმყოფება მიმთვისებლის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში, ქმედება მითვისე-ბად ვერ დაკვალიფიცირდება. მითვისება გულისხმობს აქტიურ მოქ-მედებას, რომელიც გამოიხატება სასაქონლო-მატერიალურ ფასეუ-ლობათა ამოღებაში მისი კანონიერი მესაკუთრისაგან და მის დაუფ-ლებაში საკუთარი თავის სასარგებლოდ. დანაშაულის სუბი-ექტური მხა-რე გულისხმობს პირდაპირ განზრახვას – პირს შეგნებული უნდა ჰქონ-დეს, რომ ითვისებს სხვის ქონებას, რომელიც მას აქვს მინდობილი, ამასთან, უნდა ითვალისწინებდეს, რომ ამ მოქმედებით ზიანს აყენებს

ქონების მესაკუთრეს და მას უნდა სურდეს მესაკუთრისათვის აღნიშნული ზიანის მიყენება. ქმედების მითვისებად დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია, რომ სუბიექტს ასევე ჰქონდეს სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი.

12. საქმის მასალებით დადგენილია, რომ შპს „...“ (ლიზინგის გამცემი) და ა. მ-ს (ლიზინგის მიმღები) შორის, 2019 წლის 22 აპრილს გაფორმდა ლიზინგის №... ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, ა. მ-მ სესხად მიიღო 5280 ლარი, ხოლო ვალდებულების უზრუნველსაყოფად, შპს „...“ სახელზე დარეგისტრირდა ავტომანქანა „MERCEDES BENZ C 240“, სახელმწიფო ნომრით – აღნიშნული ა/მანქანა ა. მ-ს გადაეცა სარგებლობის უფლებით, მაგრამ – სალიზინგო კომპანიისგან ნებართვის გარეშე, მას არ გააჩნდა ა/მანქანის გასხვისების, დაგირავების ან სხვაგვარად დატვირთვის უფლება.

13. დაზარალებული კომპანიის შპს „...“ ნარმომადგენლის, მოწმე მ. თ-ს ჩვენებით დაინდება ისიც, რომ 2018 წლიდან ლიზინგის მიმღებ პირებს აღარ ჰქონდათ ლიზინგის საგნის სხვა პირებისათვის გადაბარების უფლება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ა. მ-სა და შპს „...“ შორის შედგებოდა ახალი შეთანხმება, ის აუცილებლობით წერილობითი სახით გაფორმდებოდა. მსგავსი შეთანხმება მხარეთა შორის არ შემდგარა.

14. ამდენად, შპს „...“ და ა. მ-ს შორის აღნიშნული შინაარსის, ახალი წერილობითი შეთანხმების არსებობის ფაქტი არ დასტურდება და ამას არ უარყოფს თვითონ მსჯავრდებულიც.

15. ნარმოდგენილი მტკიცებულებებით ასევე არ დასტურდება ა. მ-ს განმარტება, რომ მას შემდეგ, რაც იგი გადახდისუუნარო გახდა, ტელეფონით დაუკავშირდა შპს „...“ ოპერატორს ლიზინგის გადაბარების სურვილით, მაგრამ ოპერატორმა განუცხადა, რომ კოვიდპანდემიიდან გამომდინარე, მუშაობდნენ დისტანციურად და ვალდებულებას პანდემიის დასრულებამდე ვერ გადააბარებდნენ.

16. მოწმე შ. წ-ს ჩვენებით დაინდება, რომ ა. მ-ს გან 2000 ლარად შეიძინა ა/მანქანა, რაც მისთვის უნდა გადაეხსადა 2-3 თვის განმავლობაში. ა/მანქანა მოწმეს გადაეცა. რამდენიმე დღის შემდეგ, შ. წ-სათვის ა. მ-საგან ცნობილი გახდა, რომ ავტომანქანა დალომბარდებული იყო. მოწმე ა. მ-ს დაპირდა, რომ ლომბარდის თანხას თვითონ გადახდიდა, რადგან მსჯავრდებულს მეტწილად გადახდილი ჰქონდა მისი ლირებულება. შ. წ-ს შპს „...“ არავინ დაპკავშირებია და მის სახელზე ვალდებულება წერილობით არ გადაფორმებულა. მოწმე ა/მანქანას სამი თვე ფლობდა, მაგრამ, რადგან ვერ შეძლო თანხის გადახდა, ა. მ-ს თანხმობით, ა/მანქანა დაუტოვა ვინმე „ბ...-ს“, რომელსაც უნდა გაეგრძელებინა ლომბარდში თანხის გადახდა. მოწმისათვის უცნობია, თუ

შემდგომში რა ბედი ენია ა/მანქანას.

17. საქმის მასალებით აგრეთვე დადგენილია, რომ ა/მანქანის შესახებ ინფორმაცია არ იძებნება და ამის შესახებ ინფორმაცია არ გააჩნია თვითონ მსჯავრდებულსაც.

18. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს: საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებებით, ცალსახად დგინდება, რომ ა. მ-ს შპს „...“ განუმარტა და მისთვის ნათლად იყო ცნობილი, რომ ავტოსალიზინგო კომპანიის ნებართვის გარეშე, მას არ გააჩნდა ავტომანქანის მესამე პირზე გადაცემის უფლება, რასაც არ უარყოფს თვითონ მსჯავრდებულიც. სააპელაციო სასამართლოს განმარტება – რომ ვინაიდან სატელეფონო კომუნიკაციის შედეგად, სალიზინგო ქონების მესაკუთრე კომპანიის გან ა. მ-მ ვერ მოიპოვა ლიზინგის მესამე პირისათვის გადაბარების თანხმობა, ამის გამო, ქვეყანაში არსებული პანდემიის მდგომარეობისა გან შექმნილი სირთულეებიდან გამომდინარე, აღნიშნული ქმედების განხორციელების უფლება თავისად დაიგულა და იმოქმედა თვითონებურად – არ დასტურდება საქმეში ნარმოდგენილი მასალებით, კერძოდ, შპს „...“ სატელეფონო კომუნიკაციის ფაქტის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, გარდა ა. მ-ს განმარტებისა, საქმის მასალებში არ მოიპოვება. ასეც რომ იყოს და რომ ცგავიზიაროთ მსჯავრდებულის განმარტება, ლიზინგის გადაბარების სურვილით შპს „...“ ოპერატორთან სატელეფონო კომუნიკაციის შესახებ, რა დროსაც ოპერატორმა კოვიდპანდემიდან გამომდინარე, მითითებულზე უარი განუცხადა, ეს ფაქტიც ცალსახად მეტყველებს იმაზე, რომ მსჯავრდებულმა კომპანიისგან ვერ მოიპოვა ნივთის მესამე პირზე გადაცემის უფლება. ამასთან, მხარეთა შორის ახალი წერილობითი შეთანხმების გაფორმების ფაქტი, რაც მსჯავრდებულს ლიზინგის საგნის მესამე პირისათვის გადაცემის უფლებას მიანიჭებდა, როგორც უკვე აღინიშნა, – ასევე არ დასტურდება.

19. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ა. მ-სათვის იმთავითვე ცნობილი იყო, რომ მას არ გააჩნდა კომპანიისგან ნებართვის გარეშე, ა/მანქანის მესამე პირისათვის გადაცემის უფლება, მან არა შეცდომით, არამედ – შეცნობილად განახორციელა უფლება, რომელიც მას არ ეკუთვნოდა, სახელდობრ, ა/მანქანა მართლსაწინააღმდეგოდ მითვისა და, საკუთარი შეხედულებისამებრ, გაასხვისა მესამე პირზე, რამაც 4277,65 ლარის მნიშვნელოვანი ზარი გამოიწვია.

20. რაც შეეხება სააპელაციო პალატის განმარტებას, რომ განსახილველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ა. მ-ს მიერ არა უბრალოდ მის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ქონების თავისი შეხედულებისამებრ განკარგვასთან, არამედ მსჯავრდებულმა ლიზინგის საგანთან ერთად, ლიზინგის ხელშეერულებით დაკისრებული ვალდებულე-

ბაც გადააპარა მესამე პირს, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მითვისების დროს დანაშაული დამთავრებულია იმ მომენტიდან, როდესაც დამნაშავისათვის კანონიერად მინდობილი ქონება მისმა მოქმედებამ უკანონდ გადააქცია, ანუ როდესაც სხვის ქონებას დამნაშავე საკუთარ ქონებას უერთებს, შესაბამისად, მოცემული დანაშაული დასრულდა ა/მანქანის მსჯავრდებულის შეხედულებისამებრ განკარგვის მომენტიდან.

21. აღნიშნულიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დასტურდება ა. მ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის – მითვისება, ე.ი. სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისება, როდესაც ეს ნივთი მიმთვისებლის მართლზომიერ მფლობელობაში იმყოფებოდა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია – ჩადენის ფაქტი.

22. რაც შეეხება სასჯელს, საქართველოს სსკ-ის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. „სასჯელი უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად დაფრთხესთან გონივრულ პროპორციაში ... სასჯელის დაკისრება უნდა მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის № 1/4/592 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ბ. ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდევ“, II-38).

23. ა. მ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის (ჩადენილია საკუთრების წინააღმდევ მიმართული მძიმე კატეგორიის განზრახი დანაშაული), სახისა და ხერხის (ა. მ-მ ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული ა/მანქანა საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგა), დამდგარი შედეგის (ა. მ-ს ქმედებამ გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი), მსჯავრდებულების პიროვნებისა (მისი კანონშესაბამისი/ეთიკური ქცევა სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას, წარსულში არ არის ნასამართლევი) და საქართველოს სსკ-ის 39-ე და 53-ე მუხლების მოთხოვნების გათვალისწინებით, ა. მ-ს სასჯელის სახედ და ზომად საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის უნდა განესაზღვროს ჯარიმა – 3000 ლარი. ა. მ-ს საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლის საფუძველზე, დამატებითი სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს სამენარმეო საზოგადოებაში მატერიალურად პასუხისმგებელ პირად საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 1 წლის ვადით. სასამართლო ითვალისწინებს, რომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის

17 სექტემბრის კანონით გათვალისწინებული შეღავათები საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულზე არ ვრცელდება.

24. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის დიდუბე-ჩულურეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ ნინო მიქავას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 14 ივნისის განაჩენი შეიცვალოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. თბილისის დიდუბე-ჩულურეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ ნინო მიქავას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 14 ივნისის განაჩენი შეიცვალოს:

3. ა. მ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 360-ე მუხლის პირველი ნაწილით შერაცხილი ბრალდება, გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე.

4. ა. მ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა – 3000 (სამი ათასი) ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

5. ა. მ-ს საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლის საფუძველზე, დამატებითი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს სამეწარმეო საზოგადოებრივი მატერიალურად პასუხისმგებელ პირად საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 1 (ერთი) წლის ვადით.

6. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ა. მ-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო, გაუქმებულია.

7. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. ნარკოტიკული დანაშაული

ნარკოტიკული საშუალების უკანონო მექანიზმი, შესახებ
გასაღება

განაჩენი
საქართველოს სახელით

№808აპ-24

22 ოქტომბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
შ. თაღუმაძე (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
მამუკა ვასაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ც-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ე. მ-ის საკასაციო საჩივარი თბილის სის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 31 მაისის განაჩენზე.

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი:

1. სააპელაციო სასამართლოს განაჩენი:

1.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 31 მაისის განაჩენით დაცვის მხარის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 30 იანვრის განაჩენი დარჩა უცვლელად, კერძოდ:

1.2. ა. ც-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ-ი) 260-ე მუხლის პირველი ნაწილით (ორი ეპიზოდი) და საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

– საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით (2023 წლის 8 აპრილის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით;

– საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით (2023 წლის 17 მაისის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით;

– საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 10 წლითა და 6 თვით.

1.3. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ა. ც-ს სასჯელის სახედ და

ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღვეთა 10 წლითა და 6 თვით. სასჯელის მოხდის ვადა აეთვალა ფაქტობრივი დაკავების დღიდან – 2023 წლის 17 მაისიდან.

1.4. ა. ც-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, 15 წლით – საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება, ხოლო 20 წლით – საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება.

1.5. სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული მტკიცებულებების გაანალიზების შედეგად დადასტურებულად მიიჩნია, რომ:

– ა. ც-მა გამოძიებით დაუდგენელ ვითარებაში, გასაღების მიზნით, უკანონოდ შეიძინა და შეინახა ნარკოტიკული საშუალება – ალფა-პვპ-ს (α-PVP) შემცველი მოყვითალო-მოთეთრო, ფხვნილისებრი ნივთიერება, წონით – 0,1135 გრამი, რომელიც შეიცავს ნარკოტიკულ საშუალება ალფა-პვპ-ს (α-PVP) – 0,0288 გრამს, რაც 2023 წლის 8 აპრილს, ქ-ში, ვ-ში, რ-ის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე 150 ლარის სანაცვლოდ ორ ეტაპად გადასცა ლ. ნ-ეს, რომლისგანაც გადაუდებელი აუცილებლობით, ამოიდეს ხსენებული ნარკოტიკული საშუალების შემცველი ნივთიერება.

– ა. ც-მა გამოძიებით დაუდგენელ ვითარებაში უკანონოდ შეიძინა და შეინახა ნარკოტიკული საშუალება ალფა-პვპ-ს (α-PVP) შემცველი მოთეთრო-მოყვითალო, ფხვნილისებრი ნივთიერება, წონით – 0,2701 გრამი, რომელიც შეიცავს ნარკოტიკულ საშუალება ალფა-პვპ-ს (α-PVP) – 0,0744 გრამს, რაც 2023 წლის 17 მაისს, ქ-ში, ა-ის ქუჩის №...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე ამოიდეს მისი პირადი ჩერეკის შედეგად.

2. საკასაციო საჩივარი

2.1. მსჯავრდებულ ა. ც-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა – ე. მ-მა საკასაციო საჩივრით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ, ა. ც-ის უდანაშაულოდ ცნობა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში და მისი დამზადებულება საქართველოს სსკ-ის 25, 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, ასევე – სასჯელის დანიშვნისას საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლით დადგენილი შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინება.

3. კასატორის არგუმენტები:

3.1. დაცვის მხარის განმარტებით, გასაჩივრებული განაჩენი უკანო-

ნოა, რადგან საქმეში არსებული მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით არ დასტურდება ა. ც-ის მიერ ნარკოტიკული საშუალების გასაღება.

3.2. ადვოკატის შეფასებით, მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედება წარმოადგენს ნარკოტიკული საშუალების შეძენაში დახმარებას, რასაც ასაბუთებს იმ არგუმენტებით, რომ ა. ც-ი და ლ. ნ-ე თითქოსდა, დიდი ხნის ნაცნობები, ახლო მეგობრები იყვნენ, ერთად მოიხმარდნენ ნარკოტიკს და ცდილობდნენ, ერთად შეეძინათ იგი, მსჯავრდებულმა შეძენილი ნარკოტიკული საშუალება გაუზანილა ლ. ნ-ეს; მსჯავრდებულს არ გააჩნდა გასაღების მიზანიდა განზრახვა, რადგან ნარკოტიკის გადაცემის სანაცვლოდ, არ მიუღია ფინანსური სარგებელი, მან მხოლოდ სხვისგან შეძენილი ნარკოტიკის თვითძლირებულება აიღო; ა. ც-ის პირადი ჩხრეკისას ამოიღეს მხოლოდ ერთი მოხმარებისათვის საჭირო ოდენობის ნარკოტიკი და ეს უკანასკნელი მისი სახლის ჩხრეკისასაც ვერადმოაჩინეს, რაც მიანიშნებს, რომ იგი ნარკოტიკებს არ ასაღებდა.

3.3. გარდა ამისა, დაცვის მხარე მიუთითებს, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ამსახველ ვიდეოჩანანერზე დაფიქსირებული არ არის ლ. ნ-ის მიერ ა. ც-ისაგან მიღებული ნარკოტიკის გამომძიებლისათვის გადაცემის ფაქტი, რაც არ გამოირიცხავს გამომძიებლისათვის სხვა ნივთიერების გადაცემის ეჭვს. დაცვის მხარე საკუთარი პოზიციის გასამყარებლად ასევე იშველიებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას (საქმე №447აპ-23).

4. საკასაციო სასამართლოს შეფასებები:

4.1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები, შეამონმა საკასაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

4.2. საკასაციო სასამართლო, აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ-ი) 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, დაცვის მხარე სადაცოდ არ ხდის გასაჩივრებულ განაჩენს ა. ც-ის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით მსჯავრდების ნაწილში, არამედ ითხოვს მსჯავრდებულის უდანაშაულოდ ცნობას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში და ამ ეპიზოდში მისთვის მსჯავრად შერაცხილი ქმედების საქართველოს სსკ-ის 25, 260-ე მუხლის პირველი ნაწილით დაკვალიფიცირებას. ამდენად, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს ა. ც-ის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის

სისწორე საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით.

4.3. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს დაცვის მხარის პოზიციას, სრულად ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ა. ც-ის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის დამნაშავედ ცნობის შესახებ და აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი, ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებებით, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით, უტყუარად დასტურდება ა. ც-ის მიერ მისთვის მსჯავრად შერაცხილი ქმედების ჩადენა, კერძოდ:

4.4. მოწმეების – ლ. ნ-ისა და გ. ბ-ის ჩვენებებით დასტურდება, რომ 2023 წლის აპრილში ა. ც-მა ლ... ნ-ეს შესთავაზა ნარკოტიკული საშუალების 150 ლარად შეძენა. ლ. ნ-ემ ითანამშრომდა რა საგამოძიებო ორგანისათან, სამართალდამცავებს მიაწოდა ინფორმაცია ა. ც-ის მიერ ნარკოტიკული საშუალების გასაღებასთან დაკავშირებით, რის შემდეგაც, დაიგეგმა საკონტროლო შესყიდვა 2023 წლის 8 აპრილს. ზემოაღნიშნულ მოწმეთა ჩვენებებით, ფულადი თანხის მიღება-ჩაბარების, ასევე, ლ. ნ-ისაგან ნარკოტიკული საშუალების ამოღების ოქმებით, ფარული საგამოძიებო მოქმედების (ფარული ვიდეოჩარჩერა და აუდიოჩანერა) შედეგად მოპოვებული მასალით დგინდება, რომ 2023 წლის 8 აპრილს, ლ. ნ-ემ საკონტროლო შესყიდვის ფარგლებში გადაცემული ფულადი თანხის გადახდის სანაცვლოდ, ა. ც-ისაგან ორ ეტაპად შეიძინა თეთრი ფერის ნივთიერება ორ პაკეტად, რაც შემდგომ, ფარული საგამოძიებო მოქმედების დასრულებისთანავე, გამომძიებელმა ამოღლო ლ. ნ-ისაგან და დაილუქა სათანადო წესით.

4.5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ექსპერტიზის სამმართველოს ქიმიური ექსპერტიზის №...- და №...- დასკვნების (უდავო მტკიცებულებები) თანახმად, ამოღებული ნივთიერებები წონით – 0,1067 და 0,0068 გრამი, საერთო წონით – 0,1135 გრამი, შეიცავს ნარკოტიკულ საშუალება ალფა-პვპ-ს (α-PVP), რაოდენობით 0,0268 გრამსა და 0,0020 გრამს, საერთო რაოდენობით – 0,0288 გრამს.

4.6. დაცვის მხარის მიერ სადავოდ გამხდარ კვალიფიკაციაზე მსჯელობისას, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ერთი პირის მიერ ნარკოტიკული საშუალების შეძენა, შენახვისა და ამავე ნარკოტიკის მეორე პირისათვის გადაცემის ფაქტის სამართლებრივი შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ყოველი საქმის კონტექსტს, მისთვის დამახასიათებელ ინდივიდუალურ ფაქტობრივ გარემოებებს. სწორედ ამ გარემოებების დეტალური შესწავლა და ანალიზი განაპირობებს ქმედების სწორ კვალიფიკაციას – იქნება ეს, განსახილევლ შემთხვევაში, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი, მე-4 ნაწილები (ნარკოტიკული საშუალე-

ბის შეძენა, შენახვა, გასაღება), თუ – საქართველოს სსკ-ის 25, 260-ე მუხ-ლის პირველი ნაწილი (ნარკოტიკული საშუალების შეძენაში დახმარება). შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არარის მოწოდებული, დაადგინოს ერთიანი, უნივერსალური სტანდარტი ნარკოტიკული საშუალების გადა-ცემის განურჩევლად ყველა შესაძლო შემთხვევისათვის და ამის მცდე-ლობა უზენაესი სასამართლოს არც აქამდე არსებულ პრაქტიკას ჰქონია. შესაბამისად, ერთ კონკრეტულ საქმეში პირის ქმედების ნარკოტიკული საშუალების შეძენაში დახმარებით კვალიფიკაცია გარდაუვლად არ განა-პირობებს იმავე კვალიფიკაციას სხვა საქმეში, თუ არ არსებობს ფაქტობ-რივ გარემოებათა აბსოლუტური სიზუსტით თანხვდენა. საგულისხმოა, რომ დაცვის მხარის მიერ საკასაციო საჩივარში მოხმობილი უზენაესი სა-სამართლოს პრაქტიკა (საქმე №447აპ-23) მიემართება განსახილველი საქმისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებულ შემთხვევას, რომლის ინდი-ვიდუალურმა ფაქტობრივმა გარემოებმა მიიყვანა საკასაციო სასამარ-თლო პირის ქმედების საქართველოს სსკ-ის 25, 260-ე მუხლის პირველი ნაწილით დაკვალიფიცირებამდე. ხსნებული საქმის განსხვავებულ ფაქ-ტობრივ გარემოებებზე თავად საკასაციო საჩივარშიც კი არის გამახვი-ლებული ყურადღება.

4.7. განსახილველ შემთხვევაში, სადავოდ გამხდარი კვალიფიკაციის სისწორის შეფასებისას, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქ-ცევს ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებულ მასალას, რომელიც ასახავს ა. ც-ისა და ლ. ნ-ის შეხვედრას, ასევე – მათი საუბრის შინაარსს. კერძოდ, ფარული აუდიო-ვიდეო ჩანაწერით დგინდება, რომ 2023 წლის 8 აპრილს, ლ. ნ-ე ქუჩაში ხვდება ა. ც-ს. იგი ჯიბიდან იღებს მისთვის გადაცემულ კუპიურებს, ერთ 20-ლარიან კუპიურას თავად იტო-ვებს, ხოლო დანარჩენს აძლევს ა. ც-ს. სანაცვლოდ, ა. ც-ი ჯიბიდან იღებს პატარა, თეთრ ქაღალდში შეფუთულ ნივთს და აწვდის ლ. ნ-ეს. იმავ-დროულად, თანხმდებან იმავე დღეს კვლავ შეხვედრაზე. ფარულ ვი-დეოჩანაწერზე ასევე ასახულია მათი განმეორებით შეხვედრა, სადაც ჩანს, თუ როგორ იღებს ნივნიდან ა. ც-ი პატარა, ერთჯერად ცელოფან-ში შეფუთულ თეთრი ფერის ნივთს და აწვდის ლ. ნ-ეს, რომელიც ამოწ-მებს ნივთს და ბრუნდება ავტომანქანაში. საგულისხმოა, რომ ლ. ნ-ის ჩვენებით, ნარკოტიკული საშუალების მისთვის გადაცემის ინიციატო-რი სწორედ ა. ც...ი იყო და თავდაპირველად, სწორედ მსჯავრდებულმა შესთავაზა ნარკოტიკის შეძენა თანხის სანაცვლოდ. მოწმის ჩვენება დადასტურებულია ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მო-პოვებული მასალითაც, რომელიც ასახავს ნარკოტიკის გადაცემის პროცესში ა. ც-ისა და ლ. ნ-ის ვერბალურ კომუნიკაციას, საიდანაც აშკა-რად იკვეთება, თანხის სანაცვლოდ ნარკოტიკის გადაცემის თაობაზე მსჯავრდებულის ნინასწარი შეთანხმება ლ. ნ-ესთან.

4.8. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ექსპერტიზის სამსართველოს ფონოსკოპიური ექსპერტიზის №... დასკვნის, ასევე, ჰაბიტოსკოპიური და ფოტო-ვიდეო ტექნიკური ექსპერტიზის №... დასკვნის (უდავო მტკიცებულებები) თანახმად, ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარდგენილ ჩანანერებსა და ვიდეოგრამებს რედაქტირების ან მონტაჟის ნიშნები არ აღნიშნება. სადაც ფონოგრამებში მოსაუბრე დიქტორი მამაკაცის ხმა და ეტალონურ ფონოგრამაში (ხმის ნიმუში) მოსაუბრეა. ცის ხმა ერთმანეთის იდენტურია. ამასთან, ექსპერტიზაზე წარდგენილ დისკზე არსებული ვიდეოგრამებიდან ამოღებულ ფოტოგამოსახულებებზე და ჰაბიტოსკოპიურ მონაცემთა ერთიან ბაზაში რიცხულ ა. ცის ფოტოგამოსახულებაზე დაფიქსირებულია ერთი და იმავე პიროვნების იერსახის გამოსახულება.

4.9. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ მოწმე ლ. ნ-ემ დეტალური და ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა სასამართლოს მსჯავრდებულის მიერ მისთვის ნარკოტიკული საშუალების მიყიდვის, სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის, საკონტროლო შესყიდვის ორგანიზებისა და ნარკოტიკული საშუალებების შეძენის შესახებ. მოწმის ჩვენება გამყარებულია საქმეში არსებული სხვა უტყუარი მტკიცებულებებით, მათ შორის – გამომძიებლის ჩვენებით, ამოღების ოქმებით, ექსპერტიზის დასკვნებითა და ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალით, რომელიც ნათლად ასახავს ლ. ნ-ისა და ა. ც-ის შეხვედრას, საუბარსა და ნარკოტიკული საშუალების გადაცემის ფაქტს. შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება ა. ც-ის მიერ ნარკოტიკული საშუალების გასაღება, ხოლო საპირისპიროს მტკიცება არ გამომდინარეობს ამავე საქმის მასალებდან.

4.10. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს დაცვის მხარის მიერ საკასაციო საჩივარში მოხმობილ არგუმენტებს და აღნიშნავს, რომ სასამართლო განიხილავს და სამართლებრივად აფასებს კონკრეტულ დროსა და ვითარებაში ჩადენილ კონკრეტულ ქმედებას, ამ შემთხვევაში – ნარკოტიკული საშუალების შეძენას, შენახვასა და სხვა პირი-სათვის გადაცემას, რომლის სამართლებრივ კვალიფიკაციაზე გავლენას ვერ იქონიებს კასატორის მიერ მითითებული ახლომეგობრული ურთიერთობა ან თუნდაც, წარსულში ნარკოტიკას ერთად მოხმარების ფაქტი (ასეთის დადასტურების შემთხვევაშიც კი), რადგან ახლო სოციალური ურთიერთობები ან წარსულში უკვე დასრულებული ქმედებები არ გამორიცხავს კონკრეტულ დროსა და ვითარებაში პირის მიერ ჩადენილი სრულიად ახალი, დამოუკიდებელი ქმედების ნარკოტიკული საშუალების გასაღებად კვალიფიკირის, თუ იმავდროულად, არ დას-

ტურდება პირთა მიერ ნარკოტიკული საშუალების ერთად, ჯგუფურად შეძენა, შენახვა ან ერთი პირის მიერ მეორეს დახმარება ნარკოტიკული საშუალების შეძენაში, რაც, განსახილველ მემთხვევაში, არ არის და-დასტურებული საქმეში არსებული მტკიცებულებებით და უფრო მე-ტიც, ამის შესახებ გონივრული ეჭვიც კი არ არსებობს. განსახილველი ქმედების კვალიფიკაციაზე ასევე ვერ იქნიებს გავლენას კასატორის მიერ მითითებული მსჯავრდებულის პირადი და მისი სახლის ჩხრეკის შედეგები, რომელიც ბრალდების სრულიად დამოუკიდებელ ეპიზო-დად წარდგენის საფუძველია. ნარკოტიკული საშუალების გასაღება არსებობს იმისდა მიუხედავად, პირი სისტემატურად არის დაკავებული ამ დანაშაულებრივი საქმიანობით და ფლობს დიდი ოდენობით ნარკოტიკის თუ მხოლოდ ერთჯერადად ჩადის ამ ქმედებას.

4.11. რაც შეეხება კასატორის მსჯავრდებულისათვის გადაცემული თანხის მიზნიბრიობის შესახებ, თითქოსდა, ა.ც-ს ნარკოტიკის გადაცემის სანაცვლოდ ფინანსური სარგებელი არ მულია და მან მხოლოდ სხვისგან შეძენილი ნარკოტიკის თვითლირებულება აიღო, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ იმ პირობებში, როდესაც უტყუა-რად დადასტურებულია ა.ც-ის მიერ ლ. ნ-ისათვის ნარკოტიკული საშუალების გადაცემა, თუნდაც საერთოდ ვერ დადგინდეს მსჯავრდებულის მიერ თანხის აღების ფაქტი, ეს გარემოება ვერ დააბრკოლებს მისი ქმედების ნარკოტიკული საშუალების გასაღებით კვალიფიკაციას, რადგან აღნიშნული ქმედება წარმოადგენს დანაშაულს, იმის მიუხედავად, სასყიდლით განხორციელდა, თუ – უსასყიდლოდ.

4.12. რაც შეეხება დაცვის მხარის არგუმენტს იმის შესახებ, რომ თითქოს, ფარული საგამოძიებო მოქმედების ამსახველ ვიდეოჩანაწერზე დაფიქსირებული არ არის ლ. ნ-ის მიერ ა.ც-ისაგან მიღებული ნარკოტიკის გამომდიებლისათვის გადაცემის ფაქტი, რაც არ გამოირიცხავს გამომდიებლისათვის სხვა ნივთიერების გადაცემის ეჭვს, საკასაციო სასამართლოსათვის გაუგებარია კასატორის აღნიშნული არგუმენტი, რადგან თავად დაცვის მხარე სადაცოდ არ ხდის ა.ც-ის მიერ ლ. ნ-ისათვის ნარკოტიკული საშუალების გადაცემის ფაქტს. კერძოდ, მის მოთხოვნას წარმოადგენს ა.ც-ის არა სრულად გამართლება, არამედ – მხოლოდ და მხოლოდ, სამართლებრივი კვალიფიკაციის შეცვლა და ა.ც-ის მსჯავრდება საქართველოს სსკ-ის 25, 260-ე მუხლის პირველი ნაწილით, ნაცვლად – საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-4 ნაწილისა.

4.13. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მეფასებით, სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები სრულყოფილად, ობიექტურად და სამართლებრივად სწორად შეაფასა. გასაჩივრებული განაჩენი ეფუძნება კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყო-

ფილად და ობიექტურად გამოკვლეულ, ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს მსჯავრდებულის მიერ მისთვის მსჯავრად შერაცხილი ქმედებების ჩადენას. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულს განუსაზღვრა სასჯელის ისეთი სახე და ზომა, რომელიც შესაბამისი მუხლის სანქციის ფარგლებშია (მინიმუმ-თან მიახლოებული სასჯელი), არ ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, შეესაბამება საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ მოთხოვნებსა და ამავე კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სასჯელის მიზნებს. საგულისხმოა, რომ დაცვის მხარეც ვერ უთითებს სასჯელის უსამართლობის დამადასტურებელ კონკრეტულ გარემოებებზე.

4.14. იმავდროულად, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონს, რომელის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლიობისა და სასჯელისგან თავისუფლდება პირი, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული გათვალისწინებული, მათ შორის, 260-ე მუხლის პირველი ნაწილით (გარდა ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო წარმოებისა). ასევე, ითვალისწინებს ამავე კანონის მე-10 მუხლის პირველ პუნქტს, რომლის თანახმად, კანონის, მათ შორის, პირველი მუხლის მოქმედება ვრცელდება იმ პირზე, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა 2024 წლის 1 ივნისამდე. იმის გათვალისწინებით, რომ ა.ც-მა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები (ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა – 2023 წლის 8 აპრილისა და 17 მაისის ეპიზოდები) მითითებულ პერიოდამდე ჩაიდინა, მის მიმართ უნდა გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის მოქმედება და უნდა გათვალისუფლდეს 260-ე მუხლის პირველი ნაწილით (ორი ეპიზოდი) დანიშნული სასჯელებისგან. რაც შეეხება, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით დანიშნულ სასჯელს, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-7 მუხლის თანახმად, ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტიია არ ვრცელდება იმ დანაშაულზე, რომელიც გათვალისწინებულია, მათ შორის, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს განაჩენია. ც-ისათვის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით დანიშნული სასჯელის ნაწილში უნდა დარჩეს უცცვლელად.

4.15. საკასაციო სასამართლო ასევე ითვალისწინებს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის დანაწესს, რომლის თანახმად, პირს, რომელმაც ჩაიდინა

საქართველოს სსკ-ის XXXIII თავით გათვალისწინებული ნარკოტიკული დანაშაული და რომელზედაც ვრცელდება ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის მოქმედება, სასჯელისგან გათვისუფლებასთან ერთად, სასამართლოს გადაწყვეტილებით აღუდგება „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლებები (გარდა იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებისა). მიუხედავად იმისა, რომ ა. ც-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით მსჯავრდების ნაწილში (ორი ეპიზოდი) უნდა გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის მოქმედება, ეს გარემოება გავლენას ვერ იქონიებს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლებების აღდგენაზე, რადგან ა. ც-ი იმავდროულად მსჯავრდებულია საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, რომელზეც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მოქმედება არ ვრცელდება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ა. ც-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ე. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკამაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 31 მაისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. ა. ც-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით (2023 წლის 8 აპრილის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 წლით;

4. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ა. ც-ი გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით (2023 წლის 8 აპრილის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელისაგან;

5. ა. ც-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და

სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 10 წლითა და 6 თვით;

6. ა. ც-ი ცნობილი იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით (2023 წლის 17 მაისის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 წლით;

7. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ა. ც-ი გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით (2023 წლის 17 მაისის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელისაგან;

8. ა. ც-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალის ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან – 2023 წლის 17 მაისის 12:52 საათიდან. ა. ც-ის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმებულია;

9. ა. ც-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, 5 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, 15 წლით – საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შექნის, შენახვისა და ტარების უფლება, ხოლო 20 წლით – საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება. ზემოთაღნიშნული უფლებების ჩამორთმევის ვადა აეთვალის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდისთანავე;

10. ნივთიერი მტკიცებულებების საკითხი გადაწყდეს საქართველოს სსსკ-ის 81-ე მუხლის შესაბამისად:

ლ. ნ-ისგან ამოღებული ნარკოტიკული საშუალება – ალფა-პვპ; ა. ც-ის პირადი ჩხრეკისას ამოღებული ნარკოტიკული საშუალება – ალფა-პვპ და მისი შესაფუთი მასალა, ორი შპრიცი და ორი ამპულა; ა. ც-ის ნერნცვის ნიმუში – განადგურდეს;

ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ორიგინალი ვიდეოჩანანერები 1 ლაზერულ დისკზე; ა. ც-ის ხმის ნიმუში 1 ლაზერულ დისკზე; ა. ც-ის პირადი ჩხრეკის ამსახველი ვიდეოჩანერი 1 ლაზერულ დისკზე; ა. ც-ის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის ამსახველი ვიდეოჩანერი 1 ლაზერულ დისკზე – შენახულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით;

ა. ც-ის პირადი ჩხრეკისას ამოღებული მისი პირადი ნივთები (მობილური ტელეფონი და სამუხტი კაბელი) – დაუბრუნდეს მესაკუთრეს ან მესაკუთრის ნდობით აღჭურვილ პირს;

11. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

6. სატრანსპორტო დანაშაული

ქმედების გადაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის 276-ე
მუხლის მე-6 ნაწილიდან იმავე მუხლის მე-4 ნაწილზე

განაჩენი
საქართველოს სახელით

№922აპ-24

28 ნოემბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
ლ. თვეზაძე (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა რუსთავის რაიონული პროკუ-
რატურის პროკურორ სალომე ქემაშვილის საკასაციო საჩივარი თბილი-
სის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის
2024 წლის 28 ივნისის განაჩენზე.

აღნერილობითი ნაწილი:

1. ნარდგენილი ბრალდების არსი:

1.1. გ. ჩ-ს, – დაბადებულს ... წლის ... მარტს, – ბრალდ ედება ავ-
ტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა იმის მიერ,
ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართვას, რამაც ადამიანის სი-
ცოცხლის მოსპობა გამოიწვია, რაც გამოიხატა შემდეგში:

1.2. 2020 წლის 20 ოქტომბერს, დაახლოებით 16:00 საათზე, გ-ს რა-
იონის სოფელ ბ-ში, ცენტრალურ საავტომობილო გზაზე, გ. ჩ. მართავ-
და „მერსედესის“ მარკის ავტომობილს, სახ. №..., მოძრაობის დროს ვერ
უზრუნველყო ავტომობილის უსაფრთხო მართვა, დაარღვია „საგზაო
მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი
პუნქტის მოთხოვნა, გასწრების დროს, თავის სამოძრაო ზოლში ჩად-
გომისას მოუცურდა ავტომობილი და შეეჯახა ბორდიურსა და იქვე
ქვეითად მყოფ ს. ტ-ს, რომელიც მძიმე, სიცოცხლისათვის სახითაო
დაზიანებებით გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში, სადაც გარდაიცვა-
ლა 2020 წლის 23 დეკემბერს.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 31 ოქტომბრის განაჩენით:

2.1. გ. ჩ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება საქართველოს სსკ-ის 276-
ე მუხლის მე-6 ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 276-ე მუხლის

მე-4 ნაწილზე.

2.2. გ. ჩ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-4 ნაწილით და მიესაჯა 4 წლითა და 6 თვით თავისისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე მუხლის თანახმად ჩატარებული პირობითად და სსკ-ის 64-ე მუხლის საფუძველზე გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 4 წლით და 6 თვე. მასგე, 2 წლით ჩამოერთვა საქმიანობის (ა/მანქანის მართვის) უფლება.

2.3. გაუქმდა გ. ჩ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაოდა განაჩენის აღსრულებიდან 1 თვის ვადაში გირაოს თანხა სრულად უნდა დაუბრუნდეს მის შემტან პირს სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარდგენის გზით.

3. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ჩ-მ ჩაიდინა ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება გამოიწვია.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 28 ივნისის განაჩენით:

4.1. ბრალდებისა და დაცვის მხარეების სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 31 ოქტომბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. კასატორმა – რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორი მა სალომე ქემაშვილმა საკასაციო საჩივრით მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 28 ივნისის განაჩენის გაუქმება, გ. ჩ-ს დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით და მკაცრი სასჯელის შეფარდება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორ სალომე ქემაშვილის საკასაციო საჩივრი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ კანონის მოთხოვნათა დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოიკვლია მსჯავრდებულის ქმედების სამართლებრივი შეფასებისათვის რელევანტური ყველა ფაქტობრივი ასპექტი; ფაქტებისა და გარე-

მოებების შესწავლისას არ გამოვლენილა ისეთი სამართლებრივი პრობლემა, რაც განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საკა-საციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკისაგან ან თუნდაც, სავარაუდოს გახდიდა არსებული პრაქტიკის გადახედვის საჭიროებას.

3. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ბრალდების მხარის მი-ერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად ვერ დადასტურდა გ. ჩ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა, კერძოდ, კი ის მნიშვნელოვანი გა-რემოქანა, რომ გ. ჩ-ს მიერ „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესა-ხებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვ-ნების დარღვევა მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან – ს. ტ-ს გარდაცვალებასთან.

4. ბრალდების მხარე გ. ჩ-ს ედავება საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხ-ლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას, რაც ითვალისწინებს ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევას იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. განსახილველი და-ნაშაულის ობიექტური მხარე მოიცავს ტრანსპორტის მოძრაობის წე-სის დარღვევას; მძიმე შედეგს – ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანებას, ადამიანის სიცოცხლის მოსპობას და მიზეზობრივ კავშირს წესების დარღვევის ფაქტსა და დამდგარ შედეგს შორის. თუ მძღოლს არ დაურღვევია დადგენილი წესი, მოძრაობდა ნებადართული სიჩქარით და გზის ნებადართულ მონაკვეთზე, მაგრამ მძიმე შედეგი მაინც დადგა სხვა მიზეზის გამო და მძღოლმა ამის თავიდან აცილება ვერ შეძლო, მას ასეთი შედეგი არ შეერაცხება. ამასთან, სსკ-ის 276-ე მუხლი ბლანკეტური შინაარსის ნორმაა და ავტომობილის უსაფრთხოე-ბის წესის დარღვევის დადგენისას სახელმძღვანელო ნორმატიულ აქტს წარმოადგენს საქართველოს კანონი „საგზაო მოძრაობის შესა-ხებ“. განსახილველ შემთხვევაში, გ. ჩ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდე-ბის თანახმად, მის მიერ ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა გამოიხატა იმაში, რომ მან არ გაითვალისწინა „საგ-ზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირვე-ლი პუნქტის მოთხოვნა, რაც მდგომარეობს შემდეგში: მძღოლს ეკ-რძალება სატრანსპორტო საშუალების მართვა ამ კანონით განსაზ-ღვრული სიჩქარის შეზღუდვის გადაჭარბებით. შერჩეული სიჩქარე მძღოლს საშუალებას უნდა აძლევდეს, მუდმივად აკონტროლოს სატ-რანსპორტო საშუალება ისე, რომ დაცულ იქნეს მოძრაობის უსაფ-რთხოება.

5. განსახილველ საქმეზე ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, მათ შორის, 2020 წლის 20 ოქტომბრის შემთხვე-

ვის ადგილის დათვალიერების ოქმით (დანართი სქემით და ფოტოსურათებით), საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ექსპერტიზის სამმართველოს სატრანსპორტო-ტრასოლოგიური ექსპერტიზის №... და სატრანსპორტო-ავტოტექნიკური ექსპერტიზის №... დასკვნებით უტყუარად დადგენილ გარემოებებს წარმოადგენს და დაცვის მხარეც არ ხდის სადაცოდ, რომ 2020 წლის 20 ოქტომბერს, დაახლოებით 16:00 საათზე, გ-ს რაიონის სოფელ ბ-ში, ცენტრალურ საავტომობილო გზაზე, გ. ჩ. მართავდა, „მერსედესის“ მარკის ავტომობილს, სახელმწიფო ნომრით ..., მოძრაობის დროს ვერ უზრუნველყო ავტომობილის უსაფრთხო მართვა, დააღვია „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა, გასწრების დროს, თავის სამოძრაო ზოლში ჩადგომისას მოუცურდა ავტომობილი და შეეჯახა ბორდიულსა და იქვე ქვეითად მყოფ ს. ტ-ს, რომელიც მძიმე, სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებებით, გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში, სადაც 2020 წლის 23 დეკემბერს გარდაიცვალა. მოცემულ შემთხვევაში, სადაცოდა დაზარალებულ ს. ტ-ს გარდაცვალებასა და ავტოსაგზაო შემთხვევას შორის მიზეზობრივი კავშირი და შესაბამისად, ქმედების კვალიფიკაცია, გ. ჩ-ს მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება წარმოადგენს საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევას, იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება.

6. ამ მიმართებით, საკასაციო სასამართლო, გასაჩივრებული განაჩენის მსგავსად, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნაზე (რომლის სისწორე დაადასტურა სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა ა. ბ-ა და დამატებით განმარტა, რომ ს. ტ-ს სიკვდილის მიზეზია პრონქოპლევმონია, თუმცა აღნიშნული არის თუ არა კავშირში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დამდგარ ტრავმასთან, ამ კვლევის ფარგლებში მიზეზშედეგობრიობა ვერ დადგინდა და საჭირო გახდა კომისიური ექსპერტიზის ჩატარება), რომლითაც ცალსახად დადასტურდა, რომ ს. ტ-ს სიკვდილის მიზეზია სუნთქვის და გულ-სისხლძარღვთა სისტემის მწვავე უკმარისობა განვითარებული ორმხრივი პრონქოპლევმონიის შედეგად. ექსპერტიზაზე წარდგენილი სტაციონალური მკურნალობის სამედიცინო დოკუმენტაციის და გვამის გამოკვლევით აღინიშნებოდა ტრავმული სისხლჩაქცევა თავის ტვინში, კომა, სუნთქვის მწვავე უკმარისობა, მარჯვენა ტაბუხის ფოსოს,

საჯდომი ძვლის, თეძოს ფრთის, მარცხენა მეორე ნეკის და ყვრიმალის ძვლის, მარჯვენა და მარცხენა ბარძაყის ძვლების მოტეხილობა, მრავლობითი ექსკორაციები და ჰემატომა მარჯვენა ბარძაყის მიღამოში, დაუეჭილი ჭრილობა თავის მიდამოში, რაც მიყენებულია რაიმე მკვრივი ბლაგვი საგნის მოქმედებით, ხანდაზმულობით არ ეწინააღმდგეგება საქმის გარემოებაში მითითებულ შემთხვევის თარიღს და მიეკუთვნება მძიმე ხარისხს, როგორც სიცოხცლისათვის სახიფათო. ტრავმული დაზიანების სიკვდილის დადგომასთან მიზეზ-შედეგობრიობის დასადგენად საჭიროა ჩატარდეს კომისიური ექსპერტიზა საქმის მასალებზე, თუმცა კომისიური ექსპერტიზის დანიშვნის მიუხედავად, ბრალდების მხარეს სასამართლოში საქმის განხილვისას არ წარმოუდგენია კვლევის შედეგები, რომელიც დაადგენდა გ. ჩ-ს ქმედებასა და ს. ტ-ს გარდაცვალებას შორის მიზეზობრივ კავშირს. ასეთ ვითარებაში, შეუძლებელია საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით წარდგენილი ბრალდების საფუძვლიანობაზე მსჯელობა, რის გამოც ს. ტ-ს სასიკვდილო შედეგი გ. ჩ-ს ბრალად ვერ შეერაცხება და მან პასუხი უნდა აგოს მხოლოდ იმ დაზიანებისათვის, რაც ს. ტ-ს მიადგა, მისი მხრიდან მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევის შედეგად.

7. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნით ს. ტ-ს გარდაცვალებასა და ავტოსატრანსპორტო შემთხვევას შორის მიზეზობრივი კავშირი დადგენილი არ არის, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი არ არის კომისიური ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც უტყუურად დაფინდებოდა დაზიანებებსა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი, ამასთან, სამედიცინო დასკვნით დგინდება, რომ ს. ტ-ს სიკვდილის მიზეზია სუნთქვის და გულსისხლარღვთა სისტემის მწვავე უქმარისობა განვითარებული ორმხრივი პროცედურების შედეგად, სრულიად მართებულია გ. ჩ-ს ქმედების საქართველოს სსკ-ის 276 მუხლის მე-6 ნაწილიდან ამავე მუხლის მე-4 ნაწილზე გადაკვალიფიცირება, რასაც საკასაციო სასამართლოც იზიარებს.

8. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე უნდა გათავისუფლდეს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან პირი, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-4 ნაწილით, თუ თითოეული დაზარალებული ამ კანონის აღსრულებისას გამოიყების ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ აღნიშნულ პირზე გავრცელდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია. ამავე კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნ-

ქტის თანახმად, ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით, მე-2 მუხლის მე-2 ან მე-3 პუნქტით, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით ან მე-4 მუხლის მე-5 ან მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ დაზარალებული ფიზიკური პირი გარდაცვლილია ან ვერ იძებნება, იმავე პუნქტში აღნიშნულ პირზე ამნისტია გავრცელდება, თუკი ამაზე თანხმობას ამ კანონით დადგენილი წესით განაცხადებს დაზარალებული ფიზიკური პირის ოჯახის ასეთი წევრი არ ჰყავს ან დაზარალებული ფიზიკური პირის ოჯახის ასეთი წევრი ვერ იძებნება, აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია აღსრულდება.

9. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეზე დაზარალებული ფიზიკური პირი გარდაცვლილია, ხოლო საქმეში არ არის წარმოდგენილი დაზარალებული ფიზიკური პირის ოჯახის ერთი სრულნლოვანი, ქმედუნარიანი წევრის (დედა, მამა, მეუღლე, შვილი), ხოლო თუ დაზარალებულ ფიზიკურ პირს ოჯახის ასეთი წევრი არ ჰყავს ან დაზარალებული ფიზიკური პირის ოჯახის ასეთი წევრი ვერ იძებნება, აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია აღსრულდება.

10. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ერთი მეექვსედით უნდა შეუმცირდეს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი პირს, რომელზედაც არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია და რომელსაც ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული დანაშაული არ ჩაუდენია. ამავე კანონის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ამ კანონის მე-4 მუხლით (გარდა მე-4 მუხლის მე-4 ან მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) გათვალისწინებული სასჯელის შემცირება ვრცელდება ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ რეალურ სასჯელზე, პირობით მსჯავრსა და გამოსაცდელ ვადაზე, აგრეთვე სხვა სასჯელზე (გარდა ჯარიმისა, ქონების ჩამორთმევისა, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვისა და სამხედრო წოდების ჩამორთმევისა).

11. შესაბამისად, „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ გ. ჩ-ს საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-4 ნაწილით დანიშნული სასჯელი – 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა უნდა შეუმცირდეს ერთი მეექვსედით და შეეფარდოს 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე მუხლის თანახმად უნდა ჩაეთვალის პირობითად და სსკ-ის 64-ე მუხლის საფუძველზე გამოსაცდელ ვადად უნდა დაუდგინდეს 3 წელი და 9 თვე.

12. გასაჩივრებული განაჩენით გ. ჩ-ს, 2 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, რაც ამავე კანონის მე-9 მუხ-

ლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე უნდა შეუმცირდეს ერთი მეექვსე-დით და დამატებითი სასჯელის სახით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება 1 წლითა და 8 თვით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ კვებუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით, „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორ სალომე ქემაშვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 28 ივნისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. გ. ჩ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილიდან გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-4 ნაწილზე.

4. გ. ჩ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-4 ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 4 (ოთხი) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე მუხლის თანახმად ჩაეთვალოს პირობითად და სსკ-ის 64-ე მუხლის საფუძველზე გამოსაცდელ ვადად დაუდგინდეს 4 (ოთხი) წელი და 6 (ექვსი) თვე.

5. „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ გ. ჩ-ს დანიშნული სასჯელი – 4 (ოთხი) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდეს ერთი მეექვსედით და მიესაჯოს 3 (სამი) წლითა და 9 (ცხრა) თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე მუხლის თანახმად, ჩაეთვალოს პირობითად და სსკ-ის 64-ე მუხლის საფუძველზე გამოსაცდელ ვადად დაუდგინდეს 3 (სამი) წელი და 9 (ცხრა) თვე.

6. პირობითი მსჯავრის აღსრულებისას, მსჯავრდებულ გ. ჩ-ს ყოფაქცევაზე კონტროლი და დახმარება დაევალოს პრობაციის ბიუროს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

7. გ. ჩ-ს, საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება 2 წლით, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე შე-

უმცირდეს ერთი მეექვსედით და დამატებითი სასჯელის სახით ჩამო-ერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება 1 (ერთი) წლი-თა და 8 (რვა) თვით.

8. ცნობად იქნეს მიღებული, რომ გ. ჩ-ს მიმართ შეფარდებული აღ-კვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია. განაჩენის აღსრულებიდან 1 თვის ვადაში გირაოს თანხა სრულად დაუბრუნდეს მის შემტან პირს სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს იუსტიციის სამინის-ტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იური-დიული პირი – აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარდგენის გზით.

9. ნივთიერი მტკიცებულებები:

შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ამოღებული პლასტმა-სის დეტალი, ანაწმენდები, სისხლის ნიმუში, გ. ჩ-საგან აღებული სის-ხლის ნიმუში, გ. დ-ნ აღებული სისხლის ნიმუში განადგურდეს კანონით დადგენილი წესით.

ავტომანქანა, რომელიც გადაყვანილია ავტოსადგომზე, გ. ჩ-საგან ამოღებული ტანსაცმელი, ს. ტ-ს ტანსაცმელი (ინახება შსს გარდაბნის რაიონულ სამმართველოში) დაუბრუნდეს მფლობელს/მესაკუთრეს ან-და ოჯახის სრულწლოვან წევრებს, ხოლო ს. ტ-ს სამედიცინო დოკუ-მენტაცია, რომელიც ერთვის სისხლის სამართლის საქმეს, შენახულ იქ-ნეს საქმის შენახვის ვადით.

10. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სისხლის სამართლის პროცესი კერძო ნაწილი

კასაცია

საკასაციო განაჩენი

გამამდინარებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად
გამამართლებელი განაჩენის დადგენა

განაჩენი საქართველოს სახელით

№591აპ-24

8 ოქტომბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ვასაძე (თავმჯდომარე)
შ. თადუმაძე,
ლ. ფაფიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა რუსთავის რაიონული პროკუ-
რატურის პროკურორ სალომე ქემაშვილისა და მსჯავრდებულ ა. ჯ-ს
ინტერესების დამცველის, ადვოკატ – ე. ქ-ს საკასაციო საჩივრები
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა
პალატის 2024 წლის 26 მარტის განაჩენზე.

აღნერილობითი ნაწილი:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-
მეთა პალატის 2024 წლის 26 მარტის განაჩენი საკასაციო წესით გაა-
საჩივრეს რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორმა – სალო-
მე ქემაშვილმა და მსჯავრდებულ ა. ჯ-ს ინტერესების დამცველმა,
ადვოკატმა – ე. ქ-მ.

2. ბრალდების მხარე თავისი საკასაციო საჩივრით ითხოვს, განაჩე-
ნის შეცვლასა და ა. ჯ-სათვის სასჯელად თავისუფლების აღკვეთის
შეფარდებას, პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად, ვინაიდან
მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილება უსამართლოა, რადგან შეფარდებული
სასჯელი არ შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ
ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. საქართველოს სისხლის სამართლის
კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასჯელის დანიშ-
ვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლო-

ბის შემამსუბუქებელ და დამამდიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს. მოცემულ შემთხვევაში კი, სასჯელის კონკრეტული სახისა და ზომის განსაზღვრისას, სასამართლომარ გაითვალისწინა ა. ჯ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება და ხასიათი, ისევე, როგორც – ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება და მოვალეობათა დარღვევის ხასიათი, დამნაშავის წარსული ცხოვრება. აქედან გამომდინარე, გამოყენებული სასჯელი მსუბუქია და ვერ უზრუნველყოფს მისი ზოგადი მიზნების შესრულებას.

3. დაცვის მხარე თავისი საკასაციო საჩივრით ითხოვს, ა. ჯ-ს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და, მის ნაცვლად, გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, ვინაიდან მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი და უკანონოა, რადგან ბრალდების მხარემ, სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, გონივრულ ეჭვს მიღმა ვერ დაადასტურა ა. ჯ-ს ბრალებულობა. სადაცოდ არ გამხდარა და საქმის მასალებითაც დასტურდება, რომ 2019 წლის 27 სექტემბერს, შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ: ბრალდებული ა. ჯ., დაზარალებული რ. მ. და მოწმეები – კ. მ., ა. ს. ა. და თ. მ., ხოლო დაზარალებულის მეუღლის – ა. ნ-ს შემთხვევის ადგილზე ყოფნა, თვითმხილველი მოწმეების ჩვენებებით არ დგინდება. დაზარალებულისა და მისი მეუღლის ჩვენებები მიკერძოებული და არსებითად წინააღმდეგობრივია, როგორც შემთხვევის დროს, ასევე – მას შემდეგ განვითარებულ მოვლენებთან მიმართებით. გარდა იმისა, რომ ა. ნ-მ ვერ მიუთითა იმ ადგილზე, სადაც, სავარაუდოდ, მის მეუღლეზე იძალადეს, მისი მონათხრობი ასევე ერინააღმდეგებარ. მ-სა და კ. მ-ს ჩვენებებს, ამ უკანასკნელის დაზარალებულის ავტომანქანაში ყოფნასთან დაკავშირებით. გაურკვეველია, გაჰყვათურა არა დაზარალებულს მეუღლე სამედიცინო დაწესებულებაში, რამეთუ გამოძიების დროს ა. ნ. ამბობდა, რომ რ. მ-ს კლინიკაში თან ახლდა, ხოლო სასამართლოში განცხადა, რომ დაზარალებული საავადმყოფოში თბილისიდან წავიდა. დაზარალებულიცა და მისი მეუღლეც ამტკიცებენ, რომ ა. ჯ. და რ. მ. მაღაზიებს შორის, მოფარებულ ადგილას გავიდნენ, შესაბამისად, გაურკვეველია, როგორ მოახერხა შეუძლოდ მყოფმა ა. ნ-მ, ავტომანქანიდან გადმოუსვლელად, ყველაფრის დანახვა ან როგორ დაეჯახა დაზარალებული ავტომანქანას, დაახლოებით, 10 მეტრის მანძილის რა-

დიუსიდან. სამედიცინო ექსპერტმა რენტგენფირის გარეშე, მხოლოდ ექიმის ჩანაწერის საფუძველზე დასკვნა, რომ დაზარალებულს მე-5 ნეკი ჰქონდა მოტეხილი. დაცვის მხარის მოთხოვნით, დაზარალებულ-მა განმეორებით კვლევაზე უარი განაცხადა, ხოლო რენტგენფირი კლინიკაში ვერ მოიძებნა. ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, იმის გათვალისწინებით, რომ დაზარალებულმა სამედიცინო დანესებულებას მიმართა შემთხვევიდან მეორე დღეს, პირადი გა-სინჯვისას არ აღენიშნებოდა ჩივილები გულმკერდის მარცხენა არეში ტკივილებზე (უჩიოდა მხოლოდ ტკივილს მარჯვენა ხელის მტევნის მეორე თითის არეში), მაშინ, როდესაც ამხასიათის ტრავმისას ჩივილე-ბი გამოხატული იქნებოდა დროის ამ პერიოდისათვის (ტკივილის სინ-დრომი, სუნთქვის გაძნელება და ა.შ.) და ასევე – არ შესწავლილა 2019 წლის 27 სექტემბერს გადაღებული რენტგენფირი, კითხვის ნიშნებს ინვესტიციის მოტეხილობის არსებობის ფაქტი.

4. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, ა. ჯ-ს, – დაბადე-ბულს, – ბრალად დაედო ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, რაც სიცოცხლისთვის სახიფათო არ არის და არ გამოიუწვე-ვია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, მაგრამ დაკავშირებულია ჯანმრთელო-ბის ხანგრძლივ მოშლასათან, რაც გამოიხატა შემდეგით:

4.1. 2019 წლის 27 სექტემბერს, დაახლოებით, 11:00 საათზე, სოფელ ყ-ში, ა. ჯ-მ რ. მ-ს დაარტყა გაშლილი ხელი სახეში, ფეხი – გულ-მკერ-დის არეში, მოჰკიდა ხელი კისერში და უბიძგა მანქანის მიმართულე-ბით, რის შედეგადაც რ. მ-მ მიიღო ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება, მისი ხანგრძლივი მოშლით.

5. ა. ჯ-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით (2022 წლის 20 ივნისამდე მოქმედი რედაქცია).

6. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე-თა კოლეგიის 2023 წლის 23 ივნისის განაჩენით ა. ჯ. ცნობილ იქნა დამ-ნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით (2022 წლის 20 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) გათ-ვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და განესაზღვრა შინაპა-ტიმრობა – 6 თვით, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, გაუნა-ხევრდა და განესაზღვრა შინაპატიმრობა – 3 თვით.

7. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე-თა კოლეგიის 2023 წლის 23 ივნისის განაჩენი სააპელაციო წესით გაა-საჩივრეს, ერთი მხრივ, რუსთავის რაიონული პროკურატურის პრო-კურორმა – თინათინ სტურუამ, რომელიც ითხოვდა განაჩენის შეც-

ვლას, სასჯელის გამკაცრების კუთხით, ხოლო, მეორე მხრივ, მსჯავრდებულა.... ჯ....სინტერესების დამცველმა, ადვოკატმა – ე. ქ-მ, რომელიც ითხოვდა გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და, მის ნაცვლად, გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 26 მარტის განაჩენით რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 23 ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა, გააანალიზა კასატორების საკვანძო არგუმენტები და მიაჩინა, რომ რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორ სალომე ქემაშვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მსჯავრდებულ ა. ჯ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ – ე. ქ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. მტკიცებულებითი სტანდარტი – „გონივრულ ეჭვს მიღმა“ – ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად, განიმარტება, როგორც სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში.

3. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით სარწმუნოდ დადგენილია და არც მხარეები დავობენ იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ მსჯავრდებულ ა. ჯ-ს და დაზარალებულ რ. მ-ს შორის არსებობდა გარკვეული უთანხმოება, რომელიც უკავშირდებოდა დაზარალებულის მიერ მსჯავრდებულის სახლის სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით, ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. მხარეებს შორის დავის საგნად არის ქცეული: 2019 წლის 27 სექტემბერს, დაახლოებით, 11:00 საათზე, სოფელ ყ-ში, ა. ჯ-მა ფიზიკურად იძალადა თუ არა რ. მ-ზე და ამ ძალადობის შედეგად, მიიღო თუ – არა დაზარალებულმა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება, როგორც ამას ბრალდების მხარე ამტკიცებს, თუ შემთხვევის დროს, მსჯავრდებული და დაზარალებული მხოლოდ სიტყვიერად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, რაც, ცხადია, გამორიცხავს ა. ჯ-ს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, როგორც ამაზე დაცვის მხარე მიუთითებს.

4. აღსანიშნავია, რომ ა. ჯ-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით მსჯავრდებას საფუძვლად უდევს სააპელაციო სასამართლოს მიერ ორი ფაქტობრივი გარემოების გამოკვეთა, რომლებიც, თითქოსდა, უპირობოდ ადასტურებენ მის ბრალეულობას, კერძოდ, სასამართლომ, ერთი მხრივ, უტყუარად მიიჩნია დაზარალებულ რ. მ-ს მამხილებელი ჩვენება, რომელიც, სასამართლოს შეფასებით, დასტურდებოდა დაზარალებულის მეუღლის – ა. ნ-ს მონათხრობითა და მისივე მონანილეობით ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმით, ხოლო დაზარალებულისათვის მიყენებული ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება დადგენილი იყო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნითა და მოწმის სახით დაკითხული ექსპერტის – ა. ბ-ს ჩვენებით; მეორე მხრივ, დაცვის მხარის მოწმეების – ს. ა-ს, არის ა-სა და თ. მ-ს ჩვენებებთან მიმართებით, სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომელმაც, თავის მხრივ, ზემოაღნიშნული მოწმეების მონათხრობი ურთიერთგამომრიცხველი შინაარსის მქონედ და ბრალდებულის სასარგებლოდ მიერძოებულად მიიჩნია.

5. მნიშვნელოვანია, რომ დაზარალებულ რ. მ-ს მტკიცებით, 2019 წლის 27 სექტემბერს, გ-ს ხიდთან ყოფნისას, სწორედ მსჯავრდებულ-მა იძალადა მასზე და მიაყენა სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება, ხოლო მსჯავრდებულ ა. ჯ-ს მითითებით, შემთხვევის დღეს რ. მ-ზე ფიზიკურად არ უძალადია, არამედ – ისინი მხოლოდ სიტყვიერად შელაპარაკდნენ და ფიზიკური დაპირისპირების გარეშე დაშორდნენ ერთმანეთს.

6. ამდენად, დაზარალებულისა და მსჯავრდებულის ურთიერთგა-მომრიცხველი განმარტებების პირობებში, მეტად მნიშვნელოვანია მტკიცების საგანთან დაკავშირებული, სხვა მოწმეების ჩვენებების შეფასება და იმის გამორკევევა, თუ რამდენად დამაჯერებელია მათი მონათხრობი, რამდენად თანხვდენილია მათი მტკიცება საქმეში წარმოდგენილ სხვა სამხილებთან და ხომ არ იკვეთება მათ შორის იმგვარი წინააღმდეგობები და ფაქტობრივი უზუსტობები, რომლებიც, ზოგადად, საეჭვოს ხდის მოწმეების სანდოობას და, ერთობლივად შეფასებისას, უკარგავს მათ ჩვენებებს დამაჯერებლობას.

7. ხაზგასასმელია, რომ ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, ა. ჯ-სათვის ბრალად შერაცხილი ქმედების – რ. მ-სათვის ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების – დასადასტურებლად, გარდა თავად დაზარალებულ რ. მ-ს, ბრალდების მხარემ სასამართლოს წარუდგინა მოწმეები – კ. მ. და ა. ნ., ხოლო დაცვის მხარემ, გარდა მსჯავრდებულ – ა. ჯ-სა, მოწმეები – ს. ა., არის ა. და თ. მ., რომლებიც, ორივე მხრივ, უშუალოდ იმყოფებოდნენ შემთხვევის ადგილზე

და გადმოსცემენ იმ ფაქტებსა და გარემოებებს, რასაც, მათი მტკიცებით, უშუალოდ შეესწრნენ.

8. დაზარალებულ რ. მ-ს ჩვენების მიხედვით, ა. ჯ-თან ჰქონდა გარკვეული უთანხმოება, რომელიც უკავშირდებოდა მსჯავრდებულის შეკვეთით დამზადებულ კარ-ფანჯრებს. მას სახელურები ჰქონდა დარჩენილი, რომლებიც ა. ჯ-ს არ მოეწონა და ამაზე ჰქონდათ უთანხმოება. ერთხელ, მასთან სახლში მყოფმა მსჯავრდებულმა ყელში წაუჭირა ხელი და მაგიდაზე დაანარცხა, რასაც შეესწრო მისი უმცროსი შვილი და დასახმარებლად უხმო მის მეუღლესა და დედას. 2019 წლის 27 სექტემბერს, ავტომანქანით იდგა გ-ს ხიდთან. ესაუბრებოდა კ. მ-ს, რომელიც მანქანაში იჯდა მის გვერდით, ხოლო მისი მეუღლე – უკან. მასთან მივიდა ა. ჯ., რომელმაც საქმის გამორკვევა დაუწყო. მან კვლავ სთხოვა, ცოტა ედროვა, თუმცა მსჯავრდებულმა იძულებით გადაიყვანა ავტომანქანიდან, დაახლოებით, 4-5 მეტრში, ხორცის მაღაზის გვერდით და დაუწყო გინება. მის საპასუხო გინებაზე კი გაშლილი ხელი და-არტყა სახის მარჯვენა არეში, რის გამოც დაიხარა, ხოლო წამოდგომისას მუხლი ამოარტყა მარცხენა მხარეს, ნეკებში, ასევე – მოჰკიდა ხელი და მანქანას მიანარცხა. დარტყმისას ტკივილები იგრძნო თავისა და ნეკის არეებში. მერე გადაუდებელი საქმე ჰქონდა, მუშები ელო-დებოდნენ და თბილისში წავიდა. უკანა გზაზე, შეუძლოდ გახდა, სუნ-თქვა გაუძნელდა. ტკივილმა რომ ალარ გაუარა, მიმართა სამედიცინო დაწესებულებას, სადაც გადაუდეს რენტგენი და ალმოჩნდა, რომ მე-5 წევნი ჰქონდა მოტეხილი. რენტგენოფირი თან არ წაულია, კლინიკაში დარჩა ექიმთან.

9. დაზარალებულის მეუღლის – მოწმის სახით დაკითხული ა. ნ-ს ჩვენების თანახმად, იცოდა, რომ რ. მ. კარ-ფანჯრებს უმზადებდა ა. ჯ-ს, თუმცა მათ შორის რაიმე უთანხმოების არსებობის შესახებ, არაფერი სმენია. შემთხვევის დროს, რომლის თარიღი, დაახლოებითაც, არ ახსოვს, თავის მეუღლესთან ერთად, ავტომანქანით იმყოფებოდა გ-ს ხიდთან არსებულ კ. მ-ს მაღაზიასთან. ამასობაში, კ. მ. მიუახლოვდათ, მის მეუღლეს გაესაუბრა და ავტომანქანაში ჩაუჯდათ. ამ დროს, თავად უკანა საგარეულზე იჯდა. ცოტა ხანში მათთან მივიდა ა. ჯ. და რ. მ-ს დაუწყო საუბარი. როდესაც საუბრის ტონს აუწიეს, მსჯავრდებულმა მისი მეუღლე, დაახლოებით, 5-6 მეტრის მოშორებით, მაღაზის გვერდით გაიხმო. მანქანიდან დაინახა, როგორ დაარტყა მსჯავრდებულმა ხელი მის მეუღლეს, რომელიც დაიხარა, ა. ჯ-მ კი ამოარტყა მუხლი, ასევე – ხელი ჰქინა და მანქანას მიანარცხა. თავად ცუდად გახდა და ვერ შეძლო მანქანიდან გადასვლა. შემთხვევის შემდეგ მისი მეუღლე თბილისში წავიდა, რადგან აუცილებელი საქმე ჰქონდა. შემთხვევის ადგილზე ხალხი იყო შეკრებილი, თუმცა, ვინ იყვნენ, არ დაკვირვებია.

მოგვიანებით, პოლიციის განყოფილებაში ყოფნისას, მისმა მეუღლემ უთხრა, რომ მათ შორის, იყო კ. მ-ც, რომელსაც დაუკავშირდა კიდეც, მაგრამ დამოწმებაზე უარი მიიღო. შემთხვევის ადგილზე მყოფთაგან არავის სურდა ჩვენების მიცემა.

10. მოწმე ა. ნ-მ სასამართლოში დაადასტურა გამოძიების დროს, 2019 წლის 29 სექტემბერს გამოკითხვის ოქმი, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე გამოქვეყნდა სასამართლოში და რომლის მიხედვით, ა. ნ-მ მანქანიდან დაინახა, ა. ჯ-მ მარცხენა გაშლილი ხელი, მთელი ძალით, როგორ დაარტყა სახეში რ. მ-ს. დაზარალებული წაბარბაცდა და წელში მოიხარა. მსჯავრდებულმა კი მარჯვენა მუხლი ამოარტყა მას გულმკერდის მარცხენა მხარეს, რა დროსაც, რ. მ-მ დაიყვირა: ეს რა მიქნი, ვეღარ ვსუნთქავო და უფრო მოიხარა. მსჯავრდებულმა ხელი მოჰკიდა დაზარალებულს კისრის არეში და მანქანას მიანარცხა. რ. მ. იქ მყოფმა კ. მ-მ დაიჭირა, რომ არ წაქცეულიყო და მანქანაში ჩასვა, ხოლო მსჯავრდებულმა განაგრძო დაზარალებულის გინება.

11. ჯვარედინი დაკითხვის დროს, მოწმე ა. ნ-მ, პირდაპირი დაკითხვის დროს გაცხადებული გარემოების საპირისპიროდ მიუთითა, რომ შემთხვევის დღეს, კ. მ. მათ ავტომანქანაში არ ჩამჯდარა, ისე ესაუბრებოდა მის მეუღლეს, ასევე – შეეცადა მის მეუღლეს უტაქტოდ გახუმრებოდა, რაზეც რ. მ-მ მიუთითა, რომ მანქანაში მეუღლე ეჯდა.

12. დაზარალებულისა და მსჯავრდებულის განმარტებების დამაჯერებლობაზე მსჯელობისას, უპირველესად საყურადღებოა თავად ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მოწმის – კ. მ-ს ჩვენება, რომლის მიხედვით, შემთხვევის დროს იმყოფებოდა გ-ს ხიდთან მდებარე თავის მაღაზიაში, სადაც შევიდა რ. მ., რომელმაც აპარატიდან ონლაინ კაზინოში ჩარიცხა ფული და შესთავაზა მის ავტომანქანაში ჩამჯდარიყო და, თუ დრო ჰქონდა, მისი თამაშისთვის ეყურებინა. დაახლოებით, 2-3 წუთი იჯდა დაზარალებულის ავტომანქანაში, მძლოლის გვერდით. ისინი თამაშობდნენ, სიგარეტს ენეოდნენ და იგინებოდნენ კიდეც. რ. მ-ს ავტომანქანაში სხვა არავინ მჯდარა. ამ დროს, ა. ჯ-მ შეიხედა მათ ავტომანქანაში და უსაყვედფურა რ. მ-ს, რომელიც მის ზარებს უგულებელყოფდა. დაზარალებულმა თავი იმართლა, რომ მუშაობის დროს, არ ესმიდა ტელეფონის ზარი. მსჯავრდებულმა კი უთხრა, თუ-კი მუშაობდა, მის საქმეს რატომ არ ამთავრებდა. ამასობაში მას ბეჭიამ დაუძახა, მაღაზიაში შებრუნდა და კლიენტებს მოემსახურა. დაზარალებული და მსჯავრდებული გარეთ დარჩნენ. როდესაც უკან გამობრუნდა, ისინი აღარ უნახავს. მაღაზიაში ყვირილისა და ჩხუბის ხმა არ გაუგია. მოგვიანებით შეიტყო, რომ ერთმანეთში კონფლიქტი მოსვლი-

ათ.

13. დაზარალებულისა და მისი მეუღლის განმარტებების საპირისპიროდ, მსჯავრდებულმა ა. ჯ-მ აღნიშნა, რომ რ. მ-მ გამოართვა კარფანჯრების დასამზადებელი თანხა, თუმცა შეკვეთა დროში გაუჭიანურა და არც სათანადოდ შეუსრულა, ასევე – სთხოვდა დამატებითი თანხებს, ბოლოს კი, ემალებოდა და მის ზარებსაც არ პასუხობდა, რის გამოც ჰქონდათ უთანხმოება. პასუხისმგებლის ასარიდებლად, დაზარალებული მისთვის მანის დაგებას ცდილობდა. ერთხელ, ჯერ სახლში დაიბარა, ხოლო შეხვედრისას, დაიწყო ყვირილი, დედამისის უთხრა, რომ კლავდინენ, თუმცა არაფერი გამოუვიდა, რადგან მას ავტომანქანაზე კამერა ჰქონდა და ყველაფერს იწერდა. 2019 წლის 27 სექტემბერს, დილის საათებში, გ-ს ხიდთან ყოფნისას, შენიშნა რ. მ-ს ავტომანქანა, რომელშიც დაზარალებული კ. მ-სთან ერთად იჯდა. მის შეკითხვაზე, რატომ ემალებოდა და რატომ არ პასუხობდა მის ზარებს, რ. მ-მ დაუწყო ყვირილი, ეუბნებოდა, რომ ფული არ ჰქონდა და ვერაფერს გახდებოდა. ავტომანქანებიდან გადავიდნენ და ისე განაგრძეს საუბარი. რ. მ. ცდილობდა მის პროვოცირებას, სურდა, რომ ხელით შეხებოდა, თუმცა იგი ასე არ მოქცეულა და მხოლოდ სიტყვიერად შეუთანხმდა, რომ შეკვეთას მაშინ დაუსრულებდა, როცა ამის საშუალება ექნებოდა. ისე დაშორდნენ ერთმანეთს, რომრ. მ-ს ხელით არ შეხებია. დაზარალებულის მეუღლე შემთხვევის დროს შემთხვევის ადგილზე არ ყოფილა.

14. მოწმე არის ა-ს ჩვენების მიხედვით, იგი ცხოვრობს სოფელ ყ-ში. არის ტაქსის მძღოლი. შემთხვევის დროს, დილის 10-11 საათზე, იმყოფებოდა გ-ს ხიდთან არსებულ ხორცის მაღაზიასთან. დაინახა რ. მ., რომელიც ავტომანქანით იყო გაჩერებული. დაზარალებულის ავტომანქანში იჯდა კ. მ.. სხვა არავინ მჯდარა. რ. მ-ს ავტომანქანით მიუახლოვდა ა. ჯ. და ფანჯრიდან გაესაუბრა. დაზარალებული და კ. მ.. ავტომანქანიდან გადავიდნენ. კ. მ. შევიდა მაღაზიაში, ხოლო დაზარალებული და მსჯავრდებული ხმამაღლა საუბრობდნენ ავტომანქანასთან. მას საუბრის შინაარისი არ გაუგია. 3-5 წუთიანი საუბრის შემდევ რ. მ. ჩაჯდა ავტომანქანში და წავიდა. დაახლოებით, 10-15 წუთში, ა. ჯ-სგან შეიტყო, რომ კარ-ფანჯრებთან დაკავშირებით ჰქონიათ დავა. დაზარალებულსა და მსჯავრდებულს შორის ფიზიკური დაპირისპირება არ შეუმჩნევია. ასეთი, რომ ყოფილიყო, დაინახავდა.

15. მოწმე ს. ა-ს ჩვენების მიხედვით, შემთხვევის დღეს, დაახლოებით, 10-11 საათზე იმყოფებოდა სოფელ ყ-ში, გ-ს ხიდთან, სადაც გზის პირას არსებულ ჯიხურში ყიდდა ხორცს. ჯიხურიდან გამოსულმა, დაახლოებით, 4-5 მეტრში, შეამჩნია რ. მ-ს ავტომანქანა, რომელშიც ასევე იჯდა კ. მ. და ისინი ერთმანეთს ესაუბრებოდნენ. ამასობაში რ. მ-ს ა. ჯ-მ მიუყენა ავტომანქანა და ისინი ფანჯრიდან გაესაუბრნენ ერთმა-

ნეთს. მერე დაზარალებულიცა და მსჯავრდებულიც გადმოვიდნენ ავტომანქანებიდან და ხმამაღლა განაგრძეს საუბარი, კ. მ. კი მაღაზიაში შევიდა. დაზარალებულის ავტომანქანაში სხვა არავინ ყოფილა. ა. ჯ-მა უთხრა რ. მ-ს, რომ იცოდა, რატომაც ყვიროდა, მაგრამ მაინც ვერ აიყოლიებდა. ეს საუბარი, დაახლოებით, 2-3 წუთს გაგრძელდა, რის შემდეგაც ისინი დაიშალნენ. სხვა რამე, რომ მომხდარიყო, აუცილებლად დაინახავდა. მოვგიანებით, ა. ჯ-სგან შეიტყო, რომ კარ-ფანჯარასთან დაკავშირებით ჰქონიათ დავა. ამ შემთხვევიდან, დაახლოებით, ერთ საათში, ნახა რ. მ., რომელიც კარ-ფანჯრებს ტყირთავდა.

16. მოწმეთ მ-ს ჩვენების მიხედვით, 2019 წლის 27 სექტემბერს, 10-11 საათის შუალედში, იმყოფებოდა სოფელ ყ-ში, გ-ს ხიდთან არსებულ მაღაზიაში, ყიდვა ხორცს. მაღაზიიდან გამოსულმა, დაახლოებით 10-15 მეტრში შენიშვნა რ მ-ს ავტომანქანა, რომელსაც მიუახლოვდა ა. ჯ. ისინი თავ-თავიანთ ავტომანქანები ისხდნენ და ხმამაღლა საუბრობდნენ. მერე ორივე გადმოვიდა და ისე საუბრობდნენ. ავტომანქანაში სხვა არავინ დაუნახავს. ესმოდა, რომ მსჯავრდებული პასუხს სთხოვდა და დაზარალებულს, რაღაც სახელურების გამო. მათ შორის კამათი, დაახლოებით, 3-5 წუთს გაგრძელდა, რის შემდეგაც, ისინი კვლავ ჩასხდნენ თავ-თავიანთ ავტომანქანებში და წავიდნენ. არ ჩარეულა, რადგან ინციდენტი რამდენიმე წუთში ამოინურა. შემთხვევის დღეს დაზარალებულსა და მსჯავრდებულს შორის ფიზიკური შეხლა-შემოხლა არ ყოფილა. ასეთი რამ რომ ყოფილყო, დაინახავდა.

17. ამდენად, ზემოაღიშნული მტკიცებულებების შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ბრალდების მხარემ, რომელსაც პროცესუალურად ეკისრება ბრალდების მტკიცების ტვირთი, სასამართლოში წარმოდგენილი, ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით, გონივრულ ეჭვს მიღმა დაადასტურა ა. ჯ-ს ბრალეულობა. ხაზგასასმელია, რომ ბრალდების მხარის მტკიცებულებები: დაზარალებულ რ. მ-ს და მოწმეების – ა. ნ-ს და კ. მ-ს ჩვენებები, ენინააღმდეგება არა მარტო დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილ სამხილებს – მსჯავრდებულ ა. ჯ-სა და მოწმეების: ა. ა. ს. ა-სა და თ. მ-ს ჩვენებებს, არამედ, ამავდროულად, ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხველიცაა, კერძოდ:

18. დაზარალებულ რ. მ-ს განმარტებით, განსახილველ შემთხვევამდე მასთან სახლში მყოფმა ა. ჯ-მ ყელში წაუჭირა ხელი და მაგიდაზე დაანარცხა, რასაც შეესწრო მისი შვილი და საშველად უხმო მის მეუღლესა და დედას, თუმცა დაზარალებულის მეუღლის – ა. ნ-ს მტკიცებით, იცოდა დაზარალებულსა და მსჯავრდებულს შორის არსებული საქმიანი ურთიერთობის შესახებ, თუმცა მათი უთანხმოების თაობაზე,

შემთხვევის დღემდე, არაფერი გაუგია.

19. დაზარალებულ რ. მ-ს მითითებით, კ. მ. მის ავტომანქანაში იჯდა და ისე საუბრობდნენ, რაც სასამართლოში პირდაპირი დაკითხვის დროს, დაადასტურა დაზარალებულის მეუღლემაც, თუმცა, თავის მხრივ, ჯვარედინი დაკითხვისას ამტკიცებდა, რომ კ. მ. მათ ავტომანქანაში არ ჩამჯდარა, არამედ – ისე ესაუბრებოდა მის მეუღლეს. მეტი დამაჯერებლობისთვის კი აღნიშნა, რომ საუბრისას კ. მ. შეეცადა მის მეუღლეს უტაქტოდ გახუმრებოდა, რაზეც რ. მ-მ მიუთითა, რომ თან მეუღლე ახლდა.

20. დაზარალებულ რ. მ-ს ჩვენების საპირისპიროდ, რომელსაც არ მიუთითებია, რომ შემთხვევის დღეს, ა. ჯ-თან ფიზიკურ დაპირისპირებას კ. მ-ც ესწრებოდა, მისმა მეუღლემ – ა. ნ-მ დაადასტურა, რომ მას შემდეგ, რაც მსჯავრდებულმა მანქანას მიანარცხა რ. მ., დაზარალებული იქვე მყოფმა კ. მ-დ დაიჭირა, რომ არ წაქცეულიყო და მანქანაში ჩასვა. თავად კ. მ-მ სასამართლოში ჩვენების მიცემის დროს კი ერთმნიშვნელოვნად გამორიცხა, რომ იყო ა. ჯ-ს და რ. მ-ს ფიზიკური დაპირისპირების შემსწრე, მით უფრო – გამშველებელი, როგორც ამას დაზარალებულის მეუღლე – ა. ნ. ამტკიცებდა. კ. მ-ს განმარტებით, დაზარალებული და მსჯავრდებული ერთმანეთში საუბრობდნენ, როდესაც მას ბებიამ დაუძახა და მაღაზიაში შებრუნდა, სადაც არავითარი ჩხუბის ხმა არ გაუგია. კ. მ-ს მონათხრობი, ამ ნაწილში, თანხვდენილია და დასტურდება დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი უკლებლივ ყველა მოწმისა და ასევე – თავად დაზარალებულ რ. მ-ს ჩვენებით. აქვე აღსანიშნავია, რომ დაზარალებულს არ დაუდასტურებია, რომ პოლიციის განყოფილებაში ყოფნისას, მეუღლეს გაანდო, თითქოსდა, შემთხვევის დროს, შემთხვევის ადგილზე კ. მ-ც იმყოფებოდა, რომელსაც დაუკავშირდა კიდეც, მაგრამ მისგან უარი მიიღო დამოწმებაზე, როგორც ამაზე ა. ნ-მ მიუთითა თავის ჩვენებაში. დაზარალებულის მეუღლის მონათხრობი ამ ნაწილში მითუთრო გაუგებარია, როდესაც ა. ნ-ს მტკიცებით, იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე და თავიდან ბოლომდე ხედავდა ა. ჯ-სა და რ. მ-ს დაპირისპირებას.

21. დაზარალებულისა და მისი მეუღლის მტკიცება, რომ შემთხვევის დროს, ა. ნ. რ. მ-ს ავტომანქანაში იჯდა და, შესაბამისად, იყო ფაქტის თვითმხილველი, კატეგორიულად გამორიცხეს არა მარტო დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილმა მოწმებმა: ა. ჯ-მ, ა. და ს. ა-ებმა და თ. მ-მ, არამედ – ასევე არ დაადასტურა ბრალდების მხარის ერთადერთმა ნეიტრალურმა მოწმემ – კ. მ-მ, რომელმაც ერთმნიშვნელოვნად მიუთითოთა, რომ რ. მ-ს ავტომანქანაში მის გარდა სხვა არავინ ყოფილა. შესაბამისად, ა. ნ-ს შემთხვევის ადგილზე ყოფნასთან დაკავშირებით, არსებობს გაუქარნყლებელი ეჭვები, რომლებიც, ცხადია, ბრალდებუ-

ლის/მსჯავრდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.

22. აქვე აღსანიშნავია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ, რომლის მსჯელობაც, დამატებითი არგუმენტაციის გარეშე, უპირობოდ გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ, შემთხვევის შემსწრე, დაცვის მხარის მოწმეების – არის ა-ს, ს. ა-სა და თ. მ-ს – ჩვენებები, ისე მიიჩნია მიკერძოებულად, რომ კონკრეტული მიზეზი – თუ რატომ უნდა მიეცათ მოწმეებს ცრუ ჩვენებები, შესაძლო სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილების მიუხედავად; რა განსაკუთრებული დამოკიდებულება აკავშირებდათ მათ მსჯავრდებულთან ან რატომ უნდა ყოფილიყვნენ ესოდენ დაინტერესებულნია.

ჯ-ს პასუხისმგებლობისაგან თავის არიდებით – არ გამოურკვევია. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ ზემოაღნიშნული მოწმეების განმარტებები საეჭვოდ მიიჩნია იმ მოტივით, რომ მათ ზუსტად ახსოვდათ შემთხვევის დრო და ადგილი, თუმცა არა – ის, ვინ და როდის დატოვა იქაურობა; ვინ და რობოდის ჩაატარა საგამოძიებო ექსპერიმენტები და საად ნახეს დაზარალებული, რომელიც, თითქოსდა, შემთხვევიდან ერთი საათის შემდეგ კარ-ფანჯრებს ტყირთავდა, ასევე – არასანდოდ მოეჩვენა მოწმეების ქცევა, რომლებმაც, მას შემდეგ, რაც შეიტყვეს ა. ჯ-ს წინააღმდეგ რ. მ-ს ბრალდებების შესახებ, სამართალდამცავი ორგანოს ნაცვლად, მიმართეს მსჯავრდებულს, რომ მზად იყვნენ მიეცათ ჩვენებები.

23. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს: იმ პირობებში, როდესაც ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით – დაზარალებულ რ. მ-სა და მოწმეების: ა. ნ-სა და კ. მ-ს ჩვენებებით უტყუარად ვერ დგინდება ა. ჯ-ს მიერ მისთვის ბრალად შერაცხილი დანაშაულის ჩადენა, მეტიც – მის უდანაშაულობაზე მიუთითებს არაერთი ნეიტრალური მოწმე, რომელთა მსჯავრდებულის სასარგებლოდ შესაძლო მიეკრძოებაში დაეჭვების გონივრულ საფუძველზე, ვერც ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოები უთითებენ და არც საქმის მასალებით დადგენილა, დაცვის მხარის მოწმეების მონათხობში გამოკვეთილი უმნიშვნელო უზუსტობები, რაზეც აპელირებს სასამართლო თავის განაჩენში, ვერ დაედება საფუძვლად ა. ჯ-ს დამნაშავედ ცნობას იმ ქმედების ჩადენისათვის, რასაც ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, ბრალდების მხარე ედავებოდა მას.

24. და ბოლოს, საკასაციო სასამართლო მიუთითებს: მიუხედავად იმისა, რომ უტყუარად ვერ დგინდება შემთხვევის დღეს, ა. ჯ-ს მიერ რ. მ-ზე ფიზიკური ძალადობის ფაქტი, რაც ცხადია, წარდგენილ ბრალდებაში მისი უდანაშაულოდ ცნობის უპირობო საფუძველია, აღსანიშნავია, რომ არსებობს ასევე გაუქარწყლებელი ეჭვები, რომლებიც რ. მ-ს შესაძლო დაზიანებას უკავშირდება, რამეთუ დადგენილია, რომ სა-

მედიცინო დოკუმენტაციაში, რომლის საფუძველზეც გაიცა სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა და დადგინდა, რომ შემთხვევის დღეს დაზარალებულს აღნიშნებოდა მარცხენა, მე-5 ნეკნის მოტეხილობა, ცდომის გარეშე, არ მოიპოვება რ. მ-ს რენტგენოფირი, რომელიც დაზარალებულის მტკიცებით, კლინიკაში დარჩა ექიმთან, ხოლო შპს „....“ 2020 წლის 2 მარტის დირექტორის წერილის მიხედვით, პაციენტი რ. მ-ს რენტგენოფირი, სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც დაზარალებული მკურნალობდა სტაციონარულად 2019 წლის 27 სექტემბერს დანეკნის მოტეხილობის დიაგნოზი დაესვა გულმკერდის „Ro-გრაფიის“ საფუძველზე, არ იძებნება.

25. ამდენად, როდესაც დადგენილია, რომ შემთხვევის ადგილზე მყოფთაგან, დაზარალებულსა და მსჯავრდებულს, საქმის შედეგთან მიმართებით, საპირისპირო ინტერესები გააჩნიათ, ხოლო დაზარალებულის მონათხოვბს ადასტურებს მხოლოდ მისი მეუღლე, რომლის ჩვენება არ იძლევა ფაქტების უტყუარად დადგენის შესაძლებლობას, რამეთუ ეწინააღმდეგება, როგორც მის მიერ გამოძიების დროს, გამოკითხვებისას მიწოდებულ ინფორმაციას, ასევე – საქმეში წარმოდგენილ სხვა სამხილებს: მსჯავრდებულა. ჯ-სა და მოწმეების – კ. მ-ს, ა. ს. ა-სა და თ. მ-ს ჩვენებებს და, იმავდროულად, არსებობს გონივრული ვარაუდი დაზარალებულის მიერ შეუსრულებელი ვალდებულებისათვის თავის ასარიდებლად, დაზარალებულისა და მისი მეუღლის მსჯავრდებულის საწინააღმდეგოდ მიკერძოებასთან მიმართებით, მტკიცებულებების შეფასების დროს გაჩენილი ეჭვები, რომლებიც ვერ დადასტურდა კანონით დადგენილი წესით, საკასაციო სასამართლოს პოზიციით, In dubio pro reo – პრინციპის საფუძველზე, მსჯავრდებულის სასარგებლობუნდა გადაწყდეს.

26. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, არავინ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალდებელს. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისმგებაში მიცემის შესახებ უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი - უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

27. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას. მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენი-

ლი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ.

28. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად ვერ დადასტურდა ა. ჯ-ს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, რის გამოც, წარდგენილ ბრალდებაში იგი ცნობილ უნდა იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს.

29. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორ სალომე ქემაშვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მსჯავრდებულ ა. ჯ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ - ე. ქ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 26 მარტის გამამტყუნებელი განაჩენის ნაცვლად უნდა დადგინდეს გამამართლებელი განაჩენი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-2, მე-3 ნაწილებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორ სალომე ქემაშვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. მსჯავრდებულ ა. ჯ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ - ე. ქ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 26 მარტის განაჩენი;

4. ა. ჯ. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში;

5. გამართლებულ ა. ჯ-ს განემარტოს, რომ უფლება აქვს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება;

6. ადკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული გირაო – გაუქმებულია; გირაოს შემტანს, განაჩენის აღსრულებიდან 1 თვის ვადაში, სრულად დაუბრუნდეს გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა;

7. განაჩენი საპოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკასაციო განაჩენი

გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამტფუნებელი განაჩენის დადგენი

განაჩენი
საქართველოს სახელის

№602აპ-24

3 ოქტომბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატაში შემდეგი შემადგენლობით:
მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
ლ. ფაფიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის
რაიონული პროკურატურის პროკურორ ნაზი მირიანაშვილის საკასა-
ციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამარ-
თლის საქმეთა პალატის 2024 წლის 29 მარტის განაჩენზე.

აღნიშვნის ნაწილი:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-
მეთა პალატის 2024 წლის 29 მარტის განაჩენი საკასაციო წესით გაა-
საჩივრა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის
პროკურორმა ნაზი მირიანაშვილმა, რომელიც ითხოვს გამამართლებე-
ლი განაჩენის შეცვლას, ი. ქ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სის-
ხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვა-
ლისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სამართლიანი სასჯელის
განსაზღვრას, ვინაიდან მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს
გადაწყვეტილება უკანონო და დაუსაბუთებელია. კასაცორის მითითე-
ბით, სასამართლომ არასწორად შეაფასა ბრალდების მხარის მიერ
წარმოდგენილი მტკიცეულებები – დაზარალებული ი. გ.-სა და მიწმეე-
ბის: ლ. ე-სა და გ. დ-ს ჩვენებები, მოწმეების – მ. მ-ს, დ. თ-ს, რ. შ-სა და
ვ. რ-ს გამოკითხვის ოქმები, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი, შემ-
თხვევის ადგილიდან გამოთხოვილი ვიდეოჩანაწერი და მისი დათვა-
ლიერების ოქმი, ასევე – სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა – რომ-
ლებთაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება ი. ქ-ს ბრალეულობა. სა-
სამართლო განხილვის დროს გამოიკვეთა ი. ქ-ს სასარგებლოდ დაზა-
რალებულის დაინტერესება, რამეთუ ისინი ახლო მეგობრები არიან და
ინციდენტის შემდეგ შერიგდნენ. ი. გ., მისი მეუღლის მსგავსად, ცდი-
ლობს ბრალდებულს აარიდოს პასუხისმგებლობა. ისევე, მათ მოიგო-

ნეს, თითქოსდა, შემთხვევის დილას, ი. გ-ს ზუსტად იმ ადგილას ჩაარტყა ბავშვმა რკინის სათამაშო მანქანა, სადაც მოგვიანებით მოხვდა ი. ქ-ს მოქნეული ხელი. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული გარემოება ი. გ-სა და ლ. ე-ს გამოძიების დროს არ განუცხადებიათ, რაც საეჭვოს ხდის სასამართლოში მათი მონათხრობის სანდოობას. ამასთან, დაზარალებულისა და მოწმის მტკიცებით, ბავშვმა მარჯვენა მხარეს ჩაარტყა სათამაშო დაზარალებულს, ხოლო ვიდეოჩანანერის დაოვალიერების ოქმი ცხადყოფს, რომ ი. ქ-მ ი. გ-ს მარცხენა მხარეს დაარტყა ხელი და, შესაბამისად, პირველი შემთხვევა ვერ იქნება დაკავშირებული მეორე შემთხვევის შედეგად განცდილ ტკივილთან.

2. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, ი. ქ-ს, – დაბადებულს ... – ბრალად დაედო სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, რაც გამოიხატა შემდეგით:

2.1. 2022 წლის 15 დეკემბერს, დაახლოებით, 15:30 საათზე, ქ. მდებარე მაღაზიაში, ი. ქ-მ უსაყვედურა ი. გ-ს ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე მიცემული ჩვენების გამო, მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და სახის არეში დაარტყა ხელი, რა დროსაც დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი.

3. ი. ქ-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის 2024 წლის 16 იანვრის განაჩენით ი. ქ-ე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის 2024 წლის 16 იანვრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის პროკურორმა – ნაზი მირიანა შვილმა, რომელიც ითხოვდა ი. ქ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და მისთვის სამართლიანი სასჯელის განსაზღვრას.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 29 მარტის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის 2024 წლის 16 იანვრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ განიხილა პროკურორის საკასაციო სა-

ჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამონმა საჩივრის საფუძვლიანობა, გააანალიზა კასატორის საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდევ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებითა ერთობლიობა. მტკიცებულებითი სტანდარტი – „გონივრულ ეჭვს მიღმა“ – ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად, განიმარტება, როგორც სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში.

3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქეპუნქტის მიხედვით, „გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიიღება ნებისმიერი სხვა გარემოება თუ ფაქტი, რომელზეც მხარეები შეთანხმდებიან“. განსახილველ შემთხვევაში, ი. ქ-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე არსებული ბრალდების მხარის მტკიცებულებები (გარდა შპს „...“ გამოთხოვილი ვიდეოჩანანერისა და დაზარალებულ ი. გ-სა და მოწმეების – ლ. ე-სა და გ. დ-ს ჩვენებებისა) მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, რის გამოც, ისინი მიღებულ იქნა მტკიცებულებად გამოკვლევის გარეშე.

4. აღსანიშნავია, რომ განსახილველ საქმეზე გამოძიება დაიწყო დაზარალებულ ი. გ-ს განცხადების საფუძველზე, რომელიც მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ და რომლის შინაარსით ირკვევა, რომ 2022 წლის 15 დეკემბერს მას სამსახურში მიაკითხა ი. ქ-მ და უთხრა, რომ არ უნდა ეჩივლა ძმები ფ-სთვის, რომლებთან ერთადაც იყო გაზრდილი. ასევე – სასაუბროდ უნდა ასულიყვნენ მათ საერთო ნაცნობთან – დ. დ...სთან. აღნიშნულზე უპასუხა, რომ არანაირი ურთიერთობა არ უნდოდა მასთან და არ გაჰყება. ამავდროულად, დაურეკა თავის მეუღლეს – ლ. ე-ს, რომელიც მაშინვე მივიდა შემთხვევის ადგილზე. უარის გამო, ი. ქ-მ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და შეაგინა. ლ. ე-ი მოუწოდებდა, თავი გაენებებინა მისთვის, თორებ უჩივლებდა, რაზეც ი. ქ-მ უპასუხა, რომ „ფეხებზე ეკიდა“ და მისკენ გაიწია. ლ. ე. შუაში ჩადგა. ი. ქ-მ დასარტყმელად მოუქნია ხელი, რომელიც თავში მოხვდა და განიცადა ტკივილი.

5. დაზარალებულ ი. გ-ის ჩვენების მიხედვით, 2022 წლის 15 დეკემბერს, დაახლოებით, 15:00 საათზე, მის მაღაზიაში მივიდა ი. ქ., რო-

მელთანაც ბავშვობიდან მეგობრობს. ი. ქ. ესაუბრა საქმეზე, სადაც იგი იყო მთავარი მოწმე და ამის გამო სთხოვდნენ პასუხს. უთხრა, რომ საკითხის გასარკვევად მათ საერთო ნაცნობთან – დ. დ-სთან უნდა მისულიყვნენ. საუბრის დროს განერვიულდნენ, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და ხელიც მოუქნიეს ერთმანეთს. მათ რ. შ., ვ. რ. და დ. თ. აშველებდნენ. ი. ქ-ს მოქნეული ხელი, დაახლოებით, სამჯერ შეეხო, ხოლო გაშლილი – ერთხელ მოხვდა ქუდის კეპსა და სახის მარჯვენა არეში, რა დროსაც განიცადა ტკივილი. მეორე დღეს ჩაუტარეს სამე-დიცინო ექსპერტიზა, რა დროსაც დაადასტურა, რომ ი. ქ-ს დარტყმი-სას განიცადა ტკივილი. რამდენიმე დღის შემდეგ გაახსენდა, რომ შემთხვევის დილას, სანამ ი. ქ-ს შეხვდებოდა, თავისმა შვილმა ჩაარ-ტყა რკინის სათამაშო ავტომანქანა სახის მარჯვენა არეში, ზუსტად იქ, სადაც მოგვიანებით მოხვდა ი. ქ-ს მიერ მოქნეული ხელი და ძალიან ეტკინა. მეუღლებ სახეზე ყინულები დაადო. შესაბამისად, არ შეუძლია დაზუსტებით იმის თქმა, რომ არა ბავშვის მიერ შემთხვევის დილას მიყენებული დაზიანება, ი. ქ-ს დარტყმის გამო განიცდიდა თუ არა ტკი-ვილს.

6. დაზარალებულის მეუღლის, მოწმე ლ. ე-ს ჩვენების მიხედვით, 2022 წლის 15 დეკემბერს, დღის მეორე ნახევარში, დაურეკა მეუღლემ, რომელიც იყო აღელვებული და სთხოვა მის მაღაზიაში მისვლა. ადგილ-ზე ნახა, რომ ი. ქ. და ი. გ. სიტყვიერად შელაპარაკდნენ და ფიზიკურა-დაც შეეხნენ ერთმანეთს. იქვე ხალხი იყო შეკრებილი. კარგად ვერც გაიგო, რა ხდებოდა, ისე დაიწყო მხარეების გაშველება. ხელებს ორივე იქნევდა. მის მეუღლეს ოდნავ მოხვდა ი. ქ-ს ხელი კეპსა თუ სახის არე-ში. ი. ქ-ს რომც სდომოდა, ი. გ-ს ფიზიკურად ვერ გაუსწორდებოდა, რად-გან ხალხი იყო შეკრებილი და აშველებდნენ მათ. შემთხვევიდან რამ-დენიმე დღეში, მის მეუღლეს რკინის სათამაშო მანქანა ჩაარტყა მათმა შვილმა, რამაც გაახსენა, რომ შემთხვევის დილასაც ჩაარტყა ი. გ-ს ბავ-შვმა სახეში სათამაშო, რის გამოც, ყინულები დაადო სახეზე.

7. შპს „...“ გამოთხოვილი ვიდეოჩანანერი, რომელსაც ამ სამხილის ობიექტური ბუნებიდან გამომდინარე, მტკიცებულებების შეფასების დროს, უპირობოდ ძალიან მაღალი ფასი აქვს, ცხადყოფს, რომ ... მდე-ბარე ი. გ-ს კუთვნილი მაღაზიის მიმდებარედ, 15:55:43 საათზე, კადრში ჩნდებიან: ი. ქ., დ. თ., ი. გ. და რ. შ. 15:55:47 საათზე ი. ქ, დაახლოებით, ერთი მეტრის მანძილიდან, მარჯვენა ხელს უქნევს ი. გ-ს. რ. შ. დგება მოჩხუბრებს შორის და არ აძლევს ერთმანეთთან მიახლოების საშუა-ლებას. ი. ქ. და ი. გ. ერთმანეთს მიმართავენ აგრესიულად. ი. ქ. სწრაფი ნაბიჯებით მიემართება ი. გ-სკენ და 15:56:04 საათზე უქნევს მარჯვენა ხელს, ხოლო ი. გ.ი სწრაფი მარცხენა ხელს, რომელზეც ხვდება ი. ქ-ს მოქნეული ხელი. რ. შ. ცდილობს მათ გაშველებას. 15:56:17 საათზე კად-

რში ჩნდება ვ. რ-ე, რომელიც მიდის ი. გ-თან და ცდილობს მის გაყვანას. ი. ქ. და ი. გ. ერთმანეთს კვლავ აგრესიულად მიმართავენ. 15:57:00 სა-ათზე, კადრში ჩნდება ლ. ე., რომელიც გადმორბის გზაზე, მიდის ი. ქ-სთან და აგრესიულად ესაუბრება, ჰკრავს ხელს და ცდილობს განარი-დოს ი. გ-ს. შეკრებილი ადამიანები დგანან ი. ქ-სა და ი. გ-ს შორის და ცდილობენ ისინი ერთმანეთთან არ მიუშვან. ი. ქ-ე და ლ. ე. ესაუბრები-ან ერთმანეთს ხელების უესტიკულაციით. ი. გ უახლოვდება მათ. ი. ქ. ხელს უქნევს ი. გ-ს და აგინებს მას, რასაც თან სდევს შესაბამისი უეს-ტიკულაციაც, ხოლო 15:58:10 საათზე მარჯვენა გამლილ ხელს უქნევს სახის მიმართულებით ი. გ-ს, რომელიც მას ხვდება ქუდის კეპსა და სახის მარცხენა არეში. შეკრებილი ადამიანები ცდილობენ მათ გაშვე-ლებას. ი. ქ-ე კვლავ ცდილობს დაარტყას იგ-ს, რომელიც იგერიებს მის თავდასხმას, ხოლო გამშველებლები აღარ აძლევენ ი. გ. ძალადობის გაგრძელების საშუალებას.

8. მოწმე დ. თ-ს გამოკითხვის ოქმის მიხედვით (რომელიც მხარეებს სადაც არ გაუხდიათ), 2022 წლის 15 დეკემბრის დილიდან იმყოფე-ბოდა ი. გ-ს მაღაზიაში. დაახლოებით, 15:50 საათის შემდეგ, ქუჩიდან შემოესმა ხმამაღალი საუბარი. გარეთ გასულმა, ნახა, რომ ი. ქ., რომე-ლიც იყო აგრესიული, უყვიროდა ი. გ-ს, აყენებდა სიტყვიერ შეურაც-ხყოფას და აგინებდა. იფიქრა, შეიძლება ეჩებათ, ამიტომ მათ შორის ჩადგა. ი. ქ-მ რამდენჯერმე დასარტყმელად გაიწია ი. გ...სკენ, ხელი უბიძგა მარჯვენა მხარში, რამდენჯერმე მოუქნია ხელიცა და ფეხიც, თუმცა არ იცის, მოარტყა თუ არა. ამასობაში, მათთან მივიდა ლ. ე., რომელიც განერვიულებული ლანძღვდა ი. ქ-ს, უყვიროდა, რომ დაე-ნებებინა თავი მისი ქმრისათვის. ი. ქ. ჯერ დამშვიდდა, თუმცა შემდეგ კვლავ გახდა აგრესიული და იწევდა ი. გ-სკენ დასარტყამად. ის, რ. შ. და ვ. რ. ცდილობდნენ, არ მიეცათ მისთვის ი. გ. ძალადობის საშუალება, მაგრამ, ერთ მომენტში, ი. ქ-მ მაინც მოუქნია ხელი დაზარალებულს, რომელიც მოარტყა თუ არა, არ დაუნახავს, რადგან ი. გ-საგან ზურგით იდგა, თუმცა როდესაც შეხედა, დაზარალებული სახეზე იკიდებდა ხელს.

9. მოწმე რ. შ-ს გამოკითხვის ოქმის მიხედვით (რომელიც მხარეებს სადაც არ გაუხდიათ), 2022 წლის 15 დეკემბერს, დაახლოებით, 16:00 საათზე, ი. გ-ს მაღაზიის მიმდპარედ დაინახა, როგორც ესაუბრებოდ-ნენ ერთმანეთს ხმამაღლა ი. გ. და ი. ქ., თუმცა რაზე – არ გაუგია. მათ შორის აშკარად იძაბებოდა ურთიერთობა. ნელ-ნელა გაემართა მათკენ, რათა ჩხუბი არ მოსვლოდათ. ამასობაში გამოჩნდა ლ. ე., რომელმაც ი. ქ-ს დაუწყო ყვირილი, მოუწოდებდა, თავი დაეწებებინა მისი ქმრისათ-ვის. იგი ცდილობდა ლ. ე. გაერიდებინა, რადგან უყო ფეხმიმედ, მაგ-რამ ვერ შეძლო. ი. ქ-მ ი. გ-საკენ გაიწია დასარტყმელად. იგი შუაშიჩად-

გადა აშველებდა, მაგრამ ი. ქ-მ მაინც შეძლო ი. გ-სათვის სახეში ხელის დარტყმა. ი. გ-ს ი. ქ-სათვის არ დაურტყამს.

10. მოწმე ვ. რ-ს გამოკითხვის ოქმის მიხედვით (რომელიც მხარეებს სადაც არ გაუხდიათ), 2022 წლის 15 დეკემბერს, თავის მაღაზიაში ყოფნისას ქუჩიდან შემოესმა ხმაური. რამდენიმე მაღაზიის მოშორებით დაინახა, რომ ი. გ. და ი. ქ. ერთმანეთისკენ იწევდნენ, აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას და აგინძდნენ. იქვე იყვნენ რ. შ. და დ. თ., რომლებთან ერთადაც შეეცადა, არ მიეცა ი. გ-სა და ი. ქ-სათვის ერთმანეთთან მიახლოების საშუალება. მათთან ასევე მივიდა ლ. ე-ი, რომელმაც ი. ქ-ს დაუწყო ლანდღვა, უყვიროდა, დაენებებინა თავი მისი მეუღლისთვის და მიეცა მათი ოჯახისათვის მშვიდად ცხოვრების საშუალება. ი. ქ. კვლავ განაგრძობდა ი. გ-ს გინებას, რომლის საპასუხო შეგინების შემდეგ, ი. ქ-მ გაიწია დაზარალებულისაკენ და დაარტყა სახეში ხელი.

3. ამდენად, განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით სარწმუნოდ დგინდება, რომ შემთხვევის ფლეს ი. ქ-მ ი. გ-ს სახის არეში დაარტყა ხელი და დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი. დავის საგნად არის ქცეული: ი. ქ-ს ქმედება მიზეზობრივად დაკავშირებულია თუ არა დამდგარ შედეგთან – დაზარალებულის მიერ განცდილ ტკივილთან და, შესაბამისად, ჩაიდინა თუ არა მან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, როგორც ამას ბრალდების მხარე ამტკიცებს, თუ სასამართლოში წარმოდგენილი სამხილების ერთობლიობით უტყუარად ვერ დადასტურდა მისი ბრალეულობა, როგორც ეს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია.

4. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ი. ქ-ს მიერ მისთვის ბრალად წარდგენილ ქმედებაში – სხვაგვარ ძალადობაში – უდანაშაულოდ ცნობას საფუძვლად უდევს სააპელაციო სასამართლოს მიერ ორი ფაქტობრივი გარემოების გამოკვეთა, რომლებიც, თითქოსდა, გამორიცხავს მის ბრალეულობას. კერძოდ: ერთი მხრივ, დაზარალებულმა უტყუარად ვერ დაადასტურა, განიცდიდა თუ არა ტკივილს ი. ქ-ს დაარტყმის შედეგად, რომ არა – შემთხვევის დილას მიღებული ტრაგმა, ხოლო საქმეში წარმოდგენილი სხვა სამხილებით – მათ შორის, სამედიცინო ექსპრტიზის დასკვნით, რომლის მიხედვით, დაზარალებულს არ აღენიშნებოდა დაზიანება – შეუძლებელია ბრალად შერაცხილი დანაშაულის ისეთი ობიექტური ნიშნის სარწმუნოდ დადასტურება, როგორიც არის – ძალადობის შედეგად ტკივილის განცდა; მეორე მხრივ, გონივრულ ეჭვს მიღმა, ვერ დადგინდა საქმისათვის არსებითად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოები, რამეთუ დაზარალებულის ჩვენება და შემთხვევის ამსახველი ვიდეოჩანანერის შინაარსი, რომელიც

პირდაპირ ასახავს 2022 წლის 15 დეკემბერს მომხდარს, ურთიერთნინაალმდეობრივია.

5. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილების დასაბუთებისას აღნიშნა: „ცხადია, რომ დაზარალებული ი. გ. უტყუარად ვერ აფასებს თავისი ტკივილის გამომწვევ მიზეზს ი. ქ-სთან დაპირისპირების დროს, ვინაიდან განმარტავს, რომ მართალია, ტკივილი განიცადა, თუმცა ეს გამოწვეული იყო იმ პირველადი დაზიანებით, რაც იმავე დღეს, დილის საათებში, თავისმა შვილმა მიაყენა სათამაშოს ჩარტყმის შედეგად. დამოუკიდებლად, ი. გ-ს მიერ მოქნეული ხელის დარტყმა კი, გამოიწვევდა თუ არა ტკივილს, არ იცის. შესაბამისად, პალატას რჩება ერთი გზა, განსახილველი დანაშაულისათვის დამახასიათებელი ობიექტური ნიშნის შესაფასებლად – საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზი. ისინი კი არ ადასტურებენ დაზიანების არსებობის ფაქტსაც კი, რაც კიდევ უფრო ამცირებს ი. ქ-ს მიერ ხელის მოქნევის სიძლიერის განსაზღვრის შესაძლებლობას“. ამასთან, „ვიდეოჩანაწერით, უპირველესად, დადასტურებულია ი. ქ-სა და ი. გ-ს შორის მომხდარი ფიზიკური დაპირისპირება, რაც სადაც ფაქტს არ წარმოადგენს მოცემულ შემთხვევაში. ყურადსალებია ის გარემოება, რომ, განსახილველი ვიდეოჩანაწერის მიხედვით, რამდენიმე დარტყმასთან ერთად, რომლებსაც, დაზარალებულის განმარტებით, ტკივილი არ გამოუწვევია, ი. ქ-მ მარჯვენა გაშლილი ხელი სახის მიმართ ულებით მოუქნია ი. გ-ს, რომელიც მას მოხვდა ქუდის კეზზე და შემდეგ სახის მარცხენა მხარეს. თავად დაზარალებულმა კი განმარტა, რომ ი. ქ-ს გაშლილი მარცხენა ხელი ერთხელ მოხვდა ქუდის კეზზე და შემდეგ სახეში, მარჯვენა მხარეს, რა დროსაც განიცადა ტკივილი. ამგვარ ვითარებაში, დაუდგენელია უშუალოდ დარტყმის განხორციელების ფაქტობრივი დეტალები, ვინაიდან დაზარალებულის ჩვენება და ვიდეოჩანაწერი, რომლებიც პირდაპირ ასახავენ მომხდარს, წინააღმდეგობაშია ერთმანეთთან“.

6. საკასაციო სასამართლო, დაზარალებულ ი. გ-ს ჩვენებასა და შემთხვევის ამსახველ ვიდეოჩანაწერს შორის არსებულ წინააღმდეგობასთან მიმართებით, რომელზეც აპელირებს სააპელაციო სასამართლო თავისი გადაწყვეტილების მოტივაციისას, ხაზგასმით აღნიშნავს: საეჭვო არაა ის ფაქტი, რომ 2022 წლის 15 დეკემბერს ი. ქ-მ სახეში ხელის დარტყმით ნამდვილად იძალადა ფიზიკურად ი. გ., რაც დადასტურებულია არა მარტო დაზარალებულ – ი. გ-სა და თვითმხილველი მოწმეების: ვ. რ-ს, რ. შ-ს, დ. თ-სა და ლ. ე-ს ჩვენებებით, არამედ ასევე – თვალნათლივ ჩანს შემთხვევის ამსახველ ვიდეოჩანაწერში, რომლითაც ერთმნიშვნელოვნად დგინდება, რომ ი. ქ-მ დაპირისპირებისას მარჯვენა გაშლილი ხელი მოუქნია ი. გ-ს, რომელიც მოარტყა სახის მარცხენა არე-

ში. მხოლოდ ის გარემოება, რომ დაზარალებულმა, რომელმაც სასა-მართლოში ჩვენების მიცემისას უპირობოდ დაადასტურა ი. ქ-ს მიერ სახეში ხელის დარტყმის ფაქტი, თუმცა ძალადობის ადგილად, ნაც-ვლად სახის მარცხენა არისა, მიუთითა – მარჯვენა, შემთხვევიდან (2022 წლის 15 დეკემბრიდან) დაზარალებულის სასამართლოში და-კითხვამდე (2023 წლის 17 ოქტომბრამდე) გასული დროის გათვალის-წინებით, ვერ შეფასდება იმგვარ წინააღმდეგობად, რომელიც უკარ-გავს ფასს დაზარალებულის მონათხობობს, მათ შორის, ძალადობის შედეგად განცდილ ტკივილთან დაკავშირებით და შეუძლებელს ხდის ბრალდების შესახებ დადგნენილებაში აღნერილი გარემოებების უტყუა-რად დადგენას.

7. და ბოლოს, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, თითქოსდა, ნარმოდგენილი მტკიცებუ-ლებებით უტყუარად ვერ დგინდება მიზეზობრივი კავშირის არსებობა ი. ქ-ს ქმედებასა – ი. გ-სათვის სახეში ხელის დარტყმასა – და დამდგარ შედეგა – ტკივილის განცდას – შორის, რამეთუ არსებობს გაუქარ-წყლებელი ეჭვები იმასთან დაკავშირებით, განიცდიდა თუ არა ძალა-დობის შედეგად ტკივილს დაზარალებული, რომ არა – მანამდე, სხეუ-ლის იმავე არეში მიღებული ტრავმა, რაც, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია, ვინაიდან, ერთი მხრივ, ეს ორი შემთხვევა ხანგრძლივი დროით არის ერთმანეთისგან დაშორებული, კერძოდ, ი. გ-სა და მისი მეუღლის მტკიცებით, დაზა-რალებულს ბავშვმა სახის არეში სათამაშო ჩაარტყა შემთხვევის დი-ლას, ხოლო ი. ქ-მ ი. გ-ზე იძალადა ნაშუადლევს, დაახლოებით, 15:58 საათზე და საქმეში წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულებით, მათ შორის, არც დაზარალებულისა და მისი მეუღლის ჩვენებებით, არ დგინდება, რომ ი. გ., დილიდან მოყოლებული, უწყვეტად ან თუნდაც პერმანენტულად განიცდიდა ტკივილს, რასაც მართლაც შეეძლო გაე-ჩინა ეჭვები მოგვიანებით, ი. ქ-ს ძალადობის შედეგად განცდილი ტკი-ვილის გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებული ინციდენტი და მოგვიანებით, ი. ქ-ს ძალადობა, ორი დამოუკიდებელი შემთხვევაა, დამოუკიდებელი შედეგებით, რომლებიც მიზეზობრივად არ უკავ-შირდება ერთმანეთს.

8. ამდენად, საკასაციო სასამართლოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეული, ურთიერ-თშეჯერებული, საკმარისი, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულე-ბების ერთობლიობით, უტყუარად დადასტურებლად მიაჩინა ი. ქ-ს მი-

ერ ბრალდების შესახებ დადგენილებით მისთვის ბრალად შერაცხილი ქმედების ჩადენა და, შესაბამისად, იგი ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის – სხვაგვარი ძალადობის – ჩადენისათვის.

9. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რომლის ჩადენისთვისაც უნდა დაედოს მსჯავრი ი. ქ-ს ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე ანდა თავისუფლების ალკეთით ვადით ერთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

10. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამდიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგონებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხესა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.

11. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: სამართლებრივ სახელმწიფოში კანონზომიერია მოლოდინი, რომ სასჯელი, თავისი შინაარსით, ფორმით, თვისებრივად და არსებითად გასცდება შურისძიების პრიმიტიულ სურვილს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სამართალთან და რომელიც ობიექტურად ვერ შეუწყობს ხელს

ვერც ადამიანების, საზოგადოების დაცულობას, ვერც დანაშაულის შემცირებას და ვერც დამნაშავე პირის რესოციალიზაციას, საბოლოოდ, ვერ შეუწყობს ხელს ვერც სამართლის პროგრესულ და მისი დანიშნულების შესაბამის განვითარებას და ვერც საზოგადოების წევრების ჰარმონიულ თანაარსებობას, შედეგად, ვერ უზრუნველყოფს იმ სამართლებრივ წესრიგს, რომლის დაცვისთვისაც უნდა გამოიყენებოდეს სახელმწიფოს იძულების უკიდურესი საშუალებები (იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის № 1/4-592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქა-რიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-43).

12. საკასაციო სასამართლო შეაფასა, როგორც სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო გარემოებები, ასევე – პირის ინდივიდუალური მახასიათებლები და პასუხისმგებლობის შემამსუბურებელი (დიდწილად უდავოდ გახადა ბრალდების მხარის მტკიცებულებები), რითაც ხელი შეუწყობ სწრაფ მართლმსაჯულებას; დაზარალებულთან შერიგებულია, რომელსაც მის მიმართ პრეტენზია არ აქვს) გარემოებების გათვალისწინებითა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე, 53-ე მუხლების მოთხოვნებიდან გამომდინარე, მიიჩნევს, რომ ი. ქ-ს სასჯელის სახით უნდა დაეკისროს ჯარიმა – 1100 ლარი, რაც, მოცემულ შემთხვევაში, სრულად უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს – სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და დამნაშავის რესოციალიზაციას.

13. საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან უნდა გათავისუფლდეს პირი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, თუ თითოეული დაზარალებული ამ კანონის აღსრულებისას გამოძიების ორგანოს ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ აღნიშნულ პირზე გავრცელდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია, თუმცა ამავე კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გათავისუფლება, აგრეთვე ამ კანონის მე-2 მუხლით (გარდა მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა), მე-3 მუხლით, მე-4 მუხლით (გარდა მე-4 მუხლის მე-4 ან მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) ან მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სასჯელის შემცირება ვრცელდება ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ რეალურ სასჯელზე, პირობით მსჯავრსა და გამოსაცდელ ვადაზე, აგრეთ-

ვე სხვა სასჯელზე (გარდა ჯარიმისა, ქონების ჩამორთმევისა, იარაღ-თან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვისა და სამხედრო წოდების ჩამორთმევისა) და, ამდენად, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონი არ ვრცელდება ი. ქ-ს მიმართ შეფარდებულ ჯარიმაზე.

14. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის დიდუბე-ჩულურეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ ნაზი მირიანაშვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 29 მარტის გამამართლებელი განაჩენი და მის ნაცვლად დადგინდეს გამამტყუნებელი განაჩენი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილითა და 308-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. თბილისის დიდუბე-ჩულურეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ ნაზი მირიანაშვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 29 მარტის განაჩენი;

3. ი. ქ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახით დაეკისროს ჯარიმა – 1100 ლარი, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, პატიმრობაში ყოფნის ვადის – 2022 წლის 16 დეკემბრიდან 2022 წლის 17 დეკემბრის ჩათვვლით – გათვალისწინებით, შეუმცირდეს და საბოლოოდ განესაზღვროს – 1000 ლარი;

4. ნივთმტკიცება – 1 კომპიუტერული დისკი – შენახულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით;

5. განაჩენი საბოლოოდ და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge